ივან ბუნინი

ნატალი

მოთხრობები

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISBN 99940-39-25-3

© ლ. მჭედლიშვილი, 2005
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2005

ნიგნიდან

„ბნელი ხეივანი“

ჰენრიხი

ერთ ზღაპრულ, იისფერ ჭირხლმოდებულ, სუსხიან საღამოს კასატკინი გლებოვს ვინრო, მაღალი მარხილით ტვერის ქუჩაზე სასტუმრო ლოსკუტნაიასაკენ მიაქროლებდა. გზად ღვინისა და ხილისათვის ელისეევთან შეიარეს. მოსკოვის თავზე ცა ჯერ ისევ განათებული იყო, მოკრიალებულსა და გამჭვირვალეს დასავლეთით როგორილაც მწვანე ფერი გადაჰკრავდა. შორს, გაშლილ სივრცეში, სამრეკლოთა კენწეროები კრთოდა. დედამინაზე კი უკვე ბინდი ჩამონოლილიყო, თოშჩამდგარ, მტრედისფერ თხელ ნისლში ნაზად ციმციმებდა ეს-ესაა ახლახან ანთებული ფარნები.

სასტუმროს შესასვლელთან გლებოვმა მგლის ტყავის ფეხთსათბური გადაიძრო და მხრებჩამოთოვლილ კასატკინს უბრძანა:

– ერთი საათის მერე მოდი და ბრესტის სადგურში წამიყვანე.

– მესმის, ბატონო, – უპასუხა კასატკინმა, – ესე იგი, საზღვარგარეთ მიბრძანდებით?

– ჰო, საზღვარგარეთ მივდივარ.

კასატკინმა მარხილის ჭრიალ-ჭრიალით კანჭმაღალი, ბებერი, ჩორთით მავალი ცხენი უხეშად შეატრიალა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია:

– თუ გული გულობს...

...სასტუმროს დიდი, ოდნავ ხელმიშვებული ვესტიბიული, ფართო ლიფტი და ჭრელთვალება, ჟანგისფრად დაჭორფლილი პატარა ბიჭი ვასია, რომელიც თავის პანია მუნდირში გამოწყობილი დგას და მორჩილად ელოდება, ზოზინ-ზოზინით ლიფტი ზევით როდის ავა. გლებოვმა გულში უცებ სინანული იგრძნო, დაენანა, ყოველივე ამ დიდი ხნის ნაცნობსა და შეჩვეულს რომ ტოვებდა. „კაცმა რომ

თქვას, რა მინდა, რისთვის მივდივარ?" – გაიფიქრა გუნებაში და თავისი თავი სარკეში შეათვალიერა: ახალგაზრდაა, მხნე, ხმელ-ხმელი და ჯიშიანი. თვალები უბრწყინავს, უხდება ლამაზ ულვაშში გარეული ოდნავი ჭაღარა, აცვია ძალიან კარგად და მსუბუქად... ნიცა ახლა შესანიშნავია, ჰენრიხი კი – ჩინებული ამხანაგი... რაც მთავარია, ასე ჰგონია, იქ, სადღაც, გაცილებით კარგად და ბედნიერად იქნება. ვიღაცას შეხვდება, გაერთობა, გზად სადმე სასტუმროში გაჩერდება, სადაც, ღმერთმა უწყის, ვინ ცხოვრობდა მანამდე, რა ეკიდა და რა იდო ამ გარდერობში, ანდა ვისი იყო ღამის მაგიდაში ჩატოვებული თმის სარჭი. მერე მიადგება ვენის საზღვარს და ისევ დათვრება საუცხოო ჰაერის, ყავისა და ლუდის სურნელით, თოვლიან ზემერლინში ისევ გააოცებს მზით განა-თებული ვაგონ-რესტორნის მაგიდაზე ჩამნკრივებული იტალიური და ავსტრიული ღვინოების ნაირნაირ იარლიყთა სიმრავლე, მხარს ვერ აუქცევს ევროპელი ქალებისა და მამაკაცების სახეებსა და ტანსაცმელს, რომლითაც ასე გაჭედილია საუზმის დროს ვაგონ-რესტორანი... მერე ღამე, იტალია... დილაალიონზე, ზღვის გასწვრივ, ნიცისაკენ მიმავალ ბნელ, მსუბუქნისლჩაწოლილ გვირაბებში გრუხუნით ჩაქროლება, კუპეს ჭერზე მკრთალად მკრთომარე ნათურები, პატარა ყურე და თაკარა სიცხეში მიყუჩებული პატარ-პატარა სადგურები... ამ ფიქრებში გართულმა გლებოვმა ვერც კი გაიგო, ლოსკუტნაიას ხალებით მოგებული თბილი დერეფანი აჩქარებული ნაბიჯით როგორ გაიარა.

ნომერშიც თბილოდა. ფანჯრებიდან მაღალი, გამჭვირვალე ზეცა იმზირებოდა, ირგვლივ ჯერ ისევ დაფიონის შუქი იდგა. ბარგი უკვე ჩალაგებული, ჩემოდნები უკვე გამზადებული ჰქონდა და გლებოვმა გულში კვლავ რაღაცნაირი სევდა იგრძნო – შეენანა ამ შეჩვეული ოთახის, თოვლით გადათეთრებული ზამთრის მოსკოვის მიტოვება, მიტოვება ლისა და ნადიასი.

ნადია საცაა გამოსამშვიდობებლად მოირბენდა. გლებოვმა ის-ის იყო ღვინო და ხილი ჩემოდანში ჩადო, პალტო და ქუდი მრგვალ მაგიდასთან მდგარ დივანზე მიყარა, რომ კარზე აჩქარებული კაკუნი

გაისმა და კარის გახსნა ძლივს მოასწრო, რომ ნადია უკვე კისერზე ეხვეოდა – ერთიანად გათოშილი, ნაზად სურნელოვანი, ციყვის ტყავის ქურქსა და ქუდში გამოწყობილი, თავისი თექვსმეტი ნლის კვალობაზე მეტისმეტად ქორფა და ცინცხალი, სიცივისაგან ავარდისფერებული პატარა სახითა და მწვანე, შუქიანი თვალებით.

– მიდიხარ?

– მივდივარ, ნადია...

ქალიშვილმა ამოიოხრა, ქურქი შეიხსნა და სავარძელში ჩაეშვა.

– იცი, მადლობა უფალს, წუხელი ავად გავხდი... აჰ, რომ იცოდე, როგორ მინდოდა, სადგურში გამეცილებინე, რატომ არ მაძლევ უფლებას?

– ნადიუშა, ხომ იცი, ეს შეუძლებელია, მე ხომ შენთვის სრულიად უცხო, უცნობი ადამიანები გამაცილებენ, თავს მარტო და ზედმეტად იგრძნობ.

– ახლა შენთან ნამოსვლა რომ შემძლებოდა, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი.

– როგორ გგონია, ნადია, მეც ასე არა ვარ? მაგრამ, იცი, რომ ეს შეუძლებელია...

გლებოვი ქალიშვილს სავარძელში გვერდით მიუჯდა და თეთრ, თბილ ყელზე რომ ჰკოცნიდა, ღაწვზე მისი ცრემლი იგრძნო.

– ნადიუშა, აბა, რა არის ეს, რას ჰგავს?

გოგონამ თავი ასწია და ნაძალადევად გაიღიმა.

– არა, მეტს აღარ ვიზამ... არ მინდა, სხვა ქალებივით თავი მოგაბეზრო, შენ ხომ პოეტი ხარ, თავისუფლება გჭირდება.

– ჭკვიანი გოგო ხარ, – უთხრა ჩვეული სერიოზულობით, მისი ბავშვური პროფილით, კრიალა, ვარდისფრად ანთებული ღაწვებით, ოდნავ გაპობილი ბაგით, კითხვის ნიშნებით სავსე, აპრეხილწამწამებიანი უმანკო, ცრემლჩამდგარი თვალებით აღფრთოვანებულმა გლებოვმა:

– შენ ხომ სხვა ქალებს არ ჰგავხარ, შენც პოეტი ხარ, ნადია.

ნადიამ იატაკზე ფეხები დააბაკუნა:

– ჩემთან სხვა ქალის ხსენება არ გაბედო!

და თვალებმიბნედილმა ყურში ჩუმად წასჩურჩულა:
– მხოლოდ ერთი წუთით... დღეს კიდევ შეიძლება...

ცივ, წყვდიადით მოცულ ღამეს ბრესტის სადგურის სადარბაზოდან დაღვრილი სინათლე ანათებდა. მებარგულის უკან სწრაფი ნაბიჯით მიმავალმა გლებოვმა შუა სადგურში უცებ ლის მოჰკრა თვალი – თხელს, მაღალს, შავ, ზეთისხილივით მბზინავ კრაველის გრძელ, სწორ ქურქსა და დიდ, შავ ბერეტში გამოწყობილს; ღანვების დასნვრივ თმის შავი დალალები ჩამოშლოდა, ხელები შავი კრაველისავე მუფთაში ჰქონდა შეყოფილი, იდგა და თავისი დიდებული შავი თვალებით გაბრაზებული მისჩერებოდა.

– აი შე არამზადავ, მიდიხარ, არა? – უთხრა, ხელკავი გულგრილად გამოსდო და მაღალყელიანი ნაცრისფერი ფეხსაცმლის ბაკუნით მებარგულს მასთან ერთად უკან გაჰყვა, – მოიცა, მოიცა, ნახე, როგორ ინანო! ჩემისთანას სხვას ვეღარავის ნახავ, იმ შენი შტერი პოეტესას ანაბარა დარჩები.

– ის შტერი ჯერ სულ ბავშვია, ლი, არა გრცხვენია, ღმერთმა არ იცის, რა სისულელეებზე არ ფიქრობ!

– გაჩუმდი, სულელი ხომ არ გგონივარ. ეს „ღმერთმა არ იცის რაზედაც ვფიქრობ," თუ მართლა ასეა, იცოდე, გოგირდის მჟავას გადაგასხამ.

ზევიდან ელექტრონათურებით მკრთალად განათებული, წასასვლელად გამზადებული მატარებლის თავზე კაუჩუკის სუნიანი, ცხლადმოშიშინე ნაცრისფერი ოხშივარი დიოდა. სხვებისგან განსხვავებით, საერთაშორისო კლასის ვაგონი ყვითლად იყო შეფიცრული და ამ წითელი ხალებით მოფენილ, ნატვიფრტყავგადაკრულ, პრიალა კედლებიან ვაგონს შიგნით უკვე საზღვარგარეთი იყო. უნიფორმაში ჩაცმულმა ყავისფერქურთუკიანმა პოლონელმა გამცილებელმა პატარა ჩახუთული კუპეს კარი რომ გააღო, მაგიდაზე მდგარი წითელი აბრეშუმის აბაჟურიანი ლამპით ნაზად განათებულ კუპეში ლოგინი უკვე დაგებული იყო.

– რა ბედნიერი ხარ, – თქვა ლიმ, – ხედავ, საკუთარი საჭირო ოთახიც გქონია... აგერ აქ გვერდით ვიღაა? ვინმე აშარი ქალი ხომ არ დაგემგზავრა?

და ამ სიტყვებით მეზობლად მდებარე კუპეს კარს ჯაჯგური დაუწყო.

– არა, დაკეტილი ყოფილა... აბა, ბედნიერ მგზავრობას გისურვებ! ჰა, სწრაფად, სწრაფად მაკოცე, საცაა მესამე ზარსაც ჩამოჰკრავენ.

მუფთიდან თეთრი, მოცისფრო, არაჩვეულებრივად ნატიფი, გრძელი, წამახულფრჩხილებიანი ხელი ამოიღო და ტანის კლაკვნითა და თვალების არნახული ელვარებით კისერზე მოეხვია – ლოყებსა და ტუჩებზე ჰკბენდა, ჰკოცნიდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

– საზიზღარო, ისე მიყვარხარ, პირდაპირ გეთაყვანები!

ჩაშავებული ფანჯრის გარეთ ცეცხლოვანი ალქაჯებივით მიქროდნენ და მიქროდნენ მსხვილი, ნარინჯისფერი ნაპერწკლები. დროდადრო მატარებლის შუქით განათებული, თეთრად დათოვლილი ფერდობები და შავად ჩაბინდული ნაძვის ტყის ტევრები გაკრთებოდა, უმოძრაო და პირქუში, უცნაური, ღამეული ცხოვრების იდუმალებაში გარინდული... გლებოვმა მაგიდის ქვეშ გავარვარებული ღუმელი დაკეტა, ჭირხლმოდებულ მინებზე სქელი ფარდები ჩამოუშვა, პირსაბანის გვერდით კუპეს კარზე დააკაკუნა, კარი გაიღო და კუპეში სიცილით ჰენრიხი შემოვიდა – მაღალი, ტანნერწეტი, ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი... მოჟღალო-მოლიმონისფრო თმა ბერძნულ ყაიდაზე ჰქონდა დავარცხნილი, ჰქონდა ინგლისელივით ნაზი, ნატიფნაკვთებიანი ვინრო სახე და ქარვისფერ-მოყავისფრო ცოცხალი თვალები.

– რა ქენი, გამოემშვიდობე? ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომეწონა, ლამის კარი რომ შემოანგრია და აშარი მიძახა.

– რაო, ეჭვიანობას ხომ არ იწყებ, ჰენრიხ?

– კი არ ვიწყებ, განვაგრძობ. ასე საშიში რომ არ იყოს, დიდი ხანია, ამ ქალის სრულ გადაყენებას მოვითხოვდი.

– საქმეც სწორედ ისაა, რომ ძალიან საშიშია, აბა ერთი სცადე და უცებ ჩამოიშორე! გარდა ამისა, მე ხომ შენს ავსტრიელსაც ვითმენ და იმასაც, ზეგ მასთან რომ უნდა გაათიო ღამე.

– არა, მასთან ღამის გათევას არ ვაპირებ, შენ ეს შესანიშნავად იცი. უპირველეს ყოვლისა, იმისთვის მივდივარ, რომ მინდა თავიდან მოვიშორო.

– შეგეძლო, ეგ საქმე წერილით მოგეგვარებინა, პირდაპირ ჩემთან ნამოსულიყავი.

ქალმა ამოიოხრა და დაჯდა, უმშვენიერესი თითებით თმას ოდნავ შეეხო, შეისწორა და ვერცხლის ბალთიან, ნაცრისფერ ნატის ფეხსაცმელში გამოკვართული ფეხი ფეხზე გადაიდო.

– არა, ჩემო მეგობარო, მინდა ისე დავცილდე, მასთან მუშაობის გაგრძელება შემეძლოს. ანგარიშიანი კაცია, მშვიდობიან მოლაპარაკებებზე უარს არ იტყვის. აბა, ვის მოძებნის ისეთს, რომელიც ჩემსავით მოამარაგებს მის ჟურნალს მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრების ნაირნაირი სკანდალური ამბებით, ვინ უთარგმნის და ვინ მოამარაგებს გენიალური ნოველებით? დღეს თხუთმეტი რიცხვია, ესე იგი, ნიცაში თვრამეტში იქნები, მე – არა უგვიანეს ოცისა ან ოცდაერთისა. საერთოდ კი, კმარა ამაზე ლაპარაკი, მე და შენ ხომ, უპირველეს ყოვლისა, კარგი მეგობრები ვართ.

– მეგობრები... – თქვა გლებოვმა და ქალის ნატიფი, ვარდისფრად ღაწვებშეფაკლული სახე სიყვარულით შეათვალიერა. – რა თქმა უნდა, ჰენრიხ, შენზე უკეთესი მეგობარი არასდროს მეყოლება. მხოლოდ შენთან ვგრძნობ თავს ლაღად და თავისუფლად, შემიძლია ყველაფერზე ისე გესაუბრო, როგორც ნამდვილ მეგობარს, მაგრამ, იცი, უბედურება რა არის? სულ უფრო მეტად და მეტად მიყვარდები.

– თუ ასეა, გუშინ საღამოს სად იყავი?

– გუშინ საღამოს? სად და... სახლში.

– მერედა ვისთან ერთად იყავი? კარგი, რაც არის არის, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. წუხელ, თურმე, „სტერლში“ გნახეს. რაღაც დიდ კამპანიასთან ერთად ყოფილხარ – ცალკე კაბინაში, ბოშებთან. აი

ეს კი ნამდვილად ცუდი ტონია – სტეპები, გრუშები, მათი ავისმომასნავებელი, საბედისწეროდ ანთებული თვალები...

– მაშინ, ვენელ ლოთებზე რაღას იტყვი, მაგალითად, აი ისეთზე, როგორიც პშიბიშევსკია?

– ისინი, ჩემო მეგობარო, შემთხვევითი ხალხია, მათთან არაფერი მესაქმება. აი ის ქალი კი, აი ის მაშა, მართლა ისეთი კარგია, როგორც ამბობენ?

– არც ბოშებია ჩემი საქმე, ჰენრიხ, მათთან არაფერი მესაქ-მება, რაც შეეხება მაშას...

– ჰო, როგორია?

– არა, თქვენ გადაჭრით ეჭვიანი ხდებით! აბა, რა უნდა აგიწეროთ, ბოშა ქალი არ გინახავთ თუ რა? ძალიან გამხდარი, თითქმის ულამაზოც კი, აქვს კუპრივით შავი, სწორი თმა, საკმაოდ უხეში, ყავისფერი სახე, უაზრო, მოლურჯო გუგები, ბრტყელი მუცელი... ცხენივით კისერზე ყვითელი, მსხვილი მძივები აქვს ჩამოკონწიალებული და ამ ყველაფერს, სხვათა შორის, ძალიან უხდება გრძელი, ოქროსფერი, უფრო სწორედ, ხახვის კანისფერი კაბა... იცი, ძველებური მძიმე აბრეშუმის შალს ხელში რომ აიკრეფს, კაბის კალთებქვემოდან ფეხსაცმელში გამონკეპილ პატარა ფეხებსა და ვერცხლის გრძელ საყურეებს ააცეკვებს, სიკვდილი მოგინდება... ახლა კი გეყოფა, ჰენრიხ, წავიდეთ, ვისადილოთ!

ქალი წამოდგა და ოდნავი ღიმილით თქვა:

– წავიდეთ... ნამდვილად გამოუსწორებელი კაცი ხარ, ჩემო მეგო-ბარო! რას იზამ, რასაც ღმერთი მოგცემს, მადლობელი უნდა იყო... ნახე, რა კარგია აქაურობა – ეს ორი კარგი, შესანიშნავი ოთახი...

– ჰოდა, ერთი სრულიად ზედმეტია...

ქალმა თავზე ორენბურგული ნაქსოვი თავსაბური მოიხვია, კაცმა სამგზავრო ქუდი დაიხურა და ორივენი რწევა-რწევით ვაგონების გრძელ გვირაბს გაუყვნენ.

ქალი რესტორნიდადან ადრე წამოვიდა. გლებოვი ერთხანს მარტოდმარტო იჯდა და ეწეოდა. თბილ კუპეში რომ შევიდა, ნამდვილი ოჯახური ბედნიერება იგრძნო – ქალს საბნის კუთხე

გადაეწია, მისი ღამის საცვლები ლოგინზე დაეწყო, მაგიდაზე ჭიქა ღვინო და მსხლით სავსე კალათა დაედგა, თვითონ კი იდგა პერანგისამარა პირსაბანის თავზე ჩამოკიდებული სარკის წინ, შიშველი ფეხები ღამის ახალ, ყარსაღშემოვლებულ ქოშებში ნაეყო, ტუჩებით თმის სარჭი ეჭირა, სავსე მკერდნამონეულს შიშველი მკლავები თავთან მიეტანა და თმას ისწორებდა... საოცრად ვიწრო წელი და სავსე თეძოები ჰქონდა, თხელი, ჩამოქანდაკებული წვივები... კაცი დიდხანს ჰკოცნიდა ფეხზე მდგარს, მერე ლოგინზე ჩამოსხდნენ და რაინული ღვინის სმა დაიწყეს, თან ისევ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს ღვინისაგან შეგრილებული ბაგეებით.

– მერედა, ლი? – თქვა ქალმა, – მერედა, მაშა?

ინვა გლებოვი იმ ღამეს ბინდით მოცულ კუპეში და სევდანარევი ხუმრობით ამბობდა:

– ეჰ, ჰენრიხ, რომ იცოდე, როგორ მიყვარს მატარებლის ვაგონში გატარებული ღამეები. დარწეული ვაგონის ეს სიბნელე, შტორებს იქით მოკიაფე სადგურის ლამპიონები და თქვენ – „დედაკაცნი, კაცთა მაცდუნებელი მახენი!“ რაღაც ჭეშმარიტად ამოუცნობი, რაღაც ღვთაებრივი და, ამავე დროს, ეშმაკეული... როცა მე ამის შესახებ ვწერ, როდესაც ვცდილობ წარმოვსახო იგი, ურცხვობასა და ქვენა გრძნობებში მდებენ ბრალს უნამუსო, ფლიდი, ბილწი სულის ადამიანები... ერთ ძველთაძველ წიგნში კარგადაა ნათქვამი, მთხზველს სრული უფლება აქვს, იყოს ისეთივე გაბედული სიყვარულის სიტყვიერი გამოხატვისას, როგორც მხატვრები და მოქანდაკეები იყვნენ ყოველთვის, მხოლოდ ფლიდი, უნამუსო ადამიანები ხედავენ სისაძაგლეს თვით მშვენიერებაშიც კიო...

– როგორც ყველა კახპა ქალს, ლისაც ალბათ აქეთ-იქით ნაბზეკილი-ნამახვილებული პატარა მკერდი აქვს? – ჰკითხა ჰენრიხმა.

– ჰო.

– თავქარიანი და შტერია?

– არა... ვერ ვიტყვი... არ ვიცი... ხანდახან თითქოს ძალიან ჭკვიანი, გონიერი, სადა, გულუბრყვილო და მხიარულია. სიტყვა დამთავრებული არა გაქვს, რომ ყველაფერს ძირისძირობამდე

სნვდება. ზოგჯერ კი ისეთ მაღალფარდოვან, უხამსსა და უკულმართ რაღაცას წამოროშავს, ვზივარ და დაბნეული, იდიოტივით გამოთაყვანებული ვუსმენ... ისე, მართალი გითხრა, ძალიან მომაბეზრე თავი იმ შენი ლითი.

– თავი მოგაბეზრე იმიტომ, რომ აღარ მინდა ამხანაგი ვიყო.

– აღარც მე... მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნები – მისწერე იმ ვენელ არამზადას, რომ უკან დაბრუნების შემდეგ ნახავ, რომ ახლა შეუძლოდ ხარ, რომ ინფლუენციის გამო ნიცაში დასვენება გესაჭიროება და ჩვენც დაცილება აღარ მოგვიწევს, ერთად წავალთ, ოღონდ არა ნიცაში, არამედ სადმე იტალიაში...

– ნიცაში რატომ არა?

– არ ვიცი... რატომღაც გადავისურვილე... მთავარია, ერთად ვიყოთ!

– ძვირფასო, ჩვენ ხომ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. თანაც, რატომ მაინცადამაინც იტალია? აკი მარწმუნებდი, იტალიას ვეღარ ვიტანო?

– ჰო, მართალია, ვინაიდან ამ ჩვენი მოესთეტო რეგვნების გამო უკვე ყელში მაქვს ამოსული – „ფლორენციაში მხოლოდ და მხოლოდ ტრეჩენტო მიყვარს...“ მაშინ, როცა ბელევოში დაიბადა და ფლორენციაში მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, სულ რაღაც ერთი კვირა თუა ნამყოფი... ტრეჩენტოო, კვადროჩენტოო... და აი, მეც შევიძულე ყველა ეს ფრა ანჯელიკო, გირლიანდაიო, ტრეჩენტო თუ კვადროჩენტო!.. შენ წარმოიდგინე, თვით ბეატრიჩე და სახეგამოციებული დანტეც კი, თავისი იმ სადიაცო ჩაჩითა და დაფნის გვირგვინით... კარგი, რახან იტალიაში არა, მაშინ იტალიის მაგივრად ტიროლსა ან შვეიცარიაში წავიდეთ. ცად აყუდებულ, თოვლით აქაიქ გადათეთრებულ, გრანიტის დემონებს შორის მომწყვდეულ ერთ პატარა, რიყის ქვით ნაგებ სოფელში... მძაფრი, ნესტიანი ჰაერი, ქვითკირის რკალისებური ხიდის ახლომახლო ჯგუფ-ჯგუფად მიმობნეული უცნაური, ციცაბოსახურავიანი ქოხები, ხიდის ქვეშ რძისფრად აქაფებული, ხმაურიანი, მოჩუხჩუხე მდინარე, ერთმანეთის გვერდიგვერდ მჭიდროდ, მდოვრედ მოზოზინე ცხვრის ფარა და ზანზალაკების გაბმული წკრიალი... იქვე აფთიაქი და

მაღაზია, საოცრად თბილი, პატარა ატელიე, კარს ზემოთ ჩამოკიდებული, თითქოს საგანგებოდ გამოთლილი ირმის ქორბუდა რქები. ერთი სიტყვით, ხეობა, სადაც მრავალი ათასი წლის განმავლობაში იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, მრავლდებოდნენ და იხოცებოდნენ მთელ სამყაროს მონყვეტილი მთის ის გულზვიადი ადამიანები, გრანიტის მთებს შორის, საუკუნიდან საუკუნემდე, მარადი თოვლით თავშემოსილი მთის მწვერვალები თავს გოლიათი მკვდარი ანგელოზებივით რომ გადმოჰყურებთ. თან, არ იტყვი, რა გოგოები არიან, ჰენრიხ! შეკრული, მკვრივი, წითელლოყება, შავ კორსეტებსა და შალის წითელ წინდებში გამოკვართულები...

– ო, რა ხართ, ეს პოეტები! – ალერსიანად თქვა ქალმა და დაამთქნარა. – სულ გოგოები, გოგოები... არა, სოფელში ცივა, ძვირფასო. გარდა ამისა, კმარა! გოგოების გაგონებაც აღარ მინდა!

საღამოს ვარშავაში ვენის ვაგზალზე რომ გადიოდნენ, ფართო ეტლის კოფოზე მჯდარ მეეტლეს ნესტით გაჟღენთილი ცივი ქარი სცემდა, კანტიკუნტად წამოსულ წვიმის მსხვილ წვეთებს ნაოჭით დაღარულ სახეში აყრიდა, ლიტვურ ულვაშებს უნეწავდა. იგი ეტლში შებმულ წყვილ ცხენს გაბრაზებით მიერეკებოდა ქუჩებში, რომლებიც პროვინციული ქალაქის ქუჩებს უფრო ჰგავდა.

გამთენიისას გლებოვმა შტორები ასწია და თხელი თოვლით გადათეთრებულ ვაკობს გახედა. ვაკობზე აქა-იქ აგურის პატარა, წითელი სახლები იყო გაბნეული. ისინი დიდხანს იდგნენ იმ დიდ სადგურში, სადაც რუსეთთან შედარებით ყველაფერი პატარა ეჩვენებოდათ – გაჩერებული ვაგონები, ვიწრო ლიანდაგები, საფარნე რკინის ბოძები თუ ყოველ ნაბიჯზე შავად მზირალი, გორა-გორა დაყრილი ქვანახშირი. ორთქლმავლის დეპოდან ლიანდაგებზე კონუსის ძირიან მაღალ კეპსა და თაგვისფერ-მოცისფრო ფარაჯაში ჩაცმული ტანდაბალი, თოფიანი ჯარისკაცი გადმოდიოდა. ფანჯრებს ქვემოთ, ფიცარნაგზე, ვიღაც ანოწილი კაცი ბოლთას სცემდა. ტანთ კურდღლის ბეწვმოვლებული, კუბოკრული ქურთუკი ემოსა, ეხურა მწვანე, უკან ჭრელბუმბულგაჩრილი ტიროლური შლაპა. გაიღვიძა ჰენრიხმაც და ჩურჩულით სთხოვა, ფარდები ჩამოეშვა. გლებოვმა

ფარდები დაუშვა, ქალს ლოგინში შეუნვა, ქალმა მხარზე თავი დაადო და ატირდა.

– რაო, ჰენრიხ, რა იყო, რა მოგივიდა? – ჰკითხა კაცმა.

– არ ვიცი, ძვირფასო, – უპასუხა ქალმა წყნარად. – დილდილაობით რატომღაც ხშირად ვტირი. გამეღვიძება და უცებ შემეცოდება საკუთარი თავი. აი, გაივლის რამდენიმე საათი, შენ წახვალ, მე კი აქ დავრჩები, შევალ კაფეში და ჩემს ავსტრიელს დავუწყებ ლოდინს... მერე საღამო... ისევ კაფე და ისევ უნგრული ორკესტრი, ისევ სულისშემხუთველი ვიოლინოები...

– დიახ, დიახ... და გამკივანი ციმბალები... ჰოდა, მეც იმიტომ გეუბნები, გაუშვი ჯანდაბაში ის შენი ავსტრიელი და წავიდეთ ჩვენი გზით.

– არა, ძვირფასო, არ შეიძლება. იმას რომ ვეჩხუბო, რით უნდა ვიცხოვრო, რით უნდა ვიარსებო? მაგრამ, შენს თავს ვფიცავარ, ჩვენ შორის არაფერი იქნება. იცი, სულ ბოლოს ვენიდან რომ მოვდიოდი, უკვე გავარკვიეთ, როგორც იტყვიან, ჩვენი ურთიერთობა – ღამით, ქუჩაში, აირის ფარნის ქვეშ. ვერ წარმოიდგენ, რა სიძულვილი ედგა თვალებში. აირისა და ბრაზისაგან სახეზე მწვანე ზეთისხილის ფერი დასდებოდა... რაც მთავარია, განა შემიძლია, ახლა, შენ შემდეგ, ამ კუპეში გატარებული ღამის შემდეგ, რომელმაც ასე დაგვაახლოა ერთმანეთს, სხვა კაცზე ვიფიქრო?..

– ამას მართლა ამბობ, ჰენრიხ?

ქალმა მკლავები მოხვია, გულში ჩაიკრა და ისე მაგრად აკოცა, კაცს სუნთქვა შეეკრა.

– ჰენრიხ, ველარ გცნობ.

– შენ კი არა, მეც ველარ ვცნობ ჩემს თავს... მაგრამ, მოდი, მოდი ჩემთან.

– მოიცა.

– არა, ახლავე, ამწუთსავე!

– მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი – ზუსტად მითხარი, როდის წამოხვალ ვენიდან?

– დღესვე, დღეს საღამოსვე...

მატარებელი დაიძრა, კუპეების კარებწინ, ხალიჩაზე რბილად, დეზების წკარუნით დააბიჯებდნენ, წინ და უკან მიმოდიოდნენ მესაზღვრეები.

იყო ვენის ვაგზალიც. იყო ყავის, აირისა და ლუდის სუნიც. წავიდა ჰენრიხიც – ლამაზად გამოწყობილი, სევდიანად მომღიმარე, წავიდა ნერვული, ევროპულად დელიკატურ, ჯაგლაგშებმულ ღია ლანდოთი, მაღალ კოფოზე შემომჯდარ პელერინსა და ლაქის ცილინდრში გამოწყობილ, ცხვირგაწითლებულ მეეტლესთან ერთად. როდესაც მეეტლემ ცხენს საფარი მოხადა, ომახიანად შეუძახა და მათრახი გადაუქნია, მოკლედ კუდმოჭრილმა, ცერად თავმიდრეკილმა ცხენმა არისტოკრატული, გრძელი, მოქნილი ფეხები ადგილზე ააბაკუნა, დაიძრა და ყვითლად შეღებილ ტრამვაის ჭენებ-ჭენებით მიჰყვა... იყო ზემერინგიც და მთის შუადღის საზღვარგარეთული, საზეიმო განწყობაც... ვაგონ-რესტორნის მზემოცხუნებული ფანჯარაც, ყვავილის თაიგულიც, ფანჯარასთან თვალისმომჭრელ, თეთრ, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე აპოლინარისი და წითელი ღვინო „ფესლაუც". იყო ზამთრის ალიონის ცივ სილურჯედ ჩრდილჩანოლილი უფსკრულის თავზე, ფლატე-ფლატე კლაკვნით მიმავალი მატარებლიდან ხელისგაწვდენაზე ინდიგოსფერ სამოთხისებურ ზეცაში აღმართულ, კამკამა, თოვლის სადღესასწაულო თეთრი სამოსით შემოსილ მწვერვალთა თვალისმომჭრელი სიკაშკაშეც; იყო ცივი, დაღვრემილი, პირველქმნილად უბინო ლურჯი მიმწუხრი, მწუხრში მწვანედ ჩაბინდული ნაძვები და ახალნათოვი თოვლით გადათეთრებული რომელიღაც უღელტეხილი. მერე ხანგრძლივი გაჩერება მთის ბნელ ვიწროებში, იტალიის საზღვარზე, დანტეს შავ, ჯოჯოხეთისმაგვარ მთებს შორის და წითელი, უცნაურად გიზგიზა, კვამლიანი ცეცხლი შავად პირდაღებული გვირაბის შესასვლელთან... მერე ირგვლივ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა და ეს ახლა უკვე აღარაფრით ჰგავდა იმას, რაც აქამდე იყო: ძველი, ვარდისფერ-გაქუცული იტალიური ვაგზალის, მამლაყინწასებური ყოყოჩობა, სადგურის მცველ კოჭდაბალ ჯარი-

კაცთა მუზარადებში გარჭობილი მამლის ჭრელი ბუმბულები და ბუფეტის მაგივრად ერთადერთი პატარა ბიჭი, მატარებლის გასწვრივ ზარმაცად რომ მიაგორებდა საზიდარს, რომელზედაც მხოლოდ ფორთოხლები და ფიასკები ელაგა... მერე მატარებლის ლაღი სრბოლა დაღმართზე – ქვევით, სულ ქვევით და ჩაბნელებულ ღია ფანჯარაში საყვარელი იტალიის მოალერსე სინათლეებით განათებული ლომბარდიის დაბლობიდან სულ უფრო ნაზად, რბილად, ალერსიანად მქროლავი ნიავი... ხოლო მეორე, უკვე გაგანია ზაფხულის დღეს, ასაღამოვებულზე – ნიცის ვაგზალი და ბაქნებზე სეზონისთვის ჩვეული ხალხმრავლობა...

ლურჯად ჩამონოლილ მიმწუხრში, დასავლეთით, ფერფლისფერი აჩრდილივით მიმდნარი ანტიბის კონცხამდე გაჭიმულ სანაპიროზე, ალმასის სხმულისებრ მოციმციმე სინათლეებით გარემოსილ ოტელში, თავისი ოთახის აივანზე, ფრაკის ამარა იდგა გლებოვი და ფიქრობდა... ფიქრობდა, რომ მოსკოვში ახლა ოცი გრადუსი ყინვა იყო, რომ სადაცაა კარზე დაუკაკუნებდნენ და ჰენრიხის დეპეშას მოუტანდნენ. იჯდა რესტორანში, გაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ, უამრავი ფრაკისა და საღამოს კაბების სივიწროვეში და ელოდა... ელოდა, რომ საცაა წელამდე ცისფერ ქურთუკსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი ბიჭუნა დიდის მოწინებით მიუახლოვდებოდა და სინზე დადებულ დეპეშას მიართმევდა. იჯდა და წყალწყალა წვნიანს დაბნეული შეექცეოდა, ნება-ნება წრუპავდა წითელ ბორდოს და ელოდა... სვამდა ყავას, ეწეოდა სიგარეტს ვესტიბიულში და ელოდა... ელოდა სულ უფრო მღელვარედ და განცვიფრებული – ვერ გაეგო, რა სჭირდა, რა ემართებოდა, საიდან მოდიოდა ეს განცდა, რომლის მსგავსი ადრეული სიყრმის შემდეგ არასოდეს არაფერი განეცადა! დეპეშა კი, არა და არ ჩანდა. გამოანათებდა და გასრიალდებოდა ლიფტი ზევით-ქვევით, წინ და უკან დაქროდნენ პაპიროსის, სიგარისა და ახალი გაზეთების დამტარებელი ბიჭები, ესტრადიდან სიმებიანი ორკესტრის ხმა არ წყდებოდა... შეტყობინება კი, არა და არ ჩანდა. უკვე ღამის თერთმეტი საათი იყო, ვენის მატარებელს კი იგი დილის თორმეტ

საათზე უნდა ჩამოეყვანა. კაცმა ყავას ხუთი ჭიქა კონიაკი დააყოლა და დაღლილ-დაქანცული ლიფტით თავის ნომერში რომ შედიოდა, ფორმაში გამოწყობილ ბიჭს ბრაზიანად გადახედა და გაიფიქრა: „ო, რა მამაძაღლი ვინმე გაიზრდება ეს გაქნილი, ქლესა, მონურად მორჩილი, უკვე თავით ფეხებამდე ნამხდარი ყმანვილი! ნეტავი, ვინ მოუგონა ამ პატარა ბიჭებს ეს რაღაც სულელური, ცისფერ თუ ყავისფერ სამხრეებ-კანტებიანი ქუდები და ქურთუკები!"

დილითაც ამაოდ ელოდა ცნობას. მერე დარეკა და ფრაკში გამოწყობილმა ახალგაზრდა, ნუკრისთვალება ლამაზმა იტალიელმა ლაქიამ ყავა შემოუტანა: „Pas de leltres, monsieur, Pas de télégrammes"[1] ... მერე ერთხანს აივნის ღია კართან იდგა, გაჰყურებდა ზღვის სანა-პიროს, სანაპიროზე მოსეირნე ბლომა ხალხს და მზისა და ოქროს ნემსებად მოზიმზიმე ზღვისაგან თვალებმოჭუტული, სადღაც აივნის ქვემოდან წამოსული იტალიური ხალისიანი სიმღერით მოხიბლული ფიქრობდა:

– ჯანდაბას, რაც არის არის, ყველაფერი გასაგებია...

მერე მონტე-კარლოში, ნავიდა, დიდხანს ითამაშა, ორასი ფრანკი წააგო და, დრო რომ გაეყვანა, ეტლით მთელი სამი საათი ისეირნა. ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ... შუუ... ჩაესმოდა მათრახის ხმამაღალი ტლაშუნი და ცხენების ფლოქვების ბაკიბუკი.

– Pas de télégrammes, monsieur! – ისევ მხიარულად გაიკრიჭა პორტიე.

სადილზე წასასვლელად ჩუმად, უხალისოდ რომ იცვამდა, გუნე-ბაში კვლავ იმას ფიქრობდა, ახლა უცებ კარი რომ გაიღოს, აჩქარებული ნაბიჯით ჰენრიხი აღელვებული რომ შემოვიდეს, თან გზადაგზა ამიხსნას, დეპეშა რატომ ვერ გამომიგზავნა და გუშინ რა მიზეზით ვერ ჩამოვიდა, ალბათ, მოვკვდებოდი სიხარულისა და ბედნიერებისაგანო!

ნასადილევს ხალხის ტალღას აყოლილმა დიდხანს იარა ქუჩაში, დიდხანს ისეირნა თბილ, სასიამოვნო ჰაერზე, დიდხანს ისუნთქა

[1] არ არის წერილი, ბატონო, არც დეპეშაა (ფრანგ.).

ერთკაპიკიანი იტალიური სიგარის მოტკბო სუნი, მერე კუპრივით ჩაშავებული ზღვის სანაპიროზე ჩავიდა, დიდხანს, დიდხანს უმზირა ძვირფასი ფარღულივით გაბმულ მის შავ ხვეულებს, სევდიანად რომ იკარგებოდა სადღაც მარჯვნივ, შორს, სივრცეში... მერე ბარში შევიდა და სვა და სვა – ხან კონიაკი, ხან ჯინი და ხანაც ვისკი. ოტელში ცარცივით სახეგათეთრებული დაბრუნდა, თეთრ ჰალ-სტუხში, თეთრ ჟილეტსა და ცილინდრში გამოწყობილი. მედიდურად, დაუდევრად მიუახლოვდა პორტიეს და ბაგეჩატეტკილმა ჩაიბურდღუნა:

– Pas de télégrammes?

პორტიემ თავი ისე დაიჭირა, ვითომც ვერაფერს მიუხვდაო და ხალისიანად უპასუხა:

– Pas de télégrammes, monsieur!

ისეთი მთვრალი იყო, მხოლოდ ცილინდრის, პალტოსა და ფრაკის გახდა მოახერხა, ლოგინზე გულაღმა დაეცა და თავბრუდახვეული მაშინვე უძირო, მოციმციმე ვარსკვლავებით მოჟივჟივებულ წყვდიადში გადაეშვა.

მესამე დღეს, ნასაუზმევს, ერთი კარგად გამოიძინა და, როდესაც გაიღვიძა, მთელ თავის ამ უბადრუკ, სამარცხვინო საქციელს მტკიცედ, ფხიზელი თვალით შეხედა. ჩაი ოთახში მოითხოვა, გარდერობიდან ყველაფერი გამოიღო და ჩემოდნების ჩალაგებას შეუდგა. ცდილობდა ჰენრიხსა და თავის უაზრო, წამხდარ, ჩაფუშულ მოგზაურობაზე არ ეფიქრა. მოსაღამოებულზე ვესტიბიულში ჩავიდა, ანგარიში მოითხოვა, მშვიდი ნაბიჯით კუკუსაკენ გასწია და ვენეციის გავლით ღამის მატარებელზე მოსკოვის ბილეთი აიღო. „ერთ დღეს ვენეციაში დავრჩები, ღამის სამ საათზე კი, გაჩერების გარეშე ჰაიდა! – თავს პირდაპირ ლოსკუტნაიაში ამოვყოფ... ნეტავ, როგორია ის ავსტრიელი? პორტრეტსა და ჰენრიხის ნათქვამს თუ დავუჯერებ, ახოვანია და ძარღვმაგარი, გვერდზე მოქცეული შლიაპიდან მტკიცე, პირქუში, რა თქმა უნდა, არაგულწრფელი თვალები შემოგყურებს... მაგრამ, აბა, რა აზრი აქვს ახლა იმაზე ფიქრს! ისე კი, ვინ იცის, ცხოვრებაში

ყველაფერი შეიძლება მოხდეს!.. ხვალ ვენეციაში ვიქნები. ისევ გიტარა, ისევ ოტელის ქვემოთ, სანაპიროდან ნამოსული ქუჩის მომღერლების სიმღერა, ისევ ის ძონძებში გახვეული ბერიკაცი, გასულ წელს ვიღაც თვალებგიზგიზა, ბროლის საყურეებმოზიმზიმე, ზეთისხილისფერ თმაში მიმოზას ყვავილგარჭობილ სიცილიელ გოგონას გონდოლაზე ასვლაში რომ ეხმარებოდა... ისევ ის არხში ჩამდგარი, აყროლებული წყლის სუნი, შიგნიდან შავად გალაქული, ცხვირზე უცნაურად დაკბილულ-ჩუგლუგწამოცმული გონდოლა, მისი ნელი რწევა და კიჩოზე წამომართული ახალგაზრდა, ვიწრო წელზე წითელ შარფგაკრული, მუდამ ერთნაირად წინ ნახრილი, გრძელ ნიჩაბზე დაყრდნობილი და კლასიკურად უკან მარცხენა ფეხგადგმული მეგონდოლე.

საღამოვდებოდა, წყნარად ირწეოდა მიმწუხრის ფერებჩამქრალი ზღვა, ოპალივით ელავდა მისი მომწვანო, სარკისებური ზედაპირი. დასავლეთით, ანტიბის კონცხის გადაღმა, ბინდდაკრულ, კვამლისფერ ზეცას პატარა, ფორთოხალივით დამცრობილი მზის დისკო ანათებდა. ხვალინდელი ცუდი ამინდის განცდით, შესაბრალისად კიოდნენ ზღვის თავზე მორიალე თოლიები. გლებოვი დიდხანს გაჰყურებდა ზღვას ყრუ, უიმედო სევდით გულდამძიმებული. მერე ერთბაშად გამოფხიზლდა და მხნე ნაბიჯით ოტელისაკენ გასწია. „lournaux étrangers" – დაიძახა მისკენ სირბილით მომავალმა გაზეთის გამყიდველმა და – არ გაჩერებულა, ეგრევე ხელში „ნოვოე ვრემია" შეაჩეჩა. გლებოვი სკამზე ჩამოჯდა, დაფიონის მკრთალ შუქზე გაზეთი დაბნეულად გაშალა და ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალ გვერდებს თვალიერება დაუწყო. და აი, თითქოს მაგნიუმის აფეთქებით დაყრუებული, თვალის სინათლეწართმეული უცებ ნამოხტა:

„ვენა, 17 დეკემბერი. დღეს, რესტორან „Franzensring"-ში ცნობილმა ავსტრიელმა მწერალმა – არტურ შპიგლერმა რევოლვერის გასროლით მოკლა არაერთი თანამედროვე ავსტრიული და გერმანული ნოველის მთარგმნელი, „ჰენრიხის" ფსევდონიმით მომუშავე რუსი ჟურნალისტი ქალი".

რუსია

ღამის თორმეტ საათზე სწრაფი მატარებელი – მოსკოვი-სევასტოპოლი პატარა სადგურ პოდოლსკის ახლოს ისეთ ადგილას გაჩერდა, სადაც გაჩერება არ იყო. იდგა და მეორე ხაზზე რომელიღაც მატარებლის ჩადგომას ელოდა. პირველი კლასის ვაგონის მინაჩამოწეულ ფანჯარას ვიღაც ბატონი და მანდილოსანი მიადგნენ. ლიანდაგზე კონდუქტორი გადმოდიოდა, ძირს დაშვებულ ხელში წითელი ფარანი ეჭირა.

– ხომ ვერ მეტყვით, რატომ ვდგავართ? – ჩასძახა მანდილოსანმა.

– შემხვედრი სწრაფი მატარებელი იგვიანებს, – თქვა კონდუქტორმა და გზა განაგრძო.

სადგურზე სიბნელე და მოწყენილობა სუფევდა. მართალია კარგა ხნის დაბინდებული იყო, მაგრამ დასავლეთით, შავად ჩაბინდული ტყიანი მინდვრის გადაღმა ჯერ ისევ მოსკოვური ზაფხულის გრძელი დაფიონების უსიცოცხლო შუქი იდგა. ფანჯრიდან ტბის სინესტისა და სინედლის სურნელი შემოდიოდა. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას ღალღის გაბმული, უმწიფარი წრიპინი არღვევდა.

ფანჯარას დაყრდნობილ კაცს ქალი მხარზე ჩამოეყრდნო.

– არდადეგები ოდესღაც ამ მხარეში გავატარე, – თქვა კაცმა, – ერთ სააგარაკო მამულში, აქედან ასე ხუთიოდე კილომეტრზე, რეპეტიტორად ვმუშაობდი. მოსაწყენი ადგილი იყო, მეჩხერი ტყის, კაჭკაჭების, უამრავი კოღოსა და ჭრიჭინების მეტს ვერაფერს ნახავდი; არავითარი ხედი, მთელი მამული რომ შემოგევლო, მხოლოდ მეზონინიდან თუ დატკბებოდი ჰორიზონტის ცქერით. სახლი, რა

თქმა უნდა, რუსული აგარაკის ყაიდაზე იყო აგებული, ძველი და ხელმიშვებული გახლდათ, მამულის პატრონები – გაღატაკებულები. სახლს გვერდით რაღაც ბაღისმაგვარი ეკრა, ბაღს იქით დუმფარებითა და ლელქაშით მოფენილი, არ ვიცი, ტბა, არ ვიცი, ჭაობი ჩანდა, რომლის ჭანჭრობ ნაპირზე ყოველთვის იდგა ბრტყელძირიანი პატარა ნავი.

– და, რა თქმა უნდა, იყო მოწყენილი მოაგარაკე ქალწული, რომელსაც ამ ნავით იმ ტბაზე ასეირნებდი.

– ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჯერ არს. მხოლოდ ქალწული არ იყო სულაც მოწყენილი... უფრო ღამღამობით ვასეირნებდი – ძალზე პოეტურადაც კი გამოდიოდა. დასავლეთით ცა მთელ ღამეს მნვანეფრად მჭვირვალებდა, ჰორიზონტზე კი, აი იქ, ისე როგორც ახლა, ყოველთვის რაღაც მკრთალი, უსიცოცხლო შუქი ეფინა. ნავში ნიჩაბი ერთის მეტი არ აღმოჩნდა, ისიც უხეირო, ბარივით... ნიჩაბს ველურივით ვუსვამდი – ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. მოპირდაპირე ნაპირი, აი, იმ მეჩხერი ტყის ადგილას, სულ ჩაბნელებული იყო, მხოლოდ ტყის გადაღმა კრთოდა ის რაღაც მკრთალი, უღიმღამო შუქი. ირგვლივ, მთელს იმ არემარეში სამარისებური მდუმარება სუფევდა – მხოლოდ კოღოების ზუზუნსა და ჭრიჭინობლების გაფრენას თუ გაიგონებდი. ღამღამობით ჭრიჭინობლები თუ დაფრინავდნენ, წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ, აი აღმოჩნდა, რომ, თურმე, დაფრინავენ, მოკლედ, საშინელება იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, შემხვედრი მატარებელიც მოვიდა – შემოგრიალდა სადგურში ქარით, გუგუნით, ერთ ოქროს ზოლად გაჭიმული ფანჯრებით, ჩუქჩუქით ჩაგვიქროლა და იმავე წუთს ჩვენი ვაგონიც ადგილიდან დაიძრა. მალე კუპეში გამცილებელი შემოვიდა, კუპე გაანათა და ლოგინების გაშლა დაიწყო.

– მაინც რა მოხდა შენსა და იმ ქალიშვილს შორის? ნამდვილი რომანი ხომ არ გააჩაღე? შენ რაღაც არასოდეს არაფერი გითქვამს? როგორი გოგო იყო?

– მაღალი, სიფრიფანა, ეცვა ყვითელი ჩითის სარაფანი და შიშველ ფეხებზე ფერადი თოკით ამობმული გლეხური ქალამნები.

– ესეც რუსულ ყაიდაზე?

– ვფიქრობ, უფრო სიღარიბის ყაიდაზე. სხვა თუ არაფერი, ა, ბატონო, ქალამნები ხომ არის! გარდა ამისა, თან მხატვარიც იყო, სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა. თვითონაც დახატულივით გოგო იყო, ნამდვილი წმინდანის სახე ჰქონდა. ზურგზე გადაგდებული გრძელი შავი ნაწნავი, შავ, პაწაწინა ხალებიანი შავგვრემანი სახე, სწორი, პატარა ცხვირი, შავი თვალები და შავი წარბები... ოდნავ ხვეული, მძიმედ დაწყობილი მსხვილღეროიანი თმა. ყვითელი სარაფნისა და მარმაშის თეთრი, სახელოიანი გარეპერანგის ფონზე ეს ყოველივე კიდევ უფრო ლამაზი და მომხიბვლელი ჩანდა. წინდებში გამოკვართულ ფეხის ხმელ, უხორცო ტერფებზე თხელი, კრიალა, შავგვრემანი კანის ქვეშ კოჭის ძვლები ამოსჩროდა.

– მე ვიცნობ ქალის ამ ტიპს. კურსებზე რომ ვსწავლობდი, მეც მყავდა ერთი ასეთი მეგობარი. ალბათ დიდი ხუშტურებიანი ვინმე იქნებოდა.

– შეიძლება, მით უმეტეს, სახით პირწავარდნილი დედამისი იყო. დედამისს კი, აღმოსავლური სისხლის თავადის ქალს, რაღაც შავი მელანქოლიისმაგვარი სჭირდა. მხოლოდ სადილ-ვახშამზე თუ გამოვიდოდა. იჯდა მაგიდასთან მდუმარედ თვალებდახრილი და ხან დანას გადადებდა აქეთ-იქით, ხან ჩანგალს. თუ როდისმე დაილაპარაკებდა, ისე მოულოდნელად და ხმამაღლა, ადგილზე შეგახტუნებდა.

– მამა? მამა როგორიღა ჰყავდა?

– ისიც სიტყვაძუნნი, ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი, ყოფილი სამხედრო... მხოლოდ ის პატარა ბიჭუნა იყო კარგი და საყვარელი, რომლის რეპეტიტორიც ვიყავი.

ამ დროს კუპედან გამცილებელი გამოვიდა, ლოგინები გაშლილიაო, – თქვა და მშვიდობიანი ღამე უსურვათ.

– რა ერქვა?

– რუსია.

– ვითომ ეგ რა სახელია?

– ჩვეულებრივი, ესე იგი, მარუსია.

– ძალიან იყავი შეყვარებული?

– მეგონა, ძალიან.

– თვითონ?

კაცმა ერთხანს იყუჩა და მერე ცივად უპასუხა:

– ალბათ იმასაც ასევე ეგონა. ახლა კი წავიდეთ, დავიძინოთ, დღეს ძალიან დავიღალე.

– ძალიან კარგი! ისე, ტყუილა რატომ დამაინტერესე. ორი სიტყვით მაინც მომიყევი, როგორ ან რით დამთავრდა თქვენი რომანი?

– არაფრით, წამოვედი და მორჩა.

– მერედა რატომ არ ითხოვე?

– ალბათ, წინასწარ ვგრძნობდი, შენ რომ უნდა შეგხვედროდი.

– არა, სერიოზულად გეკითხები.

– რატომ და იმიტომ, რომ მე ტყვია დავიხალე, იმან კი ხანჯალი ჩაიკრა გულში...

მერე ხელ-პირი დაიბანეს, კბილები გაიხეხეს, კუპეში შექმნილ სივიწროვეში ტანსაცმელი გაიხადეს და მგზავრისათვის ჩვეული ხალისით ახლად გახამებული ტილოს თეთრეულგადაკრულ ლოგინში ჩაწვნენ.

კარის მოლურჯო-ლილისფერი საჭვრეტელი მდუმარედ იმზირებოდა სიბნელეში... ქალს მაშინვე ჩაეძინა, კაცი კი იწვა, სიგარეტს ეწეოდა და ის წარსული ზაფხული ახსენდებოდა.

ქალიშვილს სახეზე უამრავი პაწაწინა შავი ხალი ჰქონდა და ეს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას აძლევდა. იმის გამო, რომ მუდამ უქუსლო, რბილი ფეხსაცმელი ეცვა, სიარულის დროს ყვითელი სარაფნის ქვეშ მთელი სხეული უღელავდა. ფართო, ფარფარა სარაფანი შხვართ, ქალწულებრივ სხეულზე ლაღად, თავისუფლად ადგა. ერთხელ ნვიმაში ფეხები დაუსველდა და ბაღიდან პირდაპირ სასტუმრო ოთახში შეირბინა. ვაჟმა მაშინვე ფეხსაცმელი გახადა. ხდიდა და სველ, ვიწრო ტერფებზე კოცნიდა. მთელ თავის სიცოცხლეში ამგვარი ბედნიერება არასოდეს განეცადა. აივნის ღია

კარს იქით გრილ, სურნელოვან ნვიმას შხაპაშხუპი გაჰქონდა. ნასადილევს ჩაბნელებულ სახლში ყველას ეძინა. უცებ შავი, ცეცხლივით წითელბიბილოიანი მამალი სწორედ მაშინ შემოვიდა, როცა არც სიფრთხილე ახსოვდათ, არც მორიდება. მეტალისებურად მბზინვარე, კუდმომწვანო მამალი კი იმის დანახვაზე, შეშინებულები დივნიდან როგორ წამოხტნენ, თითქოს უნდა აჩვენონოს, აი რა მორჩილი, რა თავაზიანი ვბრძანდებიო, წელში მოკაკული და კუდჩამოშვებული ოთახიდან ფხაკაფხუკით ისევ ნვიმაში გავარდა.

თავიდან ქალიშვილი ვაჟს ჯერ მხოლოდ შორიდან აცქერდებოდა, მაგრამ, თუ გამოელაპარაკებოდა, სახე წითლად აუფორეჯდებოდა და დამცინავად რაღაცას ჩაიბურდღუნებდა. მაგიდასთან ხშირად ნაჰკბენდა კიდევაც, ხმამაღლა ეტყოდა მამამისს:

– ტყულიად ნუ სთავაზობ, მამა, მაგას ხორცი არ უყვარს, სხვათა შორის, არც ბურახის შეჭამანდი უყვარს, არც ატრია, არც მაწონს აგდებს რამედ, ხაჭოც ხომ ეზიზღება და ეზიზღება...

დილდილობით ვაჟი ბიჭუნას ამეცადინებდა, ქალიშვილი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. დღის პირველ საათზე, სადილის შემდეგ, ქალიშვილი თავის ოთახში – მეზონინზე, ანდა, ნვიმიანი ამინდი თუ იდგა, ბაღში მიდიოდა, სადაც არყის ხის ძირას მოლბერტი ჰქონდა გაწყობილი – თან კოღოებს იგერიებდა და თან ნატურიდან ხატავდა. მერე აივანზე დაიწყო გამოსვლა, იცოდა, ნასადილევს ვაჟს ლერწმის მოღრეცილ სავარძელში უყვარდა წიგნით ხელში ჯდომა. დადგებოდა ზურგზე ხელებშემოწყობილი და მისჩერებოდა უცნაური ღიმილით.

– შეიძლება გკითხოთ, რა ასეთ დიდ სიბრძნეს იზუთხავთ?

– საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას ვკითხულობ.

– ოი, ღმერთო ჩემო, წარმოდგენა არ მქონდა, სახლში რევოლუციონერი თუ გვყავდა.

– ხატვა რატომ მიატოვეთ?

– ცოტაც და, თავს საერთოდ დავანებებ. დავრწმუნდი, რომ უნიჭო ვარ.

– შეიძლება თქვენი რომელიმე ნახატი მაჩვენოთ?

– მერე გაგეგებათ რამე მხატვრობისა?

– ზედმეტად პატივმოყვარე ხომ არ ბრძანდებით?

– დიახ, მაქვს ეგ ცოდვა...

და აი, ერთხელ ქალიშვილმა ვაჟს ტბაზე გასეირნება შესთავაზა:

– ამ ჩვენს ტროპიკულ მხარეში, მგონი, ჩაიარა წვიმიანმა ამინდებმა. მოდი, გავერთოთ. მართალია, ეს ჩვენი ნუშა ნავი დამპალია და ფსკერი დახვრეტილი აქვს, მაგრამ, მე და პეტიამ მთელი ნახვრეტები ლელქაშით ამოვქოლეთ...

ცხელი დღე იდგა. მზე მცხუნვარედ აჭერდა. სანაპიროზე უხვად წამოსული, ყვითელი ბაიებით გადაჭრელებული ბალახი ჩახურებული იყო, ბალახებზე უამრავი ღია მწვანე ფარვანა დაფარფატებდა.

ვაჟი უკვე შეჩვეული იყო ქალიშვილის დამცინავ კილოს:

– როგორც იქნა, შემომხედეთ მოწყალის თვალით, – უთხრა და ნავს მიუახლოვდა.

– თქვენ კი, როგორც იქნა, მიხვდით, რომ პასუხი უნდა გაგეცათ! – თქვა ქალიშვილმა მკვირცხლად და ნავში ჩახტა. ხმაურზე დამფრთხალი ბაყაყებიც ტყაპატყუპით ჩაცვივდნენ წყალში. უცებ ქალიშვილმა იკივლა, კაბის კალთაზე ხელი იტაცა, მუხლამდე აქაჩა და ფეხები ააბაკუნა:

– ანკარა, ანკარა!

ვაჟს თვალწინ შიშველმა, შავად მბზინავმა წვივებმა გაუელვა. ნავის ცხვირზე ნიჩაბს ხელი დაავლო, ფსკერზე აკლაკნილ ანკარას დაჰკრა, მერე ნიჩბით აიღო და შორს წყალში ისროლა.

ქალიშვილს სახეზე ინდუსური სიყვითლე გადაჰკროდა, ხალები ჩამუქებოდა, თმა და თვალები თითქოს კიდევ უფრო გაშავებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა:

– ო, რა საშინელებაა! შინ და გარეთ ყველგან ეს საზიზღარი ანკარები არიან... პეტიას კი, ხომ წარმოგიდგენიათ, ხელშიც კი აჰყავს!

პირველი შემთხვევა იყო, ვაჟს ასე შინაურულად რომ მიმართავდა და ერთმანეთს ასე უცერემონიოდ შეჰყურებდნენ თვალებში.

– გულადი ხართ! ეს რა ოსტატურად სთხლიშეთ თავში!

ბოლოს სრულიად დამშვიდდა, გაიღიმა, ნავის ცხვირიდან კიჩოზე გადავიდა და ხალისიანად ჩაჯდა. ვაჟი განცვიფრებული დარჩა ქალიშვილის შიშისაგან შემკრთალი სახის მშვენიერებით და – ჯერ სულ ბავშვიაო, – გაიფიქრა სინაზით აღვსილმა. მაგრამ, ვითომც არაფერი, გულგრილი სახე მიიღო, ჩაფიქრებულმა ნავში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ნიჩბით ლამბმოდებულ ფსკერს დააწვა და ნავი ცხვირით წინისკენ შეატრიალა. მერე მწვანე დუმფარებსა და აყვავებულ ლელქაშებზე, რომელთა ფართო, მრგვალი ფოთლები ხალიჩასავით გადაჰფენოდა ირგვლივ ყველაფერს, ნავი წყალქვეშა მცენარეებმოდებულ წყალში შეათრია, შუა მერხზე დაჯდა და ნიჩაბს მოუსვა.

– რა კარგია, არა? – თქვა ქალიშვილმა.

– ძალიან! – ვაჟმა თავიდან კარტუზი მოიძრო და ქალიშვილისაკენ შეტრიალდა: – ქენით სიკეთე, მანდ სადმე თქვენს გვერდით დადეთ, თორემ ჩამივარდება ამ ძირგახვრეტილ ნავში, რომელიც, დიდ ბოდიშს გიხდით და, წურბელებით არის სავსე.

ქალიშვილმა ქუდი გამოართვა და მუხლებზე დაიდო.

ნეტავი რას წუხდებით, დააგდეთ მანდ სადმე.

ქალიშვილმა კი ქუდი მკერდზე მიიკრა და უთხრა:

– პირიქით, ძალიან გავუფრთხილდები.

ვაჟს გული კვლავ ნაზად შეუფრთხიალდა, მაგრამ წეღანდელივით ახლაც გულგრილად შეტრიალდა და ლელქაშებსა და დუმფარებს შორის აბზინებულ წყალს ნიჩაბი კიდევ უფრო გამალებით მოუსვა.

სახესა და ხელებზე კოღოები კბენდნენ, ირგვლივ ყველაფერი ვერცხლისფრად ლიცლიცებდა – ცინცხალი ჰაერი, მზის ნაზად მკრთომარე ნათელი თუ ლელქაშისა და დუმფარის კუნძულებს შორის, წყლის კრიალა ველობებში არეკლილი, თეთრად შეგრუზული ღრუბლები. წყალი ყველგან ისეთი თავთხელი იყო, წყალმცენარეებით მოფენილი ფსკერიც კი ჩანდა, თუმცა ეს მაინც ვერაფერს აკლებდა ტბის იმ უძირო სიღრმეს, რომელშიც ღრუბლებით აჭრელებული ზეცის ანარეკლი იძირებოდა. უცებ ქალიშვილმა ისევ

შეჰკივლა – კიჩოდან ხელი წყალში გადაყო და დუმფარის ღეროს ისე ჩასჭიდა, ვაჟს რომ არ ემარჯვა, დროზე არ წამომხტარიყო და იღლიებით არ დაეჭირა, ნავიცა და თვითონაც წყალში ამოპირქვავდებოდნენ. ქალიშვილმა გადაიკისკისა, კიჩოზე ზურგით გადაწვა და წყალი თვალებში შეაწუწა. მაშინ ვაჟმა იგი კვლავ მკლავებში მოიმწყვდია და ისე, რომ თავადაც ვერ მიხვდა, მოკისკისე ტუჩებზე დაეკონა. ქალიშვილმაც უმალ მკლავები კისერზე შემოაჭდო და ლოყაზე უხერხულად აკოცა...

ამის შემდეგ ისინი ყოველ ღამე მიდიოდნენ ტბაზე სასეირნოდ. მეორე დღეს, ნასადილევს, ქალიშვილმა ვაჟი ბაღში გაიხმო და ჰკითხა:

– გიყვარვარ?

– შეხვედრის პირველივე დღიდან... – უპასუხა ვაჟმა მხურვალედ, ის კოცნა გონებიდან არ შორდებოდა.

– მეც, – თქვა ქალიშვილმა, – არა, თავიდან ვერ გიტანდი, ასე მეგონა, ვერ მამჩნევდი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ამაღამ, ყველა რომ დაიძინებს, ისევ იმ ადგილას მოდი და დამელოდე, ოღონდ, რაც შეიძლება ფრთხილად გამოდი სახლიდან, დედა ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალებს, ყველაფერზე ეჭვიანობს.

იმ ღამეს ქალიშვილი ტბაზე პლედით ხელში მივიდა. სიხარულისაგან ვაჟი ისე იყო დაბნეული, რომ მხოლოდ ამის კითხვა მოახერხა:

– ეს პლედი რაღად გინდა?

– რა სულელი ხარ! იმიტომ, რომ შეგვცივდება... ახლა კი დაჯექი და რაც შეიძლება, მოუსვი ნიჩბები იმ ნაპირისაკენ...

მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ, ტბის მეორე ნაპირზე ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ქალიშვილმა უთხრა:

– ესეც ასე. ახლა ჩემთან მოდი. პლედი სადაა? აჰ, აი თურმე მე ვზივარ ზედ! მცივა, ეგ პლედი მომახურე და დაჯექი. აი ასე... არა, მოიცა, გუშინ ჩვენ ერთმანეთს როგორღაც სულელურად ვკოცნიდით. ახლა ჯერ მე გაკოცებ, ოღონდ ნელა, შენ კი მომეხვიე... მაგრად, მაგრად, მომეხვიე...

სარაფნის ქვეშ ქალიშვილს მხოლოდ გარეპერანგი ეცვა. იგი ვაჟს ნაზად, ოდნავ ეხებოდა ტუჩის კუთხეში. გონებაარეულმა ვაჟმა ქალიშვილი, რომელსაც უკვე გაშმაგებით იკრავდა გულში, კიჩოზე გადააწვინა.

ქალიშვილი ერთხანს ღონემიხდილი ესვენა, მერე ნამოიწია და ბედნიერი ღიმილით უთხრა:

– აი ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვართ. დედა ამბობს, ვერ გადავიტან შენს გათხოვებასო, მაგრამ, ახლა ამის გახსენებაც არ მინდა... იცი, უნდა ვიბანაო, ძალიან მიყვარს ღამით ბანაობა...

ტანსაცმელი თავზე გადაიძრო და მისმა გრძელმა, შხვართმა სხეულმა ღამის სიბნელეში თეთრად გაიელვა. მერე ხელები ასწია, ნამოზიდული მკერდი და იღლიის შავი ღრმულები მოურიდებლად გამოაჩინა, ნაწნავი თავზე შემოიხვია, ვაჟს სწრაფად აკოცა, წყალში ეგრევე გადაეშვა, თავი ააღერა და ფეხების დგაფუნით გაცურა.

მერე ვაჟი ჩაცმაში მარჯვედ დაეხმარა და პლედი შემოახვია. ღამის სიბნელეში მისი შავი თვალები და თავზე შემოხვეული შავი, მსხვილი ნაწნავი ზღაპრულს ჰგავდა.

ვაჟს, უსაზღვრო ბედნიერებით აღსავსეს, სიტყვის წარმოთქმის თავიც აღარ ჰქონდა, მიკარებას ვეღარ ბედავდა და მხოლოდ ხელებს უკოცნიდა. სანაპიროზე, ციცინათელებით აქა-იქ აბჟუ-ტებულ, დაბურულ ტყეში წყვდიადს თითქოს ვიღაც შერეოდა და ჩუმად უსმენდათ. უცებ რაღაც აფაჩუნდა. ქალიშვილმა თავი ასწია და მიაყურადა:

– მოიცა, მოიცა!

– ნუ გეშინია, ალბათ, ბაყაყი მოცურავს წყლიდან სანაპიროსკენ, ან ზღარბია ტყეში.

– იქნებ არჩვია?

– არჩვი? რა არჩვი?

– რა ვიცი... აბა, წარმოიდგინე, დგას ტყეში არჩვი და გვიყურებს... ისე ბედნიერი ვარ, მინდა სულ სისულელეები ვიყბედო!

და ვაჟი ქალიშვილს კვლავ მკერდზე დაეკონა. ზოგჯერ გრილ მკერდზე ისე ჰკოცნის, როგორც რაღაც წმიდათაწმიდას. რა სულ

სხვა არსებად იქცა ეს გოგო ახლა მისთვის! კრთოდა და კრთოდა შავად ჩაბინდული, ტანდაბალი ტყის გადაღმა, წყლის თეთრად განფენილ ზედაპირზე არეკლილი, მწვანედ მორიალე ათინათი. ნიახურივით მძაფრი სურნელი სდიოდა წყლის პირას ამოჯეჯილებულ ცვრიან ბალახს, იდუმალად, გულისგამანვრილებლად ბზუოდნენ თვალით უჩინარი კოღოები. ჩუმი ტკაცანით დაფრინავდნენ ნავისა და წყლის თავზე ძილგამკრთალი ჭრიჭინობლები, სადღაც რაღაც ფუთფუთებდა, მიძვრებოდა, ბალახს აშრიალებდა...

ერთი კვირის თავზე მოულოდნელი განშორებით ელდანაკრავი ვაჟი უგვანოდ, შერცხვენილი და განწბილებული გააგდეს სახლიდან.

ერთხელაც ნასადილევს სასტუმრო ოთახში ისხდნენ ორივენი თავი-თავს მიდებულები და „ნივას“ ძველ ნომრებს ათვალიერებდნენ.

– ისევ გიყვარვარ? – ჩუმად ჰკითხა ვაჟმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამ ჟურნალის მეტი არც არაფერი ახსოვდა.

– სულელო, სულელო! – ჩურჩულებდა ქალიშვილი.

უცებ მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა და ზღურბლზე შავი აბრეშუმის დასრესილ ხალათსა და ტარსიკონის ძველ ფეხსაცმელში გამონყობილი ქალიშვილის ჭკუაშექანებული დედა წამოიმართა, შავი თვალები ავის მომასწავებლად უელავდა. ოთახში ისე შემოიჭრა, თითქოს სცენაზეაო და იკივლა:

– ყველაფერი გავიგე! ვგრძნობდი და სულ გითვალთვალებდით. აი შე არამზადავ, ჩემს შვილს ვერასოდეს ეღირსები!

მერე გრძელსახელოიანი ხელი შემართა და ძველებური პისტოლეტიდან, რომლითაც პეტია ბელურებს აფრთხობდა, გამაყრუებლად ისროლა. ვაჟი კვამლში გახვეულ ქალს ეცა, ხელი დაუჭირა, მაგრამ ქალი ხელიდან გაუსხლტა, პისტოლეტი ჯერ შუბლში ჩაარტყა, ნარბი გაუხეთქა, მერე რევოლვერი ზედ მიაგდო და, სროლასა და კივილზე სახლში ატეხილი ჩოჩქოლის ხმა რომ გაიგონა, ჩატეტკილ ტუჩებზე ქაფმომდგარმა კიდევ უფრო თეატრალურად იკივლა:

– ვიდრე პირში სული მიდგას, ამას ვერ ეღირსები! გაქცევას თუ მოინდომებთ, სახლიდან ფეხს გაადგამთ თუ არა, ან თავს ჩამოვიხ-რჩობ, ან სახურავიდან გადავხტები! ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე არამზადავ!.. მარია ვიქტოროვნა, აირჩიე, ან მე ან ის!

ქალიშვილმა ძლივს ჩაილუღლუღა:

– თქვენ, დედა, თქვენ...

კაცი გამოფხიზლდა, გონს მოეგო. სიბნელიდან კვლავ დაჟინებით, უცნაურად, სამარისებური იდუმალებით მოსჩერებოდა კარის მოლურჯო-ლილისფერი საჭვრეტელი. ვაგონების რნევა-რნევით მატარებელი კვლავ დაჟინებით მიქროდა, უკვე სადღაც შორს დარჩა ის პატარა, სევდიანი სადგური. ნუთუ მთელი ოცი წლის წინათაც იყო ეს ნარაფი, ეს ჭაობი, ეს დუმფარები თუ ის წეროები... დიახ, იყო კიდევ წეროები. აბა როგორ შემეძლო მე მათი დავიწყება! ყველაფერი უცნაური იყო იმ განსაცვიფრებელ ზაფხულში, უცნაური იყო დროდადრო ჭაობის პირად საიდანღაც მოფრენილი წეროების ის წყვილიც, მხოლოდ ქალიშვილს რომ არ უფრთხოდნენ და მხოლოდ მას უშვებდნენ სიახლოვეს – მოიდრეკდნენ თავის გრძელ, ნატიფ კისრებს და მკაცრი, მაგრამ კეთილგანწყობილი ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ ზევიდან, როდესაც იგი თავისი ჭრელი ქალამნებით ჩუმად, ფეხაკრეფით მიირბენდა, ჩაცუცქდებოდა მათ წინ, გადააფრიალებდა ტბისპირა ნოტიო, თბილ ბალახებზე თავის ყვითელ სარაფანს და ბავშვური სულწასულობით ვიწრო რგოლებად შემოფარგლულ, შუშასავით პრიალა, მშვენიერსა და მრისხანე შავ გუგებში მიაჩერდებოდა. ვაჟი შორიდან უცქერდა დურბინდით. იგი გარკვევით ხედავდა წეროების არა მხოლოდ პატარა, ლაპლაპა თავებს, არამედ ძვლოვან ნესტოებსაც კი, მათ მაგარ, დიდ ნისკარტებს, რომლის ერთი ჩანისკარტებაც საკმარისი იყო, რათა ანკარა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. მოკლე, კუნტულა, კუდფუმფულა სხეული ხშირი ფოლადისფერი ბუმბულით ჰქონდათ დაფარული. ქერცლიანი, უზომოდ მაღალი, ჯოხებივით წვრილი ფეხები ერთს შავი, ხოლო მეორეს – მომწვანო ჰქონდა. იდგნენ ზოგჯერ მთელი საათობით ერთ ადგილას ცალ ფეხზე შემდგარი,

მერე ნაზად შეფრთხიალდებოდნენ უგონ-უმიზეზოდ და გაშლიდნენ თავიანთ უზარმაზარ ფრთებს.

დააბიჯებდნენ მინაზე მყარად, ნება-ნება, მწყობრად და ერთთავად თავებს აქანავებდნენ... ქალიშვილი წეროებს მიუახლოვდებოდა თუ არა, ვაჟი რატომღაც ველარც ველარაფერზე ფიქრობდა, ველარც ვერაფერს ხედავდა, გარდა მისი გაფარფარებული სარაფნისა, რომლის ქვეშაც უმალ ქალიშვილის შავგვრემან, შხვართ, მოქნილ ტანს წარმოიდგენდა და ერთბაშად მომღვალსა და მოთენთილს ხურვებაშეყრილივით შეაკანკალებდა. და აი, მათი ერთად ყოფნის ბოლო დღეა. სასტუმრო ოთახში დივანზე გვერდიგვერდ სხედან და „ნივას" ათვალიერებენ. ქალიშვილს ახლაც, ისე როგორც მაშინ, ვაჟის კარტუზი აქვს გულში ჩახუტებული, სიხარულით გაბრწყინებული შავი, მზესავით თვალებით ვაჟს თვალებში მისჩერებია და ეუბნება:

– ისე მიყვარხარ, აი, ამ ქუდის – შენი თავის, მაგ შენი საძაგელი ოდეკოლონის სუნიც კი ჩემთვის ახლა ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად!

კურსკის ახლოს ვაგონ-რესტორანში ნასაუზმევს კონიაკსა და ყავას რომ მიირთმევდა, ცოლმა უთხრა:

– ამდენს რატომ სვამ? ეს, მგონი უკვე მეხუთე ჭიქაა! რაო, ისევ იმ შენს ყვითელსარაფნიან ქალწულზე ხომ არ დარდობ?

– ვდარდობ, დიახ, ვდარდობ, – უპასუხა კაცმა და უსიამოვნოდ ჩაიცინა.

– აგარაკელი ქალწული... Amata nobis guantum amabitus nulla![1]

– ლათინურია? მერედა, რას ნიშნავს?

– ამის ცოდნა შენთვის საჭირო არ არის.

– რა უხეში ხარ, – თქვა ქალმა, დაუდევრად დაამთქნარა და მზით განათებულ ფანჯარაში ყურება დაიწყო.

---

[1] სატრფო ჩვენი, რომლის დარად არასოდეს აღარავინ გვეყვარება (ლათ.).

ნატალი

1

იმ ზაფხულს პირველად დავიხურე სტუდენტური კარტუზი და იმ განსაკუთრებული ბედნიერებით ვიყავი სავსე, რომელიც ახალგაზრდა კაცის გულს მხოლოდ მაშინ ეუფლება, დამოუკიდებელი ცხოვრების სიამოვნებას პირველად რომ იგემებს. გავიზარდე მკაცრი მემამულის ოჯახში, სოფლად. ეს-ესაა სიჭაბუკეში შესული, დღედაღამ სიყვარულზე მეოცნებე, სულით ხორცამდე ჯერ ისევ სუფთა და უმანკო, გიმნაზიელი ამხანაგების ერთ მოურიდებელ სიტყვაზედაც კი ბავშვივით ვწითლდებოდი, რაზედაც – ეე, მეშჩერსკი, ის დროა, ბერად დგებოდეო, უშნოდ იღრიჯებოდნენ ჩემი ამხანაგები. იმ ზაფხულს კი ალბათ აღარ გავწითლდებოდი: არდადეგებზე შინ დაბრუნებულმა გადავწყვიტე, დროა ჩემი უბინოება შევებღალო, სიყვარულზე მეც ყოველგვარი რომანტიკის გარეშე ვიფიქრო-მეთქი. და აი ამ გადაწყვეტილებითა და ჩემი სტუდენტური კარტუზის ჩვენების სურვილით შეპყრობილმა სასიყვარულო თავგადასავლების საძიებლად ნაცნობ-ნათესავები და მეზობელ მემამულეთა ოჯახები მოვინახულე. ასე მოვხვდი დედაჩემის ბიძაშვილის, დიდი ხნის ნინათ დაქვრივებული გადამდგარი ულანის ერთადერთი ქალიშვილის, ანუ ჩემი ბიძაშვილის – სონიას მამის, ჩერკასოვის მამულში.

ეზოში რომ შევედი, უკვე გვიანი ღამე იყო, ამიტომაც, სონიას გარდა, არავინ გამომგებებია. ტარანტასიდან სწრაფად გადმოვხტი და პირდაპირ სახლს მივაშურე – ფლანელის საღამურ ხალათში გამონყობილი სონია შესასვლელში დამიხვდა, მაღლა ანეულ

მარცხენა ხელში სანთელი ეჭირა და მინათებდა. შევედი თუ არა, ლოყა საკოცნელად მომიშვირა, თავი გადააქნია და თავისებურად წაიკვიმატა:

– აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით ის ყმაწვილი კაცი, ყველგან და ყოველთვის რომ აგვიანებს?

– მაგრამ, ამჯერად დაიგვიანა არა ყმაწვილმა კაცმა, არამედ მატარებელმა, ისე რომ, თავად არაფერ შუაში გახლავართ.

– სსუუ, უკვე სძინავთ, მთელი საღამო ლამის სული დაგველია შენს მოლოდინში. ბოლოს ყველამ ხელი ჩაიქნია, მამაჩემი სულ ბუზღუნ-ბუზღუნით დაწვა, სულ ჩიტირეკია გიძახა, ეფრემს კი, რომელმაც ალბათ იფიქრა, ბარემ დავრჩები, დილის მატარებელსაც დავხვდებიო – ტუტუცი და გამოჩურჩუტებული ბებერი... ნატალიც გულდაწყვეტილი წავიდა დასაძინებლად, მოსამსახურეც სადღაც გაქრა, ისე რომ, მხოლოდ მე აღმოვჩნდი ყველაზე მომთმენი და ერთგული... აბა ახლა გაიხადე და სავახშმოდ წამოდი.

– გმადლობთ, ძვირფასო მეგობარო, – ვუპასუხე და თან მისი ლურჯი თვალებისა და მაღლა აწეული, მხრებამდე შიშველი მკლავის ცქერით ვტკბებოდი, – შენს ერთგულებაში დარწმუნება ჩემთვის ახლა განსაკუთრებით სასიამოვნოა; ნამდვილი მზეთუნახავი გამხდარხარ, რა მკლავები გაქვს, რა კისერი, ეგ შენი ფუმფულა ხალათიც, რომლის ქვეშ, დარწმუნებული ვარ, ახლა არც არაფერი გაცვია, დიდად მიმზიდველი და მაცდური რამ არის!

სონიამ გაიცინა:

– ჰო, თითქმის არაფერი... კაცმა რომ თქვას, შენც დიდებული ბიჭი დამდგარხარ – მკვირცხლი გამოხედვა, შავი, საძაგელი ულვაში... მოკლედ, მაგრადაც დავაჟკაცებულხარ, ოღონდ, რა მოხდა, ასეთი რა დაგემართა, ვერ გავიგე... ამ ორ წელიწადში, რაც არ მინახავხარ, მორიდებული, სირცხვილისაგან მუდამ ლოყებაწითლებული ბიჭუნას მაგივრად, ერთიც ვნახოთ, მომხიბვლელი, თავზე ხელაღებული მუსუსი გამომეცხადე, ეს კი – ნატალი რომ არა, ვისზედაც დარწმუ-ნებული ვარ, ხვალ დილიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე თავდავინყებით იქნები შეყვარებული, მრავალი სასიყვარულო

თავგადასავლის თავმდები გახდებოდა, როგორც ამას, ალბათ, ბებია-ჩვენები იტყოდნენ.

– კი, მაგრამ, ეგ ნატალი ვიღაა? – ვკითხე სონიას, როცა იგი ჭერში ჩამოკიდებული ლამპით გაჩახჩახებულ სასადილოში შემიძღვა, რომლის ღია ფანჯრებიდანაც გაზაფხულის თბილი, წყნარი და ბნელი ღამე იმზირებოდა.

– ვინა და, ნატაშა სტანკევიჩი, ჩემი გიმნაზიელი მეგობარი და სტუმარი... აი, ვინ არის ნამდვილი მზეთუნახავი! აბა, წარმოიდგინე, არაჩვეულებრივად ლამაზი თავი, ოქროსფერი თმა, უფრო სწორად, ნამდვილი „ოქროს დალალები“, შავი, ძალიან შავი თვალები, არა, თვალები კი არა, სპარსელებისა არ იყოს, ორი შავი მზე... რა თქმა უნდა, გრძელი, უშველებელი წამწამები და, ცხადია, ისიც არაჩვეულებრივად შავი... სახის კანი ოქროსფრად უბზინავს, ასევე მხრებიცა და სხვა დანარჩენიც.

– სხვა დანარჩენი? მაინც რა სხვა დანარჩენი? – ვკითხე ჩვენი საუბრის კილოთი ფრთებშესხმულმა.

– რა და, მე და ნატალი ხვალ დილას საბანაოდ მივდივართ, გირჩევ, იქვე სადმე ბუჩქებში დაიმალო – აი, მაშინ ნახავ, რა სხვა დანარჩენიც... სხეულით და აღნაგობითაც ხომ ნამდვილი წყლის ფერია გეგონება.

სასადილო ოთახში, მაგიდაზე, ცივი კატლეტები, ყველი და ერთი ბოთლი წითელი ყირიმული ღვინო იდგა.

– ეს არის და ეს, გთხოვ, ნუ განმირისხდები! – სონია მაგიდასთან დაჯდა და ღვინო დაასხა, – შენ წარმოიდგინე, არაყიც კი არა მაქვს... რას იზამ, ღვინით უნდა დავილოცოთ, ღმერთმა ქნას, რომ...

– მაინც რა უნდა ქნას ღმერთმა?

– რა უნდა ქნას და, ისეთი საქმრო მაშოვნინოს, ჩვენს ოჯახში ზესიძედ რომ შემოვა, თან, რაც შეიძლება, მალე... საცაა ოცდაერთი წლისა გავხდები, გათხოვება და სხვაგან ნასვლა კი არ შემიძლია, აბა მამაჩემი ვის უნდა დავუტოვო?

– მაშინ, ღმერთმა ქნას, რომ...

ბოკლები მივუჭახუნეთ ერთმანეთს და ღვინო ბოლომდე ნებანება გამოვცალეთ. სონია იჯდა, ისევ იმ თავისი უცნაური, დამცინავი ღიმილით შემომყურებდა და თან თვალით მზომავდა: ჩანგალი როგორ მეჭირა, როგორ ვჭამდი, როგორ ვიჯექი, და ბოლოს, როგორღაც თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ისე, ცუდი ბიჭი არ უნდა იყო, თან სულ ქართველს ჰგავხარ, საკმაოდ ლამაზიც ბრძანდები. ადრე საშინლად გამხდარი და გაწრიპული იყავი, სახეც უნდილი და უმწიფარი გქონდა. მოკლედ, ძალიან შეიცვალე, თბილი, სასიამოვნო ყმაწვილი დადექი, ოღონდ, ეგ არის, თვალები აქეთ-იქით გაგირბის.

– მაშ რა იქნება, შენმა მშვენიერებამ ისე ამაღელვა, თვალს ვეღარ გისწორებ. კაცმა რომ თქვას, ადრე არც შენ იყავი მთლად ასეთი...

ვუთხარი და მხიარულად ავათვალიერ-ჩავათვალიერე. მაგიდის მეორე მხარეს იგი ოდნავ ჩემკენ გადმოხრილი იჯდა, ფეხები სკამზე ჰქონდა აკეცილი, სავსე მუხლები ერთმანეთზე ეწყო. ლამპის შუქზე მზემოკიდებული ხელები ოქროსფრად უბზინავდა, ლურჯი თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, ძილის ნინ ერთ მსხვილ ნაწნავად შეკონილ, ხშირსა და ბუმბულივით რბილ, წაბლისფერ თმაში წითელი სხივი უკრთოდა. ხალათის გაღეღილი საყელოდან მრგვალი, მზემოკიდებული კისერი და ახლად ათქვირებული მკერდის სანახები მოუჩანდა, მარცხენა ლოყაზე პატარა, შავთმიანი ხალი წერტილივით აჩნდა.

– მამაშენი როგორაა, რას შვრება?

სონია სკამზე შესწორდა, ჯიბიდან ვერცხლის პატარა პორტსიგარი და ვერცხლისავე ასანთის კოლოფი ამოიღო და პაპიროსს როგორღაც მეტისმეტად განაფულად მოუკიდა, თან ჩემთვის დამცინავი მზერა არ მოუცილებია.

– მამას რა უჭირს, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ყოჩაღად არის, ისევ ისეთი უტეხია და პირდაპირი, დადის და დააკაკუნებს იმ თავის ყავარჯენს, ის კი არა, ჩუმჩუმად ულვაშებსა და ბაკებსაც იღებავს... აინწონლიკებს თავის ჭაღარა ქოჩორს და უპრანავს და

უპრანავს თვალებს ამ ჩვენს ქრისტიას... ეგ არის, თავის ცახცახს უმატა, თითქოს სულ რაღაცაზე გედავება, რაღაცაზე არ გეთანხმება, – თქვა სონიამ და გაიცინა, – პაპიროსი ხომ არ გინდა?

მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ ვენეოდი, მაგრამ, მაინც გამოვართვი და დიდის ამბით გავაბოლე. სონიამ დაცარიელებული ბოკლები ისევ აავსო და ღია ფანჯრიდან სიბნელეს გახედა:

– ჰო, ჯერჯერობით, მართლაც, მადლობა ღმერთს... ეს ზაფხულიც მშვენიერი დაგვიდგა, ნახე, რა შესანიშნავი ღამეა! ოღონდ, ბულბულები აღარ გალობენ. იცი, ძალიან გამიხარდა შენი ჩამოსვლა. ექვსი საათიც არ იყო, ეფრემი სადგურში რომ გავაგზავნე – ვაითუ ამ გამოჩურჩუტებულ ბერიკაცს მატარებელზე დააგვიანდეს-მეთქი; ჯერ ხომ ისე მოუთმენლად გელოდი, მერე კი, რომ არა და აღარ გამოჩნდი და ყველანი აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ, მართალი გითხრა, გამიხარდა კიდევაც, დავსხდებით ჩვენთვის არხეინად, ხელს არავინ შეგვიშლის-მეთქი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ძალიან იქნებოდი შეცვლილი – შენნაირ ბიჭებს ხომ მუდამ ასე ემართებათ! რომ იცოდე, რა სიამოვნებაა, ზიხარ მარტოდმარტო მთელ ამხელა სახლში და მატარებლით ვიღაცის ჩამოსვლას ელოდები. უცდი, უცდი, და აი, როგორც იქნა, ბოლოს ეჟვნების ჟღარუნს გაიგონებ, მერე გაივლის ცოტა ხანიც და, ხედავ უკვე სახლის კარს მოგდგომია...

მაგიდის მეორე მხარეს ჩემს პირდაპირ მჯდომარე სონიას გადავწვდი და მისი ხელი ხელში მოვიმწყვდიე, უკვე საოცარ წადილსა და ლტოლვას ვგრძნობდი. ის კი იჯდა თავისთვის არხეინად, სახეში მხიარულად შემომყურებდა და პაპიროსის ბოლს პირიდან რგოლ-რგოლად უშვებდა. ბოლოს ხელი გავუშვი და ვითომ ისე, ხუმრობით ვუთხარი:

– აი, ნატალიო ამბობ, მაგრამ, სულ ერთია, შენ მაინც არავინ შეგედრება... ისე, სიტყვამ მოიტანა და, მაინც ვინ არის, სადაურია?

– ჩვენებურია, ვორონეჟიდან, საუკეთესო ოჯახიდან არის... ერთ დროს დიდი ქონებისა და სიმდიდრის პატრონები ყოფილან, ახლა კი, რომ იტყვიან, საქმე სამათხოვროდ აქვთ გამხდარი... შინ სულ

ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკობენ, საჭმელი კი არაფერი აბადიათ. ძალიან მგრძნობიარე გოგოა, წერწეტა და ტანწვრილი, ჯერ ხეირიანად არც კი დაქალებულა, ისევ მოზარდივით სუსტია და სიფრიფანა. არაჩვეულებრივად გონიერი კია, მაგრამ ისეთი გულჩახვეულია, უცებ, იქნებ, ვერც კი მიხვდე, უჭკუოა თუ ჭკვიანი... ის შენი ძვირფასი ბიძაშვილი რომ არის – ალექსეი მეშჩერსკი, აი იმ მეშჩერსკების მეზობლად ცხოვრობენ. მართალია, არც ისე ახლოს, მაგრამ... ნატალი ამბობს, ამ ბოლო დროს რაღაც ნამეტანი მოუხშირა ჩვენთან სიარულს, სულ თავის მარტოობაზე წუწუნებსო. ნატალის სულ არ მოსწონს, თან, თურმე, ძალიან მდიდარია. ასე ამბობს: იტყვიან, ფულის სიყვარულით გაჰყვა, მშობლების გამო საკუთარი თავი გაყიდაო.

– კი ბატონო, ასე იყოს, – ვუთხარი სონიას, – მაგრამ, სჯობს, საქმეს დავუბრუნდეთ. სულ ნატალი და ნატალიო, რომ გაიძახი, ჩვენს მომავალ რომანზე რატომ აღარაფერს ამბობ?

– ნატალი ჩვენს მომავალ რომანს ხელს ვერ შეუშლის, მისი სიყვარულით ჭკუას დაკარგავ, კოცნას კი მე დამიწყებ. მისი სიმკაცრით შეძრწუნებული ცრემლს ჩემს მკერდზე რომ დაღვრი, მე მოგეფერები და დაგამშვიდებ.

– ვითომ არ იცი, რომ დიდი ხანია უკვე მიყვარხარ!

– ის, რასაც შენ სიყვარულს ეძახდი, ჩვეულებრივი კუზენის სიყვარული იყო, ესეც რომ არა, მაშინ ჯერ ისევ სასაცილო, მოსაწყენი ბიჭი იყავ... ეჰ, რაც არის არის, მიპატიებია შენი ის სიჩურჩუტე, ნატალის მიუხედავად, მზად ვარ, ხვალიდან ისევ თავიდან დავიწყო ჩვენი ახალი რომანი. ახლა კი ძილის დროა, დილაზე ადრე უნდა ავდგე, საქმეს უნდა მივხედო.

სონია წამოდგა, ხალათი გადაიკალთავა, თითქმის ჩამწვარი სანთელი ხელში აიღო და ჩემი ოთახისაკენ წამიძღვა. და აი, ჩერკასოვების ოჯახში ჩემი სასიყვარულო ოცნებების ასეთი ბედნიერი შემოტრიალებით გაოგნებული დიდხანს, დიდხანს და ხარბად ვკოცნიდი კარის წირთხლთან მიმწყვდეულ სონიას, იმას კი თანდათან თვალები ებინდებოდა, ხელი, რომელშიც ანთებული

სანთელი ეჭირა, თანდათან ძირს ეშვებოდა. წასვლისას სახეალეწილმა თითი დამიქნია და წყნარად მითხრა:

– ოღონდ, კარგად დაიხსომე, ხვალ ყველანი თავს რომ მოიყრიან, არ გაბედო და მაგ შენი „ვნებიანი თვალებით“ არ შემჭამო! ღმერთმა ნუ ქნას, მამამ რაიმე შეგვამჩნიოს, იმას ხომ ჩემი ეშინია და ეშინია, მე კიდევ ათჯერ უფრო მეტად მეშინია იმისი. არც ნატალიმ მინდა შეიტყოს რაიმე. შენთან რომ ასე ვიქცევი, არ გეგონოს სხვებთანაც ასეთი ვიყო. წარმოიდგინე, ძალიან მორცხვი და მორიდებული ვარ... იცოდე, ყველაფერს თუ არ შემისრულებ, ხმას არ გაგცემ.

გავიხადე თუ არა, ლოგინზე დარეტიანებული დავეცი და ბედნიერებისა და დაღლილობისაგან არაქათგამოლეულს მაშინვე ტკბილად ჩამეძინა. აბა, რა ვიცოდი, მეორე დღეს რა უბედურება მელოდა, ან სონიას ხუმრობით ნათქვამი ეს სიტყვები – სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე თავდავიწყებით იქნები შეყვარებულიო, – რა საოცარი სიცხადით ამისრულდებოდა.

შემდეგში, ვინ იცის, რამდენჯერ გამახსენდა, როგორც რაღაც ავის მაცნე-მაუწყებელი – ოთახში როგორ შევედი, სანთლის ასანთებად ასანთს როგორ მოვუკიდე და უშველებელი ღამურა სახეში როგორ შემომაფრთხიალდა. ისე ახლოს იყო, ასანთის შუქზედაც კი გარკვევით დავინახე მისი ამაზრზენი, შავი, ხავერდოვანი სიგლუვე და დიდყურა, ცხვირპაჭუა, სიკვდილივით საზარელი, მტაცებლური ცხვირ-პირი. მერე, საზიზღარი ფართხალითა და ფრთების კრუნჩხვა-კრუნჩხვით ღია ფანჯრის სიბნელეში ჩაყურყუმალავდა და გაუჩინარდა. მაშინ ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არაფრად ჩამიგდია.

2

ნატალი პირველად მეორე დილას ვნახე, ყველაფერი სულ რაღაც ერთ წუთში მოხდა – წინა ოთახიდან უცბად სასადილო ოთახში შემოფრთხიალდა, ჯერ ისევ თმადაუვარცხნელს ტანზე სიფრიფანა, ნარინჯისფერი ჩახსნილი პერანგი ეცვა. მე და ულანი, ეს წუთია,

ყავის სმას მოვრჩით. ულანმა ჩემზე ოდნავ ადრე მოათავა და ოთახიდან გავიდა, ისე რომ, სასადილოში იმ წუთას ჩემს მეტი არავინ იყო. ის არის, მეც მაგიდიდან ნამოვდექი და შემთხვევით მივტრიალდი, რომ ნატალიმ ერთი მიიხედ-მოიხედა, იმ თავისი ნარინჯისფერი პერანგით, ოქროსფერი თმითა და შავად მოელვარე თვალებით წუთით გაიბრწყინა და გაუჩინარდა.

იმ დღეს ისე დილაადრიანად გავიღვიძე, ირგვლივ ჯერ ჩამიჩუმიც არ ისმოდა... ჩერკასოვების ამ უზარმაზარ სახლში იმდენი ოთახი და იმდენი შესასვლელ-გასასვლელი იყო, ზოგჯერ ვიბნეოდი კიდევაც. მაშინაც თვალი რომელიღაც შორეულ ოთახში გავახილე. ფანჯრები ხეებით დაბურულ ბაღს გადაჰყურებდა. შესანიშნავად გამოძინებული ლოგინიდან ხალისიანად წამოვხტი, ხელ-პირი დავიბანე, ტანზე ყველაფერი გამოვიცვალე, ჩემი საყვარელი წითელი აბრეშუმის პერანგი ჩავიცვი, წინა საღამოს ვორონეჟში გაკრეჭილი, წყლით დაჟივჟივებული თმა საგულდაგულოდ დავივარცხნე, შავი, ლაზათიანი ქოჩორი ლამაზად დავიყენე, დერეფანში გამოვედი, გვერდით გავუხვიე და, ნაცვლად ულანის სამუშაო ოთახისა, ზუსტად მისი საძინებელი ოთახის წინ აღმოვჩნდი. ვიცოდი, ზაფხულობით ხუთ საათზე გვიან არასოდეს დგებოდა, ამიტომაც კარზე გაბედულად მივუკაკუნე, მაგრამ, პასუხი რომ არავინ გამცა, კარი შევაღე და შევიხედე. ვერ წარმოიდგენთ, გულში რა სიამოვნება ვიგრძენი, როცა დავრწმუნდი, ამ მამაპაპეულ ფართო ოთახში, რომლის სამმაგი იტალიური ფანჯრის წინ ასწლოვანი ვერცხლისფერი ჩინარი შრიალებდა, არაფერი იყო შეცვლილი – მარცხნივ, მთელი კედლის ჩასწვრივ წიგნის კარადები იყო ჩარიგებული. მუხის იმ კარადებს შორის სპილენძის მრგვალქანქარიანი ნითელი ხის გაჩერებული საათი ეკიდა, მეორე კედლის ძირას გიშრისთავიანი ყალიონები ელაგა. ყალიონებს ზემოთ, კედელზე, ბარომეტრი იყო ჩამოკიდებული. მესამე კედელთან ათაპაპისდროინდელი კაკლის ხის სახურავახდილი ბიურო იდგა – სპილენძის დურბინდი, გაზები, ლურსმნები, ჩაქუჩები – ყველაფერი ეგრევე ზედ იყო მიბნეულ-მობნეული. კარის

ჩაყოლებით, ხის ასფუთიანი დივნის ზემოთ, ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული ძველი, ფერგადასული სურათების მთელი გალერეა იყო. ფანჯრის წინ უზარმაზარი საწერი მაგიდა და ასევე უზარმაზარი სავარძელი იდგა, ოდნავ მარჯვნივ, მუხის უშველებელი საწოლის თავზე, სურათი იყო ჩამოკიდებული, რომელიც თითქმის მთელ კედელს ფარავდა – შავი ლაქით დაფარული ფონი, კვამლისფერი ღრუბლები, ცაში ლანდებივით აზიდული, მომწვანო-მოცისფრო პოეტური ხეები, წინა პლანზე აქაფებული კვერცხის ცილასავით ქათქათა, თითქმის ნატურალური სიდიდის შიშველი, ტანმაღალი მზეთუნახავი დგას და ამაყი სახით ოდნავ მაყურებლისკენაა შემობრუნებული. შეხედავ თუ არა, თვალში უმალვე მისი სავსე ზურგი, მკვრივი გავა და ღონიერი კანჭები შემოგანათებს. გრძელი, გაშლილი თითები ძუძუს თავზე მაცდურად აუფარებია, მეორე ხელი მსუქანი, ნაკეცებიანი მუცლის ქვემოთ უდევს. ამ თვალიერებაში რომ ვიყავი, წინა ოთახიდან ყავარჯნის კაკუნით ჩემკენ მომავალი ულანის ომახიანი ხმა მომესმა:

– არა, ძმაო, ამ დროს საძინებელ ოთახში ვერ მიპოვი, ეს მხოლოდ თქვენ გჩვევიათ სამ მუხამდე თბილ ლოგინში კოტრიალი.

ხეშეშ, ფართო ხელის ზურგზე ვაკოცე და ვკითხე:

– როგორ თუ სამ მუხამდე?

– გლეხებმა იციან, მზე საცაა, აგერ, სამ მუხას წამოადგება, შენ კი თავი ბალიშიდან არ აგიღიაო... აბა ახლა კი წავიდეთ, ყავა დავლიოთ.

– „შესანიშნავი მოხუცი, შესანიშნავი სახლი...“ – ვფიქრობდი მასთან ერთად სასადილოში რომ შევდიოდი, რომლის ღია ფანჯრებიც დილის შუქით გაბრწყინებული ბაღის სიმწვანეს გადასდგომოდა. ვახშამი სიბერისაგან გალეულმა, მხრებში მოხრილ-მა გადიამ გაგვიწყო. ულანი ვერცხლის საჭიქეში ჩადგმული სქელი ჭიქიდან მაგარ, რძიან ჩაის წრუპავდა და ჭიქაში ჩატოვებული ძველებური ოქროს კოვზის ნატიფი, გრეხილი ღერო საჩვენებელი თითით ეკავა. მე კი კარაქწასმული შავი პურის ნაჭერს-ნაჭერზე ვნთქავდი და ვერცხლის ყავადანიდან ცხელ ყავას ვიმატებდი. ისე

იყო ულანი თავის თავსა და თავის საქმეში გართული, ჩემკენ არც კი გამოუხედავს, ჩაის სვამდა და თან მეზობელ მემამულეებს აბიაბრუებდა. აქაოდა, გისმენ-მეთქი, მის ბაკებს, ულვაშებსა და ცხვირის ნვერზე ჯაგარივით ამოსულ მსხვილ ბენვებს თვალს არ ვაცილებდი, სინამდვილეში კი ნატალისა და სონიას გამოჩენას ისე მოუთმენლად ველოდი, ადგილზე ვეღარ ვისვენებდი. თავში მხოლოდ ის მიტრიალებდა, ნეტავი ეს ნატალი რას წარმოადგენს, ან წუხანდელი ამბის შემდეგ მე და სონია ერთმანეთს როგორ შევხვდებით-მეთქი. სონიას მიმართ გული საოცარი მადლიერებით მქონდა სავსე. მისი და ნატალის საძინებელსა და ყველა იმაზე, რაც, საერთოდ, ქალების საძინებელში ხდება დილაობით, თავში უზნეო აზრები მიტრიალებდა... „ვინ იცის, სონიამ იქნებ უთხრა კიდევაც ჩვენი ახლახანს დაწყებული სიყვარულის შესახებ?" – გავიფიქრე გუნებაში და ნატალის მიმართაც რაღაც სიყვარულის მაგვარი ვიგრძენი, თუმცა ამ წუთას არც იმისი მზეთუნახაობა მხიბლავდა, არც იმისი ჭკუა და გონება. ჩემთვის ახლა ყველაზე მთავარი ის იყო, ნატალი ჩემი და სონიას საიდუმლოს თანამონაწილედ რომ დავიგულე. ისე, ვითომ, რატომ არ შეიძლება, ორი ქალი ერთდროულად მიყვარდეს, აი, შემოვლენ და შემოანათებენ გაზაფხულის ამ დილასავით ცინცხალნი, დილის ეშხით გასხივოსნებულები, შეხედავენ ჩემს ქართულ სილამაზეს, ჩემს წითელ ხალათს, შემომცინებენ, გამომელაპარაკებიან, მიუსხდებიან მერე მაგიდას და ამ ცხელი ყავადანიდან ყავას კეკლუცად დაისხამენ. მოკლედ, რომელი ერთი ვთქვა – ახლად შეღერებული გოგონების ახალგაზრდული მადა ახლგამოღვიძებულ-ზე, ყმაწვილური სიკისკასე, გამოძინებულ თვალთა ბრნყინვალება, ლოგინიდან ახლად წამომდგარი ქალიშვილების სალუქი, ოდნავ შეპუდრული ღაწვები თუ ეს უმიზეზო სიცილი ყოველი სიტყვის შემდეგ – მართალია, არცთუ ისე ბუნებრივი, მაგრამ, ამის გამო კიდევ უფრო მომხიბვლელი და მომაჯადოებელი... ისაუზმებენ და გაუყვებიან მერე ამ ბაღს მდინარისკენ. მივლენ სააბაზანოში, გაიძრობენ ტანისამოსს და გამოაელვებენ ცის ლაჟვარდოვნებითა

და ანკარა წყლის ანაშუქით განათებულ შიშველ სხეულს... გიყვარდეს, ისეთი ფანტაზია მქონდა, ყველაფერს ისე ცხოვლად წარმოვიდგენდი!.. ახლაც ცხადლივ ვხედავდი, ნატალი და სონია როგორ მივიდოდნენ, საბანაოს პატარა კიბის მოაჯირს როგორ დაეყრდნობოდნენ, ფრთხილად, მოუხერხებლად როგორ ჩააბიჯებდნენ წყალში ჩაზვინული კიბის ხავსმოდებულ, ლორწოვანა სოკოთი საძაგლად მოსლიპინებულ საფეხურებზე, როგორ გადააგდებდა თავის ხშირთმიან თავს სონია, ათქვირებულ მკერდს წინ როგორ წამონევდა, მდინარის უჩინარ ტალღებში როგორ შევიდოდა, მისი მოცისფრო-ცარცისფერი სხეული წყალში როგორ ალივლივდებოდა და ბაყაყივით როგორ გაცურავდა...

– აბა ახლა კი სადილობამდე... ხომ გახსოვს, სადილი თორმეტ საათზეა, – თქვა ულანმა თავის ქიცინით და წამოდგა წაბლისფერ-ულვაშ-ბაკენბარდებიანი, ნიკაპგაპარსული, მაღალი, ბრგე, ჯერ ისევ ჭარმაგი, ჩესუჩის შილიფ კოსტიუმსა და ბრტყელცხვირიან ფეხსაცმელში გამონყობილი... თავისი დიდი ტორით ყავარჯენი მოიმარჯვა, ბეჭებზე ხელი მომითათუნა და სნრაფი ნაბიჯით გავიდა. ის იყო, მეც წამოვდექი, აივანზე უნდა გავსულიყავი, რომ სასადილოში ნატალი ჩიტივით შემოფრთხიალდა, ნუთით გაიელვა და გაქრა. თვალი მოვკარი თუ არა, საცარმა აღფრთოვანებამ მომიცვა, მართლაც, ნამდვილი მზეთუნახავია-მეთქი, გავიფიქრე და გაოგნებული აივანზე გავედი. დიდხანს ვიდექი ასე გაშტერებული, კარგა ხანს აზრზე ვერ მოვსულიყავი. მართალია, მათ გამოჩენას სასადილოში ასეთი გულისფანცქალით ველოდი, მაგრამ, სასადილოდან მათი ხმა გავიგონე თუ არა, ბაღში გავიქეცი – საცარმა შიშმა შემიპყრო, ოღონდ, ვერ გავრკვეულიყავი, ორივეს გამო ვიყავი ამ დღეში, რომელთაგან ერთ-ერთთან კარგა ხანია დიდად მომაჯადოებელი საიდუმლო მაკავშირებდა, თუ უფრო ნატალის, მისი იმწამიერი გაელვების გამო, რითაც ამ ნახევარი საათის წინ ასე თვალი მომჭრა და გამაოგნა. დიდხანს ვიარე მდინარისპირა დაბლობზე გაჭიმულ ბაღში წინ და უკან... ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ჩემი გამბედაობა მოვიკრიბე და, ვითომც არაფერია-

მეთქი, სასადილოში არხეინად შევედი. ჩემდა ბედად, სონიამ თავისი მხიარული გამბედაობა შემომაგება, ნატალიმ კი შავი წამწამებით მოჩრდილული, ოქროსფერი თმის ფონზე კიდევ უფრო შავად მოელვარე, განსაცვიფრებელი თვალები შემომანათა და ღიმილით მითხრა:

– ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს!

მერე დიდხანს ვიდექით აივნის ქვის მოაჯირს დაყრდნობილები და შიშველ თავებზე ზაფხულის მხურვალე მზე გვაცხუნებდა. ნატალი იქვე, ჩემს გვერდით იდგა, სონიას მისთვის წელზე ხელი მოეხვია, ვითომ დაბნეული სადღაც სივრცეს მისჩერებოდა და ეშმაკური ღიმილით თავისთვის ღიღინებდა: „შუა მეჯლისში, თან სულ შემთხვევით...“ მერე წელში გაიმართა და – აბა, ახლა კი ჰაიდა, საბანაოდ წავიდეთ, ჯერ ჩვენ ვიბანავებთ, მერე შენ იბანავეო...

ნატალი ზეწრების მოსატანად გაიქცა, სონიამ დრო იხელთა და ყურში ჩამჩურჩულა:

– კეთილი ინებე და, დღეიდან ყველას თავი ისე მოაჩვენე, ვითომ ნატალიზე ხარ შეყვარებული... მაგრამ, თუ ერთ მშვენიერ დღესაც აღმოჩნდა, რომ ძალის დატანება და მოჩვენება აღარ გჭირდება, მაშინ კი, იცოდე, მერიდე...

კინაღამ ეგრევე პირში მივახალე, ძალის დატანება და მოჩვენება უკვე საჭირო აღარ არის-მეთქი, რომ სონიამ თავით კარზე მანიშნა და ჩუმად დასძინა:

– შენთან ნასადილევს მოვალ...

ისინი რომ დაბრუნდნენ, მერე მე წავედი საბანაოდ – ჯერ არყის ხეივნის გრძელ დერეფანს დავუყევი, მერე სანაპიროზე ჩარიგებულ სხვადასხვა ჯიშის ბებერ ხეებს შორის ვიარე, ირგვლივ მდინარიდან მონაბერი თბილი სიო ქროდა, ხის კენწეროებიდან ჭილყვავების ყრანტალი ისმოდა. მივდიოდი და სონიასა და ნატალის გამო გულს ორი სრულიად განსხვავებული განცდა მიფორიაქებდა. თან იმაზედაც ვფიქრობდი, აჰა, მივალ და მეც იმ წყალში ვიბანავებ, რომელშიც ეს-ეს არის, ნატალი და სონია ბანაობდნენ-მეთქი.

და აი, იმ დიდებული სადილის შემდეგ, რომელიც ზაფხულის თაკარა მზით, ლაჟვარდოვანი ცითა და ზურმუხტოვანი სიმწვანით

იყო გაჯერებული, იმ ბედნიერი სილაღით, სიმშვიდითა და უზრუნ-ველობით სავსე, ბაღში გამავალი ღია ფანჯრებიდან ოთახში რომ იღვრებოდა, „ოკროშკით“, შემწვარი წიწილებით, არაუნიანი ჟოლოთი დაგვირგვინებული გულუხვი, გრძელი, გემრიელი სადილის შემდეგ, რომლის დროსაც ნატალის სიახლოვისაგან გაბრუებულსა და იმ ნეტარი წუთების მოლოდინში, საცაა ნასადილევს მთელი სახლი მიყუჩდება, სონია (იგი ამ სადილზე ხავერდივით წითელი ვარდით თმაში ჩაბნეული გამოგვეცხადა) ჩუმად, ფეხაკრეფით შემოიპარება ჩემს ოთახში-მეთქი, ზოგჯერ სუნთქვაც კი მეკვროდა. მაგიდიდან სნრაფად წამოვდექი, ჩემი ოთახისაკენ გავწიე, დარაბები მივხურე და სონიას მოლოდინში თურქულ ტახტზე გავიშოტე. გარედან ყვავილებისა და ნაირ-ნაირი ბალახების მოტკბო სურნელი შემოდიოდა, ბაღში ჩიტების მოწყენილი, ნაშუადღევის უხალისო გალობა ისმოდა. ვინექი იმ ჩემს განიერ თურქულ ტახტზე, ეზოში ჩამოწოლილ ხვატიან სიჩუმეს ვუსმენდი და სასოწარკვეთილი ვფიქრობდი – ასეთი გაორებული როგორ უნდა ვიყო, თან ჩუმ-ჩუმად სონიასაც უნდა შევხვდე, თან ნატალიც აქვე უნდა იყოს, ის ნატალი, ვისი სახელის უბრალო გაფიქრებაზედაც კი ჩემს გულს ისეთი სითბო და სიყვარული ეუფლება, ისეთი მხურვალე სინაზე მიპყრობს, მინდა სულ ისე აღტაცებულმა ვუცქირო, როგორც წელან ვუცქერდი და ვეთაყვანებოდი მის ნატიფ, მზით გახურებულ მოაჯირზე გადახრილ ტანსა და ახლად შეღერებული გოგონას წვეტიან იდაყვებს-მეთქი. ნატალის მხრებზე ხელგადახვეული სონიაც იქვე იდგა და იმ თავის ფურჩლიანი ბატისტის „პენუარში“ ეს-ეს არის ახლად გათხოვილ ქალსა ჰგავდა. ნატალი კი, რომელსაც ტანთ ხამი ტილოს ქვედა კაბა და მალორუსული ნაქარგი პერანგი ემოსა, რომლის ქვეშაც ასე ილანდებოდა მისი ნორჩი, დიდებული სხეულის სრულყოფილება, ჯერ ისევ ზრდადაუსრულებელი გოგონა გეგონებოდა... ჩემი უდიდესი ბედნიერება სწორედ ეს იყო, რომ ფიქრშიაც ვერ წარმოვიდგენდი, შეიძლება ოდესმე ნატალისაც იმ გრძნობით ვაკოცო, რა გრძნობითაც გუშინ სონიას ვკოცნიდი-მეთქი. წითელი და ლურჯი ძაფით ამოქარგული პერანგის ფართო, ფარფარა

სახელოდან ნატიფი, პანაწა მწითური ბუსუსით დაფარული, ოქროსფრად მზემოკიდებული ნაზი, გამხდარი მკლავი მოუჩანდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ნეტავი რა მოხდება, ვთქვათ, გავბედო და ტუჩებით შევეხო?“ ნატალიმ, ეტყობა, იგრძნო ჩემი მზერა, მსხვილნაწნავშემოხვეული პატარა, ოქროსფერთმიანი თავი ჩემკენ მოაბრუნა და თვალთა ელვარე სიშავე შემომაფრქვია. მე ოდნავ გავიწიე და მზეზე გამჭვირვალე ქვედაკაბის კალთებქვეშ მისი მაღალი კანჭებისა და ნაცრისფერ წინდებში გამოკვართული თხელი, ჯიშიანი წვივების დანახვაზე თვალები ძირს დავხარე.

თმაში წითელვარდჩაბნეულმა სონიამ კარი სწრაფად შემოაღო, სწრაფადვე მიხურა და ჩუმად წამოიძახა: „აჰ, უკვე გძინავს?“ – არა, რა დროს ძილია, რა დამაძინებს-მეთქი, ამ სიტყვებით სასწრაფოდ წამოვხტი და მისი ორივე ხელი ხელებში მოვიმწყვდიე. მერე ჩუმადვე მიბრძანა, კარი გასაღებით ჩაკეტეო და მეც მაშინვე კარს ვეცი. დივანზე ჩამომჯდარი სონია უკვე თვალებმილულული ჩურჩულებდა: „კარგი ახლა, მოდი, მალე მოდი". მართლაც, გონებაარეულებს მალე უკვე აღარაფერი გვახსოვდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში არც მე და არც იმას ხმა არ ამოგვიღია, გაშმაგებული ვკოცნიდი მის მშვენიერ, შიშველ, მხურვალე სხეულს (კოცნის უფლებას სონია უკვე მაძლევდა, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ კოცნისას) და ისიც თანდათან ვნებით ივსებოდა, სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა. წასვლის წინ სონია თან ჩამოშლილ თმას ისწორებდა და თან ჩუმად მეჩურჩულებოდა:

– რაც შეეხება ნატალის, იცოდე, არაფერი შეგეშალოს, არც ისეთი მშვიდი და კარგი ხასიათისა ვარ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს!

ვარდი იატაკზე ეგდო, დიდი მონიწებით ავიღე და მაგიდის უჯრაში შევინახე. საღამოს რომ მივედი, სადღა იყო ვარდის ხავერდოვნება და სიწითლე!

გარეგნულად ჩემი ცხოვრება თითქმის არაფრით შეცვლილა, თუმცა კი შინაგანად ძალიან ვიყავი აფორიაქებული, დღითი დღე სულ უფრო მეტად და მეტად ვეჩვეოდი სონიას, მის გვერდით

გატარებულ შმაგსა და ვნებიან ღამეებს – ახლა იგი მხოლოდ გვიან ღამით მოდიოდა, ყველანი თავ-თავიანთ ოთახებში რომ გაიკრიფებოდნენ და მთელი სახლი ღრმა ძილს მიეცემოდა. თან ნატალისაც თვალს ვერ ვაცილებდი, სულ უფრო მეტი აღფრთოვანებითა და ტკივილით ვაკვირდებოდი მის თითოეულ სიტყვასა და თითოეულ მოძრაობას. ისე კი, სხვა ყველაფერი ზაფხულის ჩვეულებრივი წესითა და ყაიდით მიედინებოდა – დილას შევხვდებოდით ერთმანეთს, სადილის წინ ვიბანავებდით, მას უკან ვისადილებდით, მერე ყველანი დასასვენებლად ჩვენ-ჩვენს ოთახებში გავიკრიფებოდით, შუადღის დასვენების შემდეგ ბაღში ჩავიდოდით, ნატალი და სონია დასხდებოდნენ არყის ხეივანში და ქარგავდნენ, მეც დამისვამდნენ იქვე გვერდით და გონჩაროვის „ხრამს“ ხმამაღლა მაკითხებდნენ... ანდა, სახლის გვერდით, მუხებით მოჩრდილულ მწვანე მდელოზე, შემოუსხდებოდნენ ცეცხლზე შემოდგმული კენკრით სავსე ტაშტს და მურაბას ხარშავდნენ. ხუთ საათზე მზე რომ წამოადგებოდათ, სახლის მიპირდაპირე მხარეს გადაინაცვლებდნენ. ყველაფერ ამას მალე სამხარიც მოჰყვებოდა, ნასამხრევს კი, სახლის წინ გაჭიმულ უშველებელ ეზოში კროკეტს გავაჩაღებდით – ხან მე და ნატალი ვიყავით ერთად, ხან ნატალი და სონია. შებინდდებოდა თუ არა, ვახშამი გაიშლებოდა სასადილო ოთახში და ახლა სავახშმოდ შემოვუსხდებოდით მაგიდას... ვახშმის შემდეგ ულანი პირდაპირ დასაძინებლად მიდიოდა, ჩვენ კი ისევ დიდხანს, დიდხანს ვისხედით ჩაბნელებულ აივანზე, მე და სონია სიგარეტს ვეწეოდით და რაღაზე არ ვლაპარაკობდით, ნატალი კი იჯდა თავისთვის წყნარად და ხმას არ იღებდა... ახლა უკვე ძილის დროაო, – იტყოდა ბოლოს სონია, ამ სიტყვებზე გამოვემშვიდობებოდი ორივეს, შევიკეტებოდი ჩემს ოთახში და ხელებგაყინული იმ წუთებს ველოდი, მთელი სახლი უკუნეთ სიბნელეში როდის ჩაინთქმებოდა და ირგვლივ ისეთი მდუმარება დაივანებდა, ჩემს თავთან ჩამწვარი სანთლის ძირას დადებული ჯიბის საათის ძაფივით გაბმულ წიკწიკსაც კი გარკვევით გაიგონებდი. თან სულ გაოცებული და შეძრწუნებული ვიყავი –

ნეტავი ღმერთმა ასე რად დამსაჯა, ორი ქალი ერთად რატომ შემაყვარა, ორი ასეთი განსხვავებული, ასეთი ვნებიანი სიყვარული რატომ მომისაჯა – ერთის მხრივ, ნატალისადმი ასეთი არნახული თაყვანისცემა, მეორე მხრივ კი – სონიას სხეულით ასეთი უსაშველო აღტაცება-მეთქი. ვგრძნობდი, ვერც მე და ვერც სონია თავს ვეღარ მოვერეოდით, ამ ჩვენს სანახევრო სიახლოვეს დიდხანს ვეღარ გავუძლებდით. მთავარი კი ის იყო, ვიცოდი, მას მერე კიდევ უფრო გადარეული დავუწყებდი ლოდინს ჩვენს ღამეულ შეხვედრებს და რომ იმ განცდას ვერც მეორე დღეს მოვიცილებდი... და ეს ყველაფერი ნატალის გვერდით, ნატალის სიახლოვეს! სონია უკვე აშკარად ეჭვიანობდა, ზოგჯერ თავს ვეღარ შეიკავებდა და იფეთქებდა, თან ამასაც ამბობდა – ნატალის თანდასწრებით მე და შენ თავი ჩვეულებრივად ვეღარ გვიჭირავს, ის კი არა, მგონი, მამაცა და ნატალიც რაღაცას ხვდებიან, გადიას ხომ ეჭვიც აღარ ეპარება ჩვენს რომანში, ვინ იცის, ამის შესახებ იქნებ მამაჩემსაც ეჭორავება. რაც შეიძლება, ხშირად იყავი ბაღში ნატალისთან – იჯექი და უკითხე ის „ხრამია“ თუ ჯანდაბა. საღამოობით ხანდახან, იქნებ, სასეირნოდაც წაიყვანო... შენ გგონია, ვერ გატყობ, რა იდიოტურადაც მიაშტერებ ხოლმე თვალებს! ზოგჯერ ისე მეზიზღება, მზად ვარ, ყველას თვალწინ თმაშიც კი ვწვდეო!

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება მაინც ის იყო, რომ ნატალი, მგონი, ხვდებოდა რაღაცას, თან, არ ვიცი, ბრაზობდა, არ ვიცი, იტანჯებოდა, ისედაც სიტყვაძვირი და უთქმელი, თანდათან სულ დამუნჯდა. ქარგავდა თუ კროკეტს თამაშობდა, თამაშზე მთელი ყურადღება ისე გადაჰქონდა, ყველაფერს ისე დაჟინებით ჩაჰკირკიტებდა, იტყოდი, ამის მეტი სხვა არაფერი ახსოვს, არც არაფერი ენაღვლებაო. მალე მე და ნატალი თითქოს შევეჩვიეთ და დავუახლოვდით ერთმანეთს, მაგრამ, აი, ერთხელაც არის, მარტონი დავრჩით ოთახში – ნატალი დივანზე იჯდა და ნოტებს ფურცლავდა.

– ასე მითხრეს, მე და შენ, თურმე, შეიძლება მალე დავნათესავდეთ კიდევაც, – ვუთხარი ვითომ ხუმრობით.

ნატალიმ უკმეხად შემომხედა:

– რა?

– რა და, ალექსეი ნიკოლაიჩ მეშჩერსკი ხომ...

ნატალიმ სიტყვის დამთავრება არ მაცალა:

– აჰ, აი, თურმე, რა! მაშ ის ფეხმოჩორთილი გოლიათი, ნითელტუჩა, შავი, პრიალა თმით შებანჯგლული მეშჩერსკი... არა, მაინც ვინ მოგცათ უფლება, ასე რომ მელაპარაკებით!

ცოტა არ იყოს, შევშინდი:

– ნატალი, რა იყო, ვითომ ასეთი რა მოხდა, ასე რატომ მიჯავრდებით? ნუთუ ხუმრობაც აღარ შეიძლება!.. ნატალი, მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი!.. – ვთქვი და ხელზე ხელი მოვკიდე.

ხელი არ გამოურთმევია, ისე მითხრა:

– ნუთუ აქამდე ვერაფერი გამიგეთ, სულ ვერ გამიცანით...

დივანზე ირიბად აკეცილ ფეხებზე მისი თეთრი, გულისწასვლამდე მომხიბვლელი ტენისის ფეხსაცმლისათვის რომ არ მეცქირა, წამოვდექი და აივანზე გავედი. ბაღის მხრიდან ცას ღრუბელი მოსდებოდა, ჰაერი თანდათან მქრქალდებოდა, იბინდებოდა, ბაღიდან სულ უფრო ახლოსა და ახლოს მოინევდა ზაფხულის თბილი, საამო ჩქამი. ერთბაშად ისეთმა ნეტარმა, ისეთმა ჭაბუკურმა სითამამემ, ისეთმა უმიზეზო ბედნიერებამ შემიპყრო, თავი ველარ შევიკავე და ჩემდა უნებურად ვიყვირე:

– ნატალი, ნატალი, ერთი წუთით, ნატალი!

ნატალი კარის ზღურბლთან მოდგა:

– რა იყო, რა მოხდა?

– ჩაისუნთქეთ, ნახეთ რა სასიამოვნო ჰაერია, რა ნიავი უბერავს!

მან კი ერთხანს იყუჩა და როდის-როდის მიპასუხა:

– კი...

– ნატალი, ასე რატომ მიჯავრდებით, რას გიშავებთ?

ჩემს სიტყვებზე ნატალიმ მხრები ამაყად აიჩეჩა:

– რას, ან რატომ უნდა მიშავებდეთ?

საღამოს სამივენი ჩაბნელებულ აივანზე, დაწნულ სავარძლებში ვისხედით და ვდუმდით. შავად ჩამოწოლილ ღრუბლებს შორის აქა-იქ თითო-ოროლა ვარსკვლავი ციმციმებდა, მდინარის მხრიდან

მდოვრე, უწადინო ნიავი უბერავდა, წყლიდან ბაყაყების მოსაწყენი, რულმორეული ყიყინი ისმოდა.

– ალბათ, საცაა იწვიმებს, მეძინება, – თქვა სონიამ და დაამთქნარა, – გადია ამბობს, ახალი მთვარეა, მთელი კვირა ცა ჩამოიქცევაო, – მერე წუთით იყუჩა და დასძინა: – ნატალი, პირველ სიყვარულზე რა აზრის ხართ?

– რა აზრისა ვარ? პირველი სიყვარული, მგონი, გოგონასთვის სულ სხვაა, ბიჭისათვის სულ სხვა, – სიბნელიდან გამოეპასუხა ნატალი.

სონია ჩაფიქრდა:

– გოგოც არის და გოგოც, ყველა ერთნაირი ხომ არაა, – თქვა და სავარძლიდან წამოდგა, – სჯობს, წავიდე, დავიძინო.

– მე კი აქ დავრჩები, ცოტას წავუძინებ, ხედავ, რა შესანიშნავი ღამეა, – თქვა ნატალიმ.

სონიას ფეხის ხმა რომ მიწყდა, ჩუმად ჩავილაპარაკე:

– ნატალი, ამ საღამოს მე და თქვენ, მგონი, უსიამოვნო საუბარი გვქონდა.

ამაზე ნატალიმ ეგრევე მაჯახა:

– კი, ასე იყო...

მეორე დილას თითქოს მშვიდად, ჩვეულებრივად შევხვდით ერთმანეთს. იმ ღამეს წყნარი, ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა, მაგრამ დილით ისევ გამოიდარა, ნასადილევს კი მიწა უკვე გაშრა და ჩამოცხა კიდევაც. ჩაის წინ, ხუთი საათისათვის, ვიდრე სონია ულანის კაბინეტში იჯდა და რაღაცას ანგარიშობდა, ჩვენ არყის ხეივანში ვისხედით, ნატალი თავწახრილი იჯდა და რაღაცას კერავდა. მე ისევ „ხრამის" კითხვას განვაგრძობდი, დროდადრო ტკბილი სევდით გავხედავდი ნატალის მარცხენა ხელს, კისრისა და ბეჭის გასაყართან ამოსულ პანანა მოწითალო ბუსუსებს და სულ უფრო მეტი ხალისით ვაჭიკჭიკებდი გონჩაროვს, თუმცა იმ ჩემი ნაკითხულიდან მე თვითონ ერთი სიტყვაც არ მესმოდა.

– ნატალი, ახლა კი თქვენ წაიკითხეთ...

ნატალი წელში გაიმართა და სიფრიფანა ზედა კაბის ქვეშ მკერდის პაწაწა კერტები დააჩნდა, მერე საკერავი გვერდზე გადადო, ისევ წაიხარა, თავისი საოცარი, მომხიბლავი თავი ძირს დახარა, წიგნი მუხლებზე დაიდო და კითხვას როგორღაც ხმააკანკალებული შეუდგა. ვუყურებდი მის ხელებს, წიგნის ქვეშ მოქცეულ მის თხელ მუხლისთავებს, ვუსმენდი მის ხმას და შმაგი სიყვარულით შეპყრობილს ლამის გული მეპარებოდა. ბაღში გვიანი მწუხრი იდგა, ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში აფრენილი მოლაღურების ძახილი ისმოდა. ჩვენს პირდაპირ, არყის ხეებს შორის ამოზრდილ ნაძვის ზროს მოწითალო-მონაცრისფრო კოდალა მისჯდომოდა და აკაკუნებდა.

– ნატალი, რა გასაოცარი ფერის თმა გაქვთ, თან ნაწნავი თითქოს ცოტა უფრო მუქია, შემოსული სიმინდის ფერი.

ნატალის თავი არ აუწევია, იჯდა და კითხვას განაგრძობდა.

– ნატალი, ხედავთ, კოდალა!

ნატალიმ ფიჭვს ახედა:

– ვხედავ, დღესაც დავინახე და გუშინაც, ხელს ნუ მიშლით...

ცოტა ხანს გავყუჩდი, მაგრამ, დიდხანს ვეღარ გავუძელი:

– შეხედეთ, სულ გამხმარ ჭიას არ ჰგავს?

– სად, რა?

მე ჩვენს შუა სკამზე შემხმარ ჩიტის სკინტლზე მივუთითე:

– არა, ხომ ასეა?

მერე მისი ხელი ხელში ავიღე – ხელზე ხელს ვუჭერდი და ყელს მომდგარი ბედნიერებისაგან ჩუმად ვლუღლუღებდი:

– ნატალი, ნატალი!

ნატალიმ წყნარად შემომხედა და თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

– კი, მაგრამ თქვენ ხომ სონია გიყვართ?!

მე დანაშაულზე წასწრებული ცრუპენტელა თაღლითივით გავწითლდი, მაგრამ ნატალის სიტყვები ისე ვიტკიცე, ისეთი სიფიცხით განვაცხადე სონიას სიყვარულზე უარი, ნატალიმ გაოცებისაგან პირიც კი დააღო:

– ტყუილს ვამბობ?

– ტყუილია, აბა, რა, მართალი ხომ არ არის! სონია, რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს, მაგრამ საკუთარი დასავით, ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვმეგობრობთ!

4

მეორე დღეს ნატალი არც დილას გამოჩენილა, არც სადილად.

– სონია, ნატალი სად არის? – იკითხა ულანმა.

ქალიშვილმა ეშმაკურად ჩაიღიმა:

– ზის თავის ოთახში პერანგის ამარა და სახე ისეთი ნამტირალევი აქვს, ეტყობა მთელი ღამე იღრიალა. ასე ამბობს, თავი მტკივაო, ნეტავი, შეყვარებული ხომ არ არის?

– რატომაც არა! – ჩაიროხროხა ულანმა და მე გადმომხედა.

ნატალი მხოლოდ საღამოს ჩაიზე გამოჩნდა – მკვირცხლად, ხალისიანად გამოვიდა აივანზე, თბილად, როგორღაც დამნაშავესავით გამიღიმა. მისმა ღიმილმა, მისმა ხალისმა და სიმკვირცხლემ, მისმა ახალმა მორთულობამ, ცოტა არ იყოს, გამაოცა – თმა მჭიდროდ ჰქონდა შეკრული, შუბლზე ჩამოშლილი ლოკონი თმის სახვევი მაშით ოდნავ დატალღული. ტანზე მწვანე, წელში გადაუჭრელი, ლამაზად მომდგარი, უბრალო, მაგრამ მეტად მოხერხებული კაბა ეცვა, ფეხთ შავი, ქუსლიანი ფეხსაცმელი ემოსა – შევხედე და აღტაცებისაგან ჩუმად ამოვიოხრე. აი, ვზივარ აივანზე, „ისტორიჩესკი ვესტნიკსა“ და ულანის მიერ ნაჩუქარ რაღაც წიგნებს ვათვალიერებ, რომ ნატალიმაც მკვირცხლად, ოდნავ დამორცხვებული ღიმილით შემოაბიჯა:

– საღამო მშვიდობისა... ჩაიზე მობრძანდით, დღეს საღამოს სამოვართან მე ვიტრიალებ, სონია ცოტა შეუძლოდაა.

– როგორ, ხან თქვენ ხართ შეუძლოდ, ხან სონია?

– მე, უბრალოდ, თავი მტკიოდა. მართალი გითხრათ, თქმისაც კი მერიდება – მხოლოდ ახლა ჩავიცვი, თმაც კი ახლა დავივარცხნე.

– რა საოცრად ეხამება მწვანე ფერი თქვენს თმასა და თვალებს!.. ხომ დამიჯერეთ, გუშინ რაც გითხარით? – ვკითხე სრულიად მოულოდნელად და გავწითლდი.

ჩემს სიტყვებზე ნატალისაც სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა:

– არა, უცბად ვერ დაგიჯერეთ, მაგრამ, მერე რომ დავფიქრდი... კაცმა რომ თქვას, ვითომ, მე რა მესაქმება თქვენი და სონიას სიყვარულთან... წავიდეთ, ვივახშმოთ.

ვახშამზე სონიაც გამოვიდა, წუთით დრო იხელთა და ამისი თქმა მაინც მოახერხა:

– ამ დილას ავად გავხდი. ამ დროს მთელი ხუთი დღე ვწევარ, აი, დღეს, როგორც იქნა, გამოვედი, ხვალ, ალბათ, ვეღარ შევძლებ. აბა, შენ იცი, რა ჭკვიანადაც მოიქცევი, იცოდე, ძალიან მიყვარხარ და ძალიან ვეჭვიანობ.

– ნუთუ ჩემთან ცოტა ხნით მაინც არ შემოივლი?

– სულელო...

სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ეს ბედნიერებაც იყო და უბედურებაც – მთელი ხუთი დღე შემეძლო თავისუფლად ვყოფილიყავი ნატალისთან, ხელს არავინ შემიშლიდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მთელი ეს ხუთი ღამე უსონიაოდ უნდა გამეტარებინა.

და აი, იმ დღიდან მთელი კვირა ნატალი წარმართავდა საოჯახო საქმეებს – დადიოდა ეზოსა და სამზარეულოში თეთრწინსაფარაფარებული და ეტყობოდა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა სონიას მოადგილეობა თუ მზრუნველი დიასახლისის როლი. ასეთი საქმიანი მე იგი არასოდეს მენახა, თითქოს ისვენებს იმ დაძაბული, საიდუმლო მეთვალყურეობისაგან, რომელსაც ჩემსა და სონიას მიმართ იჩენდა – რას ვამბობდით, როგორ გადავხედავდით, როგორ გადავულაპარაკებდით ერთმანეთს. მართალია, ყოველი სადილობა დიდ ღელვად და ნერვიულობად უჯდებოდა, მაგრამ – მოხუცი მზარეულიც, ქრისტიაცა და „ხოხლუშკა" მოსამსახურეც ყველაფერს დროზე და რიგიანად ამზადებენ, სუფრასაც დროზე შლიან, ულანს არავინ არაფრით აღიზიანებსო, ბოლოს მუდამ კმაყოფილი რჩებოდა. სადილის საზრუნავს მოითავებდა თუ არა, მაშინვე სონიასთან

გარბოდა, ჩაიკეტებოდნენ ოთახში და მე ახლოსაც არ მაჭაჭანებდნენ. ნავახშმევსაც მთელ საღამოს სონიას ოთახში იჯდა, როგორც ჩანს, ჩემთან განმარტოებას გაურბოდა. მე კი საშინელ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, საშინლად ვიტანჯებოდი, ჯერ ერთი, მარტოობისაგან გული მელეოდა და აღარ ვიცოდი, რა მექნა, სად წავსულიყავი, მეორეც, ვერა და ვერ გამეგო, ნატალი ასე რატომ იქცეოდა – თან თითქოს საოცრად ალერსიანი და თბილი გახდა, თან სულ გამირბოდა, ახლოს არ მეკარებოდა. სულ იმის გარჩევაში ვიყავი, ნეტავი, საკუთარი თავისა და საკუთარი გრძნობებისა ეშინია თუ სონიას გამოა ასე-მეთქი... ვცდილობდი, როგორმე ჩემი თავი დამერწმუნებინა, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის შიში აქვს, აბა, სხვა რა უნდა იყოს, ესეც რომ არა, საუკუნოდ ხომ არ ვარ სონიასთან დაკავშირებული, ან მე და ან ნატალი აქ საუკუნოდ ხომ არ დავრჩებით, ერთი-ორი კვირაც და წავალთ, მერე კი, ნატალის სახლში დავიგულებ თუ არა, მოვიმიზეზებ რაღაცას და სტანკევიჩებს ვესტუმრები. ცხადია, ასე უსინდისოდ სონიასაგან გაქცევაც არ არის დიდი ვაჟკაცობა, მაგრამ ადვილი ხომ არ არის, თან სონიასთან უნდა ვითვალთმაქცო, თან სულ იმის ოცნებაში უნდა ვიყო, ნატალის ხელსა და გულს როგორ დავეუფლო-მეთქი... „ნუთუ მხოლოდ ვნების გამო ვკოცნიდი სონიას ასე გაგიჟებით, ნუთუ იოტისოდენადაც არ მიყვარდა?" – ვფიქრობდი და თავს ვიმშვიდებდი: „რას იზამ, სხვა რა გამოსავალია, ადრე იქნება თუ გვიან, სულერთია, ამას ვერსად გავექცევით". ვიყავი ასე დაუსრულებელ ფიქრსა და სულიერ მღელვარებაში, სულ რაღაც ახლის მოლოდინში... ნატალისთან შეხვედრისას კი ვცდილობდი, რაც შეიძლება საყვარელი, რაც შეიძლება თავდაჭერილი ვყოფილიყავი და, სანამ საჭიროება მოითხოვდა, პირუჩუმრად მეთმინა. თითქოს ჩემს ჯინაზე, სამი დღე გადაუღებლად წვიმდა, გეგონება, სახურავზე ათასობით პატარა თათი დატყაპუნობსო, ცვიოდა და ცვიოდა ტყაპატყუპით წვიმის მსხვილი, დიდრონი წვეთები. მთელ სახლში ბინდი იწვა, ჭერსა და ლამპაზე ბუზები თვლემდნენ. ისე მომენყინა, აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი, რა მექნა, ზოგჯერ

საათობით ვიჯექი ულანის კაბინეტში და მის მიერ მოყოლილ ნაირ-ნაირ ამბებს უსიტყვოდ ვუსმენდი...

ამასობაში სონიაც გამოკეთდა, ჯერ ხალათიანმა დაიწყო აივანზე გამოსვლა, მინვებოდა სავარძელში მიმქრალი და მისუსტებული, იმ თავისი ღიმილით და ისე ჭირვეულად, ისე ნაზად, ისეთი დათაფლული მელაპარაკებოდა, ლამის გული გამხეთქოდა. ნატალის ხომ აინუნშიაც არ აგდებდა:

– გვერდით დამიჯექი, ვიტიკ, გული მტკივა, რაიმე სასაცილო მომიყევი... გადიამ, ეტყობა, მართალი თქვა, მთვარე, ჩანს, მართლა პირს იბანდა... ძლივს არ მოათავა ის თავისი პირის ბანა! ხედავ, როგორ გამოიდარა, ირგვლივ ყვავილების რა სასიამოვნო სურნელი დატრიალდა...

მე კი ისე გაღიზიანებული ვარ, ლამის გულს ვასკდები:

– მგონი, ისევ გაავდრდება.

სონიამ ხელზე ხელი დამკრა:

– არა გრცხვენია, ავადმყოფს რატომ ეწინააღმდეგები!

და აი, სონია უკვე სადილზედაც გამოდის და სალამოს ჩაიზედაც, თუმცა ჯერ ისევ უფერულად გამოიყურება, თან ეტყობა, მაინცდამაინც ჯანზეც ვერ არის, ჯერ ვერც აივანზე გამოსვლას ბედავს სალამოობით. ერთხელაც არის, ქრისტიამ მაგიდა აალაგა, სამოვარი სამზარეულოში გაიტანა, სონია თავის ოთახში გავიდა და აივანზე მე და ნატალი დავრჩით.

– სონია ბრაზობს, სულ ასე გვერდიდან რომ არ ვშორდები და თქვენ ასე მარტოდმარტო დადიხართ... უიმისოდ, ვიცი, ძალიან მონყენილი ხართ, მაგრამ...

– მონყენილი მხოლოდ უთქვენოდ ვარ... – სიტყვა არ დავასრულებინე და თან დაბეჯითებით გავუმეორე: – მონყენილი მაშინა ვარ, როდესაც თქვენ ვერ გხედავთ.

ჩემს სიტყვებზე ნატალის სახე შეეშალა, მაგრამ მალე ისევ თავს სძლია და ნაძალადევად გაიღიმა:

– აკი შევთანხმდით, აღარ ვიჩხუბოთო? იცით, რას გეტყვით, ეტყობა, ძალიან ჩაჯექით სახლში, ნადით, ვახშამამდე ცოტა გაიარ-

გამოიარეთ, მერე მეც ჩამოვალ და ბაღში თქვენთან ერთად დავჯდები. მადლობა ღმერთს, ის თქვენი წინასწარმეტყველება, გაავდრდებაო, არ გამართლდა, ეტყობა, შესანიშნავი ღამე იქნება...

– სონია მეცოდება, თქვენ? ნუთუ თქვენ არ გეცოდებათ?

– ძალიან, – ამბობდა ნატალი და თან ჩაის ჭურჭელს სინზე ალაგებდა, – მალე სონიაც გამოკეთდება და თქვენც ასე მოწყენილი აღარ იქნებით...

მაგრამ ამ წუთას – მერე მეც ჩამოვალ, ბაღში თქვენთან ერთად დავჯდებიო, – თავში მხოლოდ ნატალის ეს სიტყვები მიტრიალებდა და გული ტკბილად მეკუმშებოდა. მერე უცებ ეჭვმა გამკრა: – „იქნებ მასიამოვნა, უბრალოდ, ტკბილი სიტყვა მითხრა?“ ამის გაფიქრებაზე მაშინვე ჩემს ოთახში გავიქეცი – დიდხანს ვინექი გარინდებული და ჭერს მივჩერებოდი. ბოლოს ავდექი, საკიდიდან ჩემი სტუდენტური „კარტუზი“ ჩამოვიღე, ვიღაცის ხელჯოხი ავიღე, ეზოდან დაუფიქრებლად გამოვედი და ულანების მამულსა და „ხოხლაცკების“ სოფელს შუა სტეპის შიშველი ბექობისაკენ მიმავალ შარას დავადექი. შარაგზა მწუხრით მოცულ ტრიალ მინდვრებს მიუყვება. ირგვლივ ვრცელი, გაშლილი მინდვრები და უსასრულო თვალსანიერია გაჭიმული... მარცხნივ, მდინარისპირა დაბლობს ზემოთ, ჰორიზონტისაკენ აცერებული ვრცელი, შიშველი მინდვრები მოჩანს, შორს, სადღაც, ახლად ჩასული მზის შუქით წითლად განათებული დასალიერი ვარვარებს. ხელმარჯვნივ სნორ, ერთგვაროვან რიგებად ჩამწკრივებულ, ტყუპისცალებივით ერთნაირ თეთრ ქოხებს დაფიონის წითელი ანაშუქი დასდგომია. და ეს, ვარდისფერ შუქში გახვეული სოფელი, კაცთაგან მიტოვებული, ყრუ და უკაცრიელი გეგონება... ვდგავარ და სევდიანად გავყურებ მიმწუხრში გარინდებულ თეთრ სახლებსა და წითლად გავარვარებულ დაფიონს... უკან რომ გამოვბრუნდი, თბილი, ალერსიანი ნიავი ქროდა, დროდადრო ცხელი, ხორშაკი ქარი წამოუბერავდა და პირდაპირ სახეში მირტყამდა. ცაზე უკვე ახალი მთვარე ანათებდა.

იმ საღამოს ჰაერი როგორღაც ჩამოიხუთა, საშინელი სიცხე დაიჭირა და გადავნყვიტეთ, ამჯერადაც ბაღში გვევახშმა.

– ბიძია, რას ფიქრობთ, როგორი ამინდი იქნება? მგონი, ხვალ ინვიმებს, – ვკითხე ულანს, ვახშამზე რომ ვისხედით.

– რატომ, ჩემო მეგობარო?

– ეს-ეს არის, მინდორში ვიყავი, დიდხანს, დიდხანს ვიარე მოწყენილმა. დავდიოდი ჩემთვის და ვფიქრობდი, აი უკვე ჩემი წასვლის დროც დადგა-მეთქი, ალბათ, მალე მიგატოვებთ.

– ვითომ რატომაო?

ნატალიმ თვალები შემომაფეთა:

– წასვლას აპირებთ?

თვალთმაქცურად გავიღიმე:

– ხომ არ შეიძლება...

ულანმა თავი კიდევ უფრო ენერგიულად გააქნია:

– რა სისულელეა!... დედაშენიცა და მამაშენიც მშვენივრად გაძლებენ უშენოდ, ორ კვირას აქედან ფეხს ვერ მოიცვლი, მარტო მე კი არა, აი, ნატალიც არ გაგიშვებს.

– ვიტალი პეტროვიჩთან რა მესაქმება, მე რა შუაში ვარ, – სასტიკად იუარა ნატალიმ.

მე საცოდავად დავიღრიჯე:

– ბიძია, აუკრძალეთ ნატალის, უთხარით, ასე ნუ მეძახის!

ულანმა მაგიდას ხელი დაჰკრა:

– ნატალი, იცოდე, გიკრძალავ! რაც შეეხება შენს წასვლას, კმარა, გეყოფა ლაილაი. ამინდი კი, მგონი, მართალი ხარ, ადვილი შესაძლებელია, ისევ წახდეს.

– მინდორში ჰაერი ისე გამჭვირვალე იყო, მთვარეც ისე იყო მოკრიალებული, თან სამხრეთის ისეთი თბილი ქარი უბერავდა... აი, ხედავთ, როგორი ღრუბლები წამოიშალა-მეთქი!

ულანმა ბაღს გახედა – ბაღი ხან მთვარის შუქში გაეხვეოდა, ხან ღრუბელი წამოადგებოდა და ბინდი ჩამოწვებოდა.

– არა, ძმაო ნამდვილი მომავალი ბრიუსი ხარ...

და აი, რა ხანია აივანზე ვდგავარ და ნატალის ველოდები, გული ვერა და ვერ დამიმშვიდებია – სისულელეა... ჩემდამი, ვთქვათ, რაიმე გრძნობა კიდევაც რომ ჰქონდეს, ალბათ მეტისმეტად

არამყარი და არასერიოზული იქნება-მეთქი, – ვფიქრობ საშინლად მოწყენილი. ახალი, პირმოკრიალებული მთვარე სულ უფრო ზევითა და ზევით მიიწევს, ცას მოჯარულ, მთასავით ნამომართულ თეთრ-კვამლისფერ ღრუბლებს გაეთამაშება და ღრუბელსა და ღრუბელს შორის თვალს რომ გამოაჭყეტს, თავის ფერმკრთალ, ადამიანის პროფილის მსგავს სხივმოსილ სახეს რომ გამოაჩენს, ირგვლივ ყველაფერს ნათელი ეფინება, ყველაფერი ფოსფორული შუქით იმოსება. ათი საათი იქნებოდა, უცბად რაღაც ვიგრძენი და უკან მივიხედე – ნატალი კარის ზღურბლთან იდგა, ხელები ზურგზე დაეწყო და ჩუმად შემომყურებდა. დავინახე თუ არა, მაშინვე ფეხზე წამოვდექი.

– კიდევ არა გძინავთ? – მკითხა სასხვათაშორისოდ.

– კი, მაგრამ, ხომ მითხარით...

– მაპატიეთ, დღეს ძალიან დაღლილი ვარ, აქვე, ხეივანში ცოტა გავიაროთ, მერე კი წავალ, დავიძინებ...

ნატალი წუთით აივნის კიბის საფეხურზე შედგა და ბაღში ხის კენწეროებს გახედა. ბაღის გადაღმა ცა უკვე შავი ღრუბლებით იყო დაფარული, ელავდა. მერე იგი არყის ხეების გრძელ ხეივანში შევიდა და ხეივნის ჭრელ, მეჩხერ ჩრდილს შეერია. კარგა ხანს უკან მივყვებოდი. როდესაც გავუსწორდი, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვლაპარაკებოდი, ჩუმად ვუთხარი:

– ნახეთ, რა ზღაპრულად ელავენ შორიდან ეს ალვები... არაფერია მთვარით განათებულ ტყის გულზე უფრო მშვენიერი. გახედავ ტყის სიღრმეს და სახეში თეთრად შემოგანათებს არყის აშოლტილი ზრო და ფოთლის აბრეშუმისებრი ელვარება.

ნატალი შეჩერდა და ღამის სიბნელეში კიდევ უფრო შავად ჩამუქებული თვალებით სახეში დაჟინებით ჩამაცქერდა:

– მართლა მიდიხართ?

– დიახ, უკვე დროა...

– კი მაგრამ, ასე უცბად რატომ გადაწყვიტეთ? არ დაგიმალავთ და, რომ თქვით, მივდივარო, გავვოცდი.

– ნატალი, შინ რომ დაბრუნდებით, შეიძლება ჩამოვიდე და თქვენს მშობლებს გავეცნო?

იგი ერთხანს გაჩუმებული იდგა.

მისი მარჯვენა ხელი ხელში ავიღე და სუნთქვაშეკრული დავეკონე:

– ნატალი...

– დიახ, დიახ, მიყვარხართ, – თქვა სახეგამშრალმა თითქმის ჩურჩულით, მაშინვე მიტრიალდა და სახლისაკენ წავიდა, მეც უკან მთვარეულივით ავედევნე.

– წადით, ხვალვე გაემგზავრეთ, – თქვა ისე, რომ უკან არ მოუხედავს, – რამდენიმე დღეში მეც უკვე შინ ვიქნები...

5

ოთახში გაოგნებული შევედი, სანთელიც არ ამინთია, დივანზე გაშტერებული ჩამოვჯექი და გავშეშდი – ჩემს ცხოვრებაში მეხივით გავარდნილი ამ საოცარი ამბით ისე ვიყავი დაბნეული, აღარაფერი მესმოდა. ცაზე შავად ჩამოწოლილმა ღრუბელმა მალე ირგვლივ ყველაფერი ჩააბნელა. ღია ფანჯრებიდან ფოთლების შრიალი ისმოდა – მთელი ბაღი თრთოდა, ირწეოდა, მომწვანო-მოცისფრო ელვა წამიწამს ცას გაკვეთდა, მთელ ოთახს კაშკაშა სინათლეში გაახვევდა და ისევ ჩამობნელდებოდა. მერე ელვამ თანდათან იმატა, უცებ ოთახი რაღაც არაბუნებრივი მომწვანო-მოცისფრო სინათლით აივსო, გრილმა სიომ დაჰბერა და ბაღიდან ისეთი საშინელი ზრიალი წამოვიდა, მთელი ბაღი ისეთმა არნახულმა ძრწოლამ აიტანა, თითქოს ეს არის, მთელი ცა და დედამიწა იწვისო! სასწრაფოდ წამოვხტი და ფანჯრები დიდის გაჭირვებით ჩავკეტე – ქარი ფანჯრის ჩარჩოებს ხელიდან მტაცებდა, ლამის მაქცევდა... არ ვიცი, იმ წუთას სასადილოსა და სასტუმროს ღიად დარჩენილი ფანჯრები რატომ გამახსენდა, ჩაბნელებული დერეფანი ფეხაკრეფით გავირბინე და სასადილო ოთახში შევვარდი, მაგრამ სასტუმროშიაც და სასადილოშიაც ფანჯრები დაკეტილი დამიხვდა – ესეც იმ რაღაც უცნაურ, არაამქვეყნიურ მომწვანო-მოცისფრო შუქზე დავინახე – შუქმა მთელი

ოთახი გადააკაშკაშა, სინათლე უსაშველოდ გაზრდილ-გაფართოებულ ფანჯრებს შეასკდა, მალე ყოველივე ისევ უკუნეთმა შთანთქა და დაბრმავებულ თვალებში რაღაც თუნუქისებური სინითლის კვალი ჩამიტოვა. მე მაშინვე უკან გავტრიალდი და ჩემს ოთახში ისე გაგიჟებული შევვარდი, თითქოს იქ რაღაც სასწაული მელოდა. ოთახში რომ შევედი, სიბნელიდან გაბრაზებული ჩურჩული მომესმა:

– სადა ხარ? სანთელი აანთე, ჩქარა, მეშინია!

ასანთს რომ გავკარი, დივანზე ღამის პერანგის ამარა, ფეხსაცმელში შიშველფეხებწაყოფილი სონია დავინახე.

– არა, არა, არ გინდა, არ აანთო... მეშინია, მოდი, მომეხვიე, ჩქარა, ჩქარა მოდი, – სხაპასხუპით მიაყარა სონიამ.

მორჩილად ჩამოვჯექი მის გვერდით და გაყინულ ბეჭებზე ხელი მოვხვიე.

– მაკოცე, კარგი ახლა, მაკოცე, გულში ჩამიკარი, მე ხომ აქ მთელი კვირაა არ ვყოფილვარ!

ჩამჩურჩულა სონიამ და დივანზე დაწყობილ ბალიშებზე ძალით გადამაწვინა.

სწორედ ამ დროს ღია კარის ზღურბლზე იმ თავისი ნარინჯისფერი პერანგითა და სანთლით ხელში ნატალი გამოჩნდა, ცხადია, მაშინვე მშვენივრად დაგვინახა, მაგრამ ანგარიშმიუცემლად იკითხა:

– სონია, სადა ხარ, მეშინია...

თქვა და იმავე წუთს გაუჩინარდა. ამ სიტყვებზე სონიაც წამოხტა და უკან გაედევნა.

6

ამ ამბიდან ერთი ნელიც არ იყო გასული, რომ ნატალი მეშჩერსკის გაჰყვა ცოლად. ჯვარი ბლაგოდატნოს თითქმის ცარიელ ეკლესიაში დაინერეს – არც ნატალისა და არც მეშჩერსკების მხრიდან ჯვრისწერას არავინ დასწრებია. ქორწილზე არავინ დაუპატიჟებიათ, არც თვითონ სწვევიან ქორწილის შემდეგ ნათესავებსა და ახლობლებს – მაშინვე ყირიმში გაემგზავრნენ.

მომავალი წლის იანვარში, ტატიანობა დღეს, ვორონეჟის კეთილშობილთა საკრებულოში სტუდენტების მეჯლისი იყო დანიშნული. იმ დროისათვის უკვე მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი და შობის დღეებს შინ, სოფელში ვატარებდი. სამეჯლისოდ ვორონეჟში რომ მივდიოდი, მთელი გზა საშინელი ქარბუქი ქროდა, თოვლის კორიანტელში გახვეული მატარებელი თეთრად იყო შებორბლილი. ვიდრე მეეტლე სადგურიდან მარხილით სათავადაზნაურო სასტუმროში მიმიყვანდა, ისე თოვდა, ისეთი ბურუსი იდგა, ქუჩის პირად ჩამწკრივებული ფარნების შუქიც კი არ ჩანდა. მიუხედავად ამისა, სოფლის იმ მოწყენილობისა და იმ მარტოობის შემდეგ ეს ქარბუქიც და თოვლში ძლივს აბჟუტებული ეს სინათლეებიც ხალისიან გუნებაზე მაყენებდა, გულს ძველი, საგუბერნიო სასტუმროს თბილი, ჩაღუღუნებული ნომრის სასიამოვნო მოლოდინით მივსებდა – მივიდოდი, სამოვარს შემოვატანინებდი, ტანისამოსს გამოვიცვლიდი, სამეჯლისოდ გამოვეწყობოდი და ისე, როგორც სტუდენტებს სჩვევიათ, მთელ ღამეს ლოთობაში გავათენებდი. ჩერკასოველების სახლში გატარებული იმ საშინელი ღამისა და ნატალის გათხოვების შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვეგე, ასე თუ ისე, როგორღაც მივეჩვიე იმ სულით ავადმყოფი ადამიანის მდგომარეობას, ვისი ცხოვრებაც მხოლოდ სხვათა დასანახავად არის ჩვეულებრივი.

კეთილშობილთა საკრებულოს შენობაში რომ შევედი, მეჯლისი ის-ის იყო იწყებოდა. სადარბაზოში კიბეცა და კიბის პატარა მოედანიც უკვე ხალხით იყო გაჭედილი, თან სულ მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მთავარი დარბაზიდან ხან ვალსის საზეიმო-სევდანარევი მუსიკა ისმოდა, ხან პოლკის ხმამაღალი გრიალი. ჯერ ისევ ყინვისაგან სახეალენილმა და ახალთახალ მუნდირში გამოწყობილმა, რის გამოც კიდევ უფრო გადაჭარბებული თავაზითა და განსაკუთრებული მოხდენილობით მივიკვლევდი გზას ხალხით სავსე, წითელი ფიანდაზით მოგებულ საფეხურებზე, როგორც იქნა, კიბის ბაქნამდე მივაღწიე, დარბაზის წინ მჭიდროდ შეჯგუფებულ, ხალხის კარგა მოზრდილ, შეფიცხებულ ტალღას შევერიე და რატომღაც წინ ისე მონდომებით, ისე დაბეჯითებით გავწიე, ეტყობა, იფიქრეს, უთუოდ

რიგის მიმცემია, დარბაზში რაღაც აუცილებელი საქმისათვის მიიჩქარისო. ბოლოს, როგორც იქნა, დარბაზის შესასვლელამდე მივაღწიე და კართან გავჩერდი. მუსიკას იქვე, ჩემს ზემოთ გაჰქონდა გრიალი, ვიდექი და გაბუღვრიალებული ჭაღების ზიმზიმსა და ჭაღებქვეშ ვალსის ხმაზე მოსრიალე ათობით ქალ-ვაჟს ჩუმად შევყურებდი, რომ ერთბაშად ელდანაკრავივით უკან დავიხიე – მოტრიალე ბრბოში უცებ ერთ ყველასაგან გამორჩეულ, შესანიშნავად მოცეკვავე წყვილს მოვკარი თვალი, რომლებიც სხვა დანარჩენებთან ერთად არაჩვეულებრივად მოქნილი, მსუბუქი ცეკვატრიალით პირდაპირ ჩემკენ მოსრიალებდნენ. დავინახე თუ არა, მხრებში ოდნავ მოხრილი, ზორბა ტანის მიუხედავად, არაჩვეულებრივად მსუბუქად, მოხდენილად მოცეკვავე (რითაც ზოგიერთი ტანსრული ადამიანი მაყურებლის განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს), შავ ფრაკში გამოწყობილი, შავთმიანი, ზონზროხა მამაკაცი და მის გვერდით საგანგებოდ თმადავარცხნილი, ოქროსფერ ბრჭყვიალა ფეხსაცმელსა და გრძელ, სამეჯლისო თეთრ კაბაში მორთული ტანწერწეტა ახალგაზრდა ქალი, ისე შევტორტმანდი, კინაღამ დავეცი. ქალს იდაყვამდე თეთრ ხელთათმანში გამოკვართული, საოცრად ნატიფი, გედის კისერივით გაღუნული მკლავი კაცის მხარზე ჩამოედო და თვალებდახრილი, ოდნავ თავგადაღერილი ცეკვავდა. წუთით თავისი გრძელი, შავი წამწამები სახეზე შემომაფეთა და მისი თვალების საოცარმა სიშავემ სულ ახლოს ისე ჩამიელვა, რომ კაცი ამ დროს მსუქანი მამაკაცისათვის ჩვეული გულმოდგინებით ლაქის ფეხსაცმლის წვერზე მსუბუქად გასრიალდა და ისე ერთბაშად შეატრიალა, მოულოდნელობისაგან შემკრთალი ქალის ოდნავ გაღებულ ბაგეს მსუბუქი ოხვრაც კი აღმოხდა. კაბის კალთამ წუთით ვერცხლისფრად გაიელვა და თავბრუდამხვევი ტრიალ-ტრიალით კაცმა ქალი კვლავ შუა დარბაზისაკენ წაასრიალა. მე ისევ კიბის ბაქანზე მოდგანდგარე ხალხის ტალღაში გავძვერი, ხალხს გავერიდე და ცოტა ხანს იქვე გვერდით გავჩერდი... ჩემს გასწვრივ, ჯერ ისევ ცარიელი, გრილი დარბაზის ღია კარიდან შამპანურების ბოთლებით სავსე ბუფეტი მოჩანდა, ბუფეტთან ორი

მოლორუსულ ტანისამოსში გამონყობილი მოსწავლე გოგონა საქმის მოლოდინში მოწყენილი იდგა. ერთი ქერათმიანი, საკმაოდ მოხდენილი, მეორე კი გაცილებით მაღალი, თხელი, შავთვალწარბა, შავგვრემანი კაზაკი გოგონა იყო, რომ იტყვიან, ნამდვილი მზეთუნახავი. დარბაზში შევედი, გოგონებს თავი დავუკარი და ქაღალდის ასმანეთიანი გავუწოდე. გოგონებმა დახლქვეშ დადგმული ყინულით სავსე ვედროდან უშველებელი ბოთლი სიცილ-სიცილით ძლივს ამოათრიეს და, ალბათ, შეეშინდათ, ეს ამოდენა ბოთლი როგორ უნდა გავხსნათო, ერთმანეთს გაუბედავად გადახედეს. სასწრაფოდ დახლში შევედი, ბოთლს საცობი ხმაურით დავაძრე, თითო ბოკალი ღვინო ქალიშვილებს მხიარულად შევთავაზე – Gaudeamus igitur![1] – და დანარჩენი ჭიქა-ჭიქობით მთელი ბოთლი ბოლო წვეთამდე გამოვცალე. გოგონები ჯერ გაოცებულები მომჩერებოდნენ, მერე კი თავი ველარ შეიკავეს და შეწუხებულებმა მითხრეს:

– იცით, ისეთი ცუდი ფერი გადევთ!

ღვინის სმას მოვრჩი თუ არა, მეჯლისი მაშინვე მივატოვე. სასტუმროში რომ მივედი, ნომერში ერთი ბოთლი კავკასიური კონიაკი შემოვატანინე და იმის იმედით, იქნებ როგორმე გამისკდეს ეს გული-მეთქი, მთელი ბოთლი კონიაკი ჩაის ფინჯნითა ვსვი...

და აი, მას შემდეგ კიდევ ერთმა წელინადმა განვლო. იდგა მაისის ბოლო რიცხვები, მოსკოვიდან მაშინაც ის-ის არის ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ შიკრიკმა სადგურიდან ნატალის დეპეშა მოგვიტანა: „ალექსეი ნიკოლაევიჩი დღეს დილას მოულოდნელად გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით“...

– ღმერთმა აცხონოს, – თქვა მამამ დეპეშის წაკითხვის შემდეგ და პირჯვარი გადაინერა, – უფალო, შემინდე, მართალია, მაინცდამაინც გულზე არასდროს მეხატა, მაგრამ, ძალიან მეცოდება, აბა, წარმოიდგინე, ჯერ ორმოცისაც არ იყო... ნატალიზეც სულ გული მეტანჯება – ასეთი ახალგაზრდა ქალი და უკვე ქვრივი! აბა, რა უნდა ქნას, ან ამ ობლად დარჩენილ ბავშვს რა უნდა უყოს...

---

[1] ხომ უნდა ვიმხიარულოთ (ლათ.).

მართალია, ნატალისათვის თვალიც არ მომიკრავს – წარმოგიდგენია, ერთხელაც არ ამოიყვანა და არ გვაჩვენა, მაგრამ, ამბობენ, არაჩვეულებრივად მომხიბვლელი ქალიაო... რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ას ორმოცდაათი ვერსის გავლა არ შემიძლია, არც დედაშენს, სხვა რა გზაა, უნდა ადგე და ისევ შენ წახვიდე.

უარის თქმა თითქმის შეუძლებელი იყო, ანდა რა მიზეზით უნდა მეთქვა? თან ეს ამბავი თავს ისე მოულოდნელად დამაცხრა, ისე ვიყავი ამ ამბით გაოგნებული... რაც მთავარია, ნატალის ვნახავ-მეთქი, – მთელი ჩემი გონება ახლა მხოლოდ ამ ერთი აზრით იყო შეპყრობილი.

მაშინვე საპასუხო დეპეშა გავაგზავნეთ, მეორე დღეს კი, მზე უკვე დასალიერს იყო მიმდგარი, რომ ბლაგოდატნოდან გამოგზავნილმა ცხენებმა ნახევარ საათში სადგურიდან მეშჩერსკების მამულში მიმიყვანეს. სერზე რომ ავედით, სალეკი მდელოების გასწვრივ მეშჩერსკების სახლს გავხედე – ჯერ ისევ ჩამავალი მზით განათებულ დასავლეთ კედელზე დარბაზის ყველა დარაბა ჩაკეტილი იყო. აი, იმ კედელს იქით მისი ცხედარი ასვენია, ნატალიც ახლა იქ არის, იმ ცხედარს გვერდით უზის-მეთქი, – ამის გაფიქრებაზე ტანში გამცრა. ახლად ნამოსული ლორთქო ბალახით მწვანედ აბიბინებულ ეზოში, საკარატე ფარდულის გვერდით, ორი „სამცხენა“ იდგა და ეჟვნების ჟღარუნი ისმოდა, მაგრამ კოფოზე მჯდარი მეეტლეების გარდა, ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო – მოსულებიცა და შინაურებიც, ჩანს, უკვე პანაშვიდზე იყვნენ შესული. იდგა მაისის იდუმალებით მოცული სოფლის მშვიდი, უშფოთველი საღამო, ირგვლივ ყველაფერი განახლებული სიცოცხლით ფეთქავდა, ყველაფერი ხალასი და თავანკარა იყო – მინდვრებიდან და მდინარიდან მონაბერი გაზაფხულის ეს ცინცხალი ჰაერიც, ეზოში ამოხეთქილი ლორთქო ბალახიც, სახლის სამხრეთ კედლამდე მომდგარი, თეთრად გადაყვავებული ბაღიც... დაბალ წინგარდში, დერეფნის ფართოდ გაღებული კარის წინ, კედელზე, კუბოს დიდი, ყვითელფარჩაგადაკრული სახურავი იყო მიყუდებული. საღამოს გრილსა და გამჭვირვალე ჰაერში რძისფრად აყვავებული

მსხლების მოტკბო, მძაფრი სურნელი ტრიალებდა – იდგნენ ყვავილით დახუნძლული, თეთრად გადაპენტილი ხეები მათი რძისფერი სითეთრით გამკრთალებულ, მოკრიალებულ ცის ფონზე და თავს ერთადერთი ცდომილი, ერთადერთი შუქურვარსკვლავი – ვარდისფრად მოციმციმე მუშთარი დასდგომოდათ. ამ საგაზაფხულოდ განახლებული ბუნების სიტურფემ და სილამაზემ, ამ ფიქრმა ნატალის სილამაზესა და ახალგაზრდობაზე, იმან, რომ ნატალის ოდესღაც ასე ძლიერ ვუყვარდი, გული ისეთი მწუხარე ბედნიერებითა და სიყვარულის წადილით ამივსო, სახლის წინ ეტლიდან რომ გადმოვხტი, ასე მეგონა, კარებწინ კი არა, უძირო უფსკრულის პირას ვიდექი. ვერ წარმომედგინა, ამ სახლში როგორ უნდა შევსულიყავი, სამი წლის განშორების შემდეგ როგორ უნდა შემეხედა, როგორ შევხვედროდი უკვე შვილიანსა და უქმროდ დარჩენილ, უდროოდ დაქვრივებულ ნატალის... და აი, მაინც შევედი სიკვდილის საუფლოდ ქცეულ, სანთლის ალით გადაჭრელებულ, ბნელსა და ზარიან დარბაზში. კედლისაკენ ოდნავ თავაწეულ კუბოს ოქროქანდული ხატების წინ მოციმციმე, დიდი, წითელი კანდელი ანათებდა, ფერხთით სამი უშველებელი კელაპტრის ვერცხლისფრად მოლაპლაპე შუქი ადგა, სანთლების ალზე დარბაზის წინა კუთხე კიდევ უფრო ჩაბნელებული და ჩაუკუნეთებული იყო. მიცვალებულის სასახლეს საკმევლის კმევითა და ჩუმი ლოცვა-გალობით საეკლესიო მსახურნი უვლიდნენ... დარბაზში ისე შევედი, თავი არ ამიწევია, გულში საოცარი, უსიამოვნო შიში მქონდა – ყვითელფარჩაგადაკრული კუბოსა და მიცვალებულისაკენ გახედვაც არ მინდოდა, მაგრამ, ყველაზე მეტად მაინც ნატალის შეხედვას ვერიდებოდი. შევედი თუ არა, ვიღაცამ კერეონი მომაჩეჩა, ვიდექი, ანთებული სანთელი მეჭირა და ვგრძნობდი, მისი მოცახცახე ალი ჩემს ფერმკრთალ, შეწუხებულ სახეზე როგორ ლიცლიცებდა, ღაწვებზე თბილად როგორ მელამუნებოდა. ვიდექი და მორჩილად ვუსმენდი საცეცხლურის ჩხაკუნსა და მღვდელ-დიაკონთა სულთათანას. თავჩახრილი შუბლქვეშიდან ავყურებდი ჭერისაკენ მედიდურად აწვერილი სანთლების რუხ კვამლს, რომ უცბად კვამლის მსუყე, მოტკბო

სურნელით გაბრუებულმა თავი ავწიე და პირდაპირ ნატალის შევეფეთე – იგი ყველაზე წინ იდგა, თავით ფეხებამდე შავ ძაძაში იყო გახვეული, ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, სანთლის მკრთალი შუქი ოქროსფერ თმასა და ჩამოქნილ ღაწვებს შელეკვოდა – შევხედე და თვალი ვეღარ მოვაცილე. გალობა რომ მიწყნარდა, დარბაზში ჩამწვარი სანთლის სუნი რომ დატრიალდა, ხალხი ნელა რომ დაიძრა ნატალისაკენ, რათა მიესამძიმრებინა და ხელზე ეკოცნა, უკან მივდექი და შევიცადე. და აი, ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა და, როდესაც მის მონაზვნურ, გრძლად დაშვებულ შავ კაბას შევხედე, რომელიც კიდევ უფრო უნაკლოდ აჩნდა მის მშვენიერ ტანადობას, შევხედე მის ჩამოქნილ, ჯერ ისევ სალუქ სახესა და ჩემს დანახვაზე ძირს დახრილ, შავი წამწამებით მოჯარულ შავ თვალებს, აღტაცებისაგან თავზარდაცემულმა თავი, მდაბლად დავუკარი, ხელზე ვაკოცე და, ისე როგორც ნათესავსა და ზრდილ კაცს შეეფერება, ხმადაბლა, გულითადად მივუსამძიმრე... ნება მომეცით, ახლავე წავიდე, ღამე ბაღის იმ ძველ როტონდაში გავათენო, სადაც ჯერ ისევ სტუდენტობის დროს ვათევდი-მეთქი (როტონდა მეშჩერსკების საზაფხულო საძინებელი იყო), – ვუთხარი ბოლოს ნატალის.

ნატალიმ ისევ თვალებდახრილმა მიპასუხა: – ახლავე ვუბრძანებ, როტონდამდე მიგაცილონ და ვახშამი მოგართვან.

მეორე დღეს მიცვალებულს წესი აუგეს თუ არა, მაშინვე შინისაკენ გავემგზავრე.

წამოსვლისას ერთურთს სულ რაღაც ორიოდე სიტყვით გამოვემშვიდობეთ, ისე რომ, სახეში არც ახლა შეგვიხედავს ერთმანეთისათვის.

7

კურსის დამთავრებიდან არ გაუვლია დიდ დროს, რომ თითქმის ერთდროულად დავკარგე დედაცა და მამაც, რის შემდეგაც საბოლოოდ დავსახლდი სოფელში, ხელი მეურნეობას მივყავი, დავუახლოვდი ჩვენს ოჯახში გაზრდილ, დედაჩემის ხელზე მოსამსახურე,

შესახედავად ჯერ ისევ მოზარდივით თხელსა და ტანმორჩილ, ნახშირივით შავთვალება, საოცრად უსიტყვო, თითქმის ყველაფრის მიმართ გულგრილ, გამოუცნობი იდუმალებით სავსე გლეხის ერთ ობოლ გოგოს – გაშას. ისეთი შავთვალა და შავგვრემანი იყო, ისეთი შავი, სრიალა კანი ჰქონდა, აგარი ნამდვილად ასეთი იქნებოდაო, ხშირად იტყოდა ხოლმე მისი შემხედვარე მამაჩემი. მეც სწორედ გაშა მემსახურებოდა, გაშა და ჩვენი ყოფილი შინაყმა – თოვლივით თმაგათეთრებული ივან ლუკიჩი – მხნე, მხარბეჭიანი, ჯერ ისევ ჭარმაგი მოხუცი. ისეთი მშვენიერი, ისეთი საყვარელი გოგო იყო, ავიყვანდი ხელში და ვკოცნიდი – ეს არის და ეს, ცხოვრებაში ამის მეტი სხვა აღარავინ დამრჩენია-მეთქი, – ვფიქრობდი... მგონი, ისიც მშვენივრად ხვდებოდა ჩემს ფიქრებს. შვილი რომ გააჩინა, პატარა, შავთვალება, შავტუხა ბიჭუნა და ჩემს ყოფილ საბავშვო ოთახში დაბინავდა, გადავწყვიტე, ცოლად შემერთო, ჯვარი დამეწერა, მაგრამ გაშამ სასტიკად იუარა:

– არა, არა, აბა სადაური ქალბატონი მე ვარ! სირცხვილით სარეში ველარავის შევხედავ... ან თქვენ ვითომ რაღაში გჭირდებათ ეს! სჯობს, მოსკოვში წახვიდეთ, სულ ასე ჩემს გვერდით თუ იქნებით, ხელად მოგბეზრდებით, კიდევ უფრო მალე გადამიყვარებთ... წადით, გაიარ-გამოიარეთ, დრო გაატარეთ, თვალს წყალი დაალევინეთ, ოღონდ, როგორც კი გავიგებ, ვიღაც შეგიყვარდათ და ცოლად შერთვა გადაწყვიტეთ, იცოდეთ, ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ, მოვკიდებ ხელს და ამ ბავშვთან ერთად თავს დავიხრჩობ.

ეს სიტყვები ისე დაბეჯითებით წარმოთქვა, შეუძლებელი იყო, არ გერწმუნა – გაშას შევხედე და თავი ჩავღუნე: მე ხომ ჯერ ოცდაექვსი წლისა ვიყავი, ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაცი! მართალია, ვიღაცის შეყვარება და ცოლად შერთვა აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ, გაშას სიტყვებმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ჩემს ცხოვრებას სამუდამოდ დაესვა წერტილი.

იმ წელიწადს, გამოზაფხულდა თუ არა, საზღვარგარეთ წავედი და მთელი ოთხი თვე იქ დავრჩი. უკვე ივლისის ბოლო იყო, მოსკოვის

გავლით შინ რომ ვბრუნდებოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ამ შემოდგომას მოსკოვში გავატარებ, ზამთრისათვის კი ავიკრავ გუდანაბადს და ისევ სადმე საზღვარგარეთ წავალ-მეთქი. ტულაში რომ მივდიოდი, მთელი გზა გულს რაღაც ჩუმი სევდა მიღრღნიდა, სულ იმას ვფიქრობდი, აი, უკვე სახლში ვარ, მაგრამ, აბა, რა მინდა, რა დამრჩენია-მეთქი. უცბად ნატალი გამახსენდა და გული შემეკუმშა – დიახ, დიახ, „კუბოს კარამდეო", ვითომ ხუმრობით რომ მიწინასწარმეტყველა სონიამ, ის სიყვარული ისევ ისე ცოცხლობს ჩემს გულში, ოღონდ, როგორც ჩანს, მეც ისევე მივეჩვიე ამ გრძნობას, როგორც ადამიანი დროთა განმავლობაში, ვთქვათ, მოჭრილ ხელს ან ფეხს ეჩვევა... დიდხანს ვიჯექი ტულის სადგურში ასე ჩაფიქრებული და მეორე მატარებლის ჩამოდგომას ვუცდიდი, რომ უეცრად ავდექი და დეპეშა გავგზავნე: „მოვდივარ მოსკოვიდან, საღამოს ცხრა საათისათვის თქვენს სადგურზე ვიქნები, ნება მომეცით, შემოგიაროთ და გინახულოთ".

ბლაგოდატნოში რომ მივედი, ნატალი კართანაზე შემომეგება, უკან მოსამსახურე ედგა, ხელში ლამპა ეჭირა და გვინათებდა.

– რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ, – ნაზად შემომღიმა ქალმა და ორივე ხელი გამომიწოდა.

– იქნებ, მეტისმეტად უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ, იცით, ცოტა გაზრდილხართ... – ხელებს ვუკოცნიდი და ვგრძნობდი, ახლაც კი რა მტკივნეულად განვიცდიდი მათ შეხებას. მოსამსახურეს ლამპა ისევ მაღლა ეჭირა და გვინათებდა, ნაწვიმარ, ლბილსა და მყუდრო ჰაერში ლამპის ირგვლივ აუარებელი ვარდისფერი ფარვანა ირეოდა. ნატალის ავხედ-დავხედე, ახლა თამამად, გაბედულად შემომყურებდნენ მისი შავი, მრუმე თვალები – ჩემ წინ ტანნერნეტა, ქალობის სრულ ეშხში შესული ყმაწვილი ქალი იდგა, სადად, ლამაზად მორთული მშვენიერი სამკაულებითა და იმ თავის მწვანე ჩესუჩის კაბაში მოხდენილად გამონყობილი.

– ასეა, ჯერ კიდევ ვიზრდები, – მიპასუხა სევდიანი ღიმილით.

იმ დიდი, უშველებელი დარბაზის კუთხეში, ოქროს ძველებური ხატების წინ ისევ ის წითელი კანდელი ეკიდა. დარბაზის იმ კუთხეს

მაშინვე თვალი ავარიდე და სასადილოსაკენ მიმავალ ნატალის გავყევი. სასადილო ოთახში, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე, უნატიფესი ჩაის ჭურჭელი ბზინავდა. იქვე, იმ გახამხამებულ სუფრაზევე სპირტქურა იდგა და ზედ ჩაიდანი შიშინებდა. შევედით თუ არა, მოსამსახურემ ცივად მოხარშული ხბოს ხორცი, მჟავე კიტრი, არყით სავსე გრაფინი და ერთი ბოთლი ლაფიტი შემოიტანა. ნატალიმ ჩაიდანი აიღო:

– თქვენ ივახშმეთ, მე კი მხოლოდ ჩაის დავლევ... იწერებოდით, მოსკოვიდან მოვდივარო, ამ შუა ზაფხულში მოსკოვს რა გინდოდათ?

– პარიზში ვიყავი, გზად გამოვიარე...

– აა... დიდი ხნით იყავით? ეჰ, მეც რომ შემეძლოს... მაგრამ, აბა, სად წავალ, ჩემი გოგონა ხომ ჯერ სულ პატარაა. რვა ნლისაც არ არის... თქვენზე ამბობენ, სამაგალითო მეურნე დადგაო.

ერთი სირჩა არაყი დავლიე და ნატალის მოწევის ნებართვა ვთხოვე.

– აჰ, კი, ბატონო!

პაპიროსს მოვუკიდე და მასპინძელს მივუბრუნდი:

– ნატალი, ნუ იქნებით ასე მეტისმეტად თავაზიანი, ნურც მაინცდამაინც დიდ ყურადღებას მომაქცევთ... მინდოდა ერთხელ კიდევ მენახეთ, თვალი ერთხელ კიდევ შემევლო და ჩუმადვე გავპარულიყავი. ნურც უხერხულობას იგრძნობთ ჩემს გამო – რას იზამ, რაც იყო, იყო, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა... შეუძლებელია ვერ ამჩნევდეთ, როგორი მოხიბლული, რა დაბრმავებული ვარ თქვენით, მაგრამ, ისიც არ მინდა, ამ ჩემმა აღტაცებამ თუნდაც იოტისოდენად მაინც შეგაწუხოთ, იმდენად მშვიდია ახლა იგი და უანგარო.

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს საოცარი ნინააღმდეგობა ჩემთვის მუდამ გაუგებარი იყო, ვერა და ვერ შევეჩვიე, – თქვა და სახე ვარდისფრად შეეფაკლა.

– მართალი ხართ, – ვუპასუხე საშინლად ფერწასულმა, თუმცა კი საკმაოდ ომახიანად, ვინაიდან ჩემს თავს თვითონვე ვარწმუნებდი, დიახ, დიახ, რაც ვთქვი, ნამდვილად ისეა, ყველაფერი სრული

ჭეშმარიტებაა, მაგრამ, განა არის კი ამქვეყნად რაიმე მარადიული? განა ყველაფერს თავისი დრო არა აქვს? რაც შეეხება ჩემს იმ საშინელ დანაშაულს, ეჭვიც არ მეპარება, თქვენთვის იმას დიდი ხანია არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, დარწმუნებული ვარ, დიდი ხანია უკვე დავიწყებას მიეცით. გარდა ამისა, მთელი ის ამბავი ახლა თქვენთვის გაცილებით გასაგები და მისატევებელი უნდა იყოს, თუმცა იგი ჯერ კიდევ მაშინვე იმსახურებდა თქვენს დიდსულოვან შენდობასა და პატიებას, თუნდაც იმ ჩემი ახალგაზრდობისა და იმ საოცარ გარემოებათა გამო, რომელშიც, მიზეზით სხვათა და სხვათა, ჩემგან დამოუკიდებლად აღმოვჩნდი. სხვა რომ არა იყოს რა, ამისათვის უკვე საკმაოდაც დავისაჯე, დიახ, დიახ, ამისი საწინდარი ჩემი ეს ვერშემდგარი ცხოვრება გახლავთ.

– ვერშემდგარი?

– რა თქმა უნდა, განა ასე არ არის? ნუთუ დღემდე ვერ გამიცანით და ვერაფერი გამიგეთ? თქვენც ხომ ზუსტად ამ სიტყვებით მისაყვედურეთ ოდესღაც?

ნატალიმ ერთხანს იყუჩა.

– იცით, მეჯლისზე გნახეთ, ვორონეჟში... ღმერთო, რა ახალგაზრდა, რა საოცრად უბედური ვიყავი!.. მაგრამ, განა არსებობს კი ქვეყნად უბედური სიყვარული? – ნატალიმ თავი ასწია და შეკითხვით სავსე, შავწამწამმოჯარული, ფართოდ გახელილი თვალები შემომანათა, – განა თვით ყველაზე მწუხარე მუსიკაც კი უდიდეს ბედნიერებას, უდიდეს ნეტარებას არ განაცდევინებს ადამიანს?.. ეჰ, რაც არის, არის, სჯობს, ისევ თქვენს შესახებ მომიყვეთ, ნუთუ სამუდამოდ დასახლდით სოფელში?

თავს ძალა დავატანე და ხმა ძლივს ამოვიღე:

– ესე იგი, მაშინ ჯერ კიდევ გიყვარდით?

– კი, მიყვარდით...

რა უნდა მეთქვა, გაჩუმებული ვიჯექი და ვგრძნობდი, მთელ სახეზე ხანძარი როგორ მეკიდა.

– ამბობენ, ძალიან შეყვარებულია, ბავშვიცა ჰყავსო, მართალია?

– სიყვარულზე რა მოგახსენოთ, სინაზე და სიბრალული კი ნამდვილად მაქვს, ეს არის და ეს...

– ყველაფერი, ყველაფერი მომიყევით...

მეც ავდექი და ყველაფერი მოვუყევი, ის კი არა, გაშას სიტყვებიც კი ვუთხარი – წადით, დრო გაატარეთ, თვალს წყალი დაალევინეთო... და ბოლოს ამით დავამთავრე:

– ახლა რას იტყვით, ხომ არის ჩემი ცხოვრება სამუდამოდ დაღუპული?

– რას ბრძანებთ?!. – თქვა ნატალიმ და ჩაფიქრდა, – რა თქმა უნდა, ცხოვრება ჯერ წინა გაქვთ, თუმცა, ცხადია, ცოლის შერთვა და ქორწინება თქვენთვის გამორიცხულია. ჩანს, ისეთი ქალია, თუ გაუჭირდა, თავს კი არა, ბავშვსაც არ დაინდობს.

– არა, მთავარი ცოლის შერთვა როდია, ღმერთო ჩემო, მე და ცოლის შერთვა?!

ნატალიმ დაფიქრებულმა შემომხედა:

– ჰო, რა თქმა უნდა... ისე კი, რა უცნაურია, აბა, რას წარმოვიდგენდი, ის თქვენი წინასწარმეტყველება – ნათესავები გავხდებითო, – ასე ამისრულდებოდა, თქვენ ხომ მე ახლა ბიძაშვილად მერგებით.

თქვა და ხელზე ხელი დამადო:

– საჭმლისათვის კი ხელი არ დაგიკარებიათ, გეტყობათ, გზამ დაგქანცათ. მეტისმეტად დაღლილი და ფერმკრთალი სახე გაქვთ, წადით, დაიძინეთ, ლოგინი უკვე დაგებულია.

ხელზე მორჩილად ვაკოცე, ნატალიმ მოსამსახურეს უხმო და, მიუხედავად იმისა, რომ ბაღის თავზე გადმომდგარი მთვარის შუქით ყველაფერი განათებული იყო, ლამპის ნათებ-ნათებით ხის სვეტებიანი ძველებური როტონდისაკენ გამიძღვა. ვიდრე პავილიონში მივიდოდით, ჯერ გრძელი, მთავარი ხეივანი გავიარეთ, მერე გავუხვიეთ და გაშლილ მინდორში შედარებით მომცრო ხეივანს დავუყევით. ნატალი რომ წავიდა, საწოლის გვერდით, ღია ფანჯრის წინ სავარძელში ჩავჯექი და პაპიროსს მოვუკიდე. ვიჯექი და ვფიქრობდი: – რა სისულელე ჩავიდინე, წავსულიყავი ჩემი გზით, რა მინდოდა, რას მოვდიოდი! მეგონა, ყველაფერმა გაიარა, გული საგულესა მაქვს, დავცხრი, დავმშვიდდი, ძალა და ვაჟკაცობა მეყოფა-მეთქი... გარეთ კი მშვიდი, წყნარი ღამე იდგა. შუაღამე კარგა

ხნის გადასული იყო, ეტყობა, წამოეწვიმა კიდევაც – ჰაერი კიდევ უფრო ჩათბა, ჩაყუჩდა. ღამის ამ საოცარ მდუმარებაში სოფლის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში მამლების ფრთხილი, გაბმული ყივილი ისმოდა. როტონდის გასნვრივ, ბაღის გადაღმა სავსე მთვარე გარინდულიყო და შორს გაბნეულ ხეებსა თუ იქვე, როტონდის წინ ტოტებგაშლილ ვაშლებს სინათლის შუქ-ჩრდილში ახვევდა. იქ, სადაც მთვარის სხივი თავისუფლად ატანდა, სინათლე მიწას თეთრი მინანქარივით დაჰფენოდა, სიბნელესა და შუქ-ჩრდილთა ლილოჭრელში უსაზღვრო იდუმალებას დაევანებინა... და აი, ფანჯარას აბრეშუმის პრიალა, გრძელსა და მუქი ფერის სამოსში გამოწყობილი ნატალი მოადგა, ისიც გაზაფხულის ამ ღამესავით ჩუმად და იდუმალად...

მალე მთვარე ბაღს თავზე წამოადგა და როტონდაში ჩამოიხედა. ნატალი საწოლზე ინვა, მე მის წინ მუხლებზე ვიდექი და ხელში მისი ხელი მეჭირა:

– იმ პირქუშსა და მეხთატეხა ღამეს, მე უკვე მხოლოდ შენ მიყვარდი... მხოლოდ შენ ერთადერთი მიყვარდი... არავითარი სხვა ვნება, არავითარი სხვა გრძნობა – ჩემი გული მხოლოდ შენდამი უსაზღვრო აღფრთოვანებით, შენი დიდი, უწმინდესი სიყვარულით იყო სავსე.

– მერე და მერე ყველაფერს მივხვდი, მიუხედავად ამისა, როცა კი ის საშინელი ღამე გამახსენდებოდა და იმასაც წარმოვიდგენდი, სულ ერთი საათის წინ ხეივანში რას მეუბნებოდით და როგორ იქცეოდით...

– მთელს დუნიაზე შენი ტოლი და ბადალი არავინ მეგულება, ნელან იმ შენს მწვანე ჩესუჩის კაბასა და კაბის კალთით დამალულ მუხლებს რომ შევყურებდი, ვგრძნობდი, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, ოღონდ ერთხელ მაინც ვმთხვეოდი მათ.

– ნუთუ მთელი ამ წლების განმავლობაში არასოდეს დაგვიწყებივართ?

– კი, როგორ არა, ოღონდ ისევე, როგორც ვთქვათ, გავიწყდება, რომ სუნთქავ, ცოცხლობ, დადიხარ... ის, რაც ნელან მითხარი,

მართალია – უბედური სიყვარული არ არსებობს... ოო, ის შენი ნარინჯისფერი ჩახსნილი პერანგი და შენ, მთელი შენი გარეგნობითა და მთელი შენი არსებით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ჯერ ისევ მოზარდი... მახსოვს, იმ დილას, ჩემი სიყვარულის იმ პირველ დილას წუთით როგორ ჩამიელვე და როგორ გაქრი... ახლაც თვალწინ მიდგას, მალორუსული ზედა კაბის სახელოდან წამოწეული შენი ხელი, წიგნის ფურცლებზე დახრილი შენი თავი და ჩემი გაოგნებული ბუტბუტი: „ნატალი, ნატალი!"..

– დიახ... დიახ...

– მერე მეჯლისზე გნახე, მაღალი, ტანკენარი, უკვე დაქალებული, იმ შენი ქალური სილამაზით თავზარდამცემი. იმ ღამეს ჩემი ვერშემდგარი ცხოვრებისა და შენდამი გაუნელებელი სიყვარულისაგან სასოწარკვეთილი სიკვდილს ვნატრობდი... მერე ძაძით შემოსილს შეგხვდი – რა უზადო, რა უნაკლო იყავი შავ სამოსში, ხელში ანთებული სანთელი გეჭირა და ასე მეგონა, შენს სახეზე მოათინათე იმ სანთელს სიწმინდე და სისპეტაკე ემატებოდა.

– აი, ჩვენ ისევ ერთადა ვართ, ალბათ, უკვე სამუდამოდ, მიუხედავად ამისა, ნახვითაც კი, ალბათ, იშვიათად ვნახავთ ერთმანეთს – განა შემიძლია მე, შენს იდუმალ სატრფოსა და მეუღლეს, შენი სააშკარაო ხასა და საყვარელი გავხდე?

იგი დეკემბერში გარდაიცვალა, ჟენევის ტბის პირას, ნაადრევი მშობიარობის გამო.

მუზა

ფერნერის შესწავლა რომ მოვინდომე, აღარც ისე ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა, რაც თავი მახსოვს, მხატვრობა მუდამ ძალიან მიტაცებდა. მივატოვე ტამბოვის გუბერნიაში ჩემი ადგილ-მამული, სახლ-კარი და მთელი ის ზამთარი მოსკოვში გავატარე. გაკვეთილებს ერთი უნიჭო, თუმცა საკმაოდ ცნობილი, დონდლო, სქელ-სქელი მამაკაცი მიტარებდა, რომელსაც, თუ რამ ჯერ არს, ყველაფერი შესანიშნავად აეთვისებინა – უკან გადაყრილი, ხშირი, გაქონილკულულებიანი თმა ჩამოეგრძელებინა, პირში ერთთავად ყალიონი ჰქონდა გაჩრილი, ტანზე ბრონეულისფერი ხავერდის ქურთუკი, ფერხთ კი რუხი, ჭუჭყისფერი გეტრები ეცვა (მართალი გითხრათ, ყველაზე უფრო იმ გეტრებს ვერ ვიტანდი). ადამიანებთან ურთიერთობაში მეტისმეტად უგულისყურო და დაუდევარი გახლდათ... მოწაფის ნამუშევარს თვალებმოჭუტული ქედმაღლურად გადახედავდა და, ვითომც ისე, სხვათა შორის ჩაილაპარაკებდა:

– საინტერესოა, ნამდვილად საინტერესოა...

ვცხოვრობდი არბატზე, რესტორან „პრაღის“ გვერდით, სასტუმრო „სტოლიცაში“. თითქმის მთელი დღეების მანძილზე ვხატავდი – ხან მხატვრის სახელოსნოში ვიყავი, ხან სახლში. საღამოებს უმეტესად იაფფასიან რესტორნებში, ახლად გაცნობილი ბოჰემური ახალგაზრდების წრეში ვატარებდი, რომელთა შორისაც, მართალია, ზოგი სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი, ზოგიც მეტისმეტად გამოქექილი და გამოცდილი იყო, მაგრამ ყველა მათგანი ბილიარდისა და ლუდის კათხის დიდი ტრფიალი და ერთგული გახლდათ... კაცმა რომ თქვას, მართლაც რომ უგემურად

და მოსაწყენად ვცხოვრობდი!.. ლოხი, უსიცოცხლო მხატვარი, არტისტულად მირეულ-მორეული, მტვრით დაფარული, ნაირნაირი ბუტაფორიით სავსე სახელოსნო, პირქუში, მუდამ ბინდით მოცული „სტოლიცა“... მოკლედ, სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში: გარეთ გადაუღებლად თოვს და თოვს, არბატზე ყრუდ, ზარის წკრიალ-წკრიალით მირახრახებენ კონკები... საღამოობით ნახევრად ჩაბნელებული რესტორანი გაზისა და ლუდის მომჟავო სუნით არის გაჟღენთილი... ახლაც არ ვიცი, რად ვეწეოდი ასეთ ბეჩავსა და უბადრუკ ცხოვრებას მაშინ, როცა საამისოდ არავითარი გასაჭირი არა მქონდა, არც სიმდიდრე მაკლდა, არც მდგომარეობა.

და აი, ერთხელაც არის, ვზივარ ჩემთვის სახლში და ფანქრით ვმუშაობ. გარეთ თოვლჭყაპია, ორმაგი ფანჯრიდან გაზაფხულის ნესტიანი სიო უბერავს, ყინულგამლხვალი ქვაფენილიდან ნალების ყრუ თქარათქური ისმის. უცებ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. „ვინ არის?“ – ვიკითხე ხმამაღლა, მაგრამ, არავინ რომ არ მიპასუხა, ერთხანს შევიცადე და ისევ ვიკითხე – შეკითხვას პასუხი არც ამჯერად მოჰყოლია. ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ ისევ დააკაკუნეს. მაშინ კი წამოვდექი, კართან მივედი და გამოვაღე. ვხედავ, ზღურბლთან მაღალი, ნაცრისფერ ზამთრის შლაპაში, ნაცრისფერ სწორ პალტოსა და ნაცრისფერ ბოტებში გამოწყობილი ქალიშვილი დგას და თავისი მოგრძო, რკოსფერი თვალებით სახეში მომჩერებია, ღაწვებზე, გრძელ წამწამებსა და თმაზე თოვლისა და წვიმის წვეთები უბრწყინავს, მიყურებს და მეუბნება:

– მე კონსერვატორიელი ვარ – მუზა გრაფი. გავიგე, ძალიან საინტერესო ადამიანიაო და გასაცნობად მოვედი. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

ცოტა არ იყოს, დაბნეულმა და კიდევ უფრო გაოცებულმა, ცხადია, თავაზიანად ვუპასუხე:

– პირიქით, დიდად ნასიამოვნები გახლავართ... მობრძანდით! ოღონდ, მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ – ის, რაც თქვენ „გაიგეთ“, არა მგონია, მართალი იყოს... ჩემი აზრით, საინტერესო ჩემში სულაც არაფერია.

– ასე კართან რომ დამაყენეთ, სახლში მაინც შემომიშვით, – მითხრა ისე, თვალი არ მოუცილებია, – ბრძანეთ, ნასიამოვნები ვარო, თუ ასეა, შინ რატომ არ მეპატიჟებით?

ესა თქვა და კარის ზღურბლს გადმოაბიჯა – ოთახში ისე შემოვიდა, თითქოს საკუთარ სახლში იყო. ჩემი მორუხო-მოვერცხლისფრო, ალაგ-ალაგ ჩაშავებული სარკის წინ შლაპა მოიხადა, ჟანგისფერი თმა შეისწორა, პალტო იქვე, სკამზე მიაგდო და უჯრებიან ფლანელის კაბაში გამოწყობილი, ცხვირის სრუტუნ-სრუტუნით დივანზე არხეინად მოკალათდა:

– ბოტები გამხადეთ, პალტოს ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღეთ და მომაწოდეთ.

ცხვირსახოცი მივეცი, ცხვირი მოიწმინდა, ბოტების გასახდელად ფეხი გამომიშვირა და სხვათა შორის მითხრა:

– წუხელ შორის კონცერტზე გნახეთ.

„ეს რა უცნაური სტუმარი მყავს!" – ბოტებს ვხდი და კმაყოფილებისა და გაოცებისაგან სახეზე სულელური ღიმილი არ მშორდება. გარედან შემოსულს ჯერ ისევ ჰაერის სურნელი ასდის, ეს სურნელი გულს მიფორიაქებს და მაღელვებს... მაღელვებს მისი ვაჟკაცური ხასიათის ეს უცნაური შერწყმა იმ საოცარ ქალურობას, სინორჩესა და ახალგაზრდობასთან, რომლითაც ასე სავსეა მისი სახე, მისი დიდრონი, მაგრამ ლამაზი ხელები, მისი გაბედული, პირდაპირი მზერა და ყველაფერი ის, რის შეხედვასა და აღქმასაც იმ მოკლე დროის განმავლობაში ვასწრებ, სანამ მრგვალსა და ჯიშიან მუხლებზე დაშვებული კაბის კალთებქვეშ ფეხებზე ბოტებს ვხდი და ლაქის ნავისებურ ფეხსაცმელში გამოწყობილ მოგრძო ტერფებს შევყურებ.

ის კი ჯერჯერობით, ეტყობა, წასვლას სულაც არა ჩქარობს, დივანზე შესწორდება და კიდევ უფრო მოხერხებულად ჯდება. იმის გამო, რომ არ ვიცი, რა ვთქვა, რა ველაპარაკო, გამოკითხვას ვუწყებ – ჩემს შესახებ ვინ ან რა უთხრა, თვითონ ვინ არის და სად ცხოვრობს?

ვინ ან რა მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, კონცერტზე რომ გნახეთ, უფრო იმის გამო მოვედი, თქვენ ხომ საკმაოდ ლამაზი

ბრძანდებით! მე ექიმის ქალიშვილი ვარ, აქვე, პრეჩისტენსკის ბულვარზე ვცხოვრობო.

როგორლაც უცნაურად და მოკლედ ლაპარაკობს, მე კი კვლავ იმის გამო, რომ არ ვიცი, რაზე ველაპარაკო, ვეკითხები:

– ჩაი ხომ არ გნებავთ?

– ჩაი? სიამოვნებით, – ამბობს და თან დასძენს: – ფული თუ გაქვთ, სასტუმროს მსახური გააგზავნეთ, არბატზე ბელოვთან რანეტის ვაშლი იყიდოს, ოღონდ, რაც შეიძლება, დაუჩქაროს, იცოდეთ, ერთობ მოუთმენელი ვარ.

– ერთი შეხედვით, სულსწრაფს თითქოს სულაც არა ჰგავხართ.

– ვგავარ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს.

სასტუმროს მსახურმა მალე ნომერში ერთი პარკი ვაშლი და სამოვარი შემოიტანა. ჩემმა სტუმარმა კი ამასობაში ჩაის ფერი დააყენა, ფინჯნები დაწმინდა, მერე ვაშლი შეჭამა, ერთი ფინჯანი ჩაი დალია, კიდევ უფრო მოხერხებულად დაჯდა და დივანზე ხელი დამირტყა:

– ახლა კი მოდით, გვერდით დამიჯექით!

მართლაც, მივუჯექი გვერდით თუ არა, მკლავები მომხვია და ტუჩებში ნება-ნება კოცნა დამიწყო. მერე გვერდზე გაიწია, დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თითქოს დარწმუნდა, კოცნა ნამდვილად ღირსო, თვალები დახუჭა და ახლა უკვე ხანგრძლივად, დიდის მონდომებით მაკოცა.

– აი, ასე, – თქვა ბოლოს როგორლაც შვებით, – ჯერჯერობით ეს არის და ეს, ხვალზევით კი...

ნომერში უკვე ბნელოდა, იქაურობას მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ფარნების მბჟუტავი, მქრქალი სინათლე ანათებდა. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ვარ... „არა, მაინც საიდან მომევლინა ასე ანაზდეულად ეს ბედნიერება, ეს ახალგაზრდა, ჯანითა და ღონით სავსე ქალი... თანაც რა ლამაზი და გემრიელი ტუჩები აქვს!"... – ვამბობ გუნებაში და კონკების ერთფეროვანი რეკვა და ცხენის ფლოქვების თქარათქური თითქოს სიზმარში ჩამესმის.

– ხვალზევით მინდა თქვენთან ერთად რესტორან „პრალაში" ვისადილო... წარმოდგენილი მაქვს, რას ფიქრობთ და რანაირი გგონივართ, მე კი ჯერ რესტორანში ნამყოფიც არა ვარ... ალბათ, არც კი დამიჯერებთ, თქვენ ჩემი პირველი სიყვარული ხართ-მეთქი, თუ გეტყვით.

– სიყვარული?

– აბა ამას რა ჰქვია?

მეცადინეობას, რა თქმა უნდა, მაშინვე თავი მივანებე, ისიც ჰა და ჰა, ძლივს მიაღოღიალებდა თავისას. ერთმანეთს წუთითაც არ ვცილდებოდით, ნამდვილი ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარივით ვცხოვრობდით. დავდიოდით სურათების გალერეებსა და გამოფენებზე, ვუსმენდით კონცერტებს, ის კი არა, რატომღაც საჯარო ლექციებსაც კი ვესწრებოდით... მისი სურვილის თანახმად, მაისისათვის მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ ძველებურ მამულში აგარაკზე გადავსახლდი, იმ მამულში კიდევ რამდენიმე გასაქირავებელი აგარაკიც იყო. ისიც თითქმის ყოველდღე ჩამოდიოდა და უკან შუაღამის პირველ საათზე ბრუნდებოდა. ჩემს სიცოცხლეში მოაგარაკედ არასოდეს მიცხოვრია, ასე უსაქმოდ არასოდეს ვყოფილვარ, თანაც საღვე შორს კი არა, აქვე, მოსკოვის გარეუბანში...

ერთთავად წვიმს და წვიმს, აქაურობა ირგვლივ ფიჭვის ტყეებით არის დაფარული. ტყის ზემოთ, ლაჟვარდისფრად მოკრიალებულ ცაზე, ნამდაუწუმ თეთრი ღრუბლები აიშლება, სადღაც ჭექა-ქუხილი გადაიგრიალებს, მზის სხივებში აბრჭყვიალებული წვიმის მსხვილი წვეთები შხაპაშხუპით წამოვა და ჩამოწოლილ ხვატში მიწიდან ფიჭვის სურნელით გაჟღენთილი ოხშივარი ავარდება. წვიმისაგან ყველაფერი სველი, პოხიერი და გადაბზინებულია... პარკში ისეთი უშველებელი ხეებია, მათ ქვეშ აქა-იქ გაბნეული აგარაკები ტროპიკულ ტყეებში მიმობნეული ქოხმახები გეგონება... უშველებელ, შავად გადასარკულ გუბურას მწვანე ლემნა მოსდებოდა... ჯერ ისევ დაუმთავრებელი, თითქმის სრულიად მოუწყობელი, უავეჯო, ძელური აგარაკი ზუსტად პარკის განაპირას იდგა – კედლები დაუგმანავი იყო, იატაკი გაურანდავი... გამუდმებული

ნესტისაგან საწოლქვეშ შეყრილ ჩემს ჩექმებს ხავსი მწვანე ხავერდივით ჰქონდა მოდებული.

მხოლოდ ნაშუაღამევს თუ ჩამობნელდებოდა – იდგა და იდგა დასავლეთის მქრქალი სინათლე ყრუ, უმოძრაოდ გარინდულ ტყეში. მთვარიან ღამეებში ეს მკრთალი, უღიმღამო სინათლე მთვარის ასეთივე მკრთალ, მომაჯადოებელ ნათელში ირეოდა და ირგვლივ გამეფებული იმ სიმშვიდისა და მყუდროების, იმ გამჭვირვალე ჰაერისა და კრიალა ზეცის შემხედვარეს ეჭვი აღარ გეპარებოდა, მორჩა, აღარასოდეს გაწვიმდებაო. მაგრამ, აი, გავაცილებდი მუზას სადგურზე, მივიდოდი, დავწვებოდი, ის იყო, ჩავთვლემდი, რომ წვიმა უკვე თქაფათქუფით იღვრებოდა სახურავზე. ისეთი ელვა და ჭექა-ქუხილი ატყდებოდა, ლამის ქვეყანას აქცევდა, ირგვლივ ყოველივეს გაუვალი წყვდიადი მოიცავდა. თუმცა, გათენდებოდა და ნამიან ხეივანქვეშ სოსანისფერ მიწას მზის ბრდღვიალა ლაქები გადააჭრელებდა. იდგა ერთი გნიასი და ხმაური, ბუზიჭერია ჩიტების ტკრციალისა და შაშვების ხრინწიანი ჭახჭახისაგან ყურთასმენა აღარ იყო. მერე დადგებოდა შუადღე და ისევ ჩამოწვებოდა ხვატი, ისევ გადაეფარებოდა ცას ღრუბელი და ისევ წამოვიდოდა შხაპუნა. მოვიდოდა მზის ჩასვლის ჟამი და ისევ აიკრიფებოდა ღრუბელი, ისევ ალივლივდებოდა ფანჯრებიდან ფოთლებს შორის შემოპარული, ჰორიზონტისაკენ დახრილი მზის სხივებით ნაქსოვი ოქროსფერი ბადე ჩემი ძელური აგარაკის კედლებზე. ეს ის დრო იყო, როდესაც მის დასახვედრად სადგურზე უნდა ნავსულიყავი. ჩამოდგებოდა მატარებელი და გამოეფინებოდა ბაქანზე ურიცხვი მოაგარაკე, ირგვლივ ორთქლმავლიდან წამოსული ქვანახშირის სუნი დატრიალდებოდა, მაგრამ ახლად ნაწვიმარი ტყიდან მალე ისევ გრილი ჰაერი წამოუბერავდა. არ გაივლიდა ორიოდ წუთი, რომ ისიც გამოჩნდებოდა პაკეტებში ჩაწყობილი საუზმით, ხილითა და მადერის ბოთლებით ხელებდატვირთული... მერე დავსხდებოდით ერთმანეთის პირისპირ, ტკბილად, გემრიელად ვისადილებდით და, ვიდრე მისი უკან წასვლის ჟამი მოაწევდა, კარგა ხანს პარკში დავხეტიალობდით. იგი თანდათან სულ უფრო სომნამბულური

ხდებოდა – დამადებდა თავს მხარზე და მოაბიჯებდა მთვარეულივით... პარკში კი ამასობაში უკვე უსასრულოდ მდუმარე, ნათელი, მომაჯადოებელი ღამე ჩამოწვებოდა. იდგნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაკენ წასული საუკუნოვანი ხეები, მათ ჩრდილებს შავად გადაეჭრელებინათ ტბებივით ვერცხლისფრად მოლაპლაპე მდელოები.

ივნისის თვე იდგა, ჩემს მამულში რომ დავბრუნდი და, ცხადია, ისიც ჩემთან ერთად წამოვიდა. მართალია, ჯვარი დაწერილი არა გვქონდა, მაგრამ ცხოვრება ნამდვილი ჯვარდაწერილი ცოლქმარივით დავიწყეთ. ჩავედით თუ არა, ხელი მაშინვე დიასახლისობას მიჰყო, მთელი ის შემოდგომა საოჯახო საქმეებსა და კითხვაში გაატარა, ისე რომ, წუთით არ მოუწყენია. ჩვენგან ორიოდე ვერსზე ცხოვრობდა მარტოხელა ღარიბი მემამულე – ვინმე ზავისტოვსკი, ერთი უნიათო, მწითური, მფრთხალი და ჭკუამოკლე კაცი, თუმცა არცთუ ისე ურიგო მუსიკოსი. მეზობლებიდან ჩვენს ოჯახში ყველაზე ხშირად სწორედ ის ზავისტოვსკი დაიარებოდა. იმ ზამთარს დღე არ გაივლიდა, შინ სტუმრად არ გვწვეოდა. მე მას, მართალია, ბავშვობიდან ვიცნობდი, მაგრამ, ახლა ისე მივეჩვიე, საღამო რომ დადგებოდა, დროზე რომ არ გამოჩენილიყო, ადგილზე ველარ ვისვენებდი. დავსხდებოდით და დავიწყებდით შაშის თამაშს, ანდა მიუსხდებოდნენ მუზა და ის როიალს და ორივენი ერთად უკრავდნენ.

ერთხელაც არის, შობის წინა კვირას ქალაქში წავედი. ქალაქიდან დაბრუნებისას ცაზე უკვე პირბადრი მთვარე ანათებდა. შინ რომ თვალი ვერსად მოვკარი, დუნიას ვკითხე, ქალბატონი სად არის, სასეირნოდ ხომ არ წავიდა-მეთქი?

– რა ვიცი, დილიდან შინ არ არისო, – მიპასუხა.

– გამოიპრანჭა და სადღაც წაბრძანდა, – წაიბუზღუნა ჩემმა მოხუცმა გადიამ და იმხელა სასადილო ოთახში ცხვირჩამოშვებულმა ისე გაიარა, თავი არ აუწევია.

ალბათ, ზავისტოვსკთან წავიდა, საცაა ორივენი ერთად დაბრუნდებიან, აგერ უკვე შვიდი საათია-მეთქი. – ამ ფიქრებში გართული

კაბინეტში გავედი, დივანზე მივწექი და მთელი დღის ნამგზავრსა და გაყინულს იმავე წუთს მკვდარივით ჩამეძინა. ერთი საათის შემდეგ უცნაური აზრით შეპყრობილმა თვალები ისევე უცბად, ხელნაკრავივით გავახილე: „რა თქმა უნდა, მიმატოვა, დაიქირავა სოფელში ვინმე გლეხი და სადგურში წავიდა, იქიდან კი მოსკოვს გაემგზავრა, კაცი მისგან ყველაფერს უნდა მოელოდეს" – გავიფიქრე, მაგრამ თავი თვითონვე დავიმშვიდე: „ვინ იცის, იქნებ დაბრუნდა კიდევაც?" – და ამით დაიმედებულმა მთელი სახლი სულ კუთხე-კუნჭულ შემოვიარე. ისე ვარ, მოსამსახურეებს სირცხვილისაგან თვალებში ვერ ვუყურებ... კარგა ხანს ვიბოდიალე დაბნეულმა, არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი. ღამის ათი საათი იქნებოდა, მოკლე ქურქი ჩავიცვი, რატომღაც ხელში თოფი ავიღე და ზავისტოვსკის სახლისაკენ გზას შარა-შარა დავადექი. მივდიოდი და გულს ვასკდებოდი – რაღა დღეს აღარ მოვიდა, ამხელა ღამეს რა გაიყვანს, ნუთუ მართლა მიმატოვა, მართლა წავიდა-მეთქი?.. მივდიოდი და მივაჭრაჭუნებდი შარაზე გაკვალულ თოვლს. მარცხნივ მთვარის შუქით განათებული თოვლიანი მინდორი ელავდა... მალე შარაგზიდან გადავუხვიე და ზავისტოვსკის უბადრუკი სახლისკენ გავწიე... აი, გავიარე მინდვრიდან სახლისაკენ მიმავალი ფოთოლგანძარცვული შიშველი ხეივანი და ეზოში შევედი – მარცხნივ ძველი, ულაზათო სახლი იდგა, სახლში სიბნელე იყო... ავედი ყინულისაგან გალიგვულ პარმაღზე და გადასაკრავშემოგლეჯილი კარი ძლივს გავაღე – ღუმელში ჩანაღვერდლებული ცეცხლი ღუდღუდებდა, წინკარში სითბო და სიბნელე იყო, ასეთივე სიბნელეს მოეცვა დარბაზიც...

– ვიკენტი ვიკენტიევიჩ!

ჩემს ძახილზე იგი კაბინეტის კარის ზღურბლს ფეხაკრეფით მოადგა – კაბინეტი სამმაგი ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქით იყო განათებული, ფეხზე თექის ჩექმები ეცვა:

– აჰ, თქვენა ხართ? მობრძანდით!.. მე კი აი, როგორც ხედავთ, ბნელაში ვზივარ, მთელი საღამო ისე გავატარე, სინათლე არ ამინთია...

ოთახში შეეედი და ძველ, აბურცულ-დაბურცულ დივანზე დაბნეული ჩამოვჯექი:

– წარმოგიდგენიათ, მუზა სადღაც გაქრა...

ვიკენტი ვიკენტიევიჩმა წუთით იყუჩა და ბოლოს ძლივს გასაგონად მითხრა:

– დიახ, დიახ, მესმის, ძალიან კარგად მესმის...

– კი მაგრამ, რა გესმით?

სწორედ ამ დროს კაბინეტის გვერდით მდებარე საძინებელი ოთახიდან მხრებზე შალმოხვეული, ასევე უხმაუროდ და ასევე თექის ჩექმებში გამოწყობილი მუზა გამოვიდა, ეტყობოდა, წამოწოლილი იყო.

– თქვენ რა, თოფით მოხვედით? თუ ვინმეს უნდა ესროლოთ, ისევ მე მესროლეთ და არა ამას, – თქვა და ჩემს პირდაპირ მდგარ დივანზე ჩამოჯდა.

მისი თექის ჩექმებსა და რუხი ქვედაკაბის კალთით დაფარულ მუხლებს შევხედე (ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქით ოთახი ისე იყო განათებული, ყველაფერი შესანიშნავად ჩანდა) და კინაღამ ვიყვირე – არა, არა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, მარტო აი ამ მუხლების, ამ ქვედაკაბის, ამ თექის ჩექმებისთვისაც კი მზად ვარ, სიცოცხლე გავწირო-მეთქი!

– რა აუტანლად მკაცრი ხართ! – სიტყვა ძლივს ამოვღერღე.

– მოიტა, პაპიროსი მომაწოდე! – მიუბრუნდა მუზა ზავისტოვსკის.

ზავისტოვსკი შეშინებული მიუახლოვდა, პორტსიგარი გაუწოდა და ჯიბეებში ასანთს ძებნა დაუწყო.

– უკვე თქვენობითაც მელაპარაკებით? – ვთქვი სუნთქვაშეკრულმა, – ხომ შეგეძლოთ, ჩემი თანდასწრებით მაინც არ მიგემართათ მისთვის შენობით!

– რატომ? – იკითხა გაოცებულმა მუზამ და წარბები აწკიპა, ხელში ანთებული პაპიროსი ეჭირა.

გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სისხლი საფეთქლებში მცემდა. დივანიდან ძლივს წამოვდექი და ოთახიდან ბარბაცით გავედი.

სტიოპა

საღამო ხანს ჩერნისაკენ მიმავალ სოვდაგარს – კრასილშჩიკოვს გზად თავსხმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა მოუსწრო.

იჯდა ხიფთნის სახელოებანეული, თვალებამდე კარტუზ-ჩამოფხატული, საიდანაც ნაკადებად მოედინებოდა წყალი და მსუბუქ ოთხთვალა ეტლს სწრაფად მიარბენინებდა. ფეხები წინა ღერძისათვის მიებჯინა, გათოშილი ხელებით თასმის სველ, გალიპულ სადავეს ქაჩავდა და ისედაც გაფიცხებულ ცხენს კიდევ უფრო აჩქარებდა. ენაგადმოგდებული ყავისფერი პოინტერი ფეხდაფეხ სირბილით მისდევდა ტალახში ამოვლებულ წინა ბორბალს, რომელიც წუმპეს აქეთ-იქეთ შადრევანივით ასხამდა.

ეტლი ჯერ შარაგზის გასნვრივ, შავმიწანიადაგზე ზოლად გაელე-ბულ ნაურმალს მიჰყვებოდა, მერე კი, როცა გზა ერთიანად რუხ, ბუშტებდაყრილ ნიაღვრად იქცა, შარაგზაზე გადავიდა და ბორბლები წვრილ ღორღზე აარახრახა. ამ თქეშისა და თავსხმა წვიმისაგან, რომელსაც ქორფა კიტრისა და ფოსფორის სურნელი სდიოდა, აღარც ცა ჩანდა, აღარც ირგვლივ გაშლილი მინდვრები. ღრუბლის უზარმაზარ კედელს, თითქოს ცასა და დედამიწას აღსასრული უნდა აუწყოსო, დატოტვილი ელვა ცეცხლივით გაჰკვეთდა, მისი მოელვარე კუდი კრასილშჩიკოვს თავს ზემოთ ტკაცატკუცით გადაურბენდა და ისეთი ძალით იჭექებდა, თითქოს საცაა ქვეყნიერება უნდა დააქციოსო. ყოველ დაჭექებაზე აკანკალებული ცხენი ყურებს დაცქვეტდა, ძაღლი ადგილს დამფრთხალი მოსწყდებოდა და ხტუნვა-ხტუნვით გარბოდა... კრასილშჩიკოვმა უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, ახლაც მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ ზაფხულობით ტულაში, მდიდრული აგარაკის კვალობაზე განყობილ მამულში რომ

ჩავიდოდა, თავი გლეხობიდან გამოსული მემამულე-სოვდაგარივით ეჭირა, სვამდა ლაფიტს, პაპიროსები ოქროს პორტსიგარაში ეწყო, ეცვა გაპოხილი ტყავის მაღალყელიანი ჩექმები, გვერდზე შესაკრავსაყელოიანი ხალათი და ხიფთანი. ამაყობდა თავისი რუსული ნირითა და ყაიდით და ახლა, ამ თავსხმა წვიმასა და ჭექა-ქუხილში წვიმის ყინულივით ცივი წყალი ქუდის ჩარდახიდან ღვარივით რომ ჩამოსდიოდა, გრძნობდა, მთელი სხეული სოფლის ცხოვრების ხალისით, ენერგიითა და ჯანსაღი კმაყოფილებით როგორ ევსებოდა. წელს რატომღაც ხშირად აგონდებოდა გასული ზაფხული, როდესაც ერთი ცნობილი მსახიობი ქალის გამო ივლისამდე, ვიდრე ის ქალი კისლოვოდსკში გაემგზავრებოდა, ლამის სული გასძვრა მოსკოვში – უსაქმობა, სიცხე, რკინის კასრებში მოთუხთუხე ასფალტის მყრალი სუნი, მცირე თეატრის მსახიობებთან დროსტარება, რომლებიც ასევე კავკასიაში აპირებდნენ დღე-დღეზე გამგზავრებას, ტრამბლეს საყავეში ყურყუტი და საღამოობით შალითაგადაკრული ავეჯით, ჭაღებითა და მარმაშჩამოფარებული სურათებით მორთულ, ნაფტალინის სუნით გაჯერებულ თავის ბინაში იმ ქალის დაუსრულებელი ლოდინი... ზაფხულში მოსკოვური საღამოები ხომ გრძელი და უსასრულოა, თერთმეტ საათზე ჯერ ისევ დღის შუქი დგას. აი, ზიხარ, ელოდები, ელოდები, ის კი არა და არა ჩანს... ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, აწკრიალდება ზარი, გამოცხადდება მთელი თავისი საზაფხულო მორთულ-მოკაზმულობით და დაღლილობისაგან აქაქანებული სულმოუთქმელად არატრატდება: „მაპატიეთ, გეთაყვა, თავი ისე მტკიოდა, მთელი დღე ლოგინზე ვიყავი გართხმული... შენი ჩაის ვარდი სულ ჩამოჭკნა... ისე ვჩქარობდი, უცხენმალესი მეეტლე ავიყვანე... რომ იცოდე, როგორ მშია..."

მალე თავსხმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა გადაიარა, შარაგზის მარცხნივ ქვრივი ბერიკაცის – პრონინის ნაცნობი ფუნდუკი გამოჩნდა. ქალაქამდე ჯერ კიდევ ოცი ვერსი იყო დარჩენილი. უნდა შევიცადო, – გაიფიქრა კრასილშჩიკოვმა, – ცხენი ხომ გაიქაფა და გაიქაფა, კაცმა არ იცის, რა ამინდს დაიჭერს. აი იქით ცა ისეა ჩამობნელებული, ისეთი ელვის ცეცხლი უკიდია... ამ ფიქრებში

გართულმა ფუნდუკის გადასახვევისკენ ცხენი ჩორთით წაიყვანა და ფიცრის პარმაღს რომ მიადგა, შეჩერდა.

– ბერიკაცო, სტუმარს არ მიიღებ? – გასძახა ხმამაღლა.

ძახილზე არავინ გამოპასუხებია, ჟანგიანი თუნუქით გადახურული ძელური სახლის ფანჯრები ჩაბნელებული იყო. აღვირი ბოძს შემოახვია და პარმაღში შევარდნილ წყალში ამოზუნზლულ, ტალახში ამოვლებულ ძაღლს, რომელიც მთვლემარე თვალებს უაზროდ, ცოფიანივით აფეთებდა, უკან მიჰყვა. მერე გაოფლილ შუბლზე კარტუზი გადაინია, წვიმისაგან გალუმპული ხიფთანი გაიხადა და პარმაღის მოაჯირზე მიაგდო. ვერცხლით განყობილი ტყავის ქამარშემოჭერილი ხალათის ამარა დარჩენილმა ტალახის შხეფებით აჭრელებული სახე მოიწმინდა და ჩექმაზე მათრახით ტალახის მოცილება დაიწყო. ღია კარის მიუხედავად, იგრძნობოდა, რომ სახლში არავინ იყო. „ალბათ საქონლის მოსარეკად იქნება წასული“ – კრასილშჩიკოვი ნელში მოიხარა, ნაწვიმარ მინდორს გახედა და – გზა ხომ არ გავაგრძელოო, – გაიფიქრა. გვიანი საღამო იყო, ნესტით გაჯერებული ჰაერი თითქმის აღარც კი იძვროდა. შორს, სადღაც, მწყრები მონდომებით უკაკუნებდნენ წვიმისაგან დამძიმებულ თავთავებს. ღამდებოდა, შავად იმოსებოდა ცა და დედამინა. შარაგზისა და მელნისფრად ჩამუქებული ტანდაბალი ხეების ტევრს გაღმა კიდევ უფრო შავად ჩამძიმებულიყო ღრუბელი. ფართოდ, გავრცობილად, ავისმომასწავებლად ენთებოდა და ქრებოდა ცეცხლოვანი ელვა. კრასილშჩიკოვმა წინკარში შეაბიჯა და ხელის ფათურით კარი მოძებნა, მაგრამ იქ არავინ დაუხვდა, მხოლოდ საათის წიკწიკი ისმოდა სადღაც კედელზე. კარი გაიჯახუნა, მარცხნივ შეტრიალდა, ასევე ხელის ფათურით მეორე, ქოხში შემავალი კარიც მოძებნა, მაგრამ აქაც იგივე სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა, ხვატჩამდგარ სიბნელეში მხოლოდ ჭერზე მიმსხდარი ბუზები ბზუოდნენ უხალისოდ.

– ამოწყდნენ თუ რა ოხრობაა!– თქვა კრასილშჩიკოვმა ხმამაღლა, რომ იმავე წუთს სიბნელეში ტახტიდან ჩამოცურებული სტიოპას, სახლის პატრონის ქალიშვილის თითქმის ბავშვური, საამური ხმა მოესმა.

– აჰ, ეს თქვენა ხართ, ვასილი ლიკსეიჩ? მე კი, აი, მარტო ვარ. მზარეული მამილოს წაეჩხუბა და შინ წავიდა. თვითონ კიდე მოჯამაგირეები წაიყვანა ქალაქში, საქმეზე წაბრძანდა, დღეს ალბათ არ დაბრუნდება... ჭექა-ქუხილმა ისე შემაშინა, ლამის სული გამძვრა. გამარჯობათ! მაპატიეთ, ვასილი ლიკსეიჩ.

კრასილშჩიკოვმა ასანთს გაჰკრა და გოგონას შავგვრემან სახეზე მიანათა: – ვიფიქრე, ცოტას შევიცდი-მეთქი და აქით შემოვუხვიე... შენ კი გეგონა, ყაჩაღები მოგიცვივდნენ?

ასანთი თანდათან ჩაინავლა, მაგრამ სტიოპას შემკრთალი, მოღიმარი სახე, მისი მარჯნის ყელსაბამი და ყვითელი ჩითის კაბის ქვეშ ამოზიდული პატარა მკერდი ჯერ ისევ ილანდებოდა... იგი კრასილშჩიკოვზე თითქმის ორჯერ დაბალი იყო და პატარა გოგონას ჰგავდა.

– ახლავე ლამპას ავანთებ, – ჩაილაპარაკა ვაჟის დაჟინებული მზერით შემკრთალმა, ფეხის წვერებზე აიწია და ლამპის დაკბილული თუნუქის ნრედიდან შუშა ამოაძრო.

კრასილშჩიკოვი ასანთს უკიდებდა, თან სტიოპას დაჭიმულ, წინ წახრილ ტანს თვალს არ აცილებდა.

– მოიცა, არ გინდა, – თქვა მან ანაზდად, ასანთის ღერო მოისროლა და გოგოს წელზე ხელები მოხვია, – ერთ ნუთს ჩემკენ შემობრუნდი...

გოგომ მხარს ზემოთ შიშით გადმოხედა, მკლავები ჩამოუშვა, მისკენ შეტრიალდა და, კაცმა თავისკენ რომ მიიზიდა, არ გაჯიუტებულა, შეშინებულმა თავი უკან გადააგდო. საღამოს ბინდბუნდში კაცმა თვალებში ჯიქურ ჩახედა:

– შეგეშინდა?

– ვასილი ლიკსეიჩ... – ვედრებით ჩაიბურტყუნა გოგომ და ხელიდან დასხლტომას შეეცადა.

– მოიცა!.. განა არ მოგწონვარ? ხომ ვიცი, ყოველთვის გიხაროდა ჩემი მოსვლა.

– თქვენზე უკეთესი ქვეყნად არც არავინ არის... – ჩაილაპარაკა სტიოპამ წყნარად.

– აი ხომ ხედავ...

ვაჟი ტუჩებში ჰკოცნიდა და ხელს ქვევით-ქვევით მიაცურებდა.

– ვასილი ლიკსეიჩ... ღვთის გულისათვის... დაგავიწყდათ, თქვენი ცხენი ისევ პარმაღის ქვეშ რომაა? აი, საცაა მამილოც დაბრუნდება... აჰ, არა, არ გინდათ...

ნახევარი საათის შემდეგ კრასილშჩიკოვი ქოხიდან გამოვიდა, ცხენი ჩარდახში შეიყვანა, აღვირი აჰყარა, შუა ეზოში საზიდარზე დაზვინული ახლად მოთიბული სველი ბალახი აიღო, ცხენს წინ დაუხვავა, მოკრიალებულ ცაზე მშვიდად მოციმციმე ვარსკვლავებს ახედა და ქოხში შებრუნდა. მდუმარებაში ჩაფლული ქოხის ჩახუთულ სიბნელეში ჯერ ისევ შორეული ციალი აღწევდა. იწვა გოგონა ტახტზე მობღუნძული, მკერდში თავჩარგული, მწარედ ნამტირალევი, მომხდარი საშინელების, მოულოდნელობისა და აღტაცებისაგან გაოგნებული. მერე ვაჟმა მლაშე ცრემლით მონამულ ლოყაზე აკოცა, ლოგინზე პირაღმა გაიშხლართა და თავი მხარზე დაადებინა. მარჯვენა ხელში პაპიროსი ეჭირა, აბოლებდა, მარცხენა ხელით თმაზე ეფერებოდა. მერე გოგოს უცებ ჩაეძინა, ვაჟი კი სიბნელეს მისჩერებოდა და კმაყოფილი იღიმებოდა: „თვითონ კიდე საქმეზე ქალაქში წაბრძანდა...“ ესეც შენი წაბრძანდა! იმ თავისი რუხი ხიფთანითა და თოვლივით თეთრი წვერით ისეთი ცქვიტი, ხმელ-ხმელი, ცქაფი ბერიკაცია, ყველაფერს მიხვდება... ჯერაც ისეთი შავი, ხშირი წარბები აქვს, თუ მთვრალია, უსაშველოდ ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ გამოპარებით ვერაფერს გამოაპარებ, ისიც კი იცის, შენს გულში რა ხდება...“

მანამდე იწვა ასე თვალებგახელილი და უძილო, ვიდრე ქოხის ჭერსა და იატაკს შუა ჩამოწოლილი წყვდიადი არ შეთხელდა. მერე ფანჯრიდან აღმოსავლეთის მწვანედ არიბირაბებულ ცას გახედა. უკვე გარკვევით არჩევდა მაგიდის ზემოთ, კუთხეში ჩამოკიდებულ ეკლესიურად შემოსილი წმინდანის დიდ ხატს, სალოცავად შემართულ მის ხელს და მტკიცე, მრისხანე გამოხედვას. მერე ქალიშვილს დახედა – იწვა გოგო და ისე ღრმად ეძინა, არაფრის ბაიბურში აღარ იყო. საბრალო, საყვარელი გოგონა!..

ბოლოს, როცა ქოხი დღის სინათლემ გაანათა, როცა კედელს იქით მამლები აყივლდნენ და ვაჟმა ასადგომად წამოიწია, გოგო წამოხტა, მკერდგადაღეღილმა და თმაგაჩეჩილმა ლოგინში მუხლებზე წამოიჩოქა და ვაჟს გაოგნებული მიაჩერდა.

– სტიოპა, – უთხრა ვაჟმა მორიდებით, – ჩემი წასვლის დროა.

– უკვე მიდიხართ? – ნაიბუტბუტა დაბნეულმა გოგომ.

მერე უცებ გონს მოეგო და ხელებგადაჯვარედინებულმა მკერდში მჯილი იკრა:

– სად, სად მიდიხართ, უთქვენოდ მე აქ როგორღა უნდა ვიყო?

– სტიოპა, მალე ისევ მოვალ.

– მაშინ მამილო ხომ შინ იქნება, როგორ უნდა გნახოთ? ტყეში შარას იქით დაგხვდებოდით, მაგრამ, აბა, სახლიდან როგორ გამოვიდე?

კრიჭაშეკრულმა ვაჟმა გოგონა გულაღმა გადააწვინა, გოგომ მკლავები უღონოდ აქეთ-იქით გადაყარა და ტკბილად, მომაკვდავივით სასომიხდილმა წამოიკივლა: „აპ!"

მერე სერთუკსა და კარტუზში გამოწყობილი ვაჟი მათრახით ხელში ტახტის წინ, ცის კიდეზე ახლად ამოწვერილი მზისკენ ზურგშებრუნებული იდგა, გოგო მუხლისთავებზე წამომჯდარიყო, მწარედ, ბავშვივით პირდაღებული ქვითინებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

– ვასილი ლიკსეიჩ... ღვთის გულისათვის... ცოლად წამიყვანეთ! სულ თქვენი მონა და მორჩილი ვიქნები, თქვენი სახლის კართან დავიძინებ – გთხოვთ, გემუდარებით... ისედაც წამოვიდოდი, მაგრამ აბა ასე ვინ გამომიშვებს!.. ვასილი ლიკსეიჩ...

– კმარა! – მკაცრად შეაწყვეტინა კრასილშჩიკოვმა, – ამ დღეებში ჩამოვალ და მამაშენს ვეტყვი, ცოლად ვირთავ-მეთქი, ხომ გესმის?

გოგონა წამოჯდა, ქვითინი უმალ შეწყვიტა და გაოგნებულმა ცრემლით მონამული, სხივიანი თვალები შეანათა:

– მართლა?

– რა თქმა უნდა!

– ნათლიღებას უკვე მეთექვსმეტეში გადავდექი, – სწრაფად ჩაილაპარაკა სტიოპამ.

– აი ხომ ხედავ, ესე იგი, ექვს თვეში შეგვიძლია ჯვარიც დავინეროთ...

შინ მივიდა თუ არა, ვაჟი ბარგის ჩალაგებას შეუდგა, საღამოს ეტლით რკინიგზისკენ გასწია და, არ გაევლო ორ დღეს, რომ უკვე კისლოვოდსკში იყო.

პარიზში

მეტროს ვაგონსა ან ქუჩაში მიმავალს თუ დაინახავდი, განსაკუთრებით თავზე შლაპა თუ ეხურა და მოკლედ შეკრეჭილ ულალ თმაში გარეული ხშირი ჭალარა არ უჩანდა, მისი მუდამ სუფთად გაპარსული, ხმელი, ჯერ ისევ ახალგაზრდული სახისა და მაღალი, გამხდარი, მხრებში გამართული ტანის შემხედვარე არამც და არამც ორმოც წელზე მეტს არ მისცემდი. მხოლოდ ღია ცისფერ თვალებში ჩასდგომოდა ცივი სევდა, თავდაჭერასა და საუბარზედაც ეტყობოდა, მრავლისმნახველი, ცხოვრებაგამოვლილი კაცი იყო. პროვანსში ერთხანობას რაღაც ფერმა ჰქონდა იჯარით აღებული. ბლომად ისმინა იქაური მწარ-მწარე ოხუნჯობა და ანეკდოტი. მერე პარიზშიც გამოურევდა ხოლმე შიგადაშიგ თავის არცთუ ისე სიტყვამრავალ საუბარში პროვანსულ მახვილ სიტყვასა თუ კვიმატ ანეკდოტს – იტყოდა და ჩუმად ჩაიცინებდა. ცოლმა ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში მიატოვა – თითქმის ყველამ იცოდა ეს ამბავი... ცოლთან გაცილებას დღემდე საშინელი გულისტკივილით განიცდიდა, თუმცა ამ ტკივილის საიდუმლო არავისთვის გაუმხელია, ხანდახან გადაკვრით თუ იტყოდა რაიმეს ან ქალებზე საუბრისას თავისებურად წაიქილიკებდა:

– Bien n'est difficile que de reconnaitre un bon melon et une femme de bien[1].

ერთხელ, გვიანი შემოდგომის ერთ პარიზულ ნესტიან საღამოს, პასის ქუჩის მახლობლად, ერთ-ერთ ბნელ შესახვევში მდებარე

---

[1] არაფერია უფრო ძნელი, ვიდრე კარგი საზამთროსა და პატიოსანი ქალის გამოცნობა (ფრ.).

პატარა რუსულ სასადილოში შეიარა. სასადილოს რაღაც გასტრონომიული მაღაზია ეკრა. იგი მაღაზიის წინ შეჩერდა და ფართო ფანჯრის რაფაზე გამოლაგებულ სასმელ-საჭმელს – ზუბროვკითა და ცირცელის ნაყენით სავსე ყვითელსა და ვარდისფერ ბოთლებს, ლანგარზე დანყობილ გამომშრალ ღვეზელს, სიძველისგან გალურჯებულ კატლეტებსა და შპროტისა და ჰალვის კოლოფებს თვალიერება დაუწყო. იქვე, დახლზე, საუზმე იყო გაშლილი, დახლთან არცთუ ისე სასიამოვნო, რუსული გარეგნობის დიასახლისი ტრიალებდა. ჩაბნელებული ქუჩიდან და ცივი, შავად გადასიპული ტროტუარიდან გულმა განათებული მაღაზიისაკენ გაუწია. დარბაზში შევიდა, თეთრქაღალდგადაფარებულ მაგიდებს ჩაუარა, თავისი რუხი შლაპა და გრძელი, წვიმაგაუმტარი პალტო საკიდზე ჩამოკიდა და ოთახის ბოლოს, კუთხეში მდგარ მაგიდასთან დაჯდა. მწითური ბუსუსით დაფარულ ხელებს დაბნეული იფშვნეტდა და გაქონილ ქაღალდზე ნახევრად დაბეჭდილ, ნახევრად ლურჯი მელნით დაჯყაპნილ ნაირ-ნაირი საჭმელების გრძელ ნუსხას უაზროდ ათვალიერებდა. უცებ, იმ კუთხეში, სადაც იჯდა, სინათლე აინთო და შავთვალა, შუაზე შავთმაგაყოფილი, შავ კაბაზე თეთრ ნინსაფარაფარებული ოცდაათიოდე წლის ქალი, თავაზიანი, მაგრამ გულგრილი გამომეტყველებით მისკენ წამოვიდა.

– Bon soir, monsieur[1], – მიესალმა იგი სასიამოვნო ხმით.

ქალი ისე მომხიბვლელი ეჩვენა, მოულოდნელობისაგან შემცბარმა უხერხულად უპასუხა:

– Bon soir... რუსი ხომ არ ბრძანდებით?

– როგორ არა, რუსი ვარ... მაპატიეთ, რატომღაც ჩვეულებად მექცა, სტუმრებს ფრანგულად გამოველაპარაკო.

– მერედა ასე ხშირად შემოდიან ფრანგები?

– საკმაოდ... თან ყველა ზუბოვკას, ბლინებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბორშსაც კი თხოულობს. რა ქენით, ამოირჩიეთ?

– აქ იმდენი რამ არის... ხომ არ დამეხმარებოდით?

---

[1] საღამო მშვიდობისა, ბატონო (ფრ.).

ქალმა სხაპასხუპით მიაყარა:

– ფლოტური შჩი, კაზაკური გუფთა, ხბოს კატლეტი... თუ გნებავთ, ყარსულ მწვადსაც მოგართმევთ.

– ძალიან კარგი... თუ შეიძლება, გუფთა და შჩი მომიტანეთ...

ქალმა ქამარზე ჩამოკიდებული ბლოკნოტი მოიხელთა და გადაჭრილი ფანქრით შეკვეთა ჩაიწერა. არაჩვეულებრივად თეთრი, ნატიფი, ჯიშიანი ხელები ჰქონდა. კაბა, მართალია, საკმაოდ ნახმარი და შელახული ჩანდა, მაგრამ, ეტყობოდა რომელიღაც ცნობილსა და სახელგანთქმულ სახლში იყო შეკერილი.

– არაყი ხომ არ გნებავთ?

– სიამოვნებით... გარეთ საშინელი ნესტია...

– საუზმე რა მოგართვათ? შესანიშნავი დუნაის ქაშაყი და ახლახან მიღებული წითელი ხიზილალა გვაქვს. კორკუნულ კიტრის მწნილს ხომ არ ინებებდით?

კაცმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ქალი – საოცრად შვენოდა შავი კაბა და თეთრი, მოქარგული წინსაფარი. წინსაფარქვეშ ლამაზად ამობურცოდა ახალგაზრდა, ჯანსაღი ქალის სავსე მკერდი. ჯერ ისევ ქორფა ტუჩებზე არაფერი ესვა, შავი, მსხვილი ნაწნავი თავზე სადად ჰქონდა მოხვეული; მხოლოდ სათუთად მოვლილი, თეთრი, ლამაზი ხელის ფრჩხილები უპრიალებდა ლაქისაგან ვარდისფრად.

– საუზმედ რა მომართვათ? – გაიმეორა კაცმა ღიმილით, – თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ ქაშაყსა და ცხელ კარტოფილს გეახლებით.

– ღვინოს რომელს ინებებთ?

– წითელი მომიტანეთ, ჩვეულებრივი, სუფრის...

ქალმა ესეც ბლოკნოტში ჩაინიშნა და გვერდითა მაგიდიდან წყლით სავსე გრაფინი გადმოდგა. კაცმა თავი გააქნია:

– მერსი... არა, არც წყალსა და არც წყლიან ღვინოს არასოდეს გეახლებით. L'eau gate le vin comme la charette le chemin et la femme – l'âme[1].

---

[1] წყალი ისევე წაახდენს ღვინოს, როგორც ოთხთვალა გზას და ქალი კაცის სულს (ფრ.).

– კარგი აზრის კი ბრძანებულხართ ჩვენს შესახებ... – გულგრილად უპასუხა ქალმა და არყისა და ქაშაყის მოსატანად გატრიალდა. კაცმა თვალი გააყოლა – უყურებდა, რა გამართული მიაბიჯებდა, როგორ ერხეოდა შავი კაბის კალთები... „გულგრილობა და თავზიანობა, დიახ, დიახ, ყველა ის თვისება, რომელიც თავმდაბალ, ღირსებით აღსავსე მოსამსახურეს უნდა ახასიათებდეს, ამავე დროს კი, აი ეს საუცხოო ფეხსაცმელი... ალბათ, ჰყავს ვინმე ხანში შესული ami[1]. კაი ხანია, ასე ხალისიან გუნებაზე არ ვყოფილვარ, ალბათ ამ ქალის ბრალი თუა"... ამ უკანასკნელმა აზრმა როგორღაც გააღიზიანა: „აგერ, რამდენი წელიწადია, ერთი ფარული აზრი მასულდგმულებს – ყოველდღე იმ იმედით ვიღვიძებ, ვიღაცას შევხვდები, გულს სიყვარულით გამითბობს-მეთქი, არადა სულ ამაოდ..."

მეორე დღეს ისევ მივიდა იმ სასადილოში და ისევ იმ მაგიდასთან დაჯდა. ქალმა ერთხანს ვერ მოიცალა – ვიღაც ორი ფრანგისაგან შეკვეთას იღებდა, მათ ნათქვამს ხმამაღლა იმეორებდა და ბლოკნოტში იწერდა:

– Gaviar rouge, salade russe... Deux chachlyks[2]...

მერე გავიდა, მალე უკანვე შემობრუნდა და გაღიმებული პირდაპირ მისკენ გაეშურა:

– საღამო მშვიდობისა. სასიამოვნოა, ესე იგი, ჩვენი სასადილო მოგეწონათ.

კაცმა სკამიდან მხიარულად წამოიწია:

– გამარჯობათ... რა თქმა უნდა, მომეწონა... რას მიბრძანებთ, როგორ მოგმართოთ?

– მე ოლგა ალექსანდროვნა მქვია, თქვენ?

– მე – ნიკოლაი პლატონიჩი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ქალმა კვლავ ბლოკნოტი მოიმარჯვა:

---

[1] მეგობარი (ფრ.).

[2] წითელი ხიზილალა, რუსული სალათა... ორი მწვადი... (ფრ.).

– დღეს შემიძლია შესანიშნავი რასოლნიკი მოგართვათ. არაჩვეულებრივი მზარეული გვყავს, დიდ მთავარ ალექსანდრ მიხაილოვიჩს ემსახურებოდა.

– რახან ასეა... დიდი ხანია აქ მუშაობთ?

– მესამე თვეა.

– მანამდე სად იყავით?

– მანამდე Printemns-ში ვმუშაობდი გამყიდველად.

– ალბათ, შემცირების გამო დაკარგეთ ის ადგილი?

– ჩემის ნებით, ცხადია, იქიდან არ წამოვიდოდი.

„ესე იგი, არავითარი „ami" არ ყოფილა," – გაიფიქრა კაცმა გუნებაში და კმაყოფილმა ჰკითხა:

– გათხოვილი ხართ?

– დიახ.

– მეუღლე რას აკეთებს?

– იუგოსლავიაში მუშაობს, თეთრგვარდიული მოძრაობის ყოფილი მონაწილე გახლავთ. მგონი, თქვენც ასევე უნდა იყოთ?

– დიახ, ორივე ომში ვმონაწილეობდი, დიდშიაც და სამოქალაქოშიც.

– შეგხვედეთ თუ არა, მაშინვე მივხვდი. ალბათ, გენერალიც ბრძანდებით? – თქვა ქალმა და გაიღიმა.

– ოღონდ, ყოფილი. ახლა სხვადასხვა საზღვარგარეთული გამომცემლობის დაკვეთით იმ ომების ისტორიას ვწერ... როგორ მოხდა, მარტო რომ ხართ?

– რა ვიცი...

მესამე საღამოს კაცმა ქალს ჰკითხა:

– სინემა თუ გიყვართ?

– ზოგჯერ საინტერესოა, – უპასუხა ქალმა და მაგიდაზე წვნიანით სავსე თეფში ჩამოდგა.

– ამბობენ, სინემა „Etoile"-ში რაღაც შესანიშნავი ფილმი გადისო, გნებავთ, წავიდეთ, ვნახოთ? დასვენების დღეები ხომ გაქვთ?

– გმადლობთ... ორშაბათობით თავისუფალი ვარ.

– მაშინ ორშაბათს... დღეს რა დღეა – შაბათი? ესე იგი ზეგ, თანახმა ხართ?

– დიახ... ხვალ, როგორც ჩანს, არ მობრძანდებით?

– ქალაქგარეთ ვაპირებ, ნაცნობთან... რატომ მეკითხებით?

– საოცარია, ეტყობა, შეგეჩვიეთ.

კაცმა ქალს მადლიერი თვალით შეხედა და განითლდა:

– მეც... იცით, ქვეყნად ისე იშვიათია ბედნიერი შეხვედრები, – თქვა და საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა: – ესე იგი, ზეგ... სად ცხოვრობთ, სად შეგხვდეთ?

– მეტრო Motte Picquet-თან.

– ხედავთ, რა მოხერხებულად გამოვიდა, ეს ხომ ზუსტად Etoile-ის გზაზეა. ცხრის ნახევრისათვის მეტროს წინ დაგელოდებით.

– მერსი...

კაცმა ხუმრობით თავი დაუკრა და ღიმილით უთხრა:

– C'est moi vous remercie[1]. დაანვინეთ ბავშვები და წამოდით... – აინტერესებდა, ჰყავდა თუ არა ქალს ბავშვები.

– მაგ სიკეთეს მოკლებული გახლავართ, – თქვა ქალმა, თეფში ააცალა და ნარნარით წავიდა.

კაცი გულაჩუყებული, წარბშეკრული მიდიოდა შინისაკენ. „საოცარია, ეტყობა, შეგეჩვიეთ"... ვინ იცის, იქნება ეს ის ბედნიერი შეხვედრაა, რომელსაც აგერ უკვე რამდენი წელიწადია ველოდი, – გაიფიქრა და თან დასძინა – „ეე, რაღა დროისაა, გვიანაა, ჩემო ძმაო, გვიან - Le bon Dieu envoie toujours des culottes a ceux qui n'ont pas de derriere[2]..."

ორშაბათ საღამოს ნვიმდა, ბურუსით მოცულ პარიზის ცას მეწამული გადაჰკრავდა. იმ აზრით, მონპარნასზე მასთან ერთად ვივახშმებო, არ უსადილია, Chaussée de la Muette-ზე კაფეში შევიდა,

---

[1] ეს მე ვარ თქვენი მადლობელი (ფრ.).

[2] კეთილმონყალე ღმერთი საცვალს მხოლოდ იმას აძლევს, ვისაც უკანალი არა აქვს (ფრ.).

ერთი ლორიანი სენდვიჩი შეჭამა, ერთი ტოლჩა ლუდი დააყოლა, პაპიროსი მოწია, ტაქსში ჩაჯდა, მერე ტაქსი მეტრო Etoile-ის წინ გააჩერებინა და თავსხმა წვიმაში მანქანიდან ტროტუარზე გადმოვიდა. მსხვილი, წითელლოყება მძღოლიც იქვე იდგა და მშვიდად ელოდა. მეტროდან აბანოს ოხშივრის მძიმე სუნი სცემდა. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი შავ ნაკადად, მოდიოდნენ და ქოლგებს გზადაგზა შლიდნენ. უცებ კიბეზე ამომავალ ბრბოში ქალს მოჰკრა თვალი და გახარებული მისკენ გაეშურა:

– ოლგა ალექსანდროვნა...

მოდაზე გამოწყობილმა ქალმა თამამად მიაპყრო თავისი შავი, ლამაზად შესურმავებული თვალები. მერე მაჯაზე ქოლგაჩამოკიდებული ხელი ქალური ეშხით გაუწოდა და საღამოს გრძელი კაბის კალთები ხელში მოხდენილად აიკრიფა... კაცმა შეხედა, გუნებაში ესიამოვნა – „საღამოს კაბა ჩაუცვამს, ეტყობა, ამანაც ის იფიქრა, სინემას შემდეგ სადმე შევივლითო“, – მერე ხელთათმანი გადაუწია და თეთრ ხელზე აკოცა.

– დიდხანს მელოდით?

– ეს-ეს არის მოვედი... ახლა კი სასწრაფოდ ტაქსში ჩავსხდეთ.

თქვა და დიდი ხნის განუცდელი მღელვარებით შეპყრობილი ნახევრად ბნელ, ნესტიანი მაუდის სუნით გაჟღენთილ მანქანაში ქალს გვერდით მიუჯდა. მოსახვევში მანქანა ძლიერად შეირყა, წუთით შიგ ფარნის შუქმა შემოანათა, თავისდა უნებურად ქალს წელზე ხელი წააშველა, უცბად პუდრის სასიამოვნო სურნელი იგრძნო და თვალი საღამოს შავი კაბის კალთით დაფარული სავსე მუხლებისაკენ გაექცა – ამ წუთას მის გვერდით სულ სხვა ქალი იჯდა.

ისხდნენ ჩაბნელებულ დარბაზში, შეჰყურებდნენ თეთრად განათებულ ეკრანს, სადაც ცას ირიბად გაკრული თვითმფრინავები ღრუბლებში გუგუნით დასრიალებდნენ აღმა-დაღმა და ჩუმად საუბრობდნენ. ბოლოს ქალს ჰკითხა:

– მარტო ხართ თუ ვინმე მეგობარ ქალთან ერთად ცხოვრობთ?

– მარტო ვცხოვრობ, თანაც, რომ იტყვიან, აუტანლად. პატარა სასტუმროა, თბილი, სუფთა, მაგრამ ასეთი სასტუმრო მხოლოდ ერთი ღამის გასათევად თუ ვარგა. ან ვინმე ქალთან ერთად თუ შეივლის კაცი რამდენიმე საათით. ვცხოვრობ მეექვსე სართულზე, ლიფტი, რა თქმა უნდა, არ არის, ნითელი ფიანდაზი კიბეს მხოლოდ მეოთხე სართულამდე ამშვენებს... ღამღამობით, განსაკუთრებით კი წვიმიან ამინდში, საშინელი სევდა მეუფლება. გამოაღებ ფანჯარას და ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარია, ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ არის. სადღაც, ქვემოთ, ერთადერთი ფარანი წვიმაში საცოდავად ბჟუტავს... თქვენც, რა თქმა უნდა, უცოლშვილო ბრძანდებით და ალბათ ჩემსავით სასტუმროში ცხოვრობთ?

– არა, პატარა ბინა მაქვს პასიში. რა თქმა უნდა, მარტო ვცხოვრობ. დიდი ხანია, პარიზელი ვარ. ერთხანს ფერმა მქონდა პროვანსში იჯარით აღებული, მინდოდა გავრიდებოდი ყველასა და ყველაფერს, პური საკუთარი შრომით მეჭამა, მაგრამ გამიჭირდა, იმ შრომას ვერ გავუძელი. ბოლოს დამხმარედ ვიღაც კაზაკი ავიყვანე, მაგრამ, უსაშველოდ ლოთი, უცხვირპირო, პირქუში კაცი გამოდგა... მოვამრავლებ კურდღელსა და ქათამს, ვხედავ, იხოცება, კიდევ და კიდევ... ერთხელაც არის, ჯორმა კინაღამ დამკბინა. მოკლედ, არაფერი გამომივიდა, რაც მთავარია, საშინელ მარტოობას ვგრძნობდი, ცოლმა ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში მიმატოვა.

– ხუმრობთ?

– არა, რატომ? ჩვეულებრივი ამბავია. Qui se marie paramour a bonne nuits et mauvais joues[1]. ჩემთვის კი ერთიცა და მეორეც თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა. ორი წლის დაქორწინებულებიც არ ვიყავით, რომ დაჰკრა ფეხი და გაიქცა.

– ახლა სად არის?

– ვერაფერს გეტყვით, წარმოდგენა არა მაქვს.

---

[1] ვინც ცოლს სიყვარულით ირთავს, მას აქვს მომხიბელელი ღამეები და აუტანელი დღეები (ფრ.).

ქალი ერთხანს გაჩუმებული იჯდა. ეკრანზე ვიღაც ქვაბქუდიანი ჩაპლინის მიმბაძველი ტერფებგაჩაჩხული გიჟივით დარბოდა.

– ალბათ მარტოობას განიცდით... – უთხრა ქალმა.

– რას იზამ, უნდა მოითმინო. Patience medicine des pauvres.[1]

– მეტისმეტად სევდიანი medicine კია...

– იმდენად სევდიანი, ზოგჯერ იძულებული ვარ, „ილუსტრირო-ვანნაია როსიაც" კი გადავათვალიერო, – თქვა ღიმილით კაცმა, – იცით, არის იქ ერთი ასეთი განყოფილება, სადაც ხშირად შეხვდებით, ვთქვათ, რაღაც ამგვარ განცხადებას: „ლიტველი რუსი ქალიშვილი თავს მოწყენილად გრძნობს, სურვილი აქვს დაიწყოს მიმოწერა ვინმე გულისხმიერ პარიზელ რუს მამაკაცთან, რომელიც ღვინოს არ ეტანება, მუშაობს მძღოლად ან სადმე ამგვარ სამუშაოზე, არის მატერიალურად უზრუნველყოფილი, უყვარს ოჯახური მყუდროება. ინტელიგენტურობა აუცილებელი არ არის". კაცმა რომ თქვას, არც არის აუცილებელი, მშვენივრად მესმის იმ ქალისა.

– ნუთუ ნაცნობ-მეგობრები მაინც არ გყავთ?

– მეგობრები არა მყავს, ნაცნობები კი, მართალი გითხრათ, არც ისე დიდი ნუგეშია.

– თქვენს საოჯახო მეურნეობას ვინ უძღვება?

– მეურნეობა საკმაოდ მოკრძალებული მაქვს. ყავას თვითონ ვიდუღებ, საუზმესაც თვითონ ვიმზადებ, საღამოს femme de ménage[2] მოდის.

– საბრალო, – თქვა ქალმა და ხელზე ხელი მოუჭირა.

ისხდნენ ხელიხელჩავლებულები, ბინდით, გვერდიგვერდ მიდგ-მული სკამებით დაახლოებულნი და თავი ისე ეჭირათ, ვითომ ეკრანს გაფაციცებულები შეჰყურებდნენ, რომლისკენაც უკანა კედელთან მოწყობილი კაბინიდან მათ ზემოთ შუქი მოთეთრო-კვამლისფერ ნაკადად მიედინებოდა,. სამოვრის მილივით აღრჩოლებული, ძველი, ადამისჟამინდელი ავტომობილის კვამლში გახვეული, შიშისაგან

---

[1] ღარიბების მედიცინა მოთმინებაა (ფრ.).

[2] დამლაგებელი ქალი (ფრ.).

თავზარდაცემული ჩაპლინის მიმბაძველი ტელეგრაფის ბოძზე კი არ მიცოცავდა, მიფრინავდა, მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი ქვაბქუდი შიშისაგან ყალყზე დამდგარ თმაზე კი არ ეხურა, თავს ზემოთ ედგა, თამბაქოს კვამლში ჩანთქმული დარბაზიდან კი მუსიკის გრიალი თითქოს სადღაც ორმოდან ამოდიოდა (თვითონ ზევით, აივანზე ისხდნენ), მქუხარე ტაშისა და მხიარული ხორხოცისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

იგი ქალისაკენ დაიხარა:

– იცით რა? მოდი, სადმე წავიდეთ, ვთქვათ, მონპარნასში, აქ აუტანელი უჰაერობა და მოწყენილობაა...

ქალმა თავი დაუქნია და ხელთათმანის ჩაცმა დაიწყო.

მალე ისინი კვლავ ნახევრად ჩაბნელებულ კარეტაში ჩასხდნენ. ფარების ყოველ შემოშუქებაზე ალმასივით კრთოდა და ციმციმებდა მინაზე ნაპერწკალივით დაყრილი წვიმის მსხვილი, პრიალა წვეთები... ზევით, ჩაბნელებულ ჰაერში, ვერცხლისწყალივით იღვრებოდა რეკლამების მეწამულ შუქთა ნიაღვარი. ისხდნენ ორივენი გაჩუმებულები და გზას გაჰყურებდნენ. მერე კაცმა კვლავ ხელთათმანის კიდე გადაუწია და ხელზე ხანგრძლივად აკოცა. ქალმა ნახშირივით შავი, გრძელწამწამიანი, უცნაურად გაცისკროვნებული თვალები შეანათა, სევდითა და სიყვარულით განათებული სახე კაცს სახესთან მიუტანა და სავსე ბაგეებზე წასმული პომადის მოტკბო სურნელი შეაფრქვია.

კაფე „Coupole"-ში ჯერ ხამანწკა და ანჟუ მოითხოვეს, მერე – მწყერი და წითელი ბორდო, ბოლოს ყავას ყვითელი შარტრეზიც დააყოლეს და ოდნავ შეთვრნენ, თან საოცრად ბევრს ეწეოდნენ. საუბრის დროს კაცი შიგადაშიგ ქალის ანთებულ სახეს შეხედავდა და – არა, ნამდვილი მზეთუნახავიაო, – ფიქრობდა.

– მართალი მითხარით, – თქვა ქალმა და ორი თითით ენის წვერიდან თამბაქოს ნამცეცი მოიცილა, – ამ წლების განმავლობაში ალბათ ხვდებოდით ვიღაცას?

– რა თქმა უნდა, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორიც იქნებოდა ეს შეხვედრები... თქვენ?

ქალი შეყოყმანდა.

– კი, იყო ერთი გულსაკლავი ამბავი... გამოგიტყდებით, იმ ამბის გახსენებაც არ მინდა. პატარა ბიჭი იყო, თითქმის სუტენიორი... ეჰ, რაც იყო, იყო. ჯობს, ის მიამბოთ, მეუღლეს როგორ დასცილდით?

– სამარცხვინოდ... ისიც თითქმის ჯერ ისევ ბიჭი იყო, ბერძენი, არაჩვეულებრივად მდიდარი და არაჩვეულებრივად ლამაზი. გაიცნო თუ არა, კვალიც აღარ დარჩა იმ ფაქიზი, მგრძნობიარე გოგონასაგან, რომელიც, უბრალოდ, ლოცულობდა თეთრ გვარდიასა და თითოეულ ჩვენგანზე. დღე არ გაივლიდა, სავახშმოდ პერის ყველაზე ძვირად ღირებულ დუქანში არ წაეყვანა, ყვავილის უზარმაზარ კალათებს უგზავნიდა... ნუთუ შეგიძლია ამაზე იეჭვიანო? შენ მთელი დღე არ გცალია, ის კი მართობს, ჩემთვის ის ერთი საყვარელი ბიჭუკელაა, ეგ არის და ეგო... თვითონ კი იმ დროს ოცი წლისაც არ იყო... მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა მისი დავიწყება, ოღონდ ისეთის, როგორიც ადრე, ეკატერინოდარში იყო.

ანგარიში რომ მოიტანეს, ქალმა ნუსხა ყურადღებით ჩაათვალიერა და ურჩია, მომსახურებისათვის არამც და არამც ათ პროცენტზე მეტი არ მიეცა. ერთისთვისაც და მეორისთვისაც ახლა უკვე სრულიად გაუგებარი იყო, ნახევარი საათის შემდეგ რატომ უნდა ამდგარიყვნენ და ერთმანეთს რატომ უნდა გამომშვიდობებოდნენ.

– მოდი, ჩემთან ნავიდეთ, – უთხრა კაცმა სევდიანად, – ცოტა ხანს დავსხდეთ, დავილაპარაკოთ.

და აი, ღამის ტაქსის რუსმა მძღოლმა მანქანა ერთ ყრუ, მყუდრო შესახვევში რომელიღაც მაღალი სახლის სადარბაზოსთან გააჩერა. სახლის წინ ნაგვით სავსე, გაზის ფარნის მეტალისებური შუქით განათებულ რკინის როფზე წვიმას რაკარუკი გაჰქონდა. განათებული ვესტიბიულიდან ისინი პატარა, ვიწრო ლიფტში შევიდნენ და, ვიდრე ლიფტი ნელა მიიწევდა ზევით-ზევით, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჩუმად ჰკოცნიდნენ. ლიფტში ელექტროშუქის გამორთვამდე კაცმა კარს გასაღები მოარგო, ქალს ბინაში შეუძღვა, შემდეგ სასადილო ოთახში სინათლე ჩართო და ჭაღიდან ერთადერთმა ნათურამ სევდიანად გამოანათა. სახეზე ორივეს დაღლილობა

ეტყობოდა. მერე კაცმა ქალს ცოტაოდენი ღვინის დალევა შესთავაზა.

– არა, ძვირფასო, მეტი აღარ შემიძლია, – უარი განაცხადა ქალმა.

კაცმა ისევ სთხოვა:

– იქნებ, თითო დაგველია, აგერ, ფანჯარაზე, შესანიშნავი პუი მიდგას.

– დალიეთ, საყვარელო, დალიეთ, მე კი მანამდე წავალ, დავიბან, მერე უნდა დავწვეთ და დავიძინოთ. ბავშვები ხომ აღარა ვართ, რახან დაგთანხმდით და წამოვედი, ესე იგი... ვფიქრობ, თქვენ ეს შესანიშნავად იცოდით... ისე, ან კი...

კაცმა მღელვარებისაგან ვერაფერი უპასუხა, საძინებელი ოთახისაკენ უსიტყვოდ გაუძღვა და საძინებელსა და სააბაზანოში შუქი აანთო. სასადილო ოთახისაგან განსხვავებით ნათურებს აქ ჩახჩახი გაჰქონდა. შუაში კარი ღიად იყო დატოვებული. სახლის სახურავზე წვიმა კვლავ თქარათქურით დიოდა, შინ კი შესანიშნავი სითბო და მყუდროება სუფევდა. ქალმა კაბის გრძელი კალთები ხელში აიკრიფა და კაბა მხრებზე გადაიძრო.

კაცი სასადილო ოთახში გავიდა, ორი ჭიქა ყინულივით ცივი, მომწარო ღვინო ზედიზედ გადაჰკრა და თავს უკვე ვეღარ მოერია, იმავე წუთს ისევ საძინებელში შებრუნდა. მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ დიდ სარკეში გაჩახჩახებული სააბაზანო ოთახი მოჩანდა. სრულიად შიშველი ქალი მისკენ ზურგშექცეული იდგა – ჯანსაღი, მკვრივი, თოვლივით ქათქათა. იდგა პირსაბანისაკენ წახრილი და კისერსა და მკერდს იბანდა.

– არა, არ შემოხვიდეთ, არ შეიძლება, – უთხრა ქალმა და აბანოს ხალათი შილიფად მოიხურა. გახსნილი ხალათიდან სავსე მკერდი, თეთრი, მკვრივი მუცელი და ვიწრო თეძოები მოუჩანდა. მერე კაცთან მივიდა, კისერზე ნამდვილი ცოლივით მოეხვია და კაცმაც გულში ცოლივით ჩაიკრა. ეხვეოდა მის გრილ სხეულს და ჯერ ისევ სველ, ტუალეტის საპნის სურნელით გაჟღენთილ მკერდზე, ტუჩებზე, ახლად საღებავგადაცილებულ თვალებში ჰკოცნიდა.

ერთი დღის შემდეგ ქალმა სამუშაო მიატოვა და მასთან გადასახლდა.

ზამთარი რომ დადგა ერთხელაც კაცმა ქალი, როგორც იქნა, დაითანხმა, ლიონის კრედიტის სეიფი თავის სახელზე გადაეტანა და ერთსაცა და მეორესაც სიცოცხლეში თუ რამ მოენაგრებინათ, იმ სეიფში დაედოთ:

– სიფრთხილე საქმეს არ წაახდენს. ხომ გაგიგონიათ, L'amour fait danser fes anes[1]. მართალია, ჯერჯერობით თავს ოცი წლის ჭაბუკივით ვგრძნობ, მაგრამ, რა იცი, ხვალ რა ხდება.

და აი, აღდგომის მესამე დღეს კაცი მეტროს ვაგონში გარდაიცვალა – იჯდა, გაზეთს კითხულობდა, რომ თავი უცებ სკამის ზურგზე გადააგდო და თვალები გადაატრიალა...

შავებით მოსილი ქალი სასაფლაოდან შინ ბრუნდებოდა, გაზაფხულის თბილი, სასიამოვნო დღე იდგა, პარიზის გამჭვირვალე ცაზე თითო-ოროლა ნისლისფერი ღრუბელი დაცურავდა და ირგვლივ ყოველივე განახლებული სიცოცხლის მარადიულობასა და ქალის დაღუპულ ცხოვრებაზე ღაღადებდა.

შინ რომ მივიდა, ქალმა სახლის დალაგება დაიწყო, დერეფანში თვალი დერეფნის პლანკერში ჩამოკიდებული კაცის დიდი ხნის წინანდელ რუხ, წითელსარჩულიან საზაფხულო ფარაჯას მოჰკრა, საკიდიდან ჩამოხსნა, სახეზე მიიხუტა და იქვე, იატაკზე ჩაჯდა. ფარაჯას გულში იკრავდა, ხმამაღლა, მოთქმით ქვითინებდა, ტირილისაგან მთელი სხეული უთრთოდა, ხანდახან წამოიკივლებდა და ვიღაცას შებრალებას სთხოვდა.

1940 წელი, 26 ოქტომბერი.

---

[1] სიყვარული ვირსაც ააცეკვებსო (ფრ.).

დიდმარხვის პირველი ორშაბათი

მოსკოვური ზამთრის ნაცრისფერ დღეს თანდათან ბინდი შეეპარებოდა, გაზი ცივად, უღიმღამოდ აბჟუტდებოდა ფარნებში, აბდღვიალდებოდნენ მაღაზიის ვიტრინები – მთელი დღის გარჯა-ფაცაფუცით დაღლილი ქალაქი თანდათან ღამის ცხოვრებაში ჩაიძირებოდა, ქუჩები მეეტლიანი მარხილებით აივსებოდა, ხალხით გაჭედილი ტრამვაი ნელა, დამძიმებული არახრახდებოდა ლიანდა-გებზე, მავთულებიდან ბღუჯა-ბღუჯა დაიბნეოდა პანანა მწვანე ვარსკვლავები, ბინდბუნდში ლანდებივით აირეოდნენ გამვლელ-გამომვლელნი... დადგებოდა თუ არა ეს დრო, იორღაშებმული მარხილით ჩემი მეეტლე წითელი კარიბჭეებიდან იესო მაცხოვრის ტაძრისაკენ მიმაქროლებდა, ვინაიდან იმ დროს ისიც სწორედ იმ ტაძრის პირდაპირ ცხოვრობდა – მოვკიდებდი ყოველ საღამო ხელს და სასადილოდ „პრაღასა“, „ერმიტაჟსა“ ან „მეტროპოლიტში“ მიმყავდა. იქიდან უსათუოდ თეატრსა ან კონცერტზე მივდიოდით. ჩვენს მომავალზე თითქმის არ ვფიქრობდი, უფრო სწორად, არასოდეს ვუღრმავდებოდი ამ საკითხს – აბა, რა აზრი ჰქონდა, თუ კი ამაზე საუბარს თავს მუდამ ჯიუტად არიდებდა... სიმართლე რომ ითქვას, ჩემთვის იგი ნამდვილი გამოცანა გახლდათ. უცნაური და გაუგებარი იყო ჩვენი ურთიერთობაც – იმის გამო, რომ ახლოს არ მიკარებდა, ერთთავად აუტანელ მოლოდინში ვიყავი, თუმცა მის გვერდით გატარებული ყოველი წუთი ენით უთქმელი სიხარულითა და ბედნიერებით მავსებდა.

იმ პერიოდში, მახსოვს, რაღაც კურსებზე დადიოდა, თუმცა საკმაოდ იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს. ერთხელ როგორღაც

ვკითხე – რად გინდა, რაში გჭირდება-მეთქი? მხრები აიჩეჩა და – ეჰ, იცის კი ვინმემ, ვის რა ან რისათვის სჭირდება, ზოგჯერ შენი საქციელისა თვითონვე არაფერი გაგეგება, უბრალოდ, ისტორია მაინტერესებსო... დედა კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა, მამა კი, ვაჭართა ერთ-ერთი განთქმული გვარის წარმომადგენელი, დიდად განათლებული კაცი, ცხოვრობდა ტვერში თავისთვის არხეინად და სხვა მისი ჯურის ვაჭრების კვალობაზე ცოტა-ცოტა ქონებას ისიც აგროვებდა. თვითონ მარტოდმარტო იყო მოსკოვში , ბინა მაცხოვრის ტაძრის წინ, ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ჰქონდა დაქირავებული – კუთხის ბინა იყო, მთელი მოსკოვი ხელისგულივით ჩანდა. მართალია, ოროთახიანი, მაგრამ საკმაოდ ფართო, საუკეთესოდ მოწყობილი საცხოვრებელი გახლდათ. შესასვლელში უშველებელი დივანი და ძვირფასი პიანინო ედგა. დაჯდებოდა და უკრავდა „მთვარის სონატის“ მშვენიერ, სომნამბულურ შესავალს. როდესაც არ უნდა მისულიყავი, პიანინოზე და სარკეების წინ, ბროლის ლარნაკებში, დიდებული, ახლად მოკრეფილი ყვავილები ელაგა (ყვავილებს ჩემი ბრძანებით უგზავნიდნენ ყოველ შაბათს). საღამოს ოთახში რომ შევიდოდი, დივანზე ნამოწოლილი (რომლის თავზედაც რატომღაც ტოლსტოის სურათი იყო ჩამოკიდებული) საკოცნელად ხელს ნელა გამომიწოდებდა და – ამ ყვავილებისთვის დიდად მადლობელი ვარო, – დაბნეული მეტყოდა. ისე არ მივდიოდი, შოკოლადი, ჰოფმანსტალის, შნიცლერის, ტოტმაიერისა და პშიბიშევსკის ახალი წიგნები არ მიმეტანა. ზოგჯერ მიბრძანებდა, პალტოს გაუხდელად დივანთან ახლოს დავმჯდარიყავი – ასე მგონია, არაფერი შეედრება ზამთრის სუსხიანი ჰაერის სურნელს, გარედან შემოსული კაცის სამოსს რომ შემოჰყვებაო, – ამბობდა და თან ჩემი პალტოს საყელოზე მოვლებულ თახვის ბეწვს თვალს არ აცილებდა. ერთი შეხედვით მისთვის თითქმის ყველაფერი სულ ერთი იყო, თითქოს არც ეს ყვავილები აინტერესებდა, არც წიგნები, არც თეატრი, არც ის მდიდრული სადილ-ვახშმები. მიუხედავად ამისა, ზოგი ყვავილი უყვარდა, ზოგი არ უყვარდა, ჩემს მიერ მოტანილ ყველა წიგნს თავიდან ბოლომდე კითხულობდა, მთელ კოლოფ

შოკოლადს სიამოვნებით ათავებდა ერთ დღეში, სადილსა და ვახშამსაც ისევე მადიანად მიირთმევდა, როგორც მე. ღლაპუტას წვნიანს ღვეზელს ისე გულიანად შეატანდა, მაძღარსაც კი ჭამას მოანდომებდა. უყვარდა არაჟანში ჩადებული, კარგად შემწვარ-შებრანული გნოლქათამა. ხშირად იტყოდა ხოლმე, ნეტავი არ ბეზრდება ამ ხალხს, შუადღისას სადილი, საღამოს ვახშამი, მერე ისევ სადილი, მერე ისევ ვახშამიო... თვითონ კი – კიდევაც სადილობდა, კიდევაც ვახშმობდა და, რომ იტყვიან, ამ საქმის ნამდვილი მოსკოვური დაგემოვნებითა და გაგებით! თუმცა კარგ ჩაცმა-დახურვას მაინც არაფერი ერჩია – ძვირფასი ბეწვეული, ხავერდი, აბრეშუმი.

ორივენი მდიდრები, ჯანმრთელები, ახალგაზრდები, შესახედავადაც მშვენივრები ვიყავით – თეატრი იქნებოდა თუ რესტორანი, საითაც არ უნდა გაგვეევლო, არ შეიძლებოდა თვალი არ გამოეყოლებინათ. მართალია, წარმოშობით პენზის გუბერნიის მკვიდრი გახლდით, მაგრამ, იმ დროს რატომღაც სამხრეთული ეშხი და მოხდენილობა უფრო მქონდა, ის კი არადა, „უხამსად ლამაზიც“ კი მეთქმოდა. ეშმაკმა უწყის, ვინმე სიცილიელი ხართ თუ ვინა ხართო, – მითხრა ერთხელ ერთმა ცნობილმა მსახიობმა, თვითონ საოცრად ტლანქმა და მოუქნელმა, თუმცა დიდად განათლებულმა და გონიერმა კაცმა. ხასიათიც უფრო სამხრეთელს მიგავდა – სიცოცხლით სავსე, მუდამ სახეგახსნილი, მხიარული და ხალისიანი; ის კი სპარსი ან ინდოელი ასული გეგონებოდა – შავგვრემანი სახე, ხშირი, არაჩვეულებრივად შავი, საუცხოო თმა, შავი, სიასამურის ბეწვივით ნაზი, მბზინვარე წარბები, შავი, ხავერდოვანი თვალები, ჭიაფერის ტუჩები, ტუჩებზემოთ მოდებული ნაზი, შავი ღინღლი. სადმე საგანგებო ადგილას თუ წავიდოდით, ყველაზე უფრო ბროწეულის ყვავილისფერი ხავერდის კაბის ჩაცმა უყვარდა, კურსებზე კი სადად, მოწაფესავით უბრალოდ ჩაცმული დადიოდა, ჭამითაც არბატზე, ვეგეტარიანულ სასადილოში სულ რაღაც ოცდაათიოდე კაპიკად სადილობდა. რამდენადაც მე გულღია, ალალი, ლაპარაკის მოყვარული და მხიარული ხასიათისა გახლდით, იმდენად

იგი უსიტყვო და გულჩახვეული იყო. თითქოს სულ რაღაცის ფიქრშია, რაღაც უნდა ამოხსნას, გონებით რაღაცას უნდა ჩასწვდესო. ინვა დივანზე წიგნით ხელში და წინ გაშტერებული იყურებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ ნავდგომივარ თავზე ასე ჩაფიქრებულს... ზოგჯერ სამი-ოთხი დღე ისე გაივლიდა, გარეთ ფეხს არ გაადგამდა, ეჭირა წიგნი და კითხულობდა. ის კი არა, ხშირად მეც მაიძულებდა, ვმჯდარიყავი დივნის გვერდით სავარძელში და ჩუმად მეკითხა – რა ლაქლაქა და მოუსვენარი ხართ, ის მაინც მაცალეთ, ეს თავი ბოლომდე ჩავიკითხოო.

ლაქლაქა და მოუსვენარი რომ არ ვყოფილიყავი, ვერასოდეს გაგიცნობდით-მეთქი, – ვეტყოდი და უსათუოდ ჩვენი გაცნობის იმ პირველ დღეს გავახსენებდი, დეკემბერის ერთ სუსხიან საღამოს თავი ანდრეი ბელის ლექციაზე როგორ ამოვყავი, ბელიმ ლექცია სიმღერით როგორ ჩამოაჭიკჭიკა, თან ესტრადაზე როგორ დახტოდა და როგორ ცეკვავდა. მე ამის შემხედვარე ხმამაღლა როგორ ვხარხარებდი, რა ნრიალსა და ხორხოცში ვიყავი, თვითონ კი, გვერდითა სავარძელში შემთხვევით მოხვედრილმა, ჯერ გაოცებულმა როგორ შემომხედა, მერე იმასაც სიცილი როგორ აუტყდა, მეც მაშინვე დრო როგორ ვიხელთე და როგორ გამოველაპარაკე.

– კი ბატონო, ყველაფერი ასეა, მაგრამ, ხომ შეიძლება, ცოტა ხანს გაჩუმდეთ, ან წაიკითხოთ, ან მოსწიოთ...

– არა, არ შემიძლია-მეთქი, – ვეტყოდი და ავწუწუნდებოდი: – არა, არ გიყვარვართ... მე კი... ეჰ, რომ იცოდეთ...

– ვიცი... რაც შეეხება ჩემს სიყვარულს, მგონი, ბევრჯერ მითქვამს, მამისა და თქვენს მეტი ამქვეყნად არავინ მყავს, ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჩემთვის პირველიც ხართ და უკანასკნელიც. გამოდის, რომ თქვენთვის ეს საკმარისი არ არის! – და ბოლოს დასძენდა: – ეჰ, რაც არის, არის, სულ ერთია, ახლა ვერაფერს წავიკითხავ, მოდი, ისევ ჩაი დავლიოთო.

მეც მაშინვე წამოვდგებოდი, დივნის გვერდით, პატარა მაგიდაზე დადგმული ელექტროჩაიდნით წყალს ავადუღებდი,

კაკლის ხის კარადიდან ფინჯნებსა და ლამბაქებს გადმოვალაგებდი და, რაც ენაზე მომადგებოდა, ვლაქლაქებდი.

– „ცეცხლოვანი ანგელოზი“ თუ დაამთავრეთ?

– ჩავათვალიერე... ისე მაღალფარდოვანია, ვკითხულობდი და მრცხვენოდა.

– გუშინ შალიაპინის კონცერტიდან რატომ გამოიქეცით?

– მეტისმეტად ჩაუქი ბრძანდებოდა... ესეც რომ არა, არ მიყვარს ყვითელთმიანი მამაკაცები.

– სულ რაღაც არ გიყვართ, რაღაც არ მოგწონთ.

– ჰო, ბევრი რამ მართლაც არ მომწონს.

„აბა ეს რა სიყვარულია!“ – ვფიქრობდი გუნებაში და ვიდრე წყალი ადუღდებოდა, ფანჯარაში ვიყურებოდი. ოთახში ყვავილების საამო სურნელი ტრიალებდა და ჩემთვის ისიც სწორედ იმ ყვავილების სურნელივით იყო. ქვემოთ, მდინარის გაღმა, თეთრად გადათოვლილი მოსკოვი უზარმაზარი მტრედისფერი სურათივით ჩანდა, მარცხნივ კრემლის კუთხე მოჩანდა, წინ ახლად აგებული მაცხოვრის ტაძარი ქათქათებდა, ოქროს გუმბათის თავზე უამრავი ჭილყვავი ირეოდა და მათი ჩრდილები გუმბათზე მოლურჯო ლაქებად იხატებოდა... ვფიქრობდი ოხოტნი რიადზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეგვტერზე, ვასილი ნეტარხსენებულის ტაძარზე და, რა უცნაური ქალაქია, სად ეს „ვასილი ნეტარხსენებული“, სად იტალიური ყაიდის ტაძრები, სად ეს მაცხოვრის ეკლესია და ეს რაღაც ყირგიზულის მსგავსი კრემლის კედლის გოდოლებიმეთქი.

ხანდახან მივალ შებინდებულზე და ვხედავ, დივანზეა წამოწოლილი, ტანზე სიასამურის ბეწვმოვლებული ახალუხი აცვია – ეს ჩემი ასტრახანელი ბებიის მემკვიდრეობაა... დავუჯდები გვერდით, სინათლესაც არ ავანთებ, ვზივარ ასე ნახევრად სიბნელეში და გაშმაგებული ვუკოცნი ხელებს, ფეხებს, აბრეშუმივით სრიალა ტანს... თითქმის არ მეწინააღმდეგება, ოღონდ გაჩუმებულია, ხმას არ იღებს. აი, მის გახურებულ ბაგეებს ხარბად ვეწაფები, ისიც მომყვება, ხმას კი მაინც არ იღებს, იგრძნობს თუ არა, თავს ვეღარ

დაიმორჩილებსო, წყნარად მომიშორებს, ლოგინზე წამოჯდება, სინათლე აანთეო, – მეტყვის და თვითონ საძინებელ ოთახში გადის. მეც ავანთებ სინათლეს, პიანინოს წინ მბრუნავ სკამზე ჩამოვჯდები და გონებაზე ძლივს მოვდივარ. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ საძინებელი ოთახიდან უკვე ჩაცმულ-დახურული, წასასვლელად გამზადებული გამოდის და, ვითომც არაფერი, მშვიდად მეუბნება: – „მეტროპოლიტენში ხომ არ წავსულიყავით?" მერე კი მთელ საღამოს კვლავ განყენებულ საუბარში გავატარებთ. მახსოვს, პირველად ქორწილზე საუბარი რომ ჩამოვუგდე – აბა, რა საცოლეც მე ვარო, – მაშინვე მომიჭრა, მე კი იმედს მაინც არ ვკარგავდი – ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, დროთა განმავლობაში გადაწყვეტილებას შეიცვლიდა. ჩვენი ეს სანახევრო სიახლოვე ჩემთვის ხანდახან აუტანელიც კი ხდებოდა, მაგრამ, რა უნდა მექნა, ისევ დროის იმედით ვიყავი. ერთხელაც ვუზივარ ასე გვერდით საღამოს ბინდსა და სიჩუმეში, რომ უცბად ველარ მოვითმინე და თავზე ხელი ვიტაცე:

– არა, მეტი აღარ შემიძლია!.. არა, ის მაინც ვიცოდე, ვისთვისაა საჭირო ან ჩემი, ან საკუთარი თავის ასეთი ნამება?

ის კი ნევს ისევ ისე გაჩუმებული და ხმას არ იღებს.

– არა, არა, აბა, ეს რა სიყვარულია!..

– მერედა, იცის კი ვინმემ, სიყვარული რა არის? – პასუხს მაძლევს სადღაც წყვდიადიდან.

– ვიცი!.. ვიცი და მანამდე მოვიცდი, ვიდრე თქვენც არ გაგაგებინებთ, ან სიყვარული რა არის, ან ბედნიერება.

– „ბედნიერება, მეგობარო, წყალში ჩადებულ ბადეს ჰგავს, ცოტას ამოსწევ, გაიბერება, ამოიღებ და ბურთივით დაიჩუტება".

ეგ რომელმა ბრძენმაღა ბრძანა-მეთქი?

რომელმა და, პლატონ კარატაევმა, არ გახსოვთ, პიერს რომ ეუბნებაო?

მე ხელი ავიქნიე:

– ეშმაკსაც წაულია მთელი ეს აღმოსავლური სიბრძნე!

და აი, მთელი საღამო ისევ განყენებული საუბარი: სამხატვრო თეატრის ახალი დადგმა, ანდრეევის ახალი მოთხრობა... რას იზამ, იმითაც ბედნიერი ვარ, გაფრენილ მარხილში მის გვერდით რომ ვზივარ ან „აიდას" მარშის ხმაზე ხალხით გაჭედილი რესტორნის დარბაზში შევდივარ, ვსვამ და ვჭამ მის გვერდით, ვისმენ მის წყნარ ხმას, შევყურებ მის ბაგეებს, რომელთაც სულ რაღაც ერთი საათის წინ ასე გახელებული ვკოცნიდი – დიახ, დიახ, ვკოცნიდი-მეთქი, – ვეუბნები ჩემს თავს და აღტაცებული შევყურებ ბაგეებს ზემოთ წამოსულ მუქ ღინღლს, ძოწისფერ ხავერდის კაბას, მის ნატიფ, მრგვალ მხრებს, მის მკერდს, ვიყნოსავ მისი უმშვენიერესი თმის ნაზ სურნელს და გონებიდან არ მცილდება: „მოსკოვი, ასტრახანი, სპარსეთი, ინდოეთი!.." ზოგჯერ ვსხედვართ რომელიმე ქალაქგარეთა რესტორანში, ვახშამი თანდათან ეშხში რომ შევა, დარბაზში ხმაური რომ იმატებს, ისიც მონევას იწყებს, სვამს და თვრება. მერე ცალკე კაბინაში გამიყვანს და მთხოვს, ბოშებს დავუძახო. მალე ხორხოცითა და ხმაურით ბოშები კაბინაში შემოლაგდებიან. წინ ჩაფარიშიან კაზაკურაში გამოწყობილი, თუჯის ბურთივით თავმოკრიალებული ბებერი ბოშა მოუძღვით, წყალში დამხრჩვალივით ნაცრისფრად სახეჩატეტკილს მხარზე ცისფერბაფთაშებმული გიტარა აქვს გადაკიდებული, უკან შუბლზე შავთმაჩამოყრილი ბოშა ქალი მოსდევს... ის კი ზის და საოცრად მიბნედილი, უცნაური ღიმილით სახეგანათებული უსმენს. აი, უკვე ღამის სამი საათია, შინ კი მხოლოდ მერეღა ვბრუნდებით. სადარბაზოს წინ ბედნიერებისაგან გულაფანცქალებული თვალებს ვხუჭავ, ქურქის სველ საყელოს ერთხელ კიდევ ვუკოცნი და სასოწარკვეთილი აღფრთოვანებით სავსე „წითელი კარიბჭისაკენ" მივქრივარ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც ხვალ შეიცვლება არაფერი, არც ზეგ და არც მასზეგ, ეს ტანჯვანარევი ბედნიერება ხვალაც ასე გაგრძელდება, ზეგაც და მასზეგაც, მაგრამ, რას იზამ, ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერებაა-მეთქი, – გულს არ ვიტეხ. ასე გავიდა იანვარი და თებერვალი, მოვიდა და წავიდა ყველიერი... ერთხელაც არის, მთხოვა, მიტევების კვირა საღამოს ხუთი საათისათვის

მივსულიყავი. ოთახში რომ შევედი, იგი უკვე კრაველის მოკლე ქურქსა, კრაველის შლაპასა და შავი ფეტრის ბოტებში გამოწყობილი დამიხვდა.

– რა სულ შავები გაცვიათ? – როგორც ყოველთვის, ახლაც მხიარულად მივაძახე კარებიდანვე.

მშვიდად, ალერსიანად შემომხედა:

– ხვალ ხომ დიდმარხვის პირველი ორშაბათია!

მერე კრაველის მუფთიდან ლაიკის ხელთათმანში გამოკვართული ხელი ამოიღო და გამომინოდა – „ღმერთო, მეუფეო ჩემი ცხოვრებისაო...“ არ გინდათ, ნოვოდევიჩის მონასტერში წავიდეთ?

ცოტა არ იყოს, შევცბი, თუმცა მაშინვე ვუპასუხე:

– მინდა!

ხომ არ შეიძლება, კაცი დღედაღამ სამიკიტნოში იჯდეს, – თქვა და წყნარად განაგრძო: – გუშინ დილას როგოჟის სასაფლაოზე ვიყავი...

ამ სიტყვებზე მე კიდევ უფრო გაოცებულმა შევხედე:

– სასაფლაოზე? ის ხომ ცნობილი სტაროვერული სასაფლაოა, რა გინდოდათ?

– ჰო, სტაროვერული სასაფლაოა... პეტრეს დროინდელი რუსეთი... ვიღაცები თავიანთ არქიეპისკოპოსს მარხავდნენ. აბა, წარმოიდგინე, ძველებურად გულამოღებული მუხის მორის კუბო, ოქრომკედით ნაქარგი სტავრა ისეთია, ნაბეჭი გეგონება... მიცვალებულის სახეზე გადაფარებულ თეთრ დაფარნაზე შავი, გრეხილი ორნამენტია ამოქარგული, საოცრად მშვენიერ და თან არაჩვეულებრივად საშინელ კუბოს სამწერობლიანი და ჯვრის სასანთლიანი დიაკვნები დასტრიალებენ.

– კი, მაგრამ, საიდან იცით – „სამწერობელი“, „ჯვრის სასანთლე?“

– ეს თქვენ არ იცით, რა ვიცი და რა არა.

– ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი მორწმუნე თუ იყავით.

– „მორწმუნე? არა, მორწმუნე კი არა, არ ვიცი, ამას რა ჰქვია...

როდესაც რესტორანში არ დაგყავართ, დილა-საღამოს ხშირად დავდივარ კრემლის ტაძარში, თქვენ, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა გაქვთ ამაზე... მერედა, არ იტყვით, როგორი დიაკვნები არიან? სულ პერესვეტები[1] და ოსლიაბლები[2]... კლიროსებზე ორი გუნდი გალობს, აქაც სულ პერესვეტები – მაღლები, წარმოსადეგები, გრძელ, შავ ხიფთანებში გამოწყობილები... ისე ხმაშეწყობილად გალობენ – ხან ერთი გუნდი წამოიწყებს, ხან მეორე, თან ნოტებით კი არა, უნისონით. საფლავში ნაძვის პრიალა ტოტებია ჩაფენილი, საშინელი ყინვაა, მზე კი ისე ანათებს, თოვლის შუქზე ლამის თვალები გეთხრება... არა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ, სჯობს წავიდეთ...

წყნარი საღამო იდგა, მზიანი. ხეები თეთრად იყო შეჭირხლული. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში აგურით ნაგები მონასტრის სისხლივით წითელ კედლებს მოლოზნებივით შავად ჩათალხული ჭკა შესეოდა. ნაზად, სევდიანად რეკავდნენ სამრეკლოს კურანტები. ჭიშკარში შევედით და დათოვლილ სასაფლაოს ბილიკ-ბილიკ დავუყევით. ჩვენს ფეხქვეშ თოვლს ჭრაჭუნი გაჰქონდა. მზე, ეს-ეს არის, ახალი ჩასული იყო, ირგვლივ ყოველივე ჯერ ისევ დაისის ვარდისფერ შუქში იყო გახვეული. დაფიონის ოქროსფერ ემალზე ზლაპრულად იხატებოდა ნაცრისფერი მარჯანივით გაბორჯილი, თეთრად შეჭირხლული შიშველი ტოტები. წყნარად, უჩინრად იწვოდნენ საფლავებზე მიმობნეული, იდუმალებით მოცული უშრეტი კანდელები. იგი წინ მიმიძღოდა, მე უკან მივყვებოდი და მის პატარა ნაფეხურებს გულაჩუყებული დავცქეროდი. ეტყობა, იგრძნო ჩემი დაჟინებული მზერა და უცებ ჩემკენ შემოტრიალდა:

---

[1] პერესვეტი – კულიკოვოს ბრძოლის (1380 წ.) ერთ-ერთი გმირი, სამების მონასტრის ბერი, ყოფილი ბრიანკელი ბოიარინი.

[2] ოსლიაბლია – კულიკოვოს ბრძოლის (1380 წ.) ერთ-ერთი გმირი, სამების მონასტრის ბერი, ყოფილი ბრიანკელი ბოიარინი. 1338 წელს იყო მოსკოვის დიდი მთავრის ელჩობის წევრი ბიზანტიაში.

– მართლა როგორ გიყვარვართ! – ჩაილაპარაკა ნყნარად და გაოცებულმა თავი გადააქნია.

აი, ერტელისა და ჩეხოვის საფლავებსაც მივადექით. იდგა ძირს დაშვებულ მუფთაში ხელებჩაწყობილი, დიდხანს, დიდხანს შეჰყურებდა ჩეხოვის საფლავის ქანდაკებას:

– რა საშინელი აღრევაა სამხატვრო თეატრისა და რუსული სუსალური სტილისა! – თქვა და მხრები აიჩეჩა.

ალაყაფის კარიდან რომ გამოვედით, ირგვლივ უკვე ბნელოდა, ყინვამ თანდათან იმატა. კარებწინ ჩემი ფეოდორი მარხილის კოფოზე იჯდა და მორჩილად გველოდა.

– მოდი, ცოტა კიდევ გავიაროთ, მერე კი ეგოროვთან წავიდეთ და ბოლო დარჩენილი ბლინები მივირთვათ... ოღონდ ცხენებს ასე სწრაფად ნუ ატარებ, კარგი, ფეოდორ?! – ეუბნება ახლა ფეოდორს.

– თქვენი ნება იყოს, ბატონო!

– სადღაც ორდინკაზე გრიბოედოვის სახლია, გინდათ, წავიდეთ, მოვძებნოთ!

მართლაც, წავედით ორდინკაზე, დიდხანს, დიდხანს დაგვატარებდა მეეტლე რომელილაც ბაღებსა და შუკებში. და აი, როგორც იქნა, გავედით გრიბოედოვის შესახვევში, მაგრამ, ვის რას ჰკითხავ? ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ არის! ესეც რომ არა, ვითომ ვის რაში ეკითხება ის შენი გრიბოედოვი! კარგა ხანია უკვე ბნელა, შეჭირხლულ ხეებსა და ხეებს შორის ვარდისფერად განათებული ფანჯრები იმზირება.

– აქ ერთი მონასტერიცაა – მართა-მარიას მონასტერი.

ამ სიტყვებზე ხმამაღლა გავიცინე:

– ისევ მონასტერი?

– არა, ისე...

ოხოტნი რიადზე ეგოროვის სამიკიტნოს ქვედა სართული უშნოდ აჯაჯული მეეტლეებით არის სავსე, სხედან და არაჟანმოსხმულ, ერბოთი გაჟივჟივებულ ბლინებს დასტა-დასტა ნთქავენ. ირგვლივ ისეთი ოხშივარია, თავი აბანოში გეგონება. ზედა სართულის დაბალჭერიან, ასეთსავე უჰაერო, ჩამთბარ-ჩაგუბებულ ოთახებში

თავი ძველი ყაიდის ვაჭრებს მოუყრიათ, ცხელ-ცხელ ბლინებს ხიზილალასა და შამპანურს აყოლებენ. ჩვენ თავისუფალ ოთახში შევდივართ და გრძელი მაგიდის წინ ტყავგადაკრულ დივანზე ვსხდებით. კუთხეში, ღვთისმშობლის ხატის წინ კანდელი ანთია... ზის, ბაგეზე ამოსულ ღინღლზე ჭირხლმოდებული. ვარდისფერი ღანვები ოდნავ შეჰფაკვლია, შავად ანთებული თვალის გუგები გაჰფართოვებია. მეც ვზივარ ასე მოჯადოებულივით და აღტაცებულ მზერას ვერ ვაცილებ. ბოლოს იმ თავისი სურნელოვანი მუფთიდან ცხვირსახოცს იღებს და მეუბნება:

– ძალიან კარგი! ქვევით ის ხეპრე გლეხები ღრეობენ, აქ კი შამპანური და სამხელა ღვთისმშობლის ხატია! წარმოგიდგენია, სამხელა ღვთისმშობელი?! ინდოეთია თუ რა! არა, თავადო, შეუძლებელია მოსკოვს ჩემსავით იცნობდეთ!

– ვითომ რატომ არის შეუძლებელი! – ვამბობ და თან დავძენ: – მოდი, შევუკვეთოთ „ხორაგი ძალუმი!"

– როგორ თუ – „ძალუმი"?

– ესე იგი, მსუყე, ხვავიანი... როგორ მოხდა, რომ ეს არ იცით, ესე იგი, არ იცით „წიგნი გიურგისა"?!

– გიოურგი? რა მშვენიერია!

– ჰო, თავადი იური დოლგორუკი... „წიგნი მიწერილი ჩრდილოეთის თავად სვიატოსლავსა თანა..." – მობრძანდი, ძმაო ჩემო, მოსკოვ ქალაქს ... და ვბრძანო, გაგვიწყონ ხორაგი ძალუმი!.."

– რა მშვენიერებაა ... და აი, ჩრდილოეთის რომელიმე მივარდნილ მონასტერსა და საეკლესიო გალობებს თუ შემორჩა ახლა ასეთი რუსული. ამას წინათ ზაჩატაევის მონასტერში ვიყავი, ვერ წარმოიდგენთ, რა საუცხოოდ გალობენ სტიქაროსნები, ჩუდოვოში ხომ კიდევ უკეთესად... შარშან იქ ყოველ დღე დავდიოდი ვნების კვირას, ღმერთო, რა შესანიშნავი იყო! ირგვლივ კრიალა, გამჭვირვალე გუბეებია, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს, გულში საოცარ სინაზეს გრძნობ, უცნაური სევდა გეუფლება... თანაც ეს მუდმივი, ენით აუწერელი განცდა სამშობლოსი, მისი სიძველეებისა... როცა არ უნდა მიხვიდე, ტაძრის კარი მუდამ ღიაა, მოდის და მოდის

ხალხი, წირვა-ლოცვა მთელ დღეს არა წყდება... ეჰ, წავალ რომელიმე მიყრუებულ მონასტერში, ვოლოგდასა ან ვიატკაში...

მინდა ვუთხრა, მაშინ მეც სადმე გადავიხვეწები, ან ვიღაცას ყელს გამოვჭრი და სახალინზე გადამასახლებენ-მეთქი, მაგრამ მღელვარებისაგან გაოგნებული მხოლოდ პაპიროსსღა ვუკიდებ. ამ დროს წელზე შინდისფერ ზონარშემორტყმული, თეთრ შარვალ-ხალათიანი მსახური გვიახლოვდება და მორიდებით მეუბნება:

– უკაცრავად, ბატონო, აქ მოწევა არ შეიძლება... – და სხაპას-ხუპით განაგრძობს: – რა მოგართვათ, ბლინებს რას დააყოლებთ? წითელფეხა ჭოველს, ორაგულსა თუ ხიზილალას? თევზის წვნიანთან ერთად შეგიძლიათ ხერესი მიირთვათ, შესანიშნავი ხერესი გვაქვს, აი, ნავაგას კი...

– ნავაგასაც ხერესს... – ამბობს იგი და მთელი საღამო ისეთი ხალისიანია, გული სიამით მევსება, ისე ვარ გახარებული, აღარც კი ვუსმენ, რას ამბობს. ის კი ლაპარაკობს და თვალებში რაღაცნაირი წყნარი ნათელი ჩასდგომია.

– განა რაიმე შეედრება რუსულ მატიანეებსა და თქმულებებს? იმას, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს, იმდენჯერ ვიმეორებ, ვიდრე ზეპირად არ დავიხსომებ: „... რუსეთის მიწასა ზედა იყო ქალაქი მურომი, რომლის სამეუფებასა შინა მფლობელობდა ვინმე თავადი, რომელსა ერქუა სახელი პავლე, და მოუვლინა ეშმამ ცოლსა მისსა გუელი მფრინვალი, რაჲთა ემრუშა. და გუელი იგი გამოეცხადა ქალსა მას ხატით კაცისა, ფრიად შუენიერითა“...

ვითომ შიშისაგან თვალები დავაჭყიტე:

– ვაიმე...

მაგრამ, ჩემს ხუმრობას აინუშიაც არ აგდებს და კვლავ განაგ-რძობს: – ასე გამოსცადა ღმერთმა... ხოლო „ოდეს მოაწია ჟამი ქალისა მის სიკეთით აღსრულებისაჲ, თავადი იგი და მეუღლე მისი ღმერთს შესთხოვდნენ და ილოცვიდნენ, რათა ერთად მიეღო სული მათი. და შეერთხმავდა თავადი ცოლისა თანა, რაჲთა შთაიმარხო-დენ სამარესა ერთსა შინა. და ბრძანეს გამოთლა ერთისა საფლავისა

ქვისა დიდისა, ხატითა მიცვალებულისათა ორისათა. და შეიმოსნეს ესრეევე დღესა ერთსა სამოსითა მონაზონისათა...“

ჯერ დაბნეულმა შევხედე, მაგრამ მალე საოცარი შიში და მღელვარება დამეუფლა – „ნეტავი დღეს რა მოხდა, რა სჭირს?“..

იმ საღამოს ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თერთმეტ საათზე უკვე შინ მიმყავდა. სადარბაზოს წინ, ის არის, გამოვემშვიდობე და მარხილში ჩასაჯდომად გამოვტრიალდი, რომ უცებ შემაჩერა:

– იცით რა, ხვალ საღამოს ათზე ადრე ნუ შემოივლით, „სამხატვრო თეატრში“ „კაპუსტნიკია“.

– ესე იგი, „კაპუსტნიკზე“ გინდათ წასვლა?

– დიახ.

– კი მაგრამ, აკი ამბობდით, ამაზე დიდი უხამსობა არაფერი მინახავსო?

– რა თქმა უნდა! მიუხედავად ამისა, უნდა წავიდე.

გუნებაში თავს ვაქნევ – „ახირებაა, ნამდვილი მოსკოვური ახირება!..“

ხმამაღლა კი რიხიანად ვამბობ:

– ოლ რაით!

მეორე დღეს ზუსტად საღამოს ათ საათზე ლიფტში შევდივარ, მისი ბინის კარს ჩემი გასაღებით ვაღებ და კარწინ ერთხანს ვჩერდები. ჩაბნელებული დერეფნის იქით მთელი ბინა გაბჟღვრიალებულია – ჭაღები, მაღალი, ლამაზბაჟურიანი ლამპა, სარკის აქეთ-იქით ჩადგმული კანდელაბრები – მოკლედ, თუკი რაიმეს ანთება შეიძლება, ყველაფერი ანთია, ოთახიდან კი ჩვეულებრივზე ხმამაღლა, უფრო გამომწვევად, კიდევ უფრო სევდიანად ჟღერს „მთვარის სონატის“ დასაწყისი.

კარის ხმაურზე მუსიკა უმალ მიწყდა და ყურში კაბის კალთების შარიშური ჩამესმა. ოთახში რომ შევედი, ვხედავ, დგას პიანინოს გვერდით, წელში გამართული, ოდნავ თეატრალურ პოზაში, შავი ხავერდის კაბა კიდევ უფრო ნაზსა და ტანკენარს აჩენს, ღამესავით შავი, მბზინვარე თმა საგანგებოდ აქვს დავარცხნილი... შიშველი, ქარვისფერი მკლავები, ნატიფი მხრები, ოდნავ მოღიავებული სავსე

მკერდი, შავი ხავერდოვანი თვალები, ნამიანი, ალისფერი ბაგეები... ოდნავ შეპუდრული ღაწვების გასწვრივ ალმასის საყურეები უციმციმებს და თვითონაც ალმასივით ბრწყინავს. საფეთქლებთან ნახევარწრეებად მოხვეული, ღამესავით შავი, პრიალა ნაწნავები ბაზარში გასაყიდად გამოტანილ სურათზე გამოხატულ მაშრიყელ მზეთუნახავს მიუგავს.

– მე რომ მომღერალი ვყოფილიყავი, ესტრადაზე რომ მემღერა, – ამბობს იგი ჩემი დაბნეული სახის შემხედვარე, – ტაშს რომ დამიკრავდნენ, ასეთი ნაზი ღიმილითა და მოხდენილი თავის დაკვრით ვუპასუხებდი – მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, წინ-პარტერი-საკენ, თან ფეხებში არ ამებლანდოს-მეთქი, ჩუმად, ყველასაგან შეუმჩნევლად შლეიფს გვერდზე გავწევდი.

„კაპუსტნიკებზე" იგი ჩვეულებრივზე მეტს ეწევა და ერთთავად შამპანურს წრუპავს, თან ვეება, ქერათმიან, შავწარბება სტანისლავსკისა და მუხასავით ჩაფსკვნილ, ჩოფურა სახეზე პენსნეწამოცმულ მოსკვინს თვალს არ აცილებს. ისინი კი ტანს ერთი უცნაურად გადააქნევენ, ვითომ დიდის მონდომებით და სერიოზულობით რაღაც უგვანო კანკანს შეასრულებენ და არის ერთი სიცილი და ხორხოცი. უცებ კაჩალოვი მოგვიახლოვდა, სიმთვრალისაგან ფერნასულს ხელში ჭიქა უჭირავს და ოფლის მსხვილი წვეთებით დაცვარულ შუბლზე ქერა თმა ბღუჯა-ბღუჯა ჩამოშლია. ჭიქა ასწია, სახე გაიპირქუშა, თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა და თავისი დაბალი, არტისტული ხმით უთხრა:

– შამახის დედოფალო, შენი სადღეგრძელო იყოს!

მან ოდნავ გაიღიმა, ჭიქა მიუჭახუნა, კაჩალოვმა ხელზე ხელი მოჰკიდა და, საკოცნელად რომ დაიხარა, სიმთვრალისაგან წონასწორობადაკარგული ლამის ზედ დაეცა, მაგრამ, თავი შეიკავა, ერთი შემომხედა და კბილებში გამოსცრა:

– ეს ლამაზი ვიღაა?.. მეჯავრება!

მალე არღნის ხროტინი, სტვენა, მოცეკვავეთა ფეხების ბაკაბუკი და მუსიკის გრიალი ერთმანეთში აირია და მუდამ სადღაც მოჩქარე, მუდამ სახემცინარი სულერჟიცკი ცეკვა-ცეკვით მოგვიახლოვდა,

სასახლის გალანტური კავალრის კვალობაზე მის წინ თავი მოხდენილად დახარა და აჩქარებით წაიბურტყუნა:

– ნება მიბოძეთ, პოლკა ტრანბლანზე მიგინვიოთ.

იგი ღიმილით წამოდგა, ფეხების მსუბუქი ბაკუნითა და ალმასის საყურეების ციმციმით მაგიდებს შორის მოხდენილად გასრიალდა და იქ მყოფთა აღტაცებული მზერა და ტაში გაიყოლია. სულერჟიცკის კი თავი ვაცივით აუღერებია და თავმომწონედ გაჰკივის:

„სწრაფად, სწრაფად მომყევი,

პოლკა ერთად ვიცეკვოთ...“

წასასვლელად რომ წამოვდექით, უკვე ღამის სამი საათი იყო. იგი კართან წუთით შეჩერდა, თახვის ქუდზე შემომხედა, თახვის საყელოზე ხელი გადამისვა და, არ ვიცი, ხუმრობით, არ ვიცი, სერიოზულად მითხრა:

– კაჩალოვი მართალია, რა თქმა უნდა, ლამაზი ხარ... „გუელი იგი ხატითა კაცისა, ფრიად შუენიერითა“...

მთელი გზა ხმა არ ამოუღია, მთვარის შუქით განათებული თოვლი და ქარბუქი სახეში გვცემდა. იგი ქარბუქს პირს არიდებდა და თავდახრილი მოაბიჯებდა. კრემლის თავზე გაწოლილ ღრუბლებში ნელა, ნება-ნება მიცურავდა სავსე მთვარე.

– შეხედე, თითქოს შიგნიდან განათებული თავის ქალაა! – ამბობს იგი.

სპასკის სამრეკლოზე საათმა სამჯერ რომ დარეკა, ახლა ეს თქვა:

– რა უცნაური ხმა აქვს – როგორიღაც ძველთაძველი, ასე გგონია, აჟღრიალებული თუნუქისა და თუჯის ხმა ყურში ერთდროულად ჩაგესმის... ხომ წარმოგიდგენია, მეთხუთმეტე საუკუნეშიაც ასე რეკავდა, აი, ასე!.. და ასევე ღამის სამ საათზე. მახსოვს, ფლორენციაშიც ზუსტად ასეთი ხმა ჰქონდა, ვუსმენდი და მოსკოვი მაგონდებოდა...

სადარბაზოს წინ ფეოდორმა მარხილი რომ გაგვიჩერა, როგორღაც სხვათა შორის მითხრა:

– გაუშვით, წავიდეს...

გაოცებულმა შევხედე – არ მახსოვს, როდისმე უფლება მოეცა და ღამით ზევით ავეყვანე.

– წადი, მე ფეხით დავბრუნდები, – ვუთხარი ფეოდორს დაბნეულმა.

ლიფტს ჩუმად ავყევით, ოთახის კარი რომ შევაღეთ, შიგნიდან სითბო და ღამის სიმყუდროვე შემოგვეგება, სიჩუმეს მხოლოდ კოლორიფერების პაწაწა ჩაქუჩების კაკუნი არღვევდა. თოვლისაგან გასრიალებული ქურქი რომ გავხადე, თივთიკის თავშალი თმიდან პირდაპირ ხელში ჩამიგდო და აბრეშუმის ქვედა კაბის შარიშურით საძინებელი ოთახისაკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია. პალტო გავიხადე, წინა ოთახში შევედი და თურქულ დივანზე უძირო უფსკრულის პირას მდგარი კაცივით სუნთქვაშეკრული ჩამოვჯექი. ელექტრონით განათებული საძინებელი ოთახის ღია კარიდან მისი ნაბიჯების ხმა მომესმა. გავიგე, კაბა თავზე როგორ გადაიძრო და გახდისას კაბა თმის სარჭს როგორ წამოედო... ავდექი და კართან მივედი – ვხედავ, დგას სამკარიანი სარკის წინ მთლად შიშველი და ღაწვებზე ჩამოშვებულ გრძელ შავ თმას კუს ბაკნის სავარცხლით ივარცხნის.

– სულ იმას ამბობდი, ამაზე არ ფიქრობო, – თქვა, სავარცხელი სარკის წინ დააგდო, თმა ზურგზე გადაიყარა და ჩემკენ შემობრუნდა, – მე კი ვფიქრობდი, აი, სულ ვფიქრობდი...

უკვე გათენებული იყო, მისი სხეულისა და ლოგინის სითბოთი დაბანგულმა თვალი რომ გავახილე. ვხედავ, თავი წამოუწევია და სახეში ჩამცქერის. მერე ჩემკენ დაიხარა და წყნარად მითხრა:

– დღეს საღამოს ტვერში მივდივარ...

ლოყით ლოყაზე მომეკრა, ვიგრძენი, სველ წამწამებს როგორ აფახურებდა.

– არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები, ჩავალ თუ არა, ყველაფერს მოგწერ – რას ვიზამ, რას გადავწყვეტ... ახლა კი, გთხოვ, მარტო დამტოვო, ძალიან დავიღალე.

ცოტა ხანს თავი ისევ ბალიშზე მივდე, მერე ფრთხილად წამოვდექი, ჩავიცვი, თმაზე გაუბედავად ვაკოცე და ალიონის შუქით ოდნავ განათებულ კიბის ბაქანზე უხმაუროდ გავედი. ნელა,

უხალისოდ მივაბიჯებდი ახალ ნათოვარზე – ქარი უკვე ჩამდგარიყო, ლარივით გაჭიმული ქუჩა თავიდან ბოლომდე ხელისგულივით მოჩანდა, იდგა თოვლისა და პურის საცხობების სურნელი. აუარებელი სანთლით გაჩირაღდნებულ ივერიის მონასტერთან რომ მივედი, ქუდი მოვიხადე და გატკეპნილ თოვლზე ვიღაც დედაბრებსა და მათხოვრებს შორის მუხლი მოვიყარე... უცბად ვიღაცამ მხარზე ხელი შემახო, მივტრიალდი და ვხედავ, გალეული, ცრემლით სახედაღარული, გაუბედურებული დედაბერი მომჩერებია:

– აჰ, თავს ნუ იკლავ, ცოდვაა... ასე თავს ნუ იკლავ...

ორი კვირის შემდეგ ბარათი მივიღე. თბილი, ალერსიანი ბარათი იყო, მაგრამ გადაჭრით მთხოვდა, ნუ დამელოდები, ჩემს მოძებნასა და ნახვას ნუ შეეცდები, მოსკოვში, ალბათ, აღარ დაებრუნდები, ერთხანს მონესედ დავდგები, მერე შეიძლება გადავწყვიტო და მოლოზნადაც აღვიკვეცო. დაე, ღმერთმა მომცეს ძალა, რათა ძახილზე არასოდეს გამოგეპასუხო – რა აზრი აქვს, ტანჯვა რისთვის გავიხანგრძლივოთო.

თხოვნა შეეუსრულე, მაგრამ იმ დღიდან მოსკოვის ყველაზე უხეირო, ყველაზე ბინძურ სამიკიტნოებში ვათენებ-ვაღამებდი, ვლოთობდი, სულ უფრო დაბლა-დაბლა ვეშვებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, საამქვეყნოს ვქენი პირი, მაგრამ, ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილსა და იმედგაცრუებულს აღარაფრის ხალისი და ინტერესი აღარ მქონდა... და აი, თითქმის ორმა წელიწადმა გაიარა დიდმარხვის იმ პირველი ორშაბათის შემდეგ...

ათას ცხრაას თოთხმეტი წლის პირველი იანვრის წინა დღეს სწორედ ისეთივე წყნარი და მზიანი საღამო იდგა, როგორც მაშინ, იმ მარადსახსოვარ, დაუვიწყარ დღეს. სახლიდან გამოვედი, მეეტლე ავიყვანე და კრემლისაკენ გავწიე. დიდხანს ვიდექი მთავარანგელოზის ტაძრის იდუმალებით მოცულ მწუხრში, შევყურებდი კანკელის ძველთაძველი ოქროს მკრთალ ციალსა და მოსკოვის მეფეთა საფლავების ნარწერებს – ვიდექი ცარიელი ეკლესიის საოცარ მდუმარებაში, როდესაც ყოველივე თითქოს რაღაც დიადის მოლოდინშია გარინდული, შენ კი ლამის ამოსუნთქვისაც გეშინია...

ტაძრიდან რომ გამოვედი, მეეტლეს ორდინკაზე წასვლა ვუბრძანე. მაშინდელივით ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდნენ ცხენები ბაღის ბნელ შესახვევს, ვარდისფრად გამომზირალ ფანჯრებქვეშ. აი, გავიარეთ გრიბოედოვის შესახვევი, თან სულ ვტიროდი, ვტიროდი...

ბოლოს ეტლი ორდინკაზე – მართა-მარიას მონასტრის კარიბჭესთან გავაჩერებინე. ეზოში აუარებელი კარეტა იდგა. პატარა, სანთლებით გაბჟღვრიალებული ეკლესიის ყველა კარი გაფრიალებული იყო, შიგნიდან ქალწულთა გუნდის მწუხარე, გულის ამაჩუყებელი გალობა ისმოდა. რატომღაც ეკლესიაში შესვლის საოცარი სურვილი დამეუფლა, მაგრამ, კართან რომ მივედი, მეეზოვემ გზა გადამიღობა:

– არ შეიძლება, ბატონო, არ შეიძლება! – მთხოვა მორიდებით.

– როგორ თუ არ შეიძლება, ეკლესიაში შესვლა არ შეიძლება?

– შეიძლება ბატონო, რა თქმა უნდა, შეიძლება , ოღონდ, ღვთის გულისათვის, ცოტა ხანს მოითმინეთ, ახლა იქ მთავრის მეუღლე – დიდი ქალბატონი ელიზავეტა ფეოდოროვნა და დიდი მთავარი დმიტრი პალიჩი არიან, ბატონო, ცოტა მოითმინეთ.

ხელში მანეთიანი ჩავუდე, მეეზოვემ ერთი მჭმუნვარედ ამოიოხრა და გამატარა. ეზოში შევედი თუ არა, ეკლესიის კარებში ხატის მსახურები გამოჩნდნენ – ხატებსა და დროშებს მოასვენებდნენ. უკან თავით-ფეხებამდე თეთრ სამოსში გამოწყობილი დიდი ქალბატონი მოაბიჯებდა – ნელა, თვალებდახრილი, ღირსებით აღსავსე, თეთრი, ოქრომკედით შუბლზე ჯვარამოქარგული მანდილი კოჭებამდე ჰქონდა დაშვებული, ხელში ანთებული კელაპტარი ეკავა. უკან ასევე თეთრებში გამოწყობილ ქალწულთა ამალა მოაცილებდა – მონაზვნები იყვნენ, მონესები იყვნენ, მოკლედ, ვინ იყვნენ ან სად მიდიოდნენ, ვერ გეტყვით. არ ვიცი, რამ მაიძულა, თვალი უცებ შუა რიგისაკენ გამექცა. ამ დროს ერთ-ერთმა თეთრმანდილიანმა თავი ასწია, სანთელს ხელი მოუჩრდილა და ზუსტად იმ ადგილას, სადაც მე ვიდექი, თავისი შავი თვალებით სიბნელეს ჩააჩერდა... ნუთუ შეეძლო იმ სიბნელეში რაიმე გაერჩია, ჩემი იქ ყოფნა ეგრძნო? მაშინვე ჩუმად გამოვტრიალდი და ჭიშკარი ფეხაკრეფით გამოვიარე.

ცივი შემოდგომა

ჩვენს ოჯახში იგი თავიდანვე შინაურ კაცად ითვლებოდა – ცხონებული მამამისი მამაჩემის ახლო მეგობარი და მეზობელი იყო. იმ წელიწადს მამულში რომ გვესტუმრა, ივნისის თვე იდგა. პრინცი ფერდინანდიც სწორედ იმ წელიწადს, თორმეტ ივნისს მოკლეს სარაევოში. თექვსმეტში დილას ფოსტიდან გაზეთები მოიტანეს. დედა, ის და მე ჯერ ისევ მაგიდასთან ვისხედით და ჩაის ვსვამდით, როდესაც მამაჩემი გაშლილი გაზეთით ხელში კაბინეტიდან სასადილო ოთახში გამოვიდა და გვითხრა:

– ეჰ, ჩემო კარგებო, ომი დაიწყო და ეგ არის, სარაევოში პრინცი ფერდინანდი მოკლეს.

პეტრე-პავლობას, მამაჩემის დაბადების დღეს, ჩვენს სახლში აუარებელმა სტუმარმა მოიყარა თავი და ისიც სწორედ იმ დღესა და სწორედ იმ სადილზე გამოაცხადეს ჩემს საქმროდ და დანიშნულად. ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ დროს, რომ ცხრამეტ ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს...

სექტემბერში, ფრონტზე გამგზავრების წინ, იგი ერთი დღით გამოსამშვიდობებლად მამულში გვესტუმრა (ყველანი დარწმუნებულები იყვნენ, ომი მალე დამთავრდებაო და ქორწილი გაზაფხულისათვის გადაიტანეს). და აი, ჩვენი გამომშვიდობების საღამომაც მოაწია. ვახშმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, სამოვარი რომ შემოიტანეს, მამამ სამოვრისაგან შეორთქლილ ფანჯრებს თვალი შეავლო და თქვა:

– ისე, წელს საოცრად ნაადრევი და ცივი შემოდგომა დაგვიდგა...

მერე კი მთელი საღამო თითქმის გაჩუმებულები ვისხედით, ხანდახან თითო-ოროლა სიტყვას თუ გადავულაპარაკებდით ერთმა-

ნეთს. თავი გადამეტებულად მშვიდად გვეჭირა, ვცდილობდით, რაც შეიძლება კარგად დაგვემალა ჩვენი ფარული განცდები. ცივი და ნაადრევი შემოდგომაც მამამ ისე, სხვათა შორის ახსენა. მე აივნის შემინულ კართან მივედი და მინას ხელი გადავუსვი. ბაღს ზემოთ, ჩაბინდულ ცაზე ყინულივით კრიალა ვარსკვლავები ციმციმებდა. მამა სავარძელში იჯდა, პაპიროსს ეწეოდა და მაგიდის თავზე ჩამოკიდებულ ლამპას დაბნეული მისჩერებოდა. დედას სათვალე გაეკეთებინა, ლამპის შუქზე პატარა აბრეშუმის ქისას გულმოდგინედ კერავდა.

– ეს იგი, დილით ადრე გადაწყვიტე წასვლა?

– დიახ, თუ ნებას მომცემთ, ადრე მირჩევნია, სამწუხაროდ, შინ თადარიგის დაჭერა ვერ მოვასწარი.

მამამ ამოიოხრა:

– როგორც გენებოს, სულო ჩემო, თუ ასეა, მე და დედა წავალთ, დავიძინებთ, დილაზე უსათუოდ უნდა გაგაცილოთ...

დედა წამოდგა და თავის მომავალ სიძეს პირჯვარი გადასწერა. ის დაიხარა, ჯერ დედას აკოცა ხელზე, მერე – მამას. მარტონი რომ დავრჩით, პასიანსის გაშლა დავიწყე, ის კი ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში ბოლთას სცემდა და ბოლოს მკითხა:

– გინდა, ცოტა გავისეირნოთ?

უკვე ისეთ გუნებაზე ვიყავი, ხმა ძლივს ამოვიღე:

– კი, გავისეირნოთ...

კარებთან თან იცვამდა და თან რაღაცაზე ფიქრობდა, მერე საოცრად საყვარელი ღიმილით ფეტის ლექსი გაიხსენა:

„როგორი ცივი შემოდგომაა!

კაპოტი ჩაიცვი, შალი მოიხურე...“

კაპოტი რომ არა მაქვს? მერე? მერე როგორ არის-მეთქი?

აღარ მახსოვს, მგონი ასე უნდა იყოსო:

„შეხედე – შავად მჩინარ ფიჭვნარში,

თითქოს ხანძარმა ამოანათა...“

– ხანძარმა?

– ჰო, მთვარის ამოსვლაზეა... მართლაც რომ სოფლის შემოდგომის საოცარი მშვენიერება იგრძნობა ამ ლექსში... „კაპოტი ჩაიცვი, შალი მოიხურე...“ ნამდვილი პაპებისა და ბებიების დროა, ჩვენი პაპებისა და ბებიების დრო... ო, ღმერთო, ღმერთო!

რა იყო, რა მოგვიდა-მეთქი, – ვკითხე.

არაფერი, ძვირფასო, მართალია, ცოტა დარდიანი ვარ, მაგრამ, შენს გვერდით თავს მაინც შესანიშნავად ვგრძნობ. იცი, ძალიან, ძალიან მიყვარხარო.

ბოლოს სასადილო ოთახი და აივანი გავიარეთ და ბაღში ჩავედით. პირველად სიბნელეში ვერაფერს ვარჩევდი, სახელოში ხელჩავლებული მივყვებოდი, მერე მოჟიკჟიკე ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ფონზე თანდათან ხის შავი ტოტები გამოიკვეთა, ცა თანდათან განათდა. იგი უცბად შედგა და სახლისაკენ მიტრიალდა:

– შეხედე, რა სხვანაირად, რა შემოდგომურად არის ფანჯრები განათებული, ცოცხალი თუ გადავრჩი, ეს საღამო არასდროს დამავიწყდება.

გაოცებულმა შევხედე, იმან კი ჩემი იმ შვეიცარიული შალიანად გულში ჩამიკრა, ჯერ მაკოცა, მერე სახეში დაჟინებით ჩამხედა და წყნარად მითხრა:

– თვალები როგორ გიბრწყინავს, ხომ არა გცივა? ისე, ნამდვილი ზამთრის სუსხი კია... – და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დასძინა, – ვთქვათ, მომკლეს, მალე ხომ არ დამივიწყებ?

ვაითუ მართლა მოკლან, ნუთუ მართლა მალე დავივიწყებ, ადამიანი ხომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ივიწყებს-მეთქი, – გავიფიქრე და საკუთარი ფიქრებით შეშინებულმა სასწრაფოდ ვუპასუხე:

– არა, შენს სიკვდილს ვერასოდეს გადავიტან...

ცოტა ხანს იყუჩა და მერე წყნარად წარმოთქვა:

– რა ვუყოთ, თუ მომკლეს, იქ დაგელოდები, შენ აქ იხარე, დატკბი ამ ცხოვრებით, ბოლოს კი ჩემთან წამოდი, იცოდე, მე იქ გელოდები.

ამ სიტყვებზე მწარედ ავტირდი.

მეორე დღეს დილით ძალიან ადრე წავიდა. დედამ ის საბედისწერო ქისა, რომელსაც გუშინ საღამოს ასე გულდაგულ კერავდა და რომელშიაც მისი მამაპაპისეული ავგაროზი – პატარა ოქროს ხატი იდო, გულზე ჩამოჰკიდა და ჩვენ ყველამ აჩქარებით, როგორღაც სასოწარკვეთით გადავწერეთ პირჯვარი... მერე ერთხანს კართან ვიდექით და მიმავალს გაოგნებულები გავყურებდით – აი, შენ დიდი ხნით აცილებ საყვარელ ადამიანს, ვინ იცის, რამდენი ხნით შორდები, გარეთ კი თეთრი ჭირხლით გაბრწყინებული ჩახჩახა დილაა, მაგრამ შენს გულს იგი ახლოსაც არ ეკარება... მერე მივტრიალდით და დაცარიელებულ სახლში შევედით. დავდიოდი ოთახიდან ოთახში ზურგზე ხელებშემოწყობილი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი – მეტირა თუ ხმამაღლა მემღერა.

იგი ერთი თვის შემდეგ გალიციაში მოკლეს (ღმერთო, რა საოცარი სიტყვაა!)... მას შემდეგ გაიარა მთელმა ოცდაათმა წელიწადმა. რა აღარ გადავიტანე, რაღა არ გამოვიარე ამ ოცდაათ წელიწადში! როცა კი დავფიქრდები, როცა იმ ჯადოსნურ, გულისა და გონებისათვის მიუწვდომელ დღეებს გავიხსნებ, რა გრძელი, რა საოცრად დაუსაბამო მეჩვენება ის დღეები, დღეები, რომელთაც ახლა უკვე წარსული ეწოდება. თვრამეტი წლის გაზაფხულზე, როდესაც აღარც დედა და აღარც მამა ცოცხლებს შორის აღარ იყვნენ, მე უკვე მოსკოვში ვცხოვრობდი, სმოლენკის ბაზარზე მოვაჭრე ვილაც ქალის სარდაფში. ქალი სულ დამცინოდა – „აბა, რას იტყვით, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორაა თქვენი საქმის ვითარება...“ რა უნდა მექნა, მეც ვვაჭრობდი სხვა მრავალთა მსგავსად, მეც ვყიდდი კრაველის ქუდიან, ფარაჯაგაფრიალებულ ჯარისკაცებზე თუ რამ შემომრჩენოდა – პატარა ბეჭედი, უბრალო ჯვარი თუ ჩრჩილისაგან შეჭმული ბეწვის საყელო. და აი, ერთხელ არბატსა და ბაზრის კუთხეში ვაჭრობისას, შევხვდი ერთ არაჩვეულებრივ, არაჩვეულებრივი სულისა და ბუნების ადამიანს, ხანში შესულ გადამდგარ სამხედროს, რომელსაც მალე ცოლადაც გავყევი. იმავე წლის აპრილში მე და ჩემი მეუღლე მოსკოვიდან ეკატერინოდარში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად მისი ძმისშვილი, ჩვიდმეტი

ნლის ყმანვილიც წამოვიდა, იმასაც როგორმე მოხალისეებამდე უნდა მიეღწია. თითქმის მთელი ორი კვირა ერთად ვიარეთ. სოფლის დედაკაცივით მეც ფეხზე ქალამნები მეცვა, მეუღლეს – ძველი, კაზაკური ჩოხა, სახეზე შავი, ჭაღარაშერეული ნვერი ჰქონდა მოდებული. ორ წელინადზე მეტი დონსა და ყუბანში გავატარეთ. ბოლოს სხვა აუარებელ ლტოლვილთან ერთად, ზამთრის ქარსა და ყიამათში, ნოვოროსიისკიდან ზღვით თურქეთისაკენ გავემგზავრეთ. შუა ზღვაში რომ ვიყავით, ჩემს მეუღლეს ტიფი შეეყარა და გარდაიცვალა. მახლობელთაგან მთელ ქვეყანაზე მხოლოდ სამი ადამიანილა შემომრჩა – ჩემი ქმრის ძმისშვილი, მისი მეუღლე და მათი შვიდიოდე თვის გოგონა. მაგრამ სულ მალე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ისევ ყირიმში, ვრანგელთან დაბრუნდნენ და თავიანთი ძუძუთა ბავშვი მე შემომატოვეს. მე და პანანინა გოგონამ კიდევ კარგა ხანს დავყავით კონსტანტინოპოლში. შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, იძულებული გავხდი მძიმე, აუტანელი ჯაფა გამეწია. მას შემდეგ სხვა მრავალთა მსგავსად სად აღარ მატარა ბედისწერამ – ბულგარეთი, ჩეხეთი, პარიზი, ბელგია, ნიცა... გოგონა, რა ხანია, გაიზარდა, იგი პარიზში დარჩა და ნამდვილი ფრანგი ქალიშვილი დადგა – მეტისმეტად მოხდენილი და სრულიად გულგრილი ჩემს მიმართ. ცხოვრობს შუა პარიზში, მუშაობს მადლენის მახლობლად შოკოლადის მაღაზიაში და ნატიფი, სათუთად მოვლილი ხელებით კანფეტის კოლოფებს ატლასის ქაღალდში ახვევს. მე კი ისევ ნიცაში ვცხოვრობ, ვარ ასე, ღვთისა და ბედის ანაბარად მიტოვებული... ათას ცხრაას თორმეტ წელს, როცა პირველად ჩამოვედი ნიცაში, ჩემი ცხოვრების იმ ბედნიერ დღეებში, აბა რას წარმოვიდგენდი, თურმე რა სიმწარე, რა გაჭირვება მელოდა ამ ქალაქში!

ასე გადავიტანე მისი სიკვდილი, თუმცა მაშინ ძალიან შევიცხადე – შენს სიკვდილს ვერასოდეს გადავიტან-მეთქი. და აი, ახლა, როცა ჩემი ცხოვრების გარდასულ დღეებს გავიხსენებ, როცა საკუთარ თავს შევეკითხები, მაინც რა იყო ჩემს ცხოვრებაში კარგი და მოსაგონებელი-მეთქი, შემოდგომის ის ცივი საღამო მახსენდება,

თუმცა ზოგჯერ ეჭვიც მეპარება – „იყო კი ოდესმე ის საღამო?“ მაგრამ, რა თქმა უნდა, იყო და მხოლოდ ის იყო ჩემი ცხოვრება, სხვა ყველაფერმა ამაო, ფუჭი სიზმარივით ჩაიარა. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, იგი იქ მელოდება, მელოდება ისევ ისეთი ახალგაზრდა და სიყვარულით სავსე, როგორც შემოდგომის იმ ცივ საღამოს... „... შენ აქ იხარე, დატკბი ამ ცხოვრებით, ბოლოს კი ჩემთან წამოდი, იცოდე, მე იქ დაგელოდები...“ დიახ, მე აქ ვიცხოვრე, დავტკბი ამ ცხოვრებით და ახლა უკვე მალე წავალ მასთან.

1895-1932 წლები

ველგა

1

გესმის, რა საწყალობლად კივის თოლია ზღვის თავზე?

ნისლიან შორეთს უერთდება წყლის ბინდისფერი ზედაპირი დასავლეთისაკენ, ნისლიან შორეთში იკარგება ჩრდილოეთით მისი კლდოვანი ნაპირი. სუსხიანი ქარი ქრის, ცივა... აჭავლებული წყლის შრიალი ხან მიწყდება, ხან ქარდაკრული ფიჭვნარივით აჩურჩულდება და თოლიას კივილთან ერთად ზღვის ნაპირებს შეეფინება... ხედავ თოლიას? ქარს აყოლილი, ქარისაგან შეციებული მოქნილ ფრთებზე როგორ ირწევა, ეული და მიუსაფარი რძისფერ ნისლში როგორ ფარფატებს...

ამ პირქუშ ზღვაზე, მის უკაცრიელ კუნძულებსა და სანაპიროზე მუდამ უჟმური ტაროსია, ცა იღრუბლება, იქუშება, დილიდანვე კოპებს იკრავს, მით უმეტეს, ახლა შემოდგომაა, ჩრდილოეთში კი შემოდგომა უფრო ცრიატი, კიდევ უფრო პირქუში და სევდიანია. ზღვა მრისხანედ გაიფოფრება, გარკინისფრდება, გაშლილი და თვალშეუდგამი ნისლოვან სივრცეს შეერევა დასავლეთისკენ, დასავლეთიდან ქარი კვლავ უკან გამორეკავს ტალღას ტალღაზე, თოლიას კივილს წამოიღებს, შორეულ სივრცეს გამოატარებს.

კრიი... – საცოდავად კივის თოლია და ეს კივილი გულსაკლავად გაისმის ქარში...

დღეს დილას იგი ზღვას მოუსვენრად დასტრიალებდა, წყალ-კვეთის თავზე მოწყენილი დაფარფატებდა. უშველებელი ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა, ზღვა ბობოქრობდა, ღორღსა და ქვიშას იტაცებდა, ღრმულებს ტოვებდა, ხორხოშელა თოვლის შრიალით წვრილ შხეფებად იფანტებოდა, სანაპიროდან, როგორც სარკიდან,

ისევ ზღვაში ჩაიქცეოდა, ზღვიდან ნამოსულ ახალ ტალღას შეიშველებდა და შორს, შორს, სადღაც მძიმე ლოდებს შეემსხვრეოდა... თოლია კი ცაში აწვდილ ტალღებს შორის გაიქროლებდა, წყლის ოღროჩოღრო ზედაპირზე მოტივტივეს ახალი ტალღა დაეწეოდა, მრუდე ქოჩორზე მოიქცევდა, თეთრი ქაფით ფრთამოხატული ფარფატ-ფარფატით ისევ ცაში აიჭრებოდა... ქარი არნევდა, ტალღებს ზემოთ ნება-ნება აქანავებდა... აი, ცრიატი დღე მიილია, ბინდისფერი მწუხრი ჩამოწვა... აი, დაღლილი, ქარს მინდობილი თეთრი თოლია მდოვრედ მიინევს, ნაცრისფერ ნისლში იცრიცება, თვალს ეფარება... გესმის, როგორ საწყალობლად კივის თოლია, რა მწარე და რა ტკბილია მისი გოდება? აი, ბინდში ძლივსლა ირჩევა, ბნელ ღამეში ნელა-ნელა უჩინარდება. ქარი თანდათან ძლიერდება, ქაფის ჭაღარა დალალები სულ უფრო ხშირად იწენება ღამეული ზღვის ზედაპირზე... ზღვა ბობოქრობს, ზარი მატულობს, ყინულივით ცივი ქარი მაღლა მიინევს, დიდრონ ტალღებს შეჭიდებული ზღვის სუნითა და წყლის შხეფებით ჰაერს აჯერებს.

– კრიი... – საცოდავად კივის თოლია, შორს, შორს ზღვიდან ძლივსლა აღნევს მისი კივილი.

...ყური დამიგდე, ამ ხმაურში, ამ ბობოქარ ზღვის ხმაურში, მე მოგიყვები ერთ ლეგენდას, ჩრდილოეთის ერთ ძველსა და ლამაზ ლეგენდას...

2

ეს მოხდა უხსოვარ დროს...

ჩრდილოეთის ცივი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა ახალგაზრდა და ძლიერი ველგა. დასავლეთით იყო ზღვა, აღმოსავლეთით – ჰორიზონტს მიკრული ქვიშიანი ნაპირი. ველგა არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთით, არ ყოფილა არც დედა, არც მამა, არც უფროსი და სნეგარი... ველგამ არ იცოდა, რა იყო აღმოსავლეთით – ველგამ იცოდა მხოლოდ ზღვა.

ამ ზღვის პირას ჩაიარა მისმა მხიარულმა ბავშვობამ. ზამთრობით, როცა ზღვის ნაპირი თეთრი თოვლით იყო დაფარული,

როდესაც ზღვას სილურჯე მხოლოდ ცის კიდურთანღა შერჩენოდა, თბილ გერმაში გახვეულს ეძინა ველგას. დაბალი, ბნელით მოცული ქოხის კერიაზე მუდამ ცეცხლი ღუღუნებდა. ზაფხულობით, როცა თბილი ზღვაური ქროდა, როცა ზღვაში ჩუმად შრიალებდნენ ტალღები, ველგა ხოჭოებისა და სუსხურის კვერცხებს დაეძებდა ქვიშაში, ან ნაპირისკენ წამოსული ზვირთების შესახვედრად გარბოდა – წანვებოდა სილაზე პირაღმა და ზურგზე დგაფუნით გადაუვლიდა ტალღები. ასე ატარებდა ზაფხულის გრძელ დღეებს ველგა. ველგას გვერდით იყვნენ ირვალდი და სნეგარიც.

ტანსრული სნეგარი ერთთავად მღეროდა და კისკისებდა, მაგრამ არც ველგასავით წკრიალა ხმა ჰქონდა, ვერც ბობოქარ ტალღებს შეებმებოდა ველგასავით... მხოლოდ ირვალდი თუ შეედრებოდა ველგას. და აი, ერთხელ ველგამ უთხრა:

– ნეტავი ჩემი ძმა იყო, ირვალდ... რატომ შენსავით საყვარელი ძმა არა მყავს, მაშინ ასე მოსანყენი ხომ არ იქნებოდა ზამთრის ეს გრძელი და უფერული დღეები.

ირვალდმა კი მხოლოდ გაიღიმა და წყალს მიეცა:

– შეხედე, შეხედე, ღორიხვი!

და აი, ისინი ქარივით გაედევნენ ერთმანეთს... მათი ზარივით ხმა ხან ზღვისპირა მღვიმეებს აგუგუნებს, ხან სანაპიროზე აყუდებულ ლოდებს შეასკდება... ხან იქით მიქრიან, სადაც კლდეებს შორის აზავთებული ზღვის ბლანტი წყალი სიპ ქვაზე მოჩქრიალე ნაკადულებად იფანტება, ხან ბობოქარ ტალღებს გაეთამაშებიან, ზვირთებს გაეჯიბრებიან.

ნეტავ, ასე სწრაფად რატომ ჩაირბინა ველგას მხიარულმა ბავშვობამ?

აი, უკვე თოთხმეტი წლისაა ველგა, უკვე თექვსმეტი წლისაა ირვალდი. ახლა იგი დღედაღამ ზღვაშია, დღედაღამ სათევზაოდაა. სამაგიეროდ რა ზეიმი, რა სიხარულია ირვალდის ზღვიდან დაბრუნება!

– ძვირფასო ირვალდ, როცა აქ არ მეგულები, მინდა, სულ ვიტირო და ვიტირო, მაგრამ, ზღვიდან დაბრუნებულს რომ დაგინახავ, გული კვლავ სიცილითა და სიხარულით მევსება!

და აი სნეგარიც უკვე გაიზარდა და ირვალდმა თანდათან დაივიწყა ველგა, ახლა იგი სულ უფრო ხშირად და ხშირად არის სნეგარის გვერდით, ზის და მხიარულ სახეში შესციცინებს. ველგა შორიახლო უტრიალებს, არ უნდა, დის თანდასწრებით რამე უთხრას, მაგრამ, როგორც კი ირვალდი სანაპიროზე თავისი სახლის გზას დაადგება, წამოეწევა და კარის ზღურბლამდე მიაცილებს:

– ძვირფასო ირვალდ, რატომ იჯექი ასე დიდხანს სნეგართან?.. გულს დარდით ასე რატომ მიკლავ?

იმ დღიდან ველგას წკრიალა, ცრემლნარევი სიმღერა მთელ სანაპიროს ეფინება. მხოლოდ მეგობარი ქალიშვილების დანახვაზე თუ მიწყდება მისი ეს სევდიანი სიმღერა – მათ დანახვაზე თავს ამაყად ასწევს, სახე ცივი და მიუკარებელი გაუხდება.

3

ველგას მშობლიური ქოხი ქვიშით მოფენილ კლდოვან სანაპიროზე მეთევზეთა სოფლის განაპირას დგას. ზღვის მოქცევისას ტალღები ქოხის ზღურბლამდე აღწევს.

თუ ამ დროს ქარიშხალია, თუ ძლიერი ქარი უბერავს, წყალი სუსხურის ნაწლავებგადაკრულ ფანჯრებს ეხეთქება, შეშინებული სნეგარი სიმღერას შეწყვეტს, ხელსაქმეს მიატოვებს და ფანჯარას ელდანაკრავივით მოსცილდება. ველგას მოხუცი დედაც ქარის ზუზუნს შეშინებული ყურს მიუგდებს და ჩუმად ლოცულობს. მხოლოდ ველგას არ აშინებს ქარიშხალი, იგი თამამად გადმოაბიჯებს სველ ზღურბლზე, მამას მხარში ამოუდგება და ქარსა და ქარაშოტში მასთან ერთად ბადეს ახვევს, ყინულივით ცივი წყალი შიშველ კანჭებზე ეალერსება, ღიამწვანე ზღვის ბალახი ფეხებშუა ლორწოსავით აებლანდება. ველგა ზღვის ბალახს ფეხით გაგლეჯს, ძლიერი მკერდით ნოტიო და ცინცხალ ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავს, მოვარდნილ ზღვაურს შუბლს მიაგებებს, ქარი ქერა თმას აუწეწავს. დგას წყალში ასე ტანაყრილი, სახეთამამი, დგას და ზღვისფერი, გამჭრიახი თვალებით სადღაც სივრცეში იმზირება. მაგრამ იქ მხოლოდ წმინდა პეტრეს ჩიტები დაფრინავენ, სანყალობელი ნივილ-

კივილით ზღვას გუნდ-გუნდად დასტრიალებენ, მთაგრეხილივით ჰაერში აჭრილ დიდრონ ზვირთებზე ფრთებგაშლილი კივკივ არბიან.

აღარ იცინის ველგა, მუშაობის დროს ხმაშეწყობილი აღარ მღერის სნეგართან ერთად... ჭირვეული და მწუხარეაო – მხარი უქციეს დაქალებმა. მაგრამ, აბა, ვის ენახა დღემდე იგი მწუხარე და ჭირვეული! ახლად აფრენილი ბარტყივით გაბედული გული ჰქონდა ველგას, ცასა და მიწას შეჰხაროდა, ზღვასა და ქარიშხალს, თავის ლაღსა და უღრუბლო სიყმაწვილეს... მხოლოდ ირვალდის გარეშე თუ მოიწყენდა ხანდახან, მას ხომ ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა ირვალდს, რა ბედნიერება იყო სიცოცხლე და ცხოვრება ამქვეყნად!

მაგრამ, აგერ, რა ხანია ირვალდი ზღვაშია, ველგა კი დღედაღამ სანაპიროზეა და ერთთავად ზღვას გასცქერის – უნდა ზღვას გასძახოს, ტალღებს ხმა გადააწვდინოს, რომ იგი უკვე დაღალა ირვალდის ლოდინმა, რომ არა, არ უნდა უყვარდეს ირვალდს სნეგარი, რამეთუ ველგას სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია უირვალდოდ.

და როცა თბილმა ზღვაურმა დასავლეთიდან დაბერა, როცა მზემ ზღვისკენ დაინია, ველგა სნეგართან მივიდა:

– ძვირფასო სნეგარ, გინდა მოგიყვე, რა ნაზი და ალერსიანია ზაფხულის ნიავი, რა ამო, რა სასიამოვნო სურნელი უდის ზღვას, რა სევდითა და მწუხარებით არის სავსე ჩემი გული, როდესაც ირვალდს ვერა ვხედავ?

– არა, – უპასუხა ქოხის ზღურბლზე არხეინად მოკალათებულმა სნეგარმა.

ველგა სნეგარს გაეცალა, ზღვის ნაპირას ჩამოჯდა და საღამოს ბინდბუნდში დიდხანს, დიდხანს უსმენდა წყლის შხრიალს, ზაფხულის ზღვასავით თბილი ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა ხელებზე....

ირვალდის დანახვაზე ველგამ სიხარულით იკივლა, ირვალდმა კი მხოლოდ გაიცინა და ნავიდან ბადეების გადმოღება უბრძანა. მთელი საღამო თავაუღებლივ იშრომა ირვალდის მხარდამხარ, მერე,

როცა ფერგამკრთალი მთვარე ზღვას თავზე წამოადგა, დაღლილი ველგა ცარიელ ნავში ჩაჯდა და მთვარეს შეჰკვნესა:

– იცი, როგორ გელოდი, ირვალდ, როგორ ვღელავდი, როგორ მიწყალდებოდა გული შენს ლოდინში და რა შვებით ამოვისუნთქე, თვალი რომ მოგკარი.

ირვალდი კი იჯდა და მთვარეს შეჰყურებდა. შერცხვა ველგას, პასუხი რომ ვერ მიიღო, თვალები დახარა და წყნარად ჰკითხა:

– გესმის, რას გეუბნები, ირვალდ?

– მესმის, – თქვა ირვალდმა...

მაშინ თავი კიდევ უფრო ძირს დახარა ველგამ და ჩურჩულით წარმოთქვა:

– შენს სახლში წამიყვანე, ირვალდ! სულ შენს გვერდით ვიქნები, შენთვის ვიმღერებ, შენს მხარდამხარ ვიმუშავებ, ზღვაშიაც შენთან ერთად წამოვალ... რომ იცოდე, რა ბედნიერებაა შენს გვერდით სიცოცხლე და ცხოვრება, ირვალდ!

– ჩვენ ერთად არასოდეს ვიცხოვრებთ... – შეუვალი იყო ირვალდის პასუხი, – ხვალ კვლავ ზღვაში უნდა გავიდე, როცა დავბრუნდები, მოვკიდებ ხელს სნეგარს და მთელ ზამთარს ერთად გავატარებთ, ზაფხულში კი ორი სუსხურივით ზღვაში ერთად შევცურავთ.

– მე? – თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ველგამ და იგრძნო, გული როგორ შეუქანდა, – მერედა, მე მარტო უნდა დავრჩე?

– ჰო... – თქვა ირვალდმა.

ველგა თვალის დახამხამებაში სანაპიროზე ახტა, სწრაფი ნაბიჯით ზღვის ნაპირ-ნაპირ გასწია. თვალს რომ მიეფარა, ნაცრისფერ ლოდზე პირქვე დაემხო, თავისი გულისტკივილი მთვარეს შეჰლაღადა და მწარედ აქვითინდა.

გესმის, როგორ დაძრწის ქარი უკუნეთ სიბნელეში? რა ავი და პირქუშია დღეს ჩრდილოეთის ზღვა?

მეორე დილას კი ზღვაზე ნამდვილი შემოდგომა იდგა. ცივი ქარი ქროდა, ნაცრისფერ ნისლში გახვეული ზღვა ბდღვინავდა. ველგა წამოდგა, ზღვაში ჯიქურ შეიჭრა, ცივ ტალღებს შეერია, მაგრამ

ზღვა კიდევ უფრო აზავთდა, მთასავით აგორებული ტალღა გრიალით წამოვიდა და ველგა კვლავ ნაპირზე გამოტყორცნა.

– ზღვას ჩემი სიკვდილი არ უნდა... – ჩუმად ჩაილაპარაკა ველგამ, – მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა...

ველგამ ჩუმად შეაღო მშობლიური ქოხის კარი. მკაცრ, ცრემლ-შემშრალ სახეზე მშვიდი ნათელი დაჰფენოდა, მშვიდად იმზირებოდნენ მისი ზღვისფერი თვალები, თუმცა გული კვლავ მწუხარებით ჰქონდა სავსე.

– სნეგარ, წავიდა ირვალდი?

– ჰო... – თქვა სნეგარმა.

– როდის, როდის დაბრუნდება ირვალდი, სნეგარ?

– თოვლ-ჭყაპი რომ წამოვა და ზღვა რომ ჩამუქდება...

ველგა მიბრუნდა, ერთი თევზი შეჭამა, მერე კარის ზღურბლთან ჩამოჯდა და ქარს სახე მიუშვირა. მწუხარედ წარბშეკრული მთელ დღეს ფეხმოუცვლელად იჯდა კარებწინ, შინ რომ შევიდა, შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო... მრავალი დღე და მრავალი ღამე გაატარა ველგამ ირვალდის მოლოდინში, ვიდრე თოვლ-ჭყაპი არ წამოვიდა, ვიდრე პირველმა თოვლმა მიწა არ გადაათეთრა.

„ესე იგი, საცაა ირვალდი დაბრუნდება.. – ფიქრობდა ველგა და მის გულში წყენა და ნაღველი ერთმანეთს ერთვოდა, – მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა, მერე კი მეც მალე განვისვენო საფლავში...“

მაგრამ, დღე დღეს მისდევს, ირვალდი კი არა და არ ბრუნდება.

აი, უკვე მოსაღამოვდა, ცა მწუხრისფერმა მოიცვა. ველგა ერთ ადგილას ვეღარ ისვენებს, წამდაუწუმ წამოდგება და აღელვებული ზღვას გასცქერის. აი, ჩაბნელებული ქოხიდან ველგას მოხუცი მამა გამოდის, ქარი გრძელსა და ჭაღარა თმას უშლის, უწენავს.

– ველგა, შვილო ჩემო, შენი მშობლიური ქოხი ასე რატომ მოიძულე? საცაა ავბედითი გრიგალი დაიწყება, კაცის გულს მარტოობისა და მიუსაფრობის სევდა მოიცავს... ადექი, შვილო, კედლებს საბჯენი შევუყენოთ, სელაპის ტყავის სახურავი ქვით გავამაგროთ,

მერე კი ამ ბნელ ღამესა და ავ ტაროსს საკუთარ ჭერქვეშ შევეფაროთ.

ნაზმა სიტყვებმა გული მოულბო ველგას, მოხუცი მამა შეებრალა, ირვალდისა და საკუთარი თავის ცოდვით აივსო, ბერიკაცს მხარში ამოუდგა, საქმეში ხელი ნააშველა... გაავებული ქარი კი ქროდა, ჰაერს წყლის წვრილი შხეფით ავსებდა. შეშინდა ველგა, კარი შეაღო, თავი სასწრაფოდ ქოხს შეაფარა. და აი, ღამის სიბნელეში თვალწინ ირვალდი წარმოუდგა, გაახსენდა, ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, ჯერ ისევ ყმაწვილი ირვალდი ამ ქოხში ღამის გასათევად როგორ დარჩა, ველგამ საკუთარი ხელით ლოგინი როგორ დაუგო, მასპინძლობის წესის თანახმად ძილის წინ ღანვზე როგორ აკოცა და ჭაბუკის სიყვარული გულს კიდევ უფრო ძალუმად შემოენთო. შეებრალა სიყრმის მეგობარი, დაავიწყდა, სიკვდილს რომ უქადდა, საწოლიდან სასწრაფოდ წამოხტა, ქარის გრიალს მიაყურა და თითქოს ირვალდის ძახილი ჩაესმა. შემკრთალსა და შეშინებულს მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იწვა და ზღვის ხმაურს უსმენდა.

დილით ზღვა თანდათან დამშვიდდა, ჰაერში ზამთრის სუსხი დატრიალდა. ის იყო, ველგა წამოდგა, დილის სინათლისათვის ქოხის კარი უნდა გამოეღო, რომ ზღურბლზე სნეგარმა გადმოაბიჯა.

– ველგა, – თქვა სნეგარმა, – ქარიშხალმა ირვალდი ყინულოვანი ზღვის კუნძულზე გაიტაცა, ნავი დაუმსხვრია, ახლა იგი მარტოდ-მარტოა ზღვაში და შიმშილითა და სიცივით სიკვდილი ემუქრება.

– ვინ, ვინ გითხრა, სნეგარ?!

– ეს-ეს არის ჩარნასთან ვიყავი, – სნეგარმა სახეზე ხელები აიფარა და უმწეოდ ატირდა...

– სნეგარ... – უნდოდა ნაზად მოჰფერებოდა ველგა, მაგრამ წარბები მკაცრად შეჰყარა და ქოხის კარი ღონივრად გამოაღო...

4

ველგა სწრაფად მიაბიჯებდა ჩრდილოეთისაკენ ზღვის ნაპირ-ნაპირ. ჩარნას თბილი, ცეცხლის ალით განათებული ქოხის კარი რომ შეაღო, გარეთ უკვე ზამთრის ცივი და ბნელი საღამო იდგა.

– ო, გულთმისანო, – შეემუდარა ველგა, – მასწავლე, როგორ წავიდე ირვალდთან.

– იჩქარე! – თქვა ჩარნამ, – ორი დღე და ორი ღამე ზღვაში უნდა იცურო, მესამე დღეს გამთენიისას თუ ვერ მიასწარი, დაიღუპება... მაგრამ, გსმენია კი ოდესმე ყინულოვანი ზღვის უკაცრიელ კუნძულთა შესახებ? იქ ახლაც ისეთივე სევდის აღმძვრელი უდაბურებაა, როგორც სამყაროს შექმნის პირველ დღეს.

ამ სიტყვებზე გული წყლიდან ამოყვანილი თევზივით აუფარ-თქალდა ველგას:

– შემიბრალე, ჩარნა! მწარე და გულსაკლავია სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ, თუ ეს გარდაუვალია, თქვი, რა მომელის?

– ორი დღე და ორი ღამე მარტოდმარტო იქნები უკაცრიელ ზღვაში, შიშსა და მწუხარებაში გაატარებ ორ დღესა და ორ ღამეს, მაგრამ, კუნძულზე ფეხს შეადგამ თუ არა, თოლიად იქცევი და ირვალდი ვერასოდეს გაიგებს, ასე უდროოდ ვისთვის დაიღუპე.

სახეზე პირველი თოვლისფერი დაედო ველგას, თვალებში სიხარულის ნაპერწკალი გაუკრთა.

– მივდივარ, ჩარნა! – თქვა ველგამ.

– იჩქარე! – თქვა ჩარნამ.

ველგა სველ ქვიშაზე შავად ჩაბნელებული, აბობოქრებული ზღვისაკენ გარბის... ზღვიდან ცივი ქარი უბერავს... უნდა იყვიროს, დასა და მოხუც მამას ხმა მიაწვდინოს, უნდა პატიება სთხოვოს, მაგრამ, აი, ნავი ზღვის ნაპირს გაავებული ეხეთქება, ტალღები ბურთივით ათამაშებს. ველგა სასწრაფოდ ნავში ჩახტება და ნავს დასავლეთისაკენ შეაბრუნებს – ცის დასალიერს დაფიონის მეწა-მული ფერი გადაჰკვრია, დგას ველგა ტალღებზე მოტორტმანე პატარა ნავში, ყინულოვანი ზღვიდან მონაბერი ცივი ქარი სახეში

ურტყამს, თვალებიდან მწარე ცრემლი სცვივა, ქარი სიბნელეში თეთრ ტანისამოსს უფრიალებს.

5

აი, როგორც იქნა, ინათა... აი ველგა უდაბურ, ქვიშრობ კუნძულს მისდგომია... ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ ჩანს, არის მხოლოდ ცივი, ნაცრისფერი ზღვა და ყრუ, ნაცრისფერი კუნძული... დროდადრო ზღვის წყალი თუ გაეთამაშება უკაცრიელი კუნძულის ქვიშიან ნაპირს და ზედ ქაფის თეთრ ღრუბლებს დატოვებს. ხანდახან წვრილ, მაღალ ფეხებზე შემდგარი ღალღა ატოტვილ ტალღას გაეკიდება, საკვების საძებნელად წყლისაგან გამორიყულ ნიჟარებში იქექება.

აი, ყინულოვანი ზღვაც დაიწყო. ველგამ მთელი დღე და მთელი ღამე იცურა, ირგვლივ კი ისევ გაშლილი, უკიდეგანო წყალია, სადღაც, ქვეყნიერების დასალიერში, წყალი ჰორიზონტს ეკვრის და ცისფერ სივრცეში იკარგება. ადამიანებისაგან შორს, აქ, ამ უკაცრიელ კლდოვან კუნძულზე, მხოლოდ გარეული ფრინველები ირევიან, ციცაბო კლდეები თუ კლდის ძირები ათასობით მათი ბუდეებითაა მოფენილი. უხეში ბუმბულით შემოსილი თეთრი ფრინველი მიწას თეთრი თოვლივით დაჰფენია, ცაში თოვლის თეთრი ფანტელებივით ტრიალებენ.

მწუხრი უკვე გადასული იყო, ველგამ ყველაზე დიდ კუნძულს რომ ჩაუარა.

კუნძულს ნაცრისფერ სუდარასავით დაჰფენოდა ფრინველის გამხმარი სკინტლი, გერმა და ბუმბული. ჩიტები გრძელ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ ფრიალო კლდეებსა და კლდის ქიმებზე. ქვემოთ მომცრო ფრინველებს დაებუდებინათ, კლდის თავზე კი იდგნენ და მშვიდად თვლემდნენ უშველებელი შავზურგა, თვალებპრიალა და სქელკისერა, მახინჯნისკარტიანი და თეთრგულისპირა ფრინველები.

აი უკვე ასაღამოვდა, თანდათან ცას ბინდი წამოერია და ქარსა და სტიქიასთან ჭიდილში დაღლილმა ველგამ სულის მოსათქმელად

ნავი ნაპირთან მიაცურა. ათასობით ფრინველი ხმაურით აიშალა კლდეებიდან, ველგას თავს ზემოთ ირაო შეკრა და ყივილი ატეხა. თოვლივით გათეთრებულმა ველგამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ ნავში ჩახტა.

აი, მესამე დღეც მიიწურა... აი, ნაცრისფერ ბინდბუნდში თვალსაწიერზე უშველებელი პიტალო კლდე ლანდივით აიმართა. სიჩუმეა, მხოლოდ ტალღების გაავებული გუგუნი და ნისლში მორიალე მტაცებელ ფრინველთა კივილი ახმაურებს ყრუ, უკაცრიელ გარემოს. აი, შორს, კლდის ძირას, ველგამ შიმშილისა და სიცივისაგან ძალაგამოცლილი, ცოცხალმკვდარი, ზღვის ქაფივით უფერული ირვალდი დალანდა.

— ირვალდ! — იყვირა ველგამ.

უნდა მოასწროს, უთხრას, გააგებინოს, რომ ისევ ძველებურად უყვარს... უყვარს, როგორც იმ შორეული ბავშვობის დღეებში უყვარდა... მაგრამ მინაზე ფეხიც არ დაედგა, ჰაერში ფრთებს თეთრ თოლიად გამოეკიდა და მისი მუდარით სავსე ხმა თოლიას საწყალობელ კივილად გაისმა. კივილზე ირვალდი გამოფხიზლდა, ყურში მეგობრის ხმა ჩაესმა და, თვალი რომ გაახილა, ჰაერში კივილით აფრენილი თეთრი თოლია დაინახა...

აი, ირვალდმა ნავი აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნა... თოლია დიდხანს, დიდხანს მიაცილებდა ირვალდს გაშლილ ზღვაში, მაგრამ, როდესაც ირვალდი თვალს მიეფარა, ქარს აყოლილი, საბრალო და მიუსაფარი ჰაერში თეთრ ფრთებზე აქანავდა, გულიდან საწყალობელი კივილი აღმოხდა...

... გესმის, როგორ საწყალობლად კივის თოლია?!

პატარა რომანი

1

მე და ის იმ საღამოს რკინიგზის სადგურში შევხვდით ერთ-მანეთს.

იგი ვიღაცას ელოდა და ეტყობოდა, დაბნეული იყო.

მალე მატარებელი ჩამოდგა, ბაქანზე ბლომად ხალხი აირია. იდგა ქვანახშირისა და ნაწვიმარი ტყის სურნელი. ირგვლივ იმდენი ნაცნობი იყო, კაცი თავის დაკვრას ძლივს ასწრებდი, ის კი, ვისაც იგი თავისი დიდი, ლურჯი თვალებით მღელვარედ ეძებდა – არ ჩანდა.

მატარებელი დაიძრა. იგი შედგა და ბაქნის სიგრძეზე გაჭიმული ვაგონების ფანჯრებს თვალი გაადევნა. ფანჯრებიცა და ვაგონის წინა ბაქანიც ხალხით იყო სავსე – სახეები, სახეები, სახეები... ის სახე კი, რომელსაც ქალი ასე დაჟინებით ეძებდა – არ ჩანდა.

ბოლოს ვაგონების კედელი ჩასრიალდა, უკანა ბუფერმა წუთით გაიელვა და მატარებელმა მწვანედ ტანაყრილ ხეებს შორის ჩაიქროლა. დაცარიელებულ, ნაწვიმარ ბაქანზე პატარა, ცისფერი ნაკადულები მიწანწკარებდა.

მზე სადგურის ფარდულს იქით იყო გადასული, მთელ ბაქანს ჩრდილი ეფინა, ჩვენს უკან, ტყეში გაბნეული აგარაკები კი ჯერ ისევ ვარდისფრად იყო გაცისკროვნებული, მინებს ხალისიანი ბუღვრიალი გაჰქონდა. სადღაც დაჟინებით, უამურად დუდღუნებდა გრამაფონი, საიდანღაც კროკეტების ბურთების ტკაცატკუცი და ბიჭების ჟივილ-ხივილი ისმოდა.

– გავიაროთ...

ჩემთვის არ შემოუხედავს, მითხრა მოკლედ და მეც გავყევი.

ფარდულის უკან რომ გავედით, თვალებში საღამოს ბრიალა მზემ შემოგვანათა. აქედან გრილი, მწვანედ დაბურული ტყე იწყებოდა. დიდხანს მივუყვებოდით ტყის ვიწრო განაკაფს. დიდხანს, დიდხანს ვიარეთ ატალახებული გზის დაყოლებით მწვანე ლიმანებს, ვერხვებსა და თხილნარს შორის გატკეპნილ ბილიკზე, ხავერდივით ხასხასა ფოთლები სახეში გვედებოდა. იგი წინ მიაბიჯებდა და თვალწინ ერთთავად მისი უჯრებიანი კოფთა, გრძელი ქვედა კაბა და კეფაზე მოხვეული მსხვილი ნაწნავი მიტრიალებდა. იგი მარჯვედ ირჩევდა შედარებით მშრალ ადგილს, ერთობ მოხდენილად იხრებოდა, გაბმულ ბუწკნარსა და ხის ტოტებს მოხერხებულად ერიდებოდა...

– რაზე ფიქრობთ? – მითხრა უცებ, ისე, რომ ჩემკენ არც ახლა შემობრუნებულა.

– რაზე და თქვენს ფეხსაცმელზე, აი იმაზე, ფრანგულ ქუსლებზე რომ არ დგახართ, ფრანგულქუსლებიანი ქალებისა არაფერი მწამს.

– მერედა ჩემი გწამთ?

– მწამს.

მალე ნაკაფი ჩათავდა და ჩვენ ერთ მოშიშვლებულ, მზით განათებულ ბექობზე აღმოვჩნდით. იგი უცებ შეჩერდა:

– რა საყვარელი ხართ! მოდიხართ ასე თქვენთვის და ხმას არ იღებთ... ვერ წარმოიდგენთ, გული რა სითბოთი და სინაზით ამივსეთ...

ამაზე თავშეკავებულად ვუპასუხე:

– ხდება, მით უმეტეს, როცა კაცს რაიმე გაწუხებს.

გაოცებულმა შემომხედა:

– მაწუხებს? კი მაგრამ, რა უნდა მაწუხებდეს?

– ვიცი, ვიღაცას ელოდით... ისიც ვიცი, საცაა შემომთავაზებთ, მე გავიქცევი, თქვენ დამეწიეთო.

– გამოიცანით... თანახმა ხართ?

ამ სიტყვებზე ახლოს მივედი, ხელში ხელი მოვკიდე და ოდნავ ჩემკენ რომ მოვიზიდე, უკან გადაიწია:

– არა, – თქვა ჩურჩულით, – არა... ღვთის გულისათვის...

მერე ერთხანს იყუჩა, ბოლოს ხელიდან მარჯვედ დამისხლტა, კაბის კალთა აიკრიფა და ბექობიდან მწვანე ტაფობისაკენ სირბილით დაეშვა.

ტაფობს აქეთ-იქეთ ტყით დაფარული ხევები ჩაუდიოდა, წინ მოზრდილი, ბალახმოთიბული ზოლებით დასერილი, უმზეო, ჩრდილით ჩახურული ღარტაფი იყო. ტაფობზე რომ ჩავიდა, ღელის პირას, ჩამავალი მზის შუქჩრდილის მიჯნაზე გაჩერდა, მაგრამ, ერთ ნაბიჯზე მივუახლოვდი თუ არა, რუზე ისკუპა და ახლა ხევ-ხევ გაიქცა. ის იყო, იმ რუზე გადავხტი, რომ ციდან ხმელი ფოთლების შრიალის მაგვარი მსუბუქი ჩქამი წამოვიდა, მალე ხმაურს შხაპუნა წვიმა მოჰყვა და მარცხნივ, ბორცვის თავზე, ოდნავი ნისლით შებურული შვიდფერი ცისარტყელა გადაიჭიმა.

– წვიმს! – წამოიძახა ნკრიალა ხმით და წვიმისგან გადაღაღანებულ მინდორზე კიდევ უფრო სწრაფად გაიქცა.

წვიმის ოქროსფრად მობიბინე ბადურის ქვეშ კრთოდა და ზიმზიმებდა ჯერ ისევ მზით განათებული მინდვრის ნახევარი, ზევიდან ხმაურით, შხაპაშხუპით ცვიოდა მსხვილი, მეჩხერი წვეთები. ჩანდა, მოკრიალებულ ცაზე გუმბათივით აზიდული ერთადერთი კვამლისფერი ღრუბლიდან ნემსებივით გრძელი, პრიალა წვეთები როგორ მოსრიალებდა... მერე წვიმა თანდათან შეთხელდა, ბორცვის თავზე გადმომდგარი ცისარტყელა თანდათან გაუფერულდა და ხმაური ერთბაშად მიწყდა.

მან ამ დროს თივის ზვინთან მიირბინა, ზედ ზურგით გადაწვა და ხმამაღლა აკისკისდა. სუნთქვის დროს მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა, თმაში წვიმის წვეთები უბრწყინავდა.

– ნახეთ, გული როგორ მიცემს, – თქვა და ჩემი ხელი ხელში აიღო.

მხრებზე ხელი მოვხვიე და მისი ნახევრად გახსნილი ბაგეებისკენ ფრთხილად რომ დავიხარე, ახლა უკვე წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

მერე წყნარად მომიშორა და ნითლად ატკრეცილი სახე გვერდზე მიაბრუნა. გამხმარი ბალახის ღეროს კვნეტდა და მოკრიალებული თვალებით სივრცეს დაბნეული გასცქეროდა.

– ეს პირველი და უკანასკნელი იყოს, კარგით?

– კარგი-მეთქი, – ვუპასუხე.

მერე თვალებში დაჟინებით შემომხედა:

– ნეტავი, ოდნავ მაინც თუ გიყვარვართ? მე კი ისე ბედნიერი ვარ, თავს ისე შესანიშნავად ვგრძნობ!.. იცით, ნურავისზე ეჭვიანობთ, იმას, რომ ვილაცას ველოდი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა იგი ჩემი ოფიციალური საქმროა და მალე მეც გრაფინია ელ-მამუნა გავხდები... რატომ? არ ვიცი... ალბათ, იმიტომ, რომ მეშინია...

ასადგომად ხელები რომ გამომიწოდა, ჯერ ერთ ხელზე ვაკოცე, მერე – მეორეზე.

ახლა კი წავიდეთო.

სად-მეთქი?

ცოტა გავიაროთო.

ფეხზე რომ წამოვაყენე, მორცხვად გაიღიმა, მერე მომხიბლავი ქალური მოძრაობით თმა შეისწორა და ხევის სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. დროდადრო ტყიდან გუგულის ყრუ, შორეული ძახილი ისმოდა... ნაწვიმარი ცის სიღრმეში მდოვრედ მიცურავდა, ნელა იცრიცებოდა კიდეებშეწითლებული, თბილი, კვამლისფერი ღრუბელი.

უკან დაბრუნებისას გზა აგვებნა, მაგრამ, იქაურობას ალღო მალე აუღო და წინ გაბედულად გამიძღვა.

თხოვნაზე უარი ვეღარ მითხრა, გზაში თავისი ამბავი მოკლედ, გადაკრულად მიამბო, თან საშინლად ღელავდა. მოყოლა რომ დაამთავრა, კარგა ხანს გაჩუმებულებმა ვიარეთ.

ტყეს ჩრდილოური მწუხრი დასწოლოდა. ირგვლივ რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული, ხშირი, მდუმარედ გარინდული ტყე უშ-ფოთველად ელოდა იდუმალებით მოცული ღამის მობრძანებას. საღამოს მკრთალი, მოცახცახე შუქი თანდათან ილეოდა, ცას

თვლემა ეპარებოდა. პატარა ჭანჭრობი ტბა, რომლის ნაპირ-ნაპირ ახლა მე და ის მივაბიჯებდით, ჯერ ისევ თეთრად კრთოდა ხეებს შორის, მაგრამ ტბაც ისეთივე უხალისო და მოწყენილი ჩანდა, როგორც ტყე... მალე ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა, საღამოს ბინდში გაყუჩებული ტყის თავზე შავად ჩამოწვა, თბილი, ჭაობის ბალახითა და წიწვის საამო სურნელით გაჟღენთილი მთვლემარე ჰაერი თანდათან ჩატკბა. ოქროგადაკრულ ზურმუხტისფრად ციმციმებდნენ ჭრიჭინობლების იდუმალი ჟრუნით მითვლემილ ბუჩქებს შესეული ციცინათელები... გზა რომ შეგვემოკლებინა, ტყიდან გადავუხვიეთ და ასწლოვანი ფიჭვების გრძელსა და ფართო დეერეფანს გავუყევით. ბილიკს უკვე ძლივს ვამჩნევდით, სილაში გზას ძლივს მივიკვლევდით. უცბად ფიჭვის ხმელ, დაბურულ ტოტებში რაღაცამ გაიფაჩუნა, მალე იქიდან ტრიალ-ტრიალით უშველებელი დიდთავა ბუ ამოყურყუმელავდა, პირდაპირ ზედ შემოგვეფეთა და თავისი მრგვალი, ფართო ფრთებით ჰაერში კვლავ ტრიალით აიჭრა... იგი შეკრთა, უკან დაიხია, ბუმ კი წრე უხმაუროდ მოხაზა, ისევ დაბლა-დაბლა დაეშვა და ტყის სიბნელეში მდოვრედ ჩაიძირა.

– კარგის ნიშანი როდია, – თქვა და თავი გადააქნია.

ამ სიტყვებზე გავიღიმე.

– მერწმუნეთ, კარგის ნიშანი არ არის, – გაიმეორა უბრალოდ და დაჟინებით.

– მაინც, რა იქნება?

– რა ვიცი... ისე, ჩემთვის სულ ერთია, თქვენს გვერდით გატარებული ეს დღე და ეს საღამო არასდროს დამავიწყდება. მოდით, გამომშვიდობების ნიშნად...

სიტყვა არ დაუმთავრებია, კისერზე მკლავები შემომხვია, სახეში ნაზად და სევდიანად ჩამხედა, ოდნავ დაფიქრდა და ჯერ ერთი თვალი დამიკოცნა, მერე – მეორე... მერე მინდორ-მინდორ გეზი ხეებს გაღმა შუქნიშნის მწვანედ მოციმციმე სინათლისაკენ ავიღეთ. უკვე ბნელოდა, მალე ფოთლებზე წვეთების წკაპანკუპი გაისმა და, ის იყო, კარავივით გადახურული აგარაკის აივანზე, თალფაქიანი სანთლებით განათებულ, ჩაის ჭურჭლით განყობილ მაგიდასთან მივირბინეთ, რომ გარეთ ისევ კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

ტანსაცმლიდან წვიმის წვეთებს ვიბერტყავდით, თან თვალთმაქცურად ვყვებოდით, ტყეში როგორ დავიბენით და გზის ძებნაში როგორ შემოგვაღამდა, რომ უცებ ორივე ხელნაკრავებივით გავჩუმდით – აივნის ბნელ კუთხეში, სარწეველა სავარძლიდან საოცრად მაღალი, გამხდარი, ფართო მხარბეჭიანი, შავწვერიანი, მელოტი, თვალებმოელვარე ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი წამოდგა. მოხუცები შეცბნენ, ჩემს თანამგზავრს სახეზე მკვდრისფერი დაედო, მე კი ხელი მაგრად ჩამოვართვი და ხუმრობის კილოთი ვუთხარი:

– ღმერთო, ეს რამსიმაღლე ხართ? შუა საუკუნეებში რომ გეცხოვრათ, შეუდარებელი აბჯროსანი იქნებოდით.

– მართლა? – თქვა და მკვირცხლად დასძინა: – ადვილი შესაძლებელია... მე გრაფი მამუნა გახლავართ.

მალე საიდანღაც ძველი, უშველებელი ქოლგა გამომიძებნეს, დამარიგეს, წასვლა რა გზით უფრო ჯობდა და აივნის სველი საფეხურებიდან პირდაპირ უკუნეთ სიბნელეში შევაბიჯე.

იგი კარვისებური საჩეხის განათებულ სამკუთხედში, კარის ზღურბლთან იდგა. კუტიკართან რომ მივედი, ხმისათვის არ აუწევია, ნყნარად მომაძახა:

– მშვიდობით.

ეს იყო და ეს, ამის მეტი მისი პირიდან არასოდეს აღარაფერი გამიგონია – ჩემდამი ნათქვამი ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

2

„ჩემო ძვირფასო, – მწერდა იგი ამ ამბიდან ოთხი თვის შემდეგ, – ნუ დამადანაშაულებთ, ასე ჩუმად, გაუფრთხილებლად რომ გაგეპარეთ. ყოველგვარი ძალა და მეუფება დავკარგე ჩემს თავზე, ხელიდან გავუშვი საუკეთესო მომენტი, როდესაც ჯერ ისევ შემეძლო, კავშირი გამეწყვიტა მასთან. ახლა უკვე აღარავითარი იმედი აღარა მაქვს. არა მგონია, ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს (ან კი რა პირით უნდა შეგხვდეთ?)! არც ის მგონია, ვცდებოდე ჩემდამი თქვენს დამოკიდებულებაში, ან ოდნავ მაინც თავს

ვიტყუებდე. თქვენთვის ეს მხოლოდ შემთხვევითი, პატარა რომანი იყო, ეგ არის და ეგ... მიუხედავად ამისა, თქვენს თავს ვფიცავარ, მთელს ჩემს ცხოვრებაში თქვენს გარდა, არასოდეს არავინ მყვარებია...

მაინც რა არის ან რას წარმოადგენს ადამიანის მიერ, ვინ იცის, რამდენჯერ ნაქები და ხოტბაშესხმული სიყვარული? ან, იქნებ, სიყვარული არაფერ შუაშია? ამას წინათ ერთი აწ გარდაცვლილი მწერლის წერილებში ამოვიკითხე, სიყვარული არარსებულისაკენ სწრაფვაა. რა ვიცი, იქნებ, ასეც იყოს, მიუხედავად ამისა, მიყვარხართ, მიყვარდით, მეყვარებით...

რატომღაც ყველაზე ხშირად საღამოობით მაგონდებით. გახსოვთ, უკვე გვიანი საღამო იყო, ერთმანეთს რომ გამოვემშვიდობეთ. ამ პირველსა და, ალბათ, უკანასკნელ წერილსაც, სწორედ საღამო ჟამს გწერთ. და იცით, ღმერთმა უწყის, საიდან?! ვზივარ ალპებში, ღრუბლებს ზემოთ ამაღლებულ ცივსა და უკაცრიელ სასტუმროში, გარეთ ოქტომბრის უამური, სუსხიანი საღამოა. მას უკვე ჭლექის ნიშნები აქვს, მე კი ბოროტად დავცინი ადამიანის სიცოცხლეს, არათუ ვაკავებ ამ ჯანღსა და უამინდობაში, სად აღარ დავატარებ, თოვლიან მთებსა თუ ნესტიან ტბებსა და ხევხუვებში. ვერ წარმოიდგენთ, რა დამჯერე და მორჩილი გახდა, ბავშვივით უკან დამდევს მთელი დღეები პირუჩუმრა, თვალები უელავს, საყვედურით კი არაფერს ამბობს. დღესაც კარგა ხანს ვიარეთ ასე გაჩუმებულებმა. სასტუმროში რომ შევედით, მოსამსახურე ქალმა, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს გლეხურ სამზარეულოში ატარებს, სტუმრებიც ამას ჰქვიაო, – გაოცებულმა შემოგვხედა და მძიმედ ამოიოხრა. ვინ იცის, იქნებ, ისიც გაუკვირდა, იგი სიკვდილივით ფერმკრთალი და ჩონჩხივით აწონილი რომ იყო.

მე კი ამ უკაცრიელ, ღვთისა და კაცისაგან მთებს შორის მიტოვებულ ამ სასტუმროში მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რათა მდუმარებასა და უსასრულობაში სულ თქვენზე მეფიქრა.

ამ გვიან შემოდგომაზე, რომ იცოდეთ, როგორი სევდინი იდუმალებითაა მოცული მთისაკენ ერთმანეთის მიყოლებით გაქცეული,

ლურჯი მწუხრით ჩაბინდული ხეობები. მძიმედ ჩამონოლილი ზეცა გულგრილად დასდგომია ნისლიან მთებში ჩაბეჭდილ, ტყვიისფრად გარინდულ ტბებს. მუდამ, როცა კი ღრუბლიან ცას შევყურებ, მინდა ამ ნისლებში ჩავიძირო, ღამე მთის რომელიმე ყრუ, უკაცრიელ სასტუმროში გავათიო... ო, რა სიამოვნებით გავცემდი მთელი ჩემი სიცოცხლის ნახევარს, ახლა აქ, ჩემს გვერდით რომ მეგულებოდეთ...

იმ დღეს ჩვენი გემი პორტიდან ისე ადრე გამოვიდა, ნაშუადღევს უკვე მთაში მივაბიჯებდით. ო, რა სევდიანი იყო ის გზა! ფერდობებზე შეფენილ, ტანმორჩილ, მეჩხერ ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხანდახან ხევიდან თითო-ოროლად ჩამოვარდნილი პატარა ყვითელი ფოთლის შრიალი თუ დაარღვევდა ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ მყუდროებას. ზოგჯერ ხეებს შუა დიდი, ნითელი ძროხები სველ დრუნჩებს გამოყოფდნენ, თავიანთ უაზრო, მარღ თვალებს შემოგვაფეთებდნენ... ხანდახან ფიჩხზე წამოსული პატარა მწყემსი ბიჭები ჩიტებს სტვენაში თუ გაეჯიბრებოდნენ და ისინი თუ აახმაურებდნენ შემოდგომის რულმორეულ ტყეს. მივაბიჯებდით ზევითა და ზევით, მთვლემარე მდუმარებაში, იქიდან კი, მთის მწვერვალებითა და კბოდეებით, ლურჯად ჩაბინდული ფიჭვის ტყე-ტყე რუხი, ნაცრისფერი კვამლივით ეშვებოდა ზამთარი. ზოგჯერ სულის მოსათქმელად რომ შევჩერდებოდი, დიდხანს, დიდხანს ჩავყურებდი შორს, ქვევით, ტყით დაფარულ, იისფერი ნისლით ჩაბურულ ხეობას. ვიდექი და ვუსმენდი, როგორ ცვიოდა ფოთოლი, ჩუმად, ჩუმად როგორ იცრემლებოდნენ სველი ბუჩქები...

ნისლში შავად პირდაღებული გვირაბის გადასწვრივ რაღაც ახალშენი, ფერდობებზე შეფენილი ხუთი თუ ექვსი დუმილით მოცული ქოხი შემოგვხვდა. ციცაბო აღმართზე ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვებოდით სველ, მოლინჭყულ შპალებს, მაგრამ სულ მალე იმ სოფლის ადგილას მხოლოდ შავი ლაქაღა დარჩა და მთიდან შემოდგომის ცივმა, თოვლიანმა სიომ დაბერა.

იგი უცებ შედგა, მთხოვა, უკან დავბრუნებულიყავით, მე კი ჯინაზე უარი ვუთხარი.

ეგ პასუხი არცთუ ისე მახვილგონივრულიაო, – ჩუმად ჩაილაპარაკა, ერთხანს ჩაფიქრდა და ისევ გზა განაგრძო.

ჯანღი თანდათან ხშირდებოდა, სულ უფრო ქვევითა და ქვევით მოიწევდა. ჩვენ კი მივდიოდით, მივდიოდით... აი, შავად გამურულ, მოგუგუნე ხვრელს ავუარეთ, გადავიარეთ ნისლებით მხრჩოლავი, უძირო ხეობის თავზე გაკიდული, თითქმის ცაში გამოდებული ხიდი... საკმარისი იყო, ჩემი იძულებითი თანამგზავრი ოდნავ უკან ჩამომრჩენოდა, მაშინვე ნისლში ჩაინთქმებოდა და თვალთგან დამეკარგებოდა. ერთმანეთს რომ დავუძახებდით, ჩვენი ხმა თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქიდან ისმოდა.

ერთხელაც არის დამიძახა – სიარული უჭირდა და მუდამ უკან მრჩებოდა – როდესაც შევჩერდი, ხელი გამომიწოდა და გაუბედავად მითხრა:

– იყავი ცოტა გულთბილი, სახელოში ხელი შემიყავი და პერანგი ჩამომიწიე.

უცებ გული საშინლად დამეწვა. შემეცოდა, მან ეს შემატყო, თვალები დახარა და თითქმის ჩურჩულით დასძინა:

– იცი რა, იქნებ სადმე ისეთ ადგილას ნავიდეთ, სადაც ცოტა უფრო ეთბილება, თორემ ეს საქორწილო მოგზაურობა კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია.

– უნდა დავცილდეთ-მეთქი, – ვუპასუხე.

ცოტა ხანს იყუჩა და მერე წარბშეკრულმა მითხრა:

– ძნელია.

– შენს ახირებულ სიყვარულს ხომ არ შევეწირები, რა უფლება გაქვს-მეთქი, – ვუთხარი.

მე ყველაფრის უფლება მაქვს, დასაკარგავი აღარაფერი დამრჩაო, – მიპასუხა და ჯიუტად შემომხედა.

ამ სიტყვებზე გავტრიალდი და წავედი.

სველი, გამლღვალი თოვლით დაფარული რელსები მთისაკენ მისრიალებდა, მთის დამრეც ფერდობებსა და ციცაბო ფლატეებზე გადმოკიდებული ნაძვისა და ფიჭვის ტყეები მთიდან ხევებისაკენ მოცურავდა და ბურუსით მოცულ მწუხრში კაცი უფრო შეიგრძნობ-

დი, ვიდრე ხედავდი ფერდობებზე იისფერ ლაქებად გაბნეულ ნაძვისა და ფიჭვის ხშირ ტყეებს. იმ პირქუშ მთებს ზემოთ კი, ღრუბლების იმიერ სამფლობელოში, ისეთი სამარისებური მდუმარება სუფევდა, სიცოცხლის ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა. უცბად გზის პირას, ბებერი ნაძვის ხეზე, რაღაც შეფრთხიალდა. გახსოვთ ის ბუ? იმ ნუთას მეც სწორედ ის ბუ გამახსენდა და ამ წერილის მოწერაც სწორედ იმ წუთას გადავწყვიტე. თუმცა, ბუ კი არა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე პაწია ფრინველი – ნარჩიტა იყო. ნაძვის სველი, ჯანღში განთხეული ტოტიდან, ნამლევა, უღიმღამო ჩიტი ნუთით გზაზე დასკუპდა, მაშინვე მარცხნივ, ხევისაკენ უხმაუროდ გადაფრინდა და ნისლში გაუჩინარდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის საღამო? ბურუსში გახვეული, კედელივით აღმართული წიწვოვანი ტყე, შემლღვალი თოელით დაფარული გზის პირები, შავად ჩაჯანღული უძირო უფსკრულების თავზე ღრუბლებად გადმოკიდებული ხშირი, იასპისფერი ნისლი... ჩიტი კი არის თავისთვის არხეინად და სულაც არ აწუხებს მთაში ჩამონოლილი ზამთრის ეს პირქუში, ქურუხი ღამე – ვიღაცის უზეშთაეს მფარველობას მინდობილი, ამ ღამესაც იქ გაითენებს, სადაც ბინდი წამოეწევა. მე კი ამ მფარველობის არც რწმენა მაქვს, არც იმედი...

დავწვები უკაცრიელ, ყინულივით ცივ, ფიჭვის სურნელით სავსე ნომერში და, სინათლეს რომ ჩავაქრობ, ასე მგონია, ღრუბლებს ზემოთ, სიკვდილის სამეფოში ვიმყოფები. ის კი წევს გვერდითა ოთახში და ყრუდ ახველებს. კაცი კი არა, ნამდვილი სამარეა, რომ იცოდეთ, როგორ მძულს!

თუ ოდესმე თავისუფალი ვიქნები, თუ ოდესმე შეხვედრა კიდევ გვიწერია, სიხარულით ხელებს დაგიკოცნით, თქვენ კი... თქვენ... როგორც გენებოთ...“

3

მაგრამ, ეს წერილი, ღმერთმა უწყის, როდის მოვიდა ჩემამდის. მოსკოვიდან ჯერ სოფელში გაეგზავნათ, სამი თვე თურმე იმ სოფელში ეგდო, მერე თითქმის მთელი სამხრეთი მოეტარებინათ. მე რომ მივიღე, უკვე მარტის დამდეგი იყო და ყირიმიდან წამოსასვლელად ვემზადებოდი.

წერილი რომ წავიკითხე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ავღელდი.

რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, რა მიმეწერა? დიდხანს, დიდ-ხანს ვიმტვრიე თავი ამაზე და, შემინდე უფალო, ბოლოს ესღა მოვი-ფიქრე:

ავდგები და მეც ცხენით გადავალ ასე მთა-მთა-მეთქი.

ყირიმის მთებშიაც ხშირი ჯანღი იწვა, მაგრამ გაზაფხული იყო და მეც მხოლოდ ოცდარვა წლის ყმაწვილი კაცი ვიყავი...

ლაი-ლაის უღელტეხილზე, ვიდრე სამცხენაში ცხენებს შეაბამდნენ, ერთ ბინძურ დუქანში ვიჯექი და თავს დამუავებული წითელი ღვინით ვიქცევდი. ირგვლივ ყოველივე ნისლში იყო ჩაძირული. გარეთ ქარი ქროდა, ნისლის ნაცრისფერ ნაფლეთებს აქეთ-იქეთ დააფრიალებდა... წერილი ამოვიღე და გულის კანკალით ერთხელ კიდევ გადავიკითხე...

ძვირფასო, საყვარელო, რა ვქნა, რა ვიღონი, როგორ მოვიქცე?

დუქანში ჯდომა უკვე აუტანელი გახდა, ავდექი და ჰაერზე გამოვედი.

ნისლი თანდათან ვარდისფრად იცრიცებოდა, თანდათან ილეოდა... ბოლოს ჯანღიან მთებს ზემოთ თანდათან აიშუქა, ჰაერში სითბოს სუნი დატრიალდა. შავი ღრუბლებით შემოსილი ცა თან-დათან გადაიწმინდა და მალე ოქროსფრად გასხივოსნებული ლაჟვარდისფრად გამობრწყინდა.

უნდა მივწერო, აუცილებლად უნდა მივწერო-მეთქი, – გადავ-წვიტე, მაგრამ, სად ან რა უნდა მიმეწერა, წარმოდგენა არ მქონდა.

უდაბურ მთებს ახლა უკვე გამჭვირვალე, ლურჯად მოკრია-ლებული ცარგვალი დაჰყურებდა, მაგრამ, კიდევ დიდხანს, დიდხანს ბოლავდნენ პირდაღებული უფსკრულების თავზე ნამომდგარი

ფრიალო კლდეები, ვიდრე მზემ არ გამოანათა და ქედნისფერი ნისლები პირწმინდად არ წამოკრიფა. მალე მთებს ზემოთ გადმომდგარი, თვალშეუდგამი ზეცა მთელი თავისი უსაზღვროებით გადაიხსნა, შორს, გამჭვირვალე ჰაერში მწვანედ დატალღული ზეგანი აღაღანდა. დაჰბერა ჩრდილოეთის, თუმცაღა ნაზმა, ალერსიანმა ნიავმა და ამ ნიავით თავბრუდახვეული ნელა დაეუყევი ციცაბო კლდისაკენ, რათა ერთხელ კიდევ დამეხედა ლურჯად მოკრიალებული ცის ქვეშ წყნარად მოლივლივე ზღვისათვის.

აი, ჩემი უზარმაზარი, კვამლისფერი ჩრდილი წყლის თავზე მოცახცახე ბორს დაეცა და შიგ უკვალოდ ჩაიკარგა. ჩემ წინ უკიდეგანო, სქლად ჩანოლილი ნისლის ღრუბლებით გადათხრილი ხეობა – თეთრი, ალქატი მთების მთელი სამყარო იყო გადაშლილი. ჩემს ფერხთით, ჰორიზონტამდე, ზღვაზე უშველებელი თეთრი ზეწარივით განფენილიყო ნისლის თეთრი მთაგრეხილები. და აი, მთელი ჩემი სულიერი ძალა, მთელი ჩემი დარდი და სიხარული – დარდი იმ მშვენიერი ქალის გამო, რომელიც მაშინ მიყვარდა და ამ პირველი გაზაფხულისა და სიჭაბუკის გაუცნობიერებელი სიხარული, ყველაფერი, ყველაფერი იქ ჩაიმარხა, იქ, იმ ღრუბელთა ხეობის სამხრეთ კიდესთან, სადაც ზღვა გრძელი, პრიალა ზონარივით გაჰკროდა ფირუზისფერ ჰორიზონტს...

ზანზალაკების ერთფეროვანი სიმღერა მოსაწყენად ჰყვებოდა გრძელი გზისა და იმ ამბავს, რომ წარსულმა უკვე თავისი დრო მოჭამა, და რომ ამიერიდან ჩემთვის უკვე სხვა, ახალი ცხოვრება იწყებოდა. და აი, ძველი საგზაო ეტლი, ძველი საფოსტო სამცხენა, შეკრული ჩემოდნების გვერდით მაღალ კოფოზე შემომჯდარი დიდყურება თათარი მეეტლე, ფლოქვების თქარათქურს შეწყობილი ზანზალაკების სევდიანი მგზავრული და შორს, შორს გაჭიმული გრძელი, უსასრულო შარაგზა... ხშირად, ხშირად მივბრუნდებოდი უკან და დიდხანს, დიდხანს გავსცქეროდი ლაინისფერ ცის ფონზე გამოკვეთილ პიტალო კლდეთა მტრედისფერ ქონგურებს! ტროიკა კი მიქროდა და მიქროდა ზანზალაკების ერთფეროვან წკარუნსა და ფლოქვების თქარათქურში, ქვევითა და ქვევით, სულ უფრო უკან

და უკან იტოვებდა ახლა უკვე სადღაც, ცაში გამოკიდებულ ულელტეხილს.

იდგა ადრეული გაზაფხულის თავანკარა სიჩუმე, მდუმარებას მოეცვა მაღალი, ნისლიანი მთები და შორს გაჭიმული ხეობები. იყო შავად გაშიშვლებული ხეების, ბუჩქებქვეშ მიყრილი გამხმარი ფოთლების, მორცხვად თავწამოყოფილი პირველი იებისა და ველური ტიტების საოცარ მშვენიერებათა სუფევა.

ეს-ეს არის მწვანედ იმოსებოდა თოვლისა და ზამთრის ყინვისაგან ახლად სულმოთქმული მთის ფერდობები, ბროლივით მჭვირვალებდა პირველი გაზაფხულის ცინცხალი ჰაერი.

მაშინ ასე მეგონა, ცხოვრებაში კაცისათვის სხვა არა იყო რა საჭირო, ბედნიერებაზე ოცნებისა და ამ მშვენიერი გაზაფხულის გარდა.

მაგრამ, აი, მარტის ბოლოს სრულიად მოულოდნელად ჟენევიდან დეპეშა მივიღე:

„ვასრულებ მიცვალებულის უკანასკნელ სურვილს და გაცნობებთ, რომ იგი ამა წლის ჩვიდმეტ მარტს გარდაიცვალა. ელ-მამუნა“.

თემურ-აქსაკ-ხანი

ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო! – საზარლად გაჰკივის სევდის მომგვრელი, სასოწარკვეთილი სიმღერა ყირიმის ერთ-ერთი სოფლის ყავახანაში.

გაზაფხულის ბნელი, ნესტიანი ღამეა. შავი კედელივით აღმართული ჩამონაქცევი კლდე სიბნელეში ძლივს ილანდება. კლდის ძირას ბუდესავით მიკრული პატარა ყავახანის მახლობლად, შარაზე, თეთრად ადგვეფილ ტალახში, თავახდილი ავტომობილი დგას და მისი გაბდღვიალებული ფარებიდან ბრჭყვიალა ბურუსის ორი გრძელი, ნათელი სვეტი სიბნელისაკენ მიიწევს. ქვემოდან ზღვის ხმაური ისმის, ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში ნოტიო, დაუდეგარი ნიავი უბერავს.

ჭერში თუნუქის ლამპაა ჩამოკიდებული, ლამპის მკრთალი შუქით ოდნავ განათებული ყავახანა პაპიროსის კვამლით არის სავსე. ყავახანის კუთხეში, კერიაზე, წითლად გავარვარებული ნაღვერდალი ღუდღუდებს. სოხანეზე პირწავარდნილი ბებერი მაიმუნი, ტყაპუჭში გახვეული მათხოვარი ზის და მუხლებზე ლირის მაგვარი, უშნოდ გაჩორკნილი საკრავი უდევს. შემოვიდა თუ არა, იატაკზე ფეხი მოირთხა და სასოწარკვეთილი ხმით თემურ-აქსაკ-ხანის სიმღერა შემოსძახა. ისეა წახრილი, ძველი, მზე-წვიმისაგან წითლად გამოხუნებული კრაველის ფაფახი თავზე ისე აქვს ჩამოფხატული, მსმენელები მისი ჟანგიანი ყურების მეტს ვერაფერს ხედავენ.

კერიის პირას, სამფეხაზე, ყავახანის პატრონი, დიაცივით ტანსრული, სასიამოვნო სახის თათარი ილიმება, ოღონდ ძნელი გასარკ-

ვევია, ალერსიანად და ოდნავ სევდიანად თუ მოწყალედ და ოდნავ დამცინავად. მერე წარბები შუბლზე აუხტება, ღიმილშეციებულ, გაქვავებულ სახეზე მწუხარე გაოცება გამოეხატება.

ფანჯრის წინ, მერხზე, მაღალი, ბეჭთხელი, ჭაღარაწვერიანი ხოჯაა ჩამომჯდარი, აცვია შავი ხალათი, ისედაც შავგვრემანი სახე თეთრ ჩალმაში კიდევ უფრო მუქი და შავგვრემანი მოუჩანს. ზის უზურგო მერხზე, თავი კედლისათვის მიუყრდნია, ჩიბუხი ჩაჰქრობია, თვალები მიულულავს, ცალი ფეხი მერხზე აქვს შემოდებული, ზედ ღაზლის ზოლიანი წინდა აცვია, ფეხსაცმლიანი ფეხი ძირსა აქვს ჩამოშვებული.

იქვე, ხოჯას გვერდით, მაგიდასთან, ორი უცხო, გზადგამვლელი სტუმარი ზის. ეტყობა, გააჩერეს მანქანა და სოფლის ამ ყრუ, პატარა ყავახანაში თითო ფინჯანი უგემური ყავის დალევა გადაწყვიტეს. კაცი, ეტყობა, ვინმე დიდებული უფალია, ყურადღებად ქცეული ახალგაზრდა ქალბატონი კი, ჩანს, სამხრეთელი უნდა იყოს, ეტყობა, შესანიშნავად ესმის თათრულიცა და სიმღერის შინაარსიც:

„ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო! მთელს ამ დედამინაზე არ იყო ხანი შენზე უფრო სახელგანთქმული და დიდებული, მთელი ცისქვეშეთი თრთოდა შენს წინაშე, მთელი ქვეყნის ქალი და ქალწული სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, ოღონდ წუთით მაინც შენი მონისა და მხევლის ბედნიერება ღირსებოდა. სიკვდილის წინ კი იჯექი, შენ, თემურ-აქსაკ-ხანო, ბაზრის მტვერსა და ნაგავში, ძონძებში გახვეულ გამვლელ ხეიბრებსა და მათხოვრებს კალთებს უკოცნიდი და მუდარით შესთხოვდი:

– ამომხადეთ ეს სული, ხეიბარნო და მათხოვარნო, რამეთუ უკვე სურვების სურვილიც აღარ არის ამ სულში!

და აი, როცა შეიბრალა უფალმა, როდესაც იხსნა ამაო დიდებისა და ამაო მიწიერ სიმოვნებათაგან, მალე მთელი მისი სამეფო დაიშალა, გაუდაბურდა დიდებული ქალაქები და სასახლეები, სილამ დაფარა ძვირფას სარკალასავით ლურჯი ცისა და ჯოჯოხეთის ცეცხლივით მხურვალე მზის ქვეშ ობლად დარჩენილ პალატთა

ნანგრევები... ო, თემურ-აქსაკ-ხანო, სად არის ჟამი შენი და საქმე შენი? სად არის შენი ბრძოლები და გამარჯვებანი? სად, სად წავიდნენ ის ნაზი, იჭვნეული ქალწულები, შენ რომ უყვარდი? სად გაქრნენ მაგ შენს დიდებულ სარეცელზე მოელვარე, შავი, მზეებივით მოგიზგიზე მცხუნვარე თვალები?..

ყველა დუმს, ყველანი მოჯადოებულები უსმენენ სიმღერას, მაგრამ, საოცარი ის არის, ის სასონარმკვეთი ჭმუნვა, ვილაცისა თუ რაღაცისადმი ის მწარე საყვედური, რომელზედაც ასე გულჩანყვეტილი მოთქვამს სიმღერა, უფრო ტკბილია და უფრო ნეტარი, ვიდრე ყველაზე დიდი, ყველაზე ამო სალბუნი.

მგზავრი მაგიდას დაჟინებით დასცქერის, სიგარას დაჟინებით ეწევა. ქალი ფართოდ გახელილი თვალებით სივრცეში იმზირება და ღაწვებზე ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის.

ბოლოს მათხოვარი სიმღერას შეწყვეტს და ყავახანის პატრონის მიერ მიწოდებულ ხმელ პურს პირუჩუმრა ლოღნის. სიმღერა კი თითქოს გრძელდება, იგი თითქოს არასდროს მიწყდება ამ კედლებში...

მგზავრები ერთხანს გაქვავებულები სხედან.

ყავახანიდან გამოსვლისას ქალი მათხოვარს ხელში ოქროს ფულს ჩაუდებს, მაგრამ წუხს, ეცოტავება, უნდა მიბრუნდეს, კიდევ ერთი ოქროც უწყალობოს, არა, ორი... სამი... ან ყველას თვალწინ უხეში, დაკოჟრილი ხელები დაუკოცნოს... თვალები ჯერ ისევ ცრემლისაგან ეწვის, სიმღერის სიტყვები ჯერ ისევ ყურში ჩაესმის: – „ყოველივე ფუჭია და ამაო, ტანჯვითა და მწუხარებით არის სავსე მზის ქვეშეთი"... – მაგრამ ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს არასდროს ყოფილა უფრო ბედნიერი, ვიდრე ამ ბნელ, გაზაფხულის წვიმის სურნელით გაჟღენთილ, ზღვის ხმაურით გაჯერებულ ცივსა და ქარიან ღამეს.

ეკიპაჟში სანახევროდ მიწოლილი მძღოლი სასწრაფოდ მანქანიდან გადმოხტება, წელში წახრილი ფარების შუქზე რაღაცას ფათურობს, აცვია გადმობრუნებული ცხვრის ქურქი და ამ გადმობრუნებულ ცხვრის ტყაპუჭში ახლა იგი ნამდვილი ტყიური

გეგონება. ერთბაშად გამოცოცხლებული მანქანა კი სულნასულად თუხთუხებს, კაცი ქალს მანქანაზე ასვლაში ეხმარება, თვითონაც გვერდით მიუჯდება, მუხლებზე პლედს აფარებს და ქალი დაბნეული უხდის მადლობას... და აი, მანქანა უკვე თავდაღმართზე მიქრიალებს, ლაღად, ფრთებშესხმულივით მიფრინავს აღმართებზე... სინათლის მოელვარე, ნათელი სვეტები ხშირ, გაბმულ ბუჩქნარს მიაწყდება, მალე თეთრ ბრჭყვიალა ბურუსს ბუჩქნარიდან ისევ სასწრაფოდ წამობერტყავს და სიბნელეში ახლა უკვე სხვა ახალსა და ახალ დაღმართებს ეჭიდება. ღამეული ცის ფონზე, გოლიათი ლანდებივით წამომდგარ მთებს ზემოთ, მეჩხერ, სიფრიფანა ღრუბლებს შორის ვარსკვლავები ციმციმებენ, აქაფებული ტალღები დროდადრო ხმაურით დაიძვრებიან ნაპირისაკენ, დაუბერავს ნაზი, ცხოველ-მყოფელი ნიავი...

ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო, არ იყო მზისქვეშეთში შენზე უფრო გულადი, სახელგანთქმული და მორჭმული, შენზე უფრო სანდომიანი და მიმზიდველი, გაბრიელივით ნათელო და სახიერო, მეფე სულეი-მანივით დიდმშვენიერო და ბრძენთა ბრძენო! სამოთხის ხის ფოთ-ლებზე უფრო მწვანე იყო და ხასხასა აბრეშუმი შენი დოლბანდისა, შვიდფერი თანავარსკვლავედივით თრთოდა და ციმციმებდა მისი ალმასის კალამი. ო, რა ნეტარება იყო ყველასათვის, ოდნავ მაინც მთხვეოდა ინდური ბეჭდებით მოოჭვილ შენს გრძელსა და შავგვრემან თითებს. მთელი ქვეყნის ულამაზესი მეფის ასულნი თუ ხადუმნი მზად იყვნენ, სიცოცხლეც კი გაეწირათ შენი გულისათვის... მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლომდე გამოსცალე ამქვეყნიურ სიამეთა ფიალა, იჯექი შუა ბაზრის მტვერსა და ნაგავში, შენ, თემურ-აქსაკ-ხანო, უქმად მოლაშლაშე საპყართა და ხეიბართ ჭუჭყიან კალთებს უკოცნიდი და მუდარით შესთხოვდი:

– წაიღეთ ჩემი სული, ხეიბარნო!..

და აი, საუკუნეებმა ჩაიქროლეს შენს მივიწყებულ საფლავზე, მინამ და ღორღმა დაფარა მუდამ ლურჯად მოხასხასე ცისა და მცხუნვარე მზის ქვეშ უქმად მიტოვებული მეჩეთებსა და სასახ-ლეების ნანგრევები. ველური ვარდი ამოიზარდა შენი ლაჟვარდის-

ფერი ქაშანურის აკლდამის ნანგრევთ შორის, რათა მის შტოებზე ყოველ ახალ გაზაფხულს ისევ და ისევ ტკბილი და სევდიანი სიმღერებით გული იჯერონ უთქმელი ბედნიერების კაეშნით გულდაბანგულმა ბულბულებმა... ო-ო-ო, თემურ-აქსაკ-ხანო, სად, სად არის შენი მჭმუნვარე სიბრძნე? სად, სად ნავიდა ის მნარე ურვა და ვარამი, შენ სულს რომ სტანჯავდა? სად, სად გაქრა შენი თვალებიდან ცრემლად და ნაღველად გადმოდენილი მიწიერი ცდუნებების გოლეული?

მაგრამ, აი, რა ხანია მთები სადღაც, უკან დარჩნენ. ახლა შარაგზის დაყოლებით ზღვა ღელავს, ბობოქრობს, კიბორჩხალების სუნით გაჟღენთილი ტალღები გრიალით ასკდებიან თეთრი კენჭებით მოფენილ თეთრ სანაპიროს. წინ, შავად ჩაბინდულ დაბლობზე, თეთრი და წითელი სინათლეები ციმციმებენ, ქალაქი სინათლის ვარდისფერ არილშია გახვეული, თავზე მურივით შავი, მშვიდი და უშფოთველი ღამე დასდგომია.

იდა

შობის დღეები იდგა. „ბოლშოე მოსკოვსკოეში“ ოთხნი ვსაუზმობდით – სამი ძველი მეგობარი და ერთიც ვინმე გეორგ ივანოვიჩი.

დღესასწაულების გამო რესტორანში სიცარიელე და სიცივე სუფევდა. ნაცრისფერი შუქით განათებული ძველი დარბაზი გავიარეთ, ახალი დარბაზის კარებში გავჩერდით და ადგილის ასარჩევად ქათქათა სუფრაგადაფარებული მაგიდები შევათვალიერეთ. გაპრიალებულმა, მეტისმეტად თავაზიანმა გამრიგემ შორეულ კუთხეში ნახევარწრედი დივნის წინ მაგიდაზე მოკრძალებით მიგვითითა და ჩვენც მაშინვე იმ მაგიდისაკენ წავედით.

– ბატონებო, – თქვა ჯმუხმა, ძარღვმაგარმა კომპოზიტორმა და დივანზე მოზვავდა, – ბატონებო, მინდა თქვენც გაგიმასპინძლდეთ და მეც გვარიანად ვიქეიფო... აბა გაგვიშალეთ ნატვრის სუფრა, თან რაც შეიძლება ბარაქიანი! ჩემი მეფური ჩვევები და ხელგაშლილობა კარგად მოგეხსენებათ! – უთხრა რესტორნის მსახურს კომპოზიტორმა და თავისი ფართო, გლეხური სახე მიაპყრო.

– მოგვეხსენება კი არა, დროა ზეპირადაც ვიცოდეთ, – უპასუხა წვერშეევერცხლილმა ჭკვიანმა მსახურმა და თავშეკავებული ღიმილით კომპოზიტორს წინ საფერფლე დაუდგა, – მშვიდად ბრძანდებოდეთ, პაველ ნიკოლაევიჩ, ვეცდებით...

და აი, არ გაევლო ერთ წუთსაც, რომ ჩვენ წინ სირჩები, ფუუერები, ნაირნაირი ფერის არყით სავსე ბოთლები, ჩრდილოური ვარდისფერი ორაგული, მუქი ხორცისფერი ზურგიელი, ყინულის ნატეხებზე დაწყობილი გახსნილნიჟარებიანი კერძი, ჩესტერის ნარინჯისფერი კვადრატი, შავი ხიზილალის შავად მბზინავი დაპრესილი ბელტი თუ ყინულისაგან დაცვარული შამპანურის

თეთრი გოვზა – ერთი სიტყვით, ნაირნაირი ხორაგით დატვირთული სუფრა იყო გაშლილი... სმა წიწაკის ნაყენით დავიწყეთ. კომპოზიტორს უყვარდა, თავად რომ ასხამდა სასმელს – სამი სირჩა დაასხა და ხუმრობით ჩამომარცვლა:

– უგანათლებულესო გეორგ ივანოვიჩ, გნებავთ, თქვენც დაგისხამთ?

გეორგ ივანოვიჩს, რომლის ერთადერთსა და უცნაურ საქმიანობას ცნობილ მწერლებთან, მხატვრებსა და მსახიობებთან მეგობრობა წარმოადგენდა და მეტისმეტად წყნარი, მუდამ კარგ გუნებაზე მყოფი კაცი გახლდათ, სახეზე ნაზმა სინითლემ გადაჰკრა და როგორღაც დარდიმანდულად უპასუხა:

– ძალიან, ძალიან მნებავს, უცოდვილესო პაველ ნიკოლაევიჩ!

კომპოზიტორმა ჭიქა გეორგ ივანოვიჩსაც შეუვსო, თავისი ჭიქა ყველას მსუბუქად მოგვიჭახუნა, ღმერთმა ინებოსო! – ამ სიტყვებით არაყი პირში გადაუძახა, ულვაშს ერთი გაუბერა და საუზმეს შეუდგა. სმა-ჭამა კარგა ხანს გავაგრძელეთ, ის იყო, უხა შევუკვეთეთ, გავაბოლეთ და ძველ დარბაზში ნაზად, სევდიანად ამღერდა მუსიკალური მანქანა, რომ დივანის ზურგზე გადაწოლილმა კომპოზიტორმა პაპიროსი მოქაჩა, ჩვეულებისამებრ მკერდში ჰაერი ჩაიგუბა და დაიწყო:

– ძვირფასო მეგობრებო, მიუხედავად ჩემი სტომაქის საუცხოო განწყობისა, დღეს მე მოწყენილი გახლავართ... ხოლო მოწყენილი ვარ იმიტომ, რომ, გავიღვიძე თუ არა, ერთი ჩემი მეგობრის – როგორც შემდეგ გაირკვა, პირწავარდნილი სახედრის თავს გადახდენილი, ამ ერთი წლის წინათ, შობის მეორე დღეს მომხდარი პატარა ამბავი გამახსენდა...

– ამბავი იქნებ მართლაც პატარაა, მაგრამ, ეჭვი არ არის, ამურთან წილნაყარია, – თქვა გეორგ ივანოვიჩმა და თავისი ქალწულებრივი ღიმილით გაიღიმა.

კომპოზიტორმა ცივად გადახედა:

– ამურთან წილნაყარი? ეჰ, გეორგ ივანოვიჩ, გეორგ ივანოვიჩ, მაგ თქვენი ბინიერებისა და უმოწყალო ტვინის გამო, ნეტავი, რა

პასუხი უნდა გასცეთ განკითხვის ჟამს?.. რაც არის, არის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, – თქვა მან, ნარბები ასწია, მომღერალ მანქანას აჰყვა – „Ie veux un tresor gui les contien tous, je veux la jeunesse!“[1] – და ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა:

– აი ეს ამბავიც, ჩემო მეგობრებო! ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ერთ სამეფოში, ერთი ბატონის სასახლეში დაიარებოდა მისი ცოლის კურსელი მეგობარი, ჯერ სრულიად ნორჩი ქალწული, ისე სადა და ისე საყვარელი, რომ ბატონი სულ იდათი, ანუ უბრალოდ, სახელით მიმართავდა, თუმცა იმ ქალიშვილის მამის სახელი ხეირიანად არც იცოდა. იცოდა მხოლოდ ის, რომ ნესიერი, მაგრამ ხელმოკლე ოჯახიდან იყო – ერთ დროს ძალიან ცნობილი დირიჟორის ოჯახიდან. ცხოვრობდა მშობლებთან და, როგორც წესია, ელოდებოდა, საქმრო როდის გამოუჩნდებოდა...

არ ვიცი, რა სიტყვებით და რანაირად აგიწეროთ ეს იდა? ბატონი, მართალია, მეტისმეტად კეთილად იყო ქალიშვილის მიმართ განწყობილი, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მისდამი თითქმის არავითარ ყურადღებას არ იჩენდა. დაინახავდა თუ არა: – „აა, იდა, ძვირფასო, გამარჯობათ, გამარჯობათ... გულითა და სულით მოხარული გახლავართ!“ ქალიშვილი პასუხად ერთს გაიღიმებდა, ცხვირსახოცს მუფთაში შეინახავდა, თავისი ნათელი, ქალწულებრივი თვალებით შეხედავდა (ოდნავ უაზროდაც კი) და – მაშა შინაა? – ჰკითხავდა. ბატონიც შეიპატიჟებდა: „მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით...“ „შეიძლება, შევიდე მაშასთან?“ დასძენდა ქალიშვილი, სასადილო ოთახს მშვიდად, აუღელვებლად გაივლიდა და მაშას კარზე დააკაკუნებდა: „მაშა, შეიძლება შემოვიდე?“ ისეთი ტკბილი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა, შიგ გულის გულში გწვდებოდა. ახლა სხვა დანარჩენსაც არ იტყვით? ახალგაზრდული სიქორფე, სიჯანსაღე, ცივი, სუსხიანი ჰაერიდან ოთახში შემოსული ქალწულის კეთილსურნელება... თან მაღალი, ტანწერწეტა, არაჩვეულებრივად ბუნებრივი

[1] მსურს ვფლობდე საგანძურს, რომელიც ყველაფერს იტევს, მსურს ახალგაზრდობა (ფრანგ.)!

მიხრა-მოხრა და სინარნარე... სახეც როგორიღაც განსაკუთრებული ჰქონდა – ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ, დააცქერდებოდი და თვალს ვეღარ მოსწყვეტდი: სახის ტონი თბილი, თანაბარი... დიდი, იისფერი, სიცოცხლით სავსე თვალები...

დიახ, შეხედავდი და თვალს ვეღარ მოსწყვეტდი! ის ბოთე, ის რეგვენი, ანუ ამ ჩვენი ამბის გმირი კი, ეშმაკმა დალახვროს მისი თავი! მხოლოდ შეხედავდა და ხბოსავით გამოხატავდა აღტაცებას – აჰ, იდა, იდა, თქვენ თქვენი ფასი არ იცითო! ქალიშვილის საპასუხო, საყვარელ, მაგრამ როგორიღაც უყურადღებო ღიმილს თვალს შეავლებდა, დაადებდა თავს თავისი კაბინეტისაკენ და შეუდგებოდა იმ თავის სულელურ, ეგრეთ წოდებულ შემოქმედებით საქმიანობას. ასე გადიოდა დრო. ეს ჩვენი ბატონი კი ერთხელაც... ერთხელაც არ დაფიქრებულა სერიოზულად იდაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც არ შეუმჩნევია, ერთ მშვენიერ დღეს როგორ გაქრა იგი თვალსა და ხელს შუა. გადიოდა დრო, იდა კი არა და არ ჩანდა. ისიც ვერ მოისაზრა, ცოლისთვის ეკითხა, ნეტავი ეს ჩვენი იდა სად არის, სად დაიკარგაო? გაახსენდებოდა ხანდახან და იგრძნობდა, რომ რაღაც ძალიან აკლია. წარმოიდგენდა იმ ტკბილ ნეტარებას, მისი გულში ჩაკვრით რომ შეიძლებოდა განეცადა, გონებაში წარმოიდგენდა მისი სახის ფერსა და იის თვალებს, მის მშვენიერ ხელებს, მის ინგლისურ ქვედაკაბას, ერთს მოიწყენდა და მაშინვე მიავიწყდებოდა... ასე გაიარა ერთმა წელმა... და აი, ერთხელაც დასავლეთში წასვლა მოუწია...

მართალია შობის დღეები იდგა, მაგრამ წასვლა გარდაუვალი იყო. გამოემშვიდობა თავის ჯალაბს, მოაჯდა ფეხმარდ ბედაურს და გზას გაუდგა. ის დღე იმგზავრა, ის ღამეც იმგზავრა და ბოლოს, როგორც იქნა, ერთ დიდ საკვანძო სადგურს მიადგა, სადაც სხვა მატარებელში უნდა გადამჯდარიყო, მაგრამ ამ სადგურში ის კარგად დაგვიანებით ჩავიდა, მატარებელი პლატფორმაზე გაჩერებულიც არ იყო, ვაგონიდან გადმოხტა და ამა და ამ მიმართულების სწრაფი მატარებელი ჯერ ხომ არ წასულაო, – პირველსავე შემხვედრ მებარგულს საყელოში სწვდა. „ეს-ესაა გავიდა, თქვენ ხომ მთელი

ნახევარი საათით ინებეთ დაგვიანება", – თავაზიანად გაუღიმა მებარგულმა. – „როგორ თუ ვინებე, შე არამზადავ, ხუმრობ თუ რა? ახლა რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ციმბირში, კატორღაში, საჯალათო კუნძზე უნდა გიკრას კაცმა თავი!" – „შეგცოდე, ბატონო, შეგცოდე, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, მონანიებული ცოდვა არცოდვაა... თქვენო ბრწყინვალებავ, სამგზავრო მატარებელს უნდა დაელოდოთ..." რა უნდა ექნა, ჩაქინდრა ამ ჩვენმა თადარიგიანმა მგზავრმა თავი და სადგურისაკენ წაჩანჩალდა...

სადგური მეტად ხალხმრავალი, თბილი და მყუდრო აღმოჩნდა. დილიდან დაღამებამდე იმ დღეს საშინელი ქარი ქროდა, ამიტომაც განრიგი ვიღას ახსოვდა, ხალხით გაჭედილ რკინიგზის სადგურში ყველაფერი არეულ-დარეული იყო. საკვანძო სადგურები, საითაც არ გაიხედავდი, ბარგით იყო სავსე. სასაუზმეებს არც დღისით კეტავდნენ, არც ღამით, დღედაღამ სამოვრის შიშინი ისმოდა, დღედაღამ საჭმლის სუნი ტრიალებდა, რაც, მოგეხსენებათ, იმ ქარბუქსა და სიცივეში არც ისე უსიამოვნო გახლდათ. გარდა ამისა, ეს დიდი და მდიდრული სადგური იყო, ისე რომ, აქ მთელი ერთი დღე-ღამეც რომ მჯდარიყო, არცთუ ისე დიდი უბედურება იქნებოდა. წავალ, ცოტას მოვნესრიგდები, ერთს გემრიელად დავნაყრდები, ერთს გემრიელად დავლევ კიდევაცო, – სიამოვნებით გაიფიქრა მგზავრების მოსაცდელ დარბაზში შესვლისას და მაშინვე ამ გადაწყვეტილების აღსრულებას შეუდგა. პირი მოიპარსა, დაიბანა, სუფთა პერანგი ჩაიცვა, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ საპირფარეშოდან მთელი ოცი წლით გაახალგაზრდავებული გამოვიდა და პირდაპირ ბუფეტისკენ გასწია. ჯერ ერთი ჭიქა დალია, მერე – მეორე, სასმელს ჯერ ღვეზელი დააყოლა, მერე ებრაულად შემზადებული ქარიყლაპიაც მიირთვა, ის იყო, კიდევ ერთი ჭიქაც უნდა დაელია, რომ უცებ ზურგს უკან საოცრად ნაცნობი და ამ ქვეყნად ყველაზე უმშვენიერესი ხმა შემოესმა. რა თქმა უნდა, მაშინვე „ფიცხლად" შემობრუნდა და, როგორ გგონიათ, ვინ წარმოუდგა თვალწინ? ვინ და – იდა!

სიხარულისაგან ჩვენს ბატონს ენა ისე ჩაუვარდა, ერთი სიტყვის წარმოთქმაც ვერ შეძლო, იდგა და ახალი ბაკის კართან მიგდებული ცხვარივით პირდაღებული შეჰყურებდა. მას კი – აი, რას ნიშნავს ქალი, მეგობრებო! – თვალიც არ დაუხამხამებია. სახეზე, მართალია, რაღაც სიხარულის მაგვარი კი აღებეჭდა, მაგრამ სიმშვიდე, მართლაც, გასაოცრი შეინარჩუნა – „ძვირფასო, აქ საიდან გაჩნდით, რა ბედმა გადმოგაგდოთ? აი, სასიამოვნო შეხვედრაც ამას ჰქვია!" – ქალს თვალებზე ეტყობა, მართალს ამბობს, მაგრამ მეტისმეტად უბრალოდ და... სრულიად არა იმ მანერით, ოდესღაც რომ სჩვეოდა. რაც მთავარია... ოდნავ დამცინავადაც კი. ეს ჩვენი ბატონი კიდევ იმითაც გახლდათ შეცბუნებული, რომ იდა ისე იყო შეცვლილი, ველარც კი იცნობდი – ისე იყო გაფურჩქნული, როგორც ანკარა წყლით სავსე ბროლის ლარნაკში უმშვენიერესი ყვავილი... მორთულ-მოკაზმულიც შესაბამისად გახლდათ – ეცვა ძალზე ელეგანტურად, ეხურა მეტად კოკეტური, ჯოჯოხეთურად ძვირად ღირებული ზამთრის ქუდი, მხრებზე ათასმანეთიანი სიასამურის წამოსასხამი ჰქონდა მოგდებული... როდესაც ბატონმა თვალისმომჭრელი ბეჭდებით მოოჭვილ ხელზე მორცხვად და უხერხულად აკოცა, ქალმა შლაპიანი თავი ოდნავ გადააქნია და დაუდევრად უთხრა: „ო, მართლა! იცნობდეთ, ეს ჩემი მეუღლეა". ამ სიტყვებზე ამ ჩვენი ბატონის წინ იმავე წუთს მოკრძალებით, მაგრამ სამხედროთათვის ჩვეული მოხდენილობით ჯერ სულ ახალგაზრდა სტუდენტი წარსდგა.

– აი, თავხედი! – წამოიძახა გეორგ ივანოვიჩმა, – ერთი ვილაც ცხვირმოუხოცავი ღლაპი, არა?

საქმეც სწორედ ის გახლდათ, ძვირფასო გეორგ ივანოვიჩ, ცხვირმოუხოცავი კი არა, ეს იყო სრულიად არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი, – თქვა კომპოზიტორმა სევდიანი ღიმილით, – ალბათ, მთელ თავის სიცოცხლეში ჩვენს ბატონს, რომ იტყვიან, ასეთი კეთილშობილი, საუცხოო, მარმარილოსავით ჩამოქნილი ახალგაზრდული სახე არასდროს ენახა. ეცვა ის ღია ნაცრისფერი წმინდა მაუდის ქურთუკი, რომელსაც მხოლოდ ყველაზე დიდი

ფრანტები იცვამენ, მოხდენილ ტორსზე მჭიდროდ, ლამაზად მომდგარი პაჭანიკებიანი შარვალი, პრუსიულის მაგვარი მუქი მწვანე ქუდი და თახვის ბეწვმოვლებული დიდებული ფარაჯა. თან, ყველაფერ ამასთან ერთად, იყო არაჩვეულებრივად სიმპათიური და საოცრად თავმდაბალი. როდესაც იდამ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარი დაასახელა, ვაჟმა თეთრი ნატის ხელთათმანში გამოკვართული ხელით ქუდი სწრაფად მოიხადა და ქუდიდან, ცხადია, წითელი მუარის სარჩულმა იელვა. მერე მეორე, არაჩვეულებრივად ნატიფი, თეთრ-მოცისფრო ხელიდან ხელთათმანი სწრაფად ნაიძრო, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და პატარა, საგულდაგულოდ დავარცხნილი თავი დახარა. „აი, ხათაბალა!" – გაიფიქრა კიდევ უფრო გაოცებულმა ჩვენმა გმირმა, იდას დაბნეულად ერთხელ კიდევ შეხედა და იმ გამოხედვის მიხედვით, რომლითაც იდამ სტუდენტი შეათვალიერა, უმალ მიხვდა, რომ ეს ქალი ნამდვილი დედოფალია, ხოლო ეს ახალგაზრდა ვაჟი – ამ ქალის მონა და მორჩილი, ოღონდ არა უბრალო, არამედ კაცი, რომელიც მონობას უდიდესი სიამოვნებით, კიდევ მეტი, სიამაყითაც კისრულობს. „დიდად, დიდად მოხარული გახლავართ თქვენი გაცნობისა!" – მთელი სულითა და გულით წარმოთქვა ჩვენმა ახალგაზრდა მონამ და ლაღი, სასიამოვნო ღიმილით წელში გაიმართა: – მე თქვენი დიდი ხნის თაყვანისმცემელი გახლავართ, ვინაიდან, ბევრი, ძალზე ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ იდასაგან. ამ სიტყვებით ერთხელ კიდევ მეგობრულად შეხედა, ის იყო, უნდა გაეგრძელებინა ამ შემთხვევისათვის შესაფერისი საუბარი, რომ იდამ მოულოდნელად შეაჩერა: „კმარა, პატრიკ, ნუ გამანითლე!", – უთხრა აჩქარებით და ახლა ჩვენს ბატონს მოუბრუნდა: – „ძვირფასო, მე ხომ თქვენ მთელი ათასი წელია არ მინახიხართ! მინდა გესაუბროთ და გესაუბროთ დაუსრულებლად, მაგრამ, არ მინდა, ჩვენს საუბარს პეტრიკიც ესწრებოდეს, ჩვენი მოგონებები მისთვის საინტერესო არ არის, მოიწყენს და თავს უხერხულად იგრძნობს, ამიტომ წამოდით, ბაქანზე გავისეირნოთ!.." ამ სიტყვებით ქალმა ჩვენს მეგობარს ხელკავი გამოსდო. ერთხანს პლატფორმაზე ისეირნეს, მაგრამ მალე

პლატფორმიდან ლამის ერთ კილომეტრზედაც კი აღმოჩდნენ, იქ, სადაც თოვლი ჯერ ისევ მუხლებამდე იდო და სადაც ქალმა კაცს სიყვარული აუხსნა...

– სიყვარული?! – ამოვიძახეთ ყველამ ერთხმად.

პასუხის ნაცვლად კომპოზიტორმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, გაიბერა, მხრებში აიწურა, მერე თვალები დახარა, ზანტად წამოიწია, ვერცხლის გოვზაში მოჩხრიალე ყინულის ნატეხებიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო და ყველაზე დიდ ფუჟერში დაისხა. ღაწვებზე ცეცხლი მოჰკიდებოდა, მოკლე კისერი გასწითლებოდა. წელში მოხრილმა ღვინო ბოლომდე გამოწრუპა და, უხერხულობა რომ დაეფარა, მომღერალ მანქანას სიმღერა ააყოლა: laisse - moi, laisse - moi contempler ton visage![1] – მაგრამ სიმღერა მაშინვე შეწყვიტა, თავისი კიდევ უფრო დაწვრილებული თვალები ჯიქურ მოგვაპყრო და განაგრძო:

– დიახ, დიახ, სიყვარული... და ეს ახსნა, საუბედუროდ, ნამდვილი და სრულიად სერიოზული გამოდგა. სისულელეა, სიგიჟეა, წარმოუდგენელია და დაუჯერებელია? კი, რა თქმა უნდა, ასეა, ოღონდ – ფაქტია!.. დიახ, ზუსტად ისე იყო, როგორც ახლა მოგახსენებთ: ბაქანზე რომ მისეირნობდნენ, ქალმა მოჩვენებითი ხალისით ამბების გამოკითხვა დაუწყო: მაშა როგორ არის, ჩვენი მოსკოველი ნაცნობები როგორ არიან, მოსკოვში ახალი რა არისო, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ბოლოს უთხრა, რომ მეორე წელია გათხოვილია, რომ ისა და მისი ქმარი მთელი ამ ხნის განმავლობაში ხან პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ხან – საზღვარგარეთ, ხანაც ვიტებსკის ახლოს – თავიანთ მამულში... ეს ჩვენი ბატონი კი მიჰყვებოდა აჩქარებული ნაბიჯით და გრძნობდა, რომ საქმე რაღაც რიგზე ვერ იყო, რომ ახლა რაღაც უაზრო, რაღაც დაუჯერებელი მოხდებოდა და უხვად დაზვინულ ქათქათა თოვლს, რომელსაც მთლიანად წაელეკა ბაქანიც, გზებიც, შენობის სახურავებიცა და ლიანდაგებზე გაჩერებული წითელი და მწვანე ვაგონებიც, თვალს

[1] ნება მომეცით, დავტკბე თქვენი სახის ცქერით (ფრანგ.)!

არ აშორებდა. უყურებდა თეთრად მოქათქათე თოვლს და გულათრთოლებულს მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდა გონებაში – ის, რომ მთელი ამ წლების მანძილზე მას თურმე, იდა, სწორედ აი ეს იდა უყვარდა გაგიჟებით. და აბა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდა ამის შემდეგ? ამის შემდეგ მოხდა ის, რომ რომელიღაც ყველაზე მოშორებულ გვერდითა ბაქანზე იდა რაღაც ყუთებთან მივიდა, ერთ-ერთი ყუთიდან მუფთით თოვლი გადაფერთხა, ზედ ჩამოჯდა, თავისი ოდნავ გაფითრებული სახე და იისფერი თვალები ჩვენს ბატონს მიაპყრო და უცებ სულმოუთქმელად მიაყარა: „ახლა კი, ძვირფასო, კიდევ ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ: იცოდით, ან ახლა იცით თუ არა, რომ მე მთელი ხუთი წელიწადი მიყვარდით და დღესაც ისევ ისე მიყვარხართ?“

მუსიკალური მანქანა, რომელიც აქამდე შორიდან რაღაცას გაურკვევლად დუდღუნებდა, უცებ ჰეროიკულად, რიხიანად აგუგუნდა. კომპოზიტორი ერთხანს დუმდა, მერე თითქოს როგორღაც შემკრთალმა და გაოგნებულმა შემოგვხედა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– დიახ, სწორედ აგრე მიახალა ქალმა... ახლა კი, ნება მომეცით, გკითხოთ, როგორ გინდა გამოხატო კაცმა ეს სცენა სულელური ადამიანური სიტყვებით? აბა, რა შემიძლია გითხრათ იმ განსაკუთრებულად თეთრ, ქარბუქის შემდგომი გაუფერულებული თოვლით განათებულ, ზეაწეულ სახეზე, მისი სახის იმ ენით უთქმელ, უნატიფეს ფერზე – იმ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სახეზე, გზადაგზა თოვლით გაჯერებულ ჰაერს რომ ისუნთქავს, მერე უცებ სიყვარულში გიტყდება და თავის ამ განდობაზე შენგანაც პასუხს ელის? იის თვალები- მეთქი! არა, ჩემო მეგობრებო, მის თვალებს სახელსაც ვერ დავარქმევ! ანდა მისი ის ოდნავ გაპობილი ბაგე? ანდა მისი გამომეტყველება? ანდა გამომეტყველება მისი თვალების, მისი ბაგის, ერთად აღებული მთელი მისი სახისა? თუნდაც მისი გრძელი, სიასამურის მუფთა, რომელშიც ხელები ჰქონდა შემალული, ანდა ლურჯ-მწვანე კუბოკრული შოტლანდიური ქსოვილის ქვედაკაბაში გამოკვეთილი მუხლები? ღმერთო ჩემო, განა შეიძლება მიახლოებით მაინც ყოველივე იმის აღწერა სიტყვებით? რაც

მთავარია, რაც ყველაზე მთავარია – რა უნდა უთხრა, რა პასუხი უნდა გასცე ამ ნდობით მოჩერებულ, ფერწასულ, სირცხვილისაგან შეშლილ, პასუხის მომლოდინე სახეს?

ჰოდა, იმიტომ, რომ არც ჩვენ ვიცოდით, რა პასუხი გაგვეცა ყველა ამ კითხვაზე, ვისხედით გაჩუმებული და ჩვენი მეგობრის გაბრწყინებულ თვალებსა და გავარვარებულ სახეს გაოგნებული შევყურებდით. რაც შეეხება პასუხს, პასუხი მან თვითონვე გასცა თავის თავს: – არაფერი, სრულიად არაფერი! არის წუთები, როცა ერთი სიტყვის წარმოთქმა, ხმის ამოღებაც კი შეუძლებელია. და აი, საბედნიეროდ, ჩვენი მოგზაურის სასახელოდ, მას მართლაც არაფერი უთქვამს. ქალი კი მიხვდა მისი ამ გაქვავების, მისი ამ დამუნჯების მიზეზს; შეიგრძნო და დაინახა მისი სახე – ერთხანს შეიცადა, ხმა არ ამოუღია, სიტყვა არ დაუძრავს, არაფრით დაურღვევია ის შემზარავი მდუმარება, მის ამ თავზარდამცემ შეკითხვას რომ მოჰყვა. მერე წამოდგა, თბილი, სურნელოვანი მუფთიდან ხელი გამოიღო, კისერზე მოხვია და ისე ნაზად, ისე მხურვალედ აკოცა, რომელიც კაცს არათუ კუბოს კარამდე, საფლავშიც არ დაავიწყდება. დიახ, კენტად აკოცა და... წავიდა. ჩემო მეგობრებო, ამით, დიახ ამით დამთავრდა მთელი ეს ამბავი... ეჰ, რაც იყო, იყო... – თქვა ერთბაშად კილოშეცვლილმა კომპოზიტორმა და ხმამაღლა, მოჩვენებითი მხიარულებით დასძინა: – მოდი, ამ შემთხვევის გამო, ერთი მაგრად, კისრის წაწყვეტამდე დავლიოთ! იმათი სადღეგრძელო დავლიოთ, ვისაც ვუყვარდით, ვინც ვერ დავაფასეთ, ვისაც ჩვენ, რეგვნებმა, სათანადო პატივი ვერ მივაგეთ, ვისთანაც ბედნიერნი და ნეტარნი ვიყავით, მერე კი სამუდამოდ დავშორდით, მაგრამ, ამქვეყნად ყველაზე დიდი, საუკუნო კავშირით მაინც შეკავშირებული დავრჩით! ახლა კი ერთ რამეზე შევთანხმდეთ – იმას, ვინც ნათქვამს თუნდაც ერთ სიტყვას მაინც დაუმატებს, აი ამ შამპანურის ბოთლს თავზე გადავამსხვრევ! – მოსამსახურენო!.. გასძახა მერე მთელ დარბაზს, უხა მოგვიტანეთ, უხა და ხერესი, მთელი კასრი ხერესი, რათა შიგ ეს ჩემი რქიანი თავი ვდურთო!

იმ დღეს სუფრიდან ღამის თერთმეტ საათზე ავიშალეთ. მერე იქიდან იარში წავედით, იარიდან სტრელნში და დილა სისხამზე ბლინები მივირთვით. მერე წითელსახურავიან ბოთლებში ჩამოსხმული ყველაზე მდარე არაყი მოვითხოვეთ. მოკლედ, საშინლად ვიქცეოდით – ხმამაღლა ვყვიროდით, ვმღეროდით, ის კი არადა, კაზაკურიც კი ჩამოვუარეთ. კომპოზიტორი ჩუმად, მძვინვარედ, აღტყინებით ცეკვავდა, ცეკვავდა მსუბუქად, მისი ტანისათვის სრულიად წარმოუდგენლად მჩატედ... სამცხენა მარხილით შინისაკენ რომ მივქროდით, უკვე კარგად გათენებული იყო. იდგა ვარდისფერი, სუსხიანი დილა. ვნების მონასტერს რომ ჩავუქროლეთ, სახურავების თავზე ცივი, წითელი მზე ამობდღვრიალდა. სამრეკლოებს ზარების პირველი, მძიმე, თრთოლვის მომგვრელი რეკვა მოსწყდა და თოშჩამდგარ, ყინვაში გახვეულ მოსკოვს გადაუარა. კომპოზიტორმა უცებ თავიდან შლაპა მოიძრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უზარმაზარ მოედანს ცრემლმორეული ხმით გასძახა:

– მზეო ჩემო, საყვარელო ჩემო, ვაშაააა!

მზის დაკვრა

ნასადილევს მზით გაჩახჩახებული სასადილოდან გემბანზე გამოვედით და გემის მოაჯირთან გავჩერდით. ქალმა თვალები მილულა, ლოყებზე ხელისგულები მიიჭირა და უბრალოდ, მომხიბვლელად გაიცინა (მართლაც რომ ყველაფერი მომხიბვლელი იყო ამ პატარა ქალში!):

– მგონი დავთვერი... მაინც, საიდან გაჩნდით? ამ სამი საათის წინ თქვენს არსებობაზე წარმოდგენაც არ მქონდა. სად ამოხვედით? ალბათ, სამარაში? ნეტავი, მე მეხვევა თავბრუ თუ გემმა შეუხვია?

წინ უკუნეთი წყვდიადი იწვა, აქა-იქ გაბნეული სინათლეების მეტი თვალსაწიერზე არაფერი ჩანდა. სახეში თბილი, ძლიერი ქარი სცემდათ, გარბოდნენ და გარბოდნენ სინათლეები უკუნეთი სიბნელისაკენ. გემმა წყალში ფართო წრე მოხდენილად მოხაზა და გეზი პატარა ნავმისადგომისაკენ აიღო.

პორუჩიკმა ქალს ხელში ხელი მოჰკიდა და ტუჩებთან მიიტანა – პატარა, მაგრამ ღონიერ, შავად გარუჯულ ხელს მზის სურნელი სდიოდა. მთელი ერთი თვე სამხრეთის მზეში ზღვის გახურებულ სილაზე წოლისაგან (ხომ თქვა, ანაპიდან მოვდივარო!) ამ უხეში ტილოს კაბის ქვეშ, ალბათ, რა მკვრივი, რა შავგვრემანიაო, – ამის გაფიქრებაზე პორუჩიკს გული შიშითა და ნეტარებით შეუთრთოლდა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ჩავიდეთ!

– ჩავიდეთ? სად?

– აი ამ ნავსადგურში.

– რატომ?

პორუჩიკმა ერთხანს იყუჩა.

ქალმა ხელისგულები კვლავ ანთებულ ლოყებზე მიიჭირა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– სიგიჟეა...

– ჩავიდეთ... – გაიმეორა პორუჩიკმა უაზროდ, – გემუდარებით, ჩავიდეთ...

– აჰ, როგორც გენებოთ, – უთხრა ქალმა და მიტრიალდა.

სწრაფად მიმავალი გემი ოდნავ განათებულ ნავმისადგომს ნელა დაეჯახა და ქალი და პორუჩიკი ერთმანეთს მიაწყდნენ. ამ დროს მათი თავების ზემოთ ბაგირის ბოლომ გადაიქროლა, გემი ერთბაშად უკან გადაქანდა, ნაკვალევზე წყალი ათუხთუხდა, საბიჯელას ხრიგინი გაისმა და, ვიდრე ქალი აზრზე მოსვლას მოასწრებდა, პორუჩიკი უკვე ბარგის მოსატანად გარბოდა.

და აი, ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ საძილე კანტორულა უკვე გაიარეს, სქლად მოსილულ ნაპირზე გადავიდნენ და იქვე მდგარ დამტვრიანებულ ღია ეტლში ჩასხდნენ. მთისაკენ წაფერდილ პატარა აღმართზე, შორი-შორს ჩარიგებულ, მიღრეცილ-მოღრეცილ ფარნებს შორის, მტვრის კორიანტელში გახვეული გზა უსასრულო ეჩვენათ. ბოლოს, როგორც იქნა, ის აღმართი აიარეს, ხიდურზე ჭრაჭუნით გადავიდნენ და ერთ მომცრო მოედანს მიადგნენ. მოედანზე სათვალთვალო კოშკი იდგა, იქვე იყო საკრებულოც, ირგვლივ ღამეული სამაზრო ქალაქისათვის დამახასიათებელი საშინელი ბუღი და სურნელი ტრიალებდა... ბოლოს მეეტლემ ეტლი ერთ განათებულ სადარბაზოსთან გააჩერა და სადარბაზოს ღია კარში ფიცრის ძველი, ადამისჟამინდელი კიბე გამოჩნდა. ვარდისფერ, გვერდზე ჩაღილულ ხალათსა და სერთუკში გამოწყობილმა მოხუცმა ლაქიამ ბარგი უხალისოდ აიღო და ბებრულად წაფლატუნდა. ბოლოს სასტუმროს ერთ მოზრდილ, მეტისმეტად ჩახუთულ, მთელ დღეს მზისაგან გავარვარებულ ნომერში შევიდნენ. ფანჯრებზე თეთრი ფარდები ეკიდა, სარკის სადგამებში ორი მთელი სანთელი იდო. ლაქიამ კარი გაიკეტა თუ არა, პორუჩიკი ქალს ისე გაშმაგებული ეცა, ორივენი ისე გახელებულები ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, რომ მრავალი წლის

შემდეგაც არ ავინყდებოდათ ის განცდა – მთელ თავის სიცოცხლეში არც ერთსა და არც მეორეს მსგავსი არასოდეს არაფერი განეცადა.

მეორე დღეს, ის პატარა, უსახელო ქალი, რომელმაც ბოლომდე არ გაამხილა თავისი არც სახელი და არც ვინაობა, და რომელიც თავის თავს მშვენიერ უცნობ ქალს ეძახდა, მზით გაბრდღვიალებული, ხალისით სავსე, ეკლესიის ზარებით, სასტუმროს წინ მოედანზე გამართული ხმაურიანი ბაზრით, თივის, კუპრისა და რუსული სამაზრო ქალაქისათვის დამახასიათებელი სურნელით გაჯერებული ქალაქიდან დილის ათ საათზე გაემგზავრა. იმ ღამეს არც ერთსა და არც მეორეს თითქმის არ უძინია, მიუხედავად ამისა, დილას, წამოდგა თუ არა, ქალმა ხუთ წუთში დაიბანა, ჩაიცვა, დაიხურა და სანოლის წინ მდგარი შირმიდან ჩვიდმეტი წლის გოგოსავით ქორფა და ცინცხალი გამოვიდა. რაიმე უხერხულობას თუ გრძნობდა? არა, არა მგონია, ყოველ შემთხვევაში, თავი ძველებურად სადად და მხიარულად ეჭირა, ეგ არის, ახლა თითქოს ცოტა უფრო დადინჯებული ჩანდა.

როდესაც პორუჩიკმა სთხოვა, გზა ერთად განვაგრძოთო, ქალმა უარი უთხრა:

– არა, ძვირფასო, არა, თქვენ დარჩით და მეორე გემს გამოჰყევით, ერთად რომ წავიდეთ, ყველაფერს გავაუფასურებთ, ეს კი, ვიცი, გულს ძალიან მატკენს... გეფიცებით, ისეთი სულაც არა ვარ, როგორიც, ალბათ, თქვენ გგონივართ. რაც ახლა მოხდა, ჩემს ცხოვრებაში მსგავსიც არაფერი ყოფილა, დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ არც მომავალში განმეორდება. ეტყობა, რაღაც დამემართა, ჩანს, გონება დამიბნელდა, ან, უფრო სწორად, ორივეს – მეცა და შენც მზემ დაგვკრა...

მართლაც, პორუჩიკი როგორღაც იოლად დაეთანხმა ქალს. ნავსადგურამდე ისე მიაცილა, შესანიშნავ გუნებაზე იყო. გემი, ისის არის, ნავსადგურიდან გასვლას აპირებდა, გემბანზე პორუჩიკმა ქალს ყველას თვალწინ აკოცა და ფიცარნაგზე გადახტომა ძლივს მოასწრო, რომ ფიცარნაგიც აიღეს.

პორუჩიკი სასტუმროშიც ასევე მხიარული და უზრუნველი დაბრუნდა, მაგრამ, ნომერში შევიდა თუ არა, უცნაურ გუნებაზე დადგა, თითქოს ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა, ყველაფერი ეუცხოვებოდა. ყველაზე საოცარი ის იყო – მართალია, მთელი მისი არსება ჯერ ისევ იმ ქალით იყო სავსე, მაგრამ თან რაღაც აუტანელ სიცარიელესაც გრძნობდა. ოთახში ჯერ ისევ იმ ქალის საუცხოო ინგლისური სუნამოს სურნელი ტრიალებდა, მის მიერ სანახევროდ შესმული ჩაის ფინჯანი ჯერ ისევ მაგიდაზე იდგა, თვითონ კი უკვე სადღაც შორს იმყოფებოდა... ამის გაფიქრებაზე პორუჩიკს გული უცებ ისე ნაზად შეუქანდა, ჯიბიდან მაშინვე სიგარეტი ამოიღო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

– რა უცნაური ამბავია! – თქვა პორუჩიკმა სიცილით და თვალზე ცრემლი მოადგა. – „გეფიცებით, ისეთი სულაც არა ვარ, როგორიც ალბათ თქვენ გგონივართ... – მითხრა და ჩიტივით გამიფრინდა.

შირმა ისევ გადაწეული იყო, ლოგინი აულაგებელი და პორუჩიკმა იგრძნო, რომ ახლა მას, უბრალოდ, ძალა არ შესწევდა, ამ ლოგინისათვის ეცქირა. შირმა გადმოწია, ბაზრის ყაყანით თავგაბეზრებულმა ფანჯრები მიხურა, თეთრი, ნიავისაგან დაბერილი ფარდები ჩამოუშვა და დივანზე ჩამოჯდა: – „აჰა, გასრულდა ესე ამბავი ჩემი მგზავრობისა! მორჩა, წავიდა! ახლა ალბათ ზის მინის თეთრ სალონში ან დგას სადმე გემბანზე და მზის სხივებში მოზიმზიმე უზარმაზარ მდინარეს გასცქერის. უყურებს გემისაკენ მოცურავე ტივებს, ყვითლად მომზირალ მეჩეჩებს, ლურჯ ზეცასა და წყლის მოციმციმე შორეთს. მის თვალწინ ვოლგისპირეთის მთელი უსაზღვრო სივრცეა გადაშლილი... და, მშვიდობით, მშვიდობით სამარადჟამოდ... აბა, სადღა უნდა შევხვდე, ხომ არ დავადებ თავს და იმ ქალაქში არ წავალ, სადაც იგი თავის ქმარსა და სამი წლის გოგონასთან ერთად ცხოვრობს“, – გაიფიქრა პორუჩიკმა და ის ქალაქი, სადაც იმ ქალის ყოველდღიური ცხოვრება თავისი ჩვეულებრივი მდინარეებით მიედინებოდა, როგორიღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივად საოცნებო, არაჩვეულებრივად სანუკვარი ეჩვენა. იმ აზრმა,

ქალს მთელი მისი ცხოვრება იქ, იმ ქალაქში მოწყენილობასა და სიმარტოვეში უნდა გაეტარებინა, მათი ეს წუთიერი შეხვედრა, ვინ იცის, იქნებ, ხშირადაც გაეხსენებინა, თვითონ კი ამქვეყნიდან ისე უნდა წასულიყო, თვალიც ველარასოდეს მოეკრა, პორუჩიკი ერთობ გააოცა: – არა, არა, ეს შეუძლებელია, ეს რაღაც წარმოუდგენელი ამბავიაო! – გაიფიქრა და გულში ისეთი ტკივილი იგრძნო, უიმქალოდ სიცოცხლე ისე უაზრო და არაფრის მაქნისი ეჩვენა, რომ ერთბაშად ენითუთქმელმა სასოწარკვეთამ მოიცვა.

„ეს რაღა ღვთისწყრომა მჭირს! – პორუჩიკი დივნიდან წამოდგა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა. ცდილობდა, შირმისა და ლოგინისაკენ აღარ გაეხედა, – ეს რა ჯანდაბა მემართება?! ვითომ რა ისეთი განსაკუთრებული ქალია, ან რა ისეთი განსაკუთრებული მოხდა? არა, ნამდვილად მზემ დამკრა! რაც მთავარია, რა უნდა ვქნა, უიმისოდ ამოდენა ქალაქში, ამოდენა დღეს რა ჩამოლევს?“.

ქალი ჯერ ისევ ცხადლივ ედგა თვალწინ, მისი ყოველი უმნიშვნელო წვრილმანიც კი თვალნათლივ ახსოვდა, მისი მზემოკიდებული კანის სურნელი გონებიდან არ შორდებოდა. თვალწინ მისი უხეში ტილოს კაბა, მისი მკვრივი, ჯანსაღი სხეული ედგა, ყურში მისი წკრიალა, ხალისით სავსე ხმა ჩაესმოდა... მისი ქალური მომხიბლაობით გამოწვეულ ნეტარებას ჯერ ისევ არაჩვეულებრივი სიცხადით შეიგრძნობდა, მაგრამ, ყველაზე მთავარი მაინც ეს რაღაც ახალი, განუცდელი, მისთვის სრულიად აუხსნელი და გაურკვეველი გრძნობა იყო, რომელზედაც ჯერ კიდევ გუშინ, როცა ეს თავშესაქცევი ამბავი (როგორც მაშინ თავად ფიქრობდა) წამოიწყო, წარმოდგენაც არ ჰქონდა, და რომლის შესახებაც იმ ქალს ახლა უკვე ველარაფერს ეტყოდა, ვინაიდან ახლა ეს, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. არა, მაინც რა უნდა ვქნა? ამ ფიქრს, ამ გაუთავებელ მოგონებებს, ამ უსაშველო ტანჯვას როგორ გავუძლო? ამ ლურჯად მოლივლივე ვოლგის პირას (რომლის ტალღებსაც ის ვარდისფერი გემი და ის ქალი გაჰყვა) გაშენებულ ამ პატარა, ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ ქალაქში ეს ამხელა დღე მარტომ როგორ დავაღამო? როგორმე თავს უნდა ვუშველო,

რაღაც უნდა მოვიფიქრო, რაღაცით უნდა გავერთო, სადღაც უნდა წავიდეო, – გაიფიქრა პორუჩიკმა, სასწრაფოდ ქუდი დაიხურა, სტეკი აიღო, დეზების წკარუნით ცარიელი დერეფანი გაიარა, სადარბაზოს კიბეზე სირბილით ჩავიდა და იქვე გაოგნებული გაჩერდა – რა ექნა, სად უნდა წასულიყო? სადარბაზოს წინ ახალგაზრდა, ხიფთანში ხალვათად გამოწყობილი მეეტლე იდგა და პაპიროსს აბოლებდა. პორუჩიკმა მეეტლეს დაბნეულმა და გაოცებულმა შეხედა: „განა შეიძლება, კაცი ასე მშვიდად იდგე და პაპიროსს არხეინად აბოლებდე, ასეთი გულგრილი და უზრუნველი იყო? მთელს ამ ქალაქში ნუთუ მარტო მე ვარ ასე ეული და უბედური?!“ – ამ ფიქრებში გართულმა პორუჩიკმა ბაზრისაკენ გასწია.

ბაზარი უკვე იშლებოდა. პორუჩიკმა საზიდრებს შორის, ნეხვსა და სიბინძურეში, კიტრით სავსე ურმებსა, გორად დამდგარ თიხის ჯამ-ჭურჭელსა და ქოთნებს შუა რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა. მიწაზე ჩამსხდარი დედაკაცები ერთმანეთს არ აცდიდნენ, ქოთნებსა და ჯამებს ძალისძალად აჩეჩებდნენ, თავიანთ საქონელს ისეთი თავგამოდებული აწონებდნენ, გლეხები ისე გაჰყვიროდნენ – აქეთ მობრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ, ქორფა კიტრი ინებეთ, საუკეთესო, უმაღლესი ხარისხის კიტრიო, ყოველივე ეს ისეთ სისულელედ, ისეთ უაზრობად ეჩვენა, რომ ბაზრიდან სულ კისრისტეხით გამოვარდა. აქედან იგი ახლა ტაძარში წავიდა. ტაძარში შემართული, ზეაწეული, ხალისიანი გალობა იდგა, მომღერლები მართლაც მოვალეობის მთელი შეგნებით გალობდნენ. მერე დიდხანს დაეხეტებოდა აღმა-დაღმა ფოლადისფრად შორს გაჭიმული მდინარის ნაპირას, ფლატეზე შეფენილ პატარა მოუვლელსა და ხელმიშვებულ ბაღში... კიტელის სამხრეები და ღილები მზეზე ისე გახურებულიყო, ხელს ვერ აკარებდა. ქუდის სარჩული ოფლით იყო გაჟღენთილი, სახე წითლად უვარვარებდა... სასტუმროში რომ დაბრუნდა, ქვედა სართულზე ვრცელ, გრილსა და ცარიელ სასადილოში შევიდა, ქუდი მოიხადა, ღია ფანჯარასთან დაჯდა (ფანჯრიდან, მართალია, სიცხე შემოდიოდა, მაგრამ თან სასიამოვნო ნიავიც უბერავდა) და ყინულით შეგრილებული ბოტვინია შეუკვეთა...

ირგვლივ ყველაფერი ხალისით, ბედნიერებითა და უსაზღვრო სიხარულით იყო სავსე – ეს თაკარა სიცხეც, ბაზრის სუნით გაჟღენთილი ეს პატარა უცნობი ქალაქიც და ეს ძველი სამაზრო სასტუმროც კი, მაშინ, როცა თვითონ გული ლამის გახეთქვაზე ჰქონდა. პორუჩიკმა რამდენიმე ჭიქა არაყი დაისხა და დალია. არაყს ახლად დამარილებული კიტრის მწნილს აყოლებდა და გრძნობდა, რომ მზად იყო, ხვალვე დაუფიქრებლად მომკვდარიყო, ოღონდ, რაღაც სასწაულის ძალით იმ ქალის დაბრუნება შესძლებოდა, თუნდაც ერთი, ეს ერთადერთი დღე მაინც გაეტარებინა მის გვერდით, რათა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მაინც ეთქვა, რა ძლიერ, რა აღფრთოვანებით უყვარდა... რომ გეკითხათ, ამაში მისი დარწმუნება ასე რატომ ეწადა, ვერაფერს გეტყოდათ, ერთი კია – მისთვის ეს სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი გამხდარიყო.

– ნერვები სულ აღარ მივარგა! – ჩაილაპარაკა პორუჩიკმა და მეხუთე ჭიქა არაყიც დაისხა.

მერე ბოტვინია განზე გაწია, შავი ყავა მოითხოვა, პაპიროსს მოუკიდა და ფიქრს მიეცა: რა ქნას, როგორ მოიქცეს, ასე ანაზდეულად თავსდატეხილ სიყვარულს სად გაექცეს? მაგრამ, გრძნობდა, რომ გაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო. მერე სასწრაფოდ წამოდგა, ქუდი და სტეკი აიღო, ფოსტა სად არისო, – იკითხა და აჩქარებული ნაბიჯით ფოსტისაკენ გასწია. მიდიოდა და გუნებაში დეპეშის ტექსტს იმეორებდა: – „ამიერიდან ჩემი სიცოცხლე – უკანასკნელ წუთამდე, კუბოს კარამდე თქვენ გეკუთვნით, გახსოვდეთ, იგი თქვენს განკარგულებაშია!“ – მაგრამ, ფოსტა-ტელეგრაფის ძველ, სქელკედლებიან შენობას რომ მიუახლოვდა, თავზარდაცემული შედგა – მან ხომ იმ ქალის არც გვარი იცოდა, არც სახელი! სადილზე რომ ისხდნენ, გუშინ აკი რამდენჯერმე ჰკითხა კიდევაც, იმან კი სიტყვა ბანზე აუგდო:

– ვითომ რალაში გჭირდებათ, რა გვარი ვარ და რა მქვია?!

ფოსტის გვერდით, კუთხეში, ფოტოსურათების ვიტრინა იყო. იგი დიდხანს იდგა და დიდხანს შეჰყურებდა დიდრონ სამხრეებიანსა და საუცხოო ბაკენბარდებიან, შუბლდაბალ, თვალებგადმოკარკ-

ლულ, ორდენებითა და ჩინ-მედლებით ფართო მკერდდამშვენებულ ვიღაც ახალგაზრდა სამხედროს საკმაოდ მოზრდილ პორტრეტს... რა უცნაური, რა საზარლად უფერული და ჩვეულებრივია ყოველივე, როცა გული განგმირული გაქვს, დიახ, განგმირული ამ რაღაც საშინელი „მზის დაკვრით", ამ დიდი სიყვარულითა და დიდი ბედნიერებით! მერე ახლად დაქორწინებული ქალ-ვაჟის სურათს დაუწყო ყურება. გრძელ ქურთუკში გამოწყობილ, თეთრჰალსტუხიან, მოკლედ თმაგაკრეჭილ ახალგაზრდას ქალისათვის ხელკავი გაეკეთებინა და მის გვერდით წელში ამაყად გაჯგიმული იდგა. იქვე, გვერდით, ვიღაც მშვენიერი, თამამი გოგონას პორტრეტი ეკიდა... ამ უცნობი, ბედნიერი და უზრუნველი ხალხის მიმართ მტანჯველი შურით გულგადალეულმა პორუჩიკმა გზას გახედა და „რა ვქნა, სად ნავიდეო?" გაიფიქრა.

ქუჩაში თითქმის არავინ იყო. ქუჩის აქეთ-იქით თეთრი, ვაჭართა ერთსართულიანი, ბაღებში ჩაფლული, ტყუპისცალებივით ერთნაირი სახლები იყო ჩამწკრივებული, რომლებიც კაცს შორიდან უკაცრიელი ეგონებოდა. სახლებიცა და მტვრით გადათეთრებული ქვაფენილიც მხურვალე, მაგრამ აქაურობისათვის თითქოს სრულიად უცხო და უაზრო მზის ჩახჩახა სხივებში იყო გახვეული. გზა შორს, სადღაც ზევით-ზევით მიიწევდა და უღრუბლო, მზის სხივთა ანარეკლით მტრედისფრად განათებულ ცისკიდურს ებჯინებოდა... და იყო ამაში რაღაც სამხრეთული – ქერჩს, სევასტოპოლს, ანაპას მოაგონებდა, ამ წუთას კი სწორედ ეს იყო მისთვის ყველაზე აუტანელი. უკან რომ გამობრუნდა, თავჩაქინდრული, თვალებმოჭუტული ბორძიკითა და ბარბაც-ბარბაცით მიაბიჯებდა სასტუმროსაკენ, საკუთარ ფეხებს დაჟინებით დასჩერებოდა, დეზები ერთმანეთში ებლანდებოდა.

სასტუმროში ისეთი დაღლილი დაბრუნდა, თითქოს მთელი თურქესტანი და საჰარა ფეხით ჰქონოდა გადავლილი. როგორც იქნა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და თავის დიდ, ცარიელ ნომერში შევიდა. ოთახი უკვე მიელაგ-მოელაგებინათ, ისე რომ, იმ ქალის ნაკვალევიც აღარაფერს ეტყობოდა, მხოლოდ ერთადერთი თმის

სარჭიღა იდო ღამის მაგიდაზე. პორუჩიკმა კიტელი გაიძრო და სარკეში ჩაიხედა – ოფიცრის ჩვეულებრივი სახე, მზისაგან გამოთეთრებული ულვაშები, ღია ცისფერი თვალები გარუჯულ სახეზე კიდევ უფრო ღია და უფერული უჩანს, მეტისმეტი ნერვიულობისაგან თვალებს შლეგიანივით აფეთებს... მხოლოდ, თეთრი, ქათქათა, საყელოგახამებული ხალათი აძლევს არაჩვეულებრივად ჭაბუკურ, არაჩვეულებრივად უბედური ყმაწვილი კაცის იერს. ლოგინზე პირაღმა მიწვა და მტვრიანი ჩექმები იქვე საწოლთან მიყარა. ფანჯრები ღია იყო, ფარდები დაშვებული, დროდადრო მსუბუქი ნიავი წამოუბერავდა, ფარდებს ააფრიალებდა და ოთახში თუნუქის სახურავების ხვატს შემოიტანდა. პორუჩიკს ხელები თავქვეშ ამოეწყო, სივრცეს მისჩერებოდა, თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა. ბოლოს კბილს კბილი დააჭირა, თვალები დახუჭა და, როგორც იქნა, დაიძინა. კარგა ხნის შემდეგ თვალები რომ გაახილა, ფარდებს ჩამავალი მზის მოწითალო შუქი მოსდგომოდა, ნიავი უკვე აღარ ქროდა და ოთახში სიცხის საშინელი ბუღი ტრიალებდა. ერთბაშად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს გუშინდელს აქეთ მთელი ათი წელიწადი გასულიყო.

ლოგინიდან აუჩქარებლად წამოდგა, პირი ნება-ნება დაიბანა, ფარდები ასწია, სამოვარი და ანგარიში მოითხოვა და ლიმონიანი ჩაი კარგა ხანს სვენებ-სვენებით წრუპა... მერე მსახურს მეეტლის ხმობა და ბარგის გატანა უბრძანა. ეტლის მზისაგან გამოხუნებულ, გაცრეცილ სავარძელში რომ ჯდებოდა, ადგა და ლაქიას ხუთმანეთიანი მისცა.

– თქვენო კეთილშობილებავ, მგონი, წუხელაც მე მოგიყვანეთ ამ სასტუმროში! – უთხრა მხიარულად მეეტლემ და სადავე შეაქანა.

ნავსადგურისაკენ მიმავალ დაღმართს რომ დაუყვნენ, ვოლგას უკვე ზაფხულის ბნელი, ლაინისფერი ღამე ჩამოსწოლოდა, მდინარის მუქ ზედაპირზე აუარებელი ფერად-ფერადი სინათლე ციმციმებდა.

– ხედავთ, რა ზუსტად მოვედით! – მიელაქუცა მეეტლე.

პორუჩიკმა მეეტლესაც ხუთი მანეთი მისცა, მერე ბილეთი აიღო და ნავსადგურში გაიარ-გამოიარა... და აი, გუშინდელივით კვლავ

გაისმა ნავმისაბმელზე გემის ყრუ ჯახუნი, გუშინდელივით ისევ იგრძნო წყლის რწევით გამოწვეული ოდნავი თავბრუსხვევა, თავზევით ისევ გადაიქროლა ბაგირის ბოლომ, ისევ ათუხთუხდა უკან-უკან მიმავალი გემის ბორბლებქვეშ დგაფუნით წინ გაჭრილი წყალი... და ელექტროშუქით ყოველ კუთხე-კუნჭულში განათებული, სამზარეულოს სურნელით სავსე გემის ხალხმრავლობა პორუჩიკს გულს სალბუნად დაედო, არაჩვეულებრივი სითბო და სიმშვიდე იგრძნო.

ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ გემი უკვე თავაღმა, ზუსტად იმ მიმართულებით მიცურავდა, საითკენაც გუშინ დილას ის ქალი გაიტაცა.

შორს, თვალსანიერზე ნელა იშრიტებოდა, თანდათან ბინდი ეპარებოდა ზაფხულის ლურჯ დაფიონს, ფერად-ფერადად, მდოვრედ, მნუხრისფრად ირეკლებოდა იგი მის დასწვრივ აქა-იქ ჯერ ისევ განათებულ, თეთრად მკრთომარე მდინარეში. გემის უკან კი მოლივლივებდა და მოლივლივებდა სიბნელეში გაბნეული სინათლეები.

მზეზე უმშვენიერესი

– სიკვდილო, სად არის შენი ნესტარ-საწერტელი? გავიხსენოთ, რა უთხრა მზეზე უმშვენიერესმა სატრფოს თავისას, ოდეს წარსდგა მის წინაშე იმ ღამეს, როცა ცხედარი მისი საფლავს მიაბარეს: „ნუ გოდებ ჩემ გამო, რამეთუ გარდაცვალების შემდეგ მარადიულობას ეზიარა დღენი ჩემი, უზენაესის ნათელში აღიხვნა წამწამი ჩემი, მე რომ მეგონა, სამარადისოდ დაიხუჭა სიკვდილის სარეცელზე“...

უფლის დაბადებიდან ათას სამას ოცდაშვიდ წელს დევნილობაში მყოფი სინიორ ფრანჩესკო სხვა მრავალ წმიდა საყდარს შედგომილთან ერთად პროვანსის ქალაქ ავინიონში ჩავიდა. და აი, ამ ამბიდან ერთი წლის თავზე მოხდა ის, რომ თავისი ჭაბუკური ცხოვრების გზაზე შეხვდა დონა ლაურას, შეეტრფო უდიდესი სიყვარულით და ბეატრიჩესა და მსოფლიოს უმშვენიერეს ქალთა დასის მოზიარე გახადა. იმ წელიწადს, აპრილის თვის მეექვსე დღეს, ვნების კვირის პარასკევს, სინიორ ფრანჩესკო ავინიონის სენ-კლერის ეკლესიაში დილის წირვას ესწრებოდა. წირვა რომ დამთავრდა, ხალხს რომ ათვალიერებდა, თვალი მოჰკრა რაინდი ოდიბერის ასულს – დონა ლაურას, სინიორ უგოს ნორჩ მეუღლეს, რომლის ღირსეული, ურიოშო ხატება, ვაი რომ, არ შემოუნახავს ჩვენთვის შთამომავლობას.

პირველად თვალი მაშინ ჰკიდა, როდესაც ქალი ეკლესიის პორტალში გამოჩნდა.

მაშინ ვაჟი თავისი სიცოცხლის ოცდამესამე გაზაფხულს ითვლიდა, ხოლო ის ბანოვანი – მეოცე გაზაფხულს. და თუ ვაჟი ჭაბუკური წლების ყოველგვარი სილამაზით იყო შემკული, ჰქონდა მგზნებარე გული და კეთილშობილი სისხლი, იმ ქალის ყმაწვილური მშვენიერება

შეგეძლო ზეციურისათვის შეგედარებინა... ნეტარ არს, ვინც იგი სიცოცხლეში იხილა! მოდიოდა ებანოზივით შავწამწამდახრილი და ოდეს აღახვნა თვალნი, მისმა მზიურმა მზერამ სამუდამოდ განგმირა ვაჟის გული.

იმ აპრილის ის მეექვსე დღე ღრუბლით მოქურუხებული და წვიმიანი იყო, ერთი იმ დღეთაგანი, როგორიც მრავლად იცის ავინიონში ადრიან გაზაფხულზე... ეს ის დრო იყო, რომელსაც ახლა ძველთაძველს ვუწოდებთ და რომელშიც ყველაფერი მშვენიერი გვეჩვენება – გაზაფხულის ავდრიანი დღეებიც, ქარისა და წვიმისაგან კედლებჩაშავებული, ქვითკირით ნაგები ქალაქებიც, ეკლესიებიც, ტალახიანი ვიწრო ქუჩებიცა და შუა ქუჩაში მოლაშლაშე ადამიანებიც, მათი ყოფით, ცხოვრებით, მათი საქმეებითა და გრძნობებით.

იყო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარცმის ჟამი, ოდეს მწუხარებისაგან თავად მზეც კი ძაძით იმოსება.

თავისი უსაყვარლესი ნიგნის – ვერგილიუსის ფურცლებზე, რომელსაც სინიორ ფრანჩესკო გვერდიდან არასდროს იშორებდა და რომელიც მუდამ სასთუმალქვეშ ედო, ეს სიტყვები მიაწერა სიბერის ჟამს:

„ლაურა, დიდებული თავისი ღირსებებითა და ჩემგან ნაქები, პირველად თვალთა ჩემთა ჩემი სიცოცხლის ადრეულ გაზაფხულზე იხილეს. ეს მოხდა ქრისტეს დაბადებიდან ათას სამას ოცდაშვიდ წელს, აპრილის თვის მეექვსე დღეს, ავინიონში... იმავე ავინიონში, იმავე აპრილის თვეში, იმავე მეექვსე დღეს, იმავე პირველ საათზე, ათას სამას ორმოცდარვა წელს სამუდამოდ ჩაქრა წმინდა სანთელი მისი სიცოცხლისა, იმ დროს, როცა შემთხვევით ვერონაში ვიყავი და, ვაი, რომ, სრულიად არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მხოლოდ პარმაში მომისწრო მისი გარდაცვალების ამ საბედისწერო ამბავმა, იმავე ათასს სამას ორმოცდარვა წელს, მაისის თვის მეცხრამეტე დღეს, გამთენიისას. მისი უბინო, მშვენიერი სხეული მიწას მიაბარეს ძმები მენორიტების ეკლესიაში, მისი გარდაცვალების დღესვე, ჟამს მიმწუხრისას. ხოლო სული, მისი სული, ეჭვი არ მეპარება, კვლავ

ზეცას დაუბრუნდა, თავის სავანესა და მარადიულ სამყოფელს... რათა უკეთესად შემოვინახო ხსოვნა იმ საათისა, რათა მცირეოდენი მწარე შვება მაინც ვიგრძნო, მინდა ჩავწერო ეს ამბავი იმ წიგნში, რომელიც ასე ხშირადაა ჩემთა თვალთა წინაშე. მინდა მუდამ მახსოვდეს, რომ ამიერიდან ვერაფერი მანუგეშებს, ვერაფერი გაათბობს და გაახალისებს ჩემს გულს ამ ქვეყანაზე. დროა, დავტოვო ჩემი ბაბილონი... ვიგონებ რა ურვით, ცრუ იმედებითა და სევდით განვლილ ჩემს ცხოვრებას, ღვთის შეწევნით, ეს ჩემთვის ძნელი არ იქნება...“

წერენ, რომ ახალგაზრდობაში ფრანჩესკო ძლიერი და მარჯვე ვაჟკაცი იყო. ჰქონდა პატარა, მრგვალი, მკვრივად აღნაგი თავი, საშუალო ზომის თხელი, ნატიფი ცხვირი, სახის რბილი, გამოკვეთილი ოვალი, ოდნავ მოწითალო, მაგრამ ნაზი, ჯანსაღი სახის ფერი, შავი თმა, წაბლისფერი თვალები და ფიცხი, მგზნებარე გამოხედვა. წერენ, რომ ამ დროისათვის იგი უკვე ცნობილი იყო თავისი დიდი ტალანტით, ჭკუით, ცოდნის სიმდიდრითა და დაუცხრომელი შრომისმოყვარეობით. შეპყრობილი იყო იმ უმაგალითო სიყვარულით, რამაც ასე სამარადჟამოდ უკვდავყო მისი სახელი. მიუხედავად ამისა, ცხოვრობდა თავისი საუკუნის ცხოვრებით, იმ ცხოვრების ავითაც და კარგითაც, უშურველად გასცემდა თავის გენიას, გამოირჩეოდა ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, მომხიბლავი ქცევითა და საუბრის უბრწყინვალესი მანერით...

ავინიონის პორტრეტზე იგი უკვე მონიფულობის ხანაშია: კაპიტოლიუმის დაფნის გვირგვინი, რომლითაც შეამკეს, როგორც საუკუნის უდიდესი ადამიანი, კეთილშობილი ფლორენციული პროფილი, ჭკუა-გონებით, სიცოცხლით სავსე გამოხედვა...

სიბერეში იგი წერდა:

„ახლა მე უკვე აღარაფერზე ვფიქრობ... ვფიქრობ მხოლოდ იმ ბანოვანზე, რომელიც მაჩქარებს, მიხმობს და მეძახის ზეცაში!“

თუმცა ერთ თავის მეგობართან მიწერილ წერილში იგი ამასაც წერს:

„მინდა სიკვდილმა წიგნით ხელში, ანდა – თუ ეს ღმერთსაც სთნავს – უმჯობესია, ცრემლსა და ლოცვაში მომისწროს...

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, კეთილდღეობას, იყავით ბედნიერი და მხნე, როგორც ეს ვაჟკაცს შეეფერება!"

ამ წერილის დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ – 1374 წლის ოც ივნისს, თავისი დაბადების დღეს, იგი მაგიდას უჯდა და მუშაობდა, რომ „უცებ წინ წაიხარა და თავი ნაწერზე ჩამოუვარდა".

ის დღე, რა დღესაც მათ პირველად იხილეს ერთმანეთი, იმ ქალისთვისაც ასევე საბედისწერო აღმოჩნდა:

მისი გულიც ვნებითა და სინაზით აღივსო, მაგრამ, ო, რაოდენ ურყევი იყო მისი მოვალეობის გრძნობა, მისი პატიოსნება, ზენაარის რწმენა და ღვთის კანონებისადმი მორჩილება!

„მეუფე ჩემი და მბრძანებელი ჩემი! გვერდით რომ ჩამიარა, ვიჯექი მარტოდმარტო, მისი სიყვარულით აღსავსე და მასზე ფიქრებში ჩაფლული. მერე მისასალმებლად წამოვდექი და გაფითრებულმა მორჩილად დავხარე თავი მის წინაშე. მან კი რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა და გზა განაგრძო".

ოცდაერთი წელიწადი ასხამდა ფრანჩესკო ხოტბას ლაურას მინიერ, ხოლო მეოთხედი საუკუნე – მის ზეციურ ხატებას. გამოთვლილი ჰქონდა, მთელ თავის სიცოცხლეში სულ რაღაც ერთი წელიწადი თუ ხვდებოდა და მუდამ – „უმაღლესი სისასტიკით შემოსილს". მიუხედავად ამისა, კიდევ ამასაც იგონებს:

„ერთხელ ისიც გაფითრდა, მასაც დაედო სახეზე მკვდრისფერი... ეს იყო ჩემი გამგზავრების წუთებში. თავისი ღვთაებრივი სახე მდუმარედ დახარა და მისი ეს მდუმარება თითქოს ამბობდა – „რატომ, რატომ მტოვებს ჩემი ერთგული მეგობარი?"

ჩვეულებრივი მომაკვდავივით ფრანჩესკოც ხარობდა და მწუხარებდა. არც ქალის სიყვარული აკლდა, სიყვარული ჩვეულებრივი და წარმავალი, რომელიც ხელს სულაც არ უშლიდა იმ სხვა, „მარადიულსა და უკვდავ სიყვარულს". ჰყავდა ორი შვილი... შვილები ლაურასაც ჰყავდა, ერთგული და ღირსეული მეუღლეც იყო, „მაგრამ იმ მეორის სიყვარულისათვის მთელი სიცოცხლე იმქვეყნიური თავისუფლების მოლოდინში გალია..."

1348 წელს ორიოდე კვირაში შავმა ჭირმა სამოცი ათასი ავინიონელი იმსხვერპლა. შავმა ჭირმა იმსხვერპლა ის ბანოვანიც. ბნელი ღამე იყო, ტკაცატკუცით აბრიალებული ფისის მაშხალების შუქზე მხოლოდ თვალების ადგილას ამოჭრილ ბალახონებში გახვეულმა ადამიანებმა იგი იმ ადგილას დაკრძალეს, სიკვდილამდე სამი დღის წინ ანდერძად რომ დატოვა. მისმა სულმა, როგორც იქნა, ჰპოვა ნანატრი თავისუფლება იმ სხვა სიყვარულისათვის და სიკვდილის პირველსავე დღეს მასთან პაემანზე პირველად მივიდა.

„იმ ღამეს, იმ ავბედითი დღის შემდგომ ღამეს, როდესაც ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი საუკუნოდ ჩაესვენა, ან უფრო ზუსტად, როცა მან კვლავ გაიბრწყინა ზეცაში, თავისი ზეციური, ისეთივე განსაცვიფრებელი სილამაზით გაცისკროვნებული, უძვირფასესი აღმოსავლური ალმასებით მოგვირგვინებული წარდგა ჩემ წინაშე, ნაზი ოხვრით ხელი გამომიწოდა, ჩემთვის ესოდენ და ასე დიდხანს სანატრელი და მითხრა: „იცანი ქალი, რომელმაც სამუდამოდ გადაგიჭრა გზა შეხვედრის პირველსავე დღეს. შეიტყვე, რომ ზეშთაგონებული სულისთვის სიკვდილი მხოლოდ საპყრობილიდან განსვლაა და რომ სიკვდილი მხოლოდ მას აშინებს, ვისაც ბედნიერება უბადრუკ დედამიწაზე ეგულება...“ – წერს ფრანჩესკო პეტრარკა.

პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება პეტრარკას კუთვნილი პლინიუსის მანუსკრიპტი, რომლის ერთ-ერთ ფურცელზე პეტრარკასავე ხელით შესრულებული ნახატია, რომელზედაც გამოსახულია ვოკლუზის ხეობა, კლდე, საიდანაც ჩანჩქერი გადმოჩქეფს, კლდის თავზე აღმართული სამლოცველო და კლდის ძირას ნისკარტში თევზგაჩრილი ყანჩა. ნახატს ქვეშ მისი ხელით შესრულებული ლათინური წარწერა აქვს: „ჩემი ალპებს იქითა განმარტოება“.

ამ ხეობაში, ავინიონიდან არცთუ ისე მოშორებით, იყო პეტრარკას მოკრძალებული მამულიც.

მაგრამ, სად სახლობდა ოდესღაც იმ მტვრიან, ახლა ესოდენ მიყრუებულსა და ბებერ ავინიონში ლაურა? ამბობენ, თითქოს იგი

ახლანდელი მერიის მიმდებარე პატარა ქუჩა დორიზე ცხოვრობდა, დაკრძალული იყო ძმები მენიტორების ეკლესიის რომელიღაც კაპელაში, თუმცა არავინ იცის, რომელში. მართალია, ეკლესია საუკუნე-ნახევრის წინ, რევოლუციის დროს იქნა დანგრეული, მაგრამ, ცნობილია, რომ ეკლესიაში იყო ორი კაპელა – წმინდა ჯვრისა და წმინდა ანასი. მაინც სად, რომელში იყო ამ ორიდან მისი აკლდამა? ვარაუდობენ, თითქოს იგი მისი მამამთილის – სინიორ დე სადეს მიერ აგებულ წმინდა ანას კაპელაში განისვენებდა. ამიტომ 1533 წელს ავინიონში გავლით მყოფმა მეფე ფრანცისკო პირველმა ბრძანა, გაეხსნათ თითქმის უკვე დანგრეული აკლდამა, სადაც ადგილობრივ მოქალაქეთა ვარაუდით, ლაურას ნეშტი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამარხში მართლაც აღმოჩნდა ძვლები, მაგრამ იყო კი ეს ძვლები ნამდვილად ლაურასი? – აკლდამაზე წარწერილი გვარისა და სახელის ამოკითხვა უკვე შეუძლებელი გამხდარიყო.

კორნეტ ელაგინის საქმე

1

შემზარავი ამბავია, უცნაური, საიდუმლოებით მოცული და ამოუხსნელი... ერთი მხრივ, თითქმის სრულიად უმნიშვნელო, მეორე მხრივ, მსგავსად ვულგარული რომანისა, როგორც ეძახდნენ კიდევაც ჩვენს ქალაქში, მეტად რთული, ისე რომ, შეიძლებოდა საუცხოო მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელადაც გამოგვეყენებინა... დამცველმა ეს სასამართლოზე აღნიშნა კიდევაც სამართლიანად.

– ამ საქმეში, – თქვა მან თავისი სიტყვის დასაწყისში, – საკამათო თითქოს არაფერი უნდა იყოს ჩემსა და ბრალმდებელს შორის, ვინაიდან განსასჯელმა თავად აღიარა დანაშაული. დარბაზში მჯდომი თითოეული ადამიანიც ხომ იმას ფიქრობს, არც მის მიერ ჩადენილი დანაშაული და არც მისი მსხვერპლი, რომელიც განსასჯელმა თითქოს თავად მისივე ნებით გააუპატიურა, განსაკუთრებული განსჯასა და ტვინის ჭყლეტას არ მოითხოვს, მისი ყოველდღიურობისა და ჩვეულებრივობის გამოო. მაგრამ ეს ასე როდი გახლავთ! ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. მიზეზი განსჯისა და კამათისა საკმარისზე მეტია...

და შემდეგ:

დავუშვათ, ჩემი მიზანი მხოლოდ განსასჯელის შეწყნარებაა, ამისთვის შემეძლო ბევრი არ მელაპარაკა. კანონმდებელი არ მიუთითებს, სახელდობრ, რით უნდა იხელმძღვანელოს მსგავს შემთხვევაში მოსამართლემ. იგი დიდ სივრცეს ტოვებს მისი მიხვედრილობის, სინიდისისა და გამჭრიახობისათვის, რომლის მიხედვითაც კანონის ფარგლებში თვითონვე უნდა შეარჩიოს ესა

თუ ის ფორმა. და აი, მეც შევეცდებოდი, ზემოქმედება მომეხდინა მოსამართლის მიხვედრილობასა და სინიდისზე, შევეცდებოდი, წინა პლანზე გამომეტანა ყველა ის საუკეთესო, რაც განსასჯელს ახასიათებს და რაც შეამსუბუქებდა მის დანაშაულს. შევეცდებოდი, გამეღვიძებინა მოსამართლეთა გულებში კეთილი გრძნობები და ამას სულ უფრო მეტი დაჟინებით მოვიმოქმედებდი: იგი ხომ მხოლოდ ერთს – შეგნებულ ბოროტნებელობას უარყოფს თავის საქციელში. მიუხედავად ამისა, ალბათ თვით ამ შემთხვევაშიც ვერ გავექცეოდი ბრალმდებელთან კამათს, რომელმაც დამნაშავე, არც მეტი და არც ნაკლები, „პირწავარდნილ მკვლელად" მონათლა. ყოველი საქმე ასედაც შეიძლება იქნეს აღქმული და ისედაც. ის შეიძლება ასედაც გააშუქო და ისედაც. თითოეულმა კაცმა შეიძლება თავისებურად აღიქვას ესა თუ ის მოვლენა – ასედაც და ისედაც. მაინც, როგორ მესახება პირადად ეს საქმე? იმის გამო, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს არ არის არც ერთი შტრიხი, არც ერთი დეტალი, რომელზედაც ჩვენ და ბრალმდებელი ერთნაირი შეხედულებისა ვიქნებოდით, რომლის გადმოცემასა და გაშუქებას შეთანხმებულად შევძლებდით, იძულებული ვარ, ყოველ წუთში ვიძახო, ყველაფერი ასეა და ყველაფერი ასე არ არის-მეთქი. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ საქმის არსი სწორედ „ყველაფერი ასე არ არისაა".

დიახ, მართლაც შემზარავად დაიწყო ეს ამბავი.

იდგა გასული წლის ცხრამეტი ივნისის დილა – ის-ისაა მეექვსე საათი იწყებოდა, ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის როტმისტრის – ლიხარევის ახლად ამოწვერილი მზის სხივებით განათებულ სასადილო ოთახში კი უკვე ცხელოდა. მიუხედავად იმისა, რომ როტმისტრს ბინა ქალაქგარეთ განლაგებულ ჰუსართა ყაზარმების ერთ-ერთ კორპუსში ჰქონდა, იქ მაინც სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. და აი ამ სიწყნარისა და, რაც მთავარია, ახალგაზრდობის გამო, როტმისტრს ფეხგაუნძრევლად ეძინა. მაგიდაზე ლიქიორის ბოთლები და ნახევრად შესმული ყავის ფინჯნები ელაგა. გვერდითა სასტუმრო ოთახში კიდევ ერთი ოფიცერი – შტაბ-როტმისტრი გრაფი კოშიცი იწვა, ხოლო კაბინეტში კორნეტ სევსკის ეძინა. ერთი

სიტყვით, სრულიად ჩვეულებრივი დილა და ჩვეულებრივი სურათი გახლდათ. მაგრამ ისე, როგორც ყოველთვის, როცა სრულიად ჩვეულებრივ ვითარებაში ხდება რაღაც სრულიად უჩვეულო, მით უფრო თავზარდამცემი, გასაოცარი და თითქმის დაუჯერებელი იყო ის, რაც ცხრამეტი ივნისის დილას როტმისტრ ლიხარევის ბინაში მოხდა. გამთენიის სამარისებურ მდუმარებაში კარზე უცებ ზარმა დაინკრიალა. ნინკარის კართან ფეხშიშველმა დენშჩიკმა ფეხაკრეფით მიირბინა, კარი გააღო და იმავე წუთს ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა:

– შინ არის?

მერე ისეთივე ხმაურით, ჩექმების მოურიდებელი ბრახაბრუხითა და დეზების წკარუნით სტუმარმა სასადილოს კარი ყურთამდე გამოაღო და ოთახში შეიჭრა. ხმაურზე ჯერ ისევ ძილბურანში მყოფმა როტმისტრმა თავი გაოცებულმა ნამოყო. მის წინ მისი პოლკელი ამხანაგი – გამხდარი, ქერა, სახედაჭორფლილი, წვრილკანჭება ახალგაზრდა კაცი – კორნეტი ელაგინი იდგა, ძალზე კოხტად, საუცხოოდ გამოწყობილი, რაც, როგორც თვითონვე იცოდა თქმა, მის ყველაზე სუსტ მხარეს წარმოადგენდა. კორნეტმა ზაფხულის ფარაჯა სასწრაფოდ გაიძრო, იქვე სკამზე მიაგდო, აი, ჩემი სამხრეებიო! – ხმამაღლა წარმოთქვა, მერე მოპირდაპირე კედელთან მდგარ დივანთან მივიდა, ჩაჯდა, ზურგით მიეყრდნო და ხელები თავქვეშ ამოიწყო.

– მოიცა, მოიცა,– ჩაიბურდღუნა გაოცებისაგან თვალებგაფართოებულმა როტმისტრმა, – საიდან მოდიხარ ან რა მოხდა, რა ჩაიდინე?

– მანია მოვკალი, – თქვა ელაგინმა.

– მთვრალი ხომ არა ხარ, ვინ მანია, რა მანია?!

– მსახიობი მანია ოსიფოვნა სოსნოვსკაია.

როტმისტრი დივანზე დაეშვა:

– შენ რა, ხუმრობ?

– ვაი რომ, სამწუხაროდ, არა, ანდა იქნებ საბედნიეროდაც...

– რომელი ხარ მანდ, რა იყო, რა მოხდა? – გამოსძახა სასტუმრო ოთახიდან გრაფმა.

ელაგინი გაიზმორა, კარს ფეხი მსუბუქად ნაჰკრა და შეაღო.

– რას ღრიალებ! მე ვარ, ელაგინი ვარ, მანიას რევოლვერი ვესროლე.

– რა? – თქვა გრაფმა, წუთით იყუჩა და უცებ ახარხარდა, – აჰ, აი, თურმე, რა! ეშმაკსაც წაულიხარ! ამჯერად გეპატიება... კიდევ კარგი, გამაღვიძე, წუხელაც სამ საათამდე ვიქეიფეთ.

– გეფიცები, მოვკალი, მართლა მოვკალი! – დაჟინებით გაიმეორა ელაგინმა.

– ტყუი, ძმაო, ტყუი! – დაიყვირა სახლის პატრონმაც და წინდები აიღო, – რაიმე ისეთი ხომ არ მოხდა-მეთქი, ლამის მართლა შემეშინდა. ეფრემ, ჩაი მოიტანე!

ელაგინმა შარვლის ჯიბიდან რაღაც პატარა გასაღები ამოიღო, მხარს უკან მაგიდაზე ისროლა და თქვა:

– წადით, თქვენი თვალით ნახეთ...

სასამართლოზე პროკურორმა ბევრი ილაპარაკა ამ დრამის ცინიზმსა და შემზარაობაზე და ამ სცენასაც არაერთხელ გაუსვა ხაზი დაბეჯითებით. ის კი დაავიწყდა, როტმისტრმა ლიხარევმა მხოლოდ პირველ წუთებში რომ ვერ შეამჩნია ელაგინის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზებუნებრივი" ფერმიხდილობა თუ მისი თვალების როგორიღაც „არაადამიანური" გამომეტყველება, მხოლოდ მოგვიანებით „დარჩა გაოცებული ერთითაც და მეორითაც"...

2

ასე და ამგვარად, აი რა მოხდა გასული წლის ცხრამეტ ივნისს, დილას.

ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ გრაფი კოშიცი და კორნეტი უკვე იმ სახლის სადარბაზოს წინ იდგნენ, სადაც სოსნოვსკაია ცხოვრობდა – ახლა ისინი უკვე ხუმრობის ხასიათზე აღარ იყვნენ.

გზაში ისე ჩქარობდნენ, მეეტლეს ლამის სული ამოხადეს. ადგილზე მოსულები კი ღია ეტლიდან სულ თავპირისმტვრევით

გადმოცვივდნენ. გასაღებს კარში სჩრიდნენ და თან დაჟინებით რეკავდნენ, მაგრამ ვერც გასაღებს არგებდნენ და არც შიგნიდან ისმოდა რაიმე ჩამიჩუმი. ბოლოს მოთმინებადაკარგულებმა მეეზოვეს დაუწყეს ძებნა. მეეზოვე უკანა შესასვლელი კარიდან მაშინვე სამზარეულოში შევარდა და, უკან რომ დაბრუნდა, ასე თქვა: მოსამსახურემ, სოსნოვსკაიას ნუხელ ღამე შინ არ გაუთენებია, ახალი შეღამებული იყო, სახლიდან რომ გავიდა, ხელში რაღაც შეხვეული ეჭირაო. გრაფი და კორნეტი საგონებელში ჩაცვივდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს შეფიქრიანებულებმა მხრები აიჩეჩეს, ეტლში ჩასხდნენ, მეეზოვე გვერდით მოისვეს და ნაწილისაკენ გასწიეს. ნაწილში რომ მივიდნენ, როტმისტრ ლიხარევს დაურეკეს, როტმისტრმა ყურმილში ცოფიანივით იყვირა:

– ამ იდიოტს, რომელსაც მზად ვარ, ერთი მაგრად ვუღრიალო, დაავიწყდა ეთქვა, სოსნოვსკაიას ბინაში კი არა, მათ სასიყვარულო ბუნაგში – სტაროგრადის თოთხმეტ ნომერში უნდა მისულიყავით, გესმით, სტაროგრადის თოთხმეტში! ეს რაღაც პარიზული საგარსონიეროსავითაა, შესასვლელი პირდაპირ ქუჩიდან აქვს...

მათ მაშინვე სტაროგრადის ქუჩისაკენ გასწიეს.

მეეზოვე კოფოზე დაჯდა, საპოლიციო უბნის უფროსი კი ეტლში ოფიცრების წინ, მოპირდაპირე მხარეს მოთავსდა. იჯდა თავისთვის დინჯად, თავშეკავებულად, სიცხით გათანგული ქუჩები ხალხითა და ხმაურით იყო სავსე. აბა, ვინ წარმოიდგენდა, ამ მზით გაჩახჩახებულ, ხალისიან დილას სადღაც ვიღაც მკვდარი ინვებოდა და ეს საშკა ელაგინის ნამოქმედარი იქნებოდა. ეს აზრი გონებას ბინდავდა და ჩიხში გიმწყვდევდა. რისთვის, როგორ, რატომ მოკლა? ეს ყველაფერი სრულიად გაუგებარი იყო, ყველა ეს კითხვა უპასუხოდ რჩებოდა.

ბოლოს, როდესაც სტაროგრადის ქუჩაზე ძველი, უღიმღამო ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდნენ, გრაფიცა და კორნეტიც, როგორც შემდეგ თვითონვე ამბობდნენ, ისე იყვნენ დამფრთხლები, „აღარაფრის თავი აღარ ჰქონდათ“. ნუთუ ეს ყველაფერი აქ, ამ

სახლში, მოხდა, ნუთუ ასე გარდაუვალი იყო ამ საშინელების ხილვა? თან მაინც ასე მოუთმენლად გული აქეთ რატომ მოუწევდათ, ასე რატომ უნდოდათ ენახათ? სამაგიეროდ უბნის რწმუნებულმა მკაცრი იერი მიიღო და თავი ერთბაშად მხნედ და დაჯერებულად იგრძნო.

– თუ შეიძლება გასაღები მომეცით, – თქვა მან გულგრილად. ამ სიტყვებზე ოფიცრებმა გასაღები ისე სასწრაფოდ, ისე მორჩილად და მოწინებით გადასცეს, როგორც ამას, ალბათ, მეეზოვეც არ იზამდა.

სახლს შუაში ჭიშკარი ჰქონდა. ჭიშკარს იქით პატარა ეზო და არაბუნებრივად ხასხასა, მწვანედ შემოსილი მომცრო ხე მოჩანდა. ფოთოლთა ეს არაბუნებრივი სიმწვანე შეიძლება ქვის ჩაშავებული კედლების ფონზე ჩანდა ასეთი. ის იდუმალებით მოცული კარი, რომლის გაღებასაც ცდილობდნენ და რომელიც პირდაპირ ქუჩაში გადიოდა, სწორედ ამ ჭიშკრის მარჯვნივ იყო. კუშტად ნარბშეკრულმა უბნის რწმუნებულმა კარს გასაღები მოარგო და შეხსნა. გრაფისა და კორნეტის თვალწინ რაღაც ჩაბნელებული დერეფნისმაგვარი გამოჩნდა. ოთახის სიღრმეში, ორ სავარძელს შუა მდგარ პატარა მაგიდაზე, ხილისა და ხორცის ნარჩენებით სავსე თეფშები ელაგა. კიდევ უფრო სევდის მომგვრელი იყო ის, რაც ბინაში ღრმად შესულებს წარმოუდგათ თვალწინ. დერეფნის მარჯვენა კედელზე მეზობელ ოთახში გასასვლელი პატარა კარი აღმოჩნდა. ასევე სრულიად ჩაბნელებულ ოთახს სამარისებურ შუქს ჰფენდა ჭერში ჩამოკიდებული შავი აბრეშუმის დიდი ქოლგის ქვეშ მიმაგრებული ოპალის პატარა ფარანი. ყრუ, უფანჯრო კედლებზე რაღაც შავი ქსოვილი იყო გაჭიმული. აქაც, ისევე როგორც წინა ოთახის სიღრმეში, დიდი და დაბალი თურქული დივანი იდგა. დივანზე პერანგის ამარა ესვენა მკერდზე თავჩამოგდებული, იშვიათი სილამაზის სრულიად ახალგაზრდა ქალი, თვალები ნახევრად ღიად ჰქონდა დარჩენილი, ბაგე – ოდნავ გაპობილი, კიდურები დაჭიმული, ფეხები ოდნავ გან-განზე განეული – ინვა და მისულებს თეთრად შემოჰქათქათებდა სიბნელიდან.

ოთახში შესულები ნამით შიშისა და გაოცებისაგან ადგილზე გახევდნენ.

3

მიცვალებულის სილამაზე მართლაც რომ ენით აუწერელი იყო. იგი ყოველმხრივ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც, მაგალითად, ახალგაზრდა მხატვრები მისდევენ თავიანთი იდეალური ქალის დასახატად. ამ ქალს ყველაფერი ჰქონდა, თუ რამ ჯერ არს – შესანიშნავი აღნაგობა, კანის საუცხოო ტონი, ჩამოქანდაკებული ფეხები, ბავშვურად გულუბრყვილო ბაგეთა სიტურფე, პატარა, სწორნაკვთებიანი სახე თუ საუცხოო თმა... მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მკვდარი იყო და მისი ეს სილამაზე სიკვდილს კიდევ უფრო თავზარდამცემს ხდიდა. თმა ისე ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი, სამეჯლისოდ გამზადებული გეგონებოდა. თავი დივნის ამაღლებულ სასთუმალზე ედო, რის გამოც ნიკაპი ოდნავ მკერდს ეხებოდა და მის უმოძრაო, ნახევრად ღიად დარჩენილ თვალებსა და მთელ სახეს შეფიქრიანებულ იერს აძლევდა. ყოველივე ამას უცნაურ შუქს ჰფენდა მიცვალებულის თავს ზემოთ ჩამოკიდებული ოპალის პატარა ფარანი, რომელიც მტაცებელი ფრინველის მსგავსი უზარმაზარი შავი ქოლგის ფსკერზე იყო მიმაგრებული.

ამ სურათმა თვით პოლიციის უბნის რწმუნებულიც კი შეძრა. ამის შემდეგ ისინი გაუბედავად და კრძალვით შეუდგნენ ქალის უფრო გულდასმით დათვალიერებას.

მშვენიერი შიშველი მკლავები მიცვალებულს სხეულის ჩასწვრივ ჰქონდა ჩაჭიმული. ღამის პერანგის მაქმანზე ელაგინის ორი სავიზიტო ბარათი, ხოლო ფერხთით ჰუსარის ხმალი ედო, რომელიც მისი ქალური სიშიშვლის გვერდით საოცრად მოუხეშავი ჩანდა. იქნებ სისხლის რაიმე ნაკვალევი აჩნდესო, – გაიფიქრა გრაფმა და ხმლის ქარქაშიდან ამოძრობა დააპირა, მაგრამ უბნის რწმუნებულმა ამ უკანონო და უაზრო ქმედების უფლება არ მისცა.

– ჰო, რა თქმა უნდა, ჯერ ხელის ხლება არ შეიძლება! მე ის მაოცებს, სისხლის ნაკვალევსა და რაიმე ძალადობის ნიშანს რომ ვერსად ვხედავ, როგორც ჩანს, მოწამლული უნდა იყოს.

– იქონიეთ მოთმინება, – უთხრა დამრიგებლური კილოთი უბნის რწმუნებულმა, – აი, მოვლენ გამომძიებელი და ექიმი და ვნახოთ... ისე, თითქოს, ჰგავს მოწამლულს.

მოწამლულს კი მართლაც ჰგავდა, ვინაიდან სისხლის ერთი წვეთიც არსად ჩანდა – არც იატაკზე, არც დივანზე, არც სხეულსა და არც მიცვალებულის პერანგზე. დივნის გვერდით, სავარძელზე, ქალის პანტალონი და პენუარი, ხოლო მათ ქვეშ ცისფერი ბლუზა, ძალიან ძვირფასი ქსოვილის ქვედაკაბა და ნაცრისფერი აბრეშუმის მანტო იდო... ეს ყველაფერი დაუდევრად იყო მიყრილი და არც ამ ტანსაცმელს აჩნდა სისხლის რაიმე ნაკვალევი. მოწამვლის აზრს ისიც განამტკიცებდა, რაც დივანს ზემოთ, კედლის შვერილზე აღმოჩნდა – შამპანურის ბოთლებსა და საცობებს, ქალის თმის სარჭებს, ხელნაწერი ქაღალდის ნაგლეჯებს შორის იდგა ლუდის ნარჩენიანი ჭიქა და თეთრიარლიყიანი წამლის პატარა შუშა ავბედითი წარწერით – „Op Pulw“.

მაგრამ ზუსტად იმ წუთებში, როდესაც პოლიციის უბნის რწმუნებული, გრაფი და კორნეტი ამ ლათინურ სიტყვებს რიგრიგობით ჩაჰკირკიტებდნენ, ქუჩიდან მოახლოებული ეკიპაჟის ხმაური მოისმა – ეკიპაჟში ექიმი და გამომძიებელი ისხდნენ. და აი, სულ რაღაც ორიოდე წუთში მათ უკვე იცოდნენ, რომ ელაგინი მართალს ამბობდა, რომ სოსნოვსკაია მართლაც რევოლვერით იყო მკვდარი. მართალია, ღამის პერანგს სისხლის ნაკვალევი არ აჩნდა, მაგრამ გულის მიდამოში, პერანგის ქვეშ, ქალს მეწამული ლაქა და ამ ლაქის შუაგულში კანშემომწვარი პატარა მრგვალი ჭრილობა აღმოაჩნდა, საიდანაც ჯერ კიდევ ჟონავდა მუქი , მეწამული სისხლი. და თუ არაფერი ისერებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭრილობა დაჭმუჭნული ცხვირსახოცით იყო დაგმანული...

კიდევ რა დაადგინა სამედიცინო ექსპერტიზამ? არცთუ ისე ბევრი რამ – ის, რომ მიცვალებულს მარჯვენა ფილტვში

ტუბერკულოზის ნიშნები აღმოაჩნდა, რომ ტყვია მიბრჯნით ჰქონდა ნასროლი და რომ იგი სროლისთანავე გარდაიცვალა. რომ გასროლის შემდეგ ქალმა მაინც მოასწრო ერთი მოკლე ფრაზის წარმოთქმა, რომ მკვლელსა და მოკლულს შორის არავითარი ბრძოლა და წინააღმდეგობა არ ყოფილა, რომ ქალმა შამპანური დალია და ლუდთან ერთად მცირეოდენი (ცხადია, არასასიკვდილო) ოპიუმიც მიიღო. და ბოლოს ის, რომ ამ საბედისწერო ღამეს ჰქონდა სქესობრივი კავშირი მამაკაცთან...

მაგრამ რატომ, რის გამო მოკლა კორნეტმა ეს ქალი? ამ კითხვის პასუხად ელაგინი დაჟინებით იმეორებდა: იმიტომ, რომ ორივენი – მეც და სოსნოვსკაიაც „ტრაგიკულ მდგომარეობაში" ვიყავით, რომ ამ მდგომარეობიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავდით, გარდა სიკვდილისა, რომ სოსნოვსკაიას მოკვლით მხოლოდ ქალის ბრძანება შევასრულეო. თუმცა ამას თითქმის სრულიად ეწინააღმდეგებოდა გარდაცვლილის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი ბარათი. ეს იყო ქალის ხელით პოლონურად შევსებული (და საკმაოდ უნიგნურადაც) ორი სავიზიტო ბარათი, რომელიც მას გულზე უნახეს და რომელთაგანაც ერთ-ერთში ეწერა:

„გენერალ კონოვნიცინს, თეატრის მმართველობის თავმჯდომარეს. მეგობარო ჩემო! მადლობელი ვარ მთელი ამ რამდენიმე ნლის მანძილზე შენი ასეთი კეთილშობილური მეგობრობისათვის... გიგზავნი უკანასკნელ სალამს და გთხოვ, ფული, რომელიც ჩემი ბოლო გამოსვლისათვის მეკუთვნის, დედაჩემს გადასცე..."

მეორეში კი:

„მე რომ მომკლა, ეს კაცი სამართლიანად მოიქცა... საბრალო, უბედურო დედაჩემო! შენდობას არ გთხოვ, რამეთუ ჩემი სიკვდილი ჩემი ნება-სურვილით არ ხდება... დედა, ჩვენ ისევ ვნახავთ ერთმანეთს – იქ, მაღლა, ზეცაში... ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ბოლო საათებია..."

ასეთივე სავიზიტო ბარათებზე იყო დაწერილი სოსნოვსკაიას სხვა სიკვდილის წინა წერილებიც, რომლებიც შემდეგ საგულდაგულოდ დაეხიათ და ნახევები კედლის შვერილზე დაეყარათ...

ნაკუწ-ნაკუწად ქცეული წერილები რომ დაანებეს, ასეთი რამ ამოიკითხეს:

„ეს კაცი საკუთარი თავისა და ჩემს სიკვდილს მოითხოვს... ცოცხალი, ალბათ, აქედან ვეღარ გავალ..."

„ასე და ამგვარად, ჩემი აღსასრულის ჟამიც დადგა... ღმერთო, მიშველე... ახლა ყველა ჩემი ფიქრი, მთელი ჩემი გონება წმინდა ხელოვნებასა და დედაჩემს ეკუთვნის".

„ჩემ წინ უფსკრულია!.. ეს კაცი ჩემი ბედისწერაა!.. ღმერთო, მიშველე, გადამარჩინე!"

დაბოლოს, ყველაზე უცნაური და ამოუცნობელი:

„Quand memepour touiours..."[1]

ყველა ეს ბარათი და ისიც, რომელიც მიცვალებულს ხელუხლებლად ედო მკერდზე, ასევე კედლის შვერილზე დაყრილი ნაგლეჯებიც, თითქოს სრულიად ეწინააღმდეგებოდა ელაგინის მტკიცებას, მაგრამ მხოლოდ „თითქოს". რატომ არ იყო დახეული სოსნოვსკაიას გულზე დადებული ის ორი სავიზიტო ბარათიც, რომელთაგან ერთ-ერთზე ელაგინისათვის ესოდენ საბედისწერო სიტყვები – ჩემი სიკვდილი ჩემი ნება-სურვილით არ ხდებაო, – ეწერა? ელაგინმა არათუ დახია და ნაგლეჯები თან წაიღო, არამედ თვითონ დააწყო (ვინაიდან, თუ არა თვითონ, სხვას, აბა, ვის შეეძლო ამის გაკეთება?) ყველაზე გამოსაჩენ ადგილას! იქნება სიჩქარეში დახევა ვერ მოასწრო? სიჩქარეში, ცხადია, შეიძლება დავიწყებოდა კიდევაც, მაგრამ, როგორ მოხდა, სიჩქარეში თავისთვის ესოდენ სახიფათო ბარათები მიცვალებულის გულზე, ანუ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას რომ დააწყო? ანდა ვითომ ჩქარობდა კი? რა თქმა უნდა, არა, არ ჩქარობდა! ჯერ მიცვალებული მოიყვანა სრულ წესრიგში, პერანგი გაუსწორა, ჭრილობაში ცხვირსახოცი ჩაუჩურთა, მერე თვითონაც ჩაიცვა, გამოეწყო და მოწესრიგდა... დიახ, პროკურორი ამ

[1] და მაინც სამუდამოდ (ფრ.).

შემთხვევაში მართალი იყო – აჩქარებითა და ფაციფუცით აქ არაფერი გაკეთებულა.

4

პროკურორი ამბობდა:

– არსებობს ორი სახის დანაშაული. პირველი – შემთხვევითი, როდესაც ბოროტმოქმედება უბედურ გარემოებათა დამთხვევისა და გაღიზიანებულობის ნაყოფია და მეცნიერულად მას „ხანმოკლე შეშლილობა“ ეწოდება, მეორე – ბოროტმოქმედება, რომლის დროსაც დანაშაული წინასწარი ბოროტი განზრახვით ხდება. ამ სახის ბოროტმოქმედების ჩამდენნი დაბადებით საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მტრები, სისხლის სამართლის დამნაშავე მგლები არიან. მაინც რომელი სახის დამნაშავეებს უნდა მივაკუთვნოთ კაცი, რომელიც ახლა ჩვენ წინ, განსასჯელის სკამზე ზის? რა თქმა უნდა, მეორე სახისას. იგი, ეჭვი არ არის, სისხლის სამართლის დამნაშავე მგელია და ეს დანაშაული მხოლოდ იმ მიზეზით ჩაიდინა, რომ უსაქმური და აღვირახსნილი ცხოვრებისაგან მხეცად იყო ქცეული...

ეს ტირადა მეტისმეტად უცნაური გახლდათ (თუმცა კი გამოხატავდა მთელი ქალაქის საზოგადოებრივ აზრს ელაგინის შესახებ), მით უფრო უცნაური, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სასამართლო პროცესის მსვლელობისას იგი ან ხელზე დაყრდნობილი იჯდა, ან სახეზე ხელებაფარებული და ყველა კითხვას წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორიღაც გულისშემძვრელი მოკრძალებითა და სევდით პასუხობდა, მაგრამ, ამავე დროს პროკურორი თითქოს მართალიც გამოდიოდა, ვინაიდან განსასჯელის სკამზე ახლა არამც და არამც ჩვეულებრივი, „ხანმოკლე შეშლილობისაგან“ გონებაარეული დამნაშავე არ იჯდა.

პროკურორმა ორი კითხვა დასვა: პირველი – მოხდა თუ არა დანაშაული აფექტის მდგომარეობაში და მეორე – ამან ხომ არ შეუწყო ხელი უნებლიე მკვლელობას? მაგრამ ორივე ამ კითხვას თვითონვე გასცა დამაჯერებელი პასუხი.

– არა, – თქვა მან პირველი შეკითხვის პასუხად, – ყოველგვარ აფექტზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ აფექტი რამდენიმე საათს არასდროს გრძელდება. ან კი რას შეიძლება გამოეწვია ელაგინში ეს აფექტი?

მეორის საპასუხოდ პროკურორმა ათასგვარი წვრილმანი შეკითხვა დაუსვა თავის თავს, მაგრამ თავისი პასუხებით უმალ თავადვე აქარწყლებდა საკუთარ ვარაუდს, ის კი არა, ზოგჯერ დასცინოდა კიდევაც.

იქნებ ჩვეულებრივზე მეტი დალია ელაგინმა იმ საბედისწერო დღეს? არა, მართალია, საერთოდ ბევრს სვამდა, მაგრამ იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტი არ დაულევია.

არის თუ არა, ან იყო თუ არა განსასჯელი ჯანმრთელი? ვუერთდები იმ ექიმების აზრს, რომლებმაც გამოიკვლიეს და რომელთა აზრითაც, იგი იყო და არის სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ ეს არის კაცი, რომელიც არ არის მიჩვეული საკუთარი თავის მოთოკვას.

იქნებ აფექტი იმით იყო გამოწვეული, რომ მასა და მის საყვარელ ქალს შორის ქორწინება შეუძლებელი ხდებოდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ მას ნამდვილად უყვარდა ეს ქალი. არა, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, რომ განსასჯელს არასდროს უზრუნია, არავითარი გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა ეს ქორწინება შემდგარიყო.

და შემდეგ:

იქნებ იგი სოსნოვსკაიას საზღვარგარეთ მოსალოდნელმა გამგზავრებამ ჩააგდო აფექტში? არა, იმიტომ, რომ ქალის ამ გამგზავრების შესახებ მან უკვე დიდი ხანია იცოდა.

მაშინ, იქნებ, სოსნოვსკაიასთან მოსალოდნელი განხეთქილება იყო აფექტის მიზეზი, განხეთქილება, რომელიც ქალის გამგზავ-რებით იქნებოდა გამოწვეული? არა, არა და არა! ვინაიდან ამ გამგზავრების შესახებ მათ ადრეც არაერთხელ ჰქონიათ საუბარი. თუ ასეა, მაშ, რა იყო, ბოლოსა და ბოლოს, მკვლელობის მიზეზი? სიკვდილზე გამუდმებული საუბრები? ოთახების უცნაური

მორთულობა, მისი, ასე ვთქვათ, დამთრგუნველი სიმძიმე, ისევე, როგორც მთელი ამ ავადმყოფური, შემზარავი ღამისა? მაგრამ სიკვდილზე საუბარი შეუძლებელია ახალი ამბავი ყოფილიყო ელაგინისათვის – ასეთი საუბრები მასა და მის სატრფოს შორის განუწყვეტლივ იმართებოდა და, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ყელშიც ჰქონდა ამოსული. რაც შეეხება ოთახის დამთრგუნველობას, მასზე, უბრალოდ, სასაცილოც კია ლაპარაკი – იქ ყველაფერი სრულიად პროზაული იყო: ვახშამი, მაგიდაზე გაშლილი საჭმლის ნარჩენები, ბოთლები და უკაცრაული პასუხია, ღამის ჭურჭელიც კი...

ელაგინი ჭამდა, სვამდა, იკმაყოფილებდა თავის ბუნებრივ მოთხოვნილებებს, გადიოდა მეორე ოთახში ღვინისა თუ ფანქრის სათლელი დანისათვის.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა მის მიერ ჩადენილი მკვლელობა მიცვალებულის ნების აღსრულება, ამაზე დიდი და ხანგრძლივი მსჯელობა არ დაგვჭირდება, ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ ხელთა გვაქვს, ერთი მხრივ, ელაგინის დაუსაბუთებელი, ლიტონი მტკიცება, თითქოს სოსნოვსკაია თავად სთხოვდა, მოეკლა, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის სრულიად საბედისწერო სოსნოვსკაიას ბარათი – ჩემი სიკვდილი ჩემი ნება-სურვილით არ ხდებაო.

5

პროკურორს მრავალ წვრილმანში შეიძლება შევეკამათოთ. „განსასჯელი სრულიად ჯანმრთელი კაცია"... ამბობს იგი, მაგრამ სად არის საზღვარი ჯანმრთელობას, ნორმალურობასა და არანორმალურობას შორის? „არავითარი გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა ეს ქორწინება შემდგარიყო"... კი ბატონო, მაგრამ, არ გადადგა ეს ნაბიჯი ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი სრულიად დარწმუნებული იყო მის უაზრობაში, მეორეც – ნუთუ სიყვარული და ქორწინება ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ამით ელაგინი დამშვიდდებოდა და გადაჭრიდა თავისი სიყვარულის დრამას? განა ცნობილი არ არის, რომ ყოველგვარ ძლიერსა და,

საერთოდ, არცთუ მთლად ჩვეულებრივ სიყვარულს ერთი ასეთი უცნაური თვისება აქვს – იგი გაურბის, ხშირად თავს არიდებს ქორწინებას?

მაგრამ, ეს ყოველივე, როგორც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ წვრილმანია, დანარჩენ შემთხვევაში პროკურორი მართალი იყო – მკვლელობა არ მომხდარა აფექტის შედეგად.

იგი ამბობდა:

„სამედიცინო ექსპერტიზა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ელაგინი არათუ აფექტის მდგომარეობაში, პირიქით, „უფრო მშვიდადაც" იყოო. მე კი ვამტკიცებ – მხოლოდ მშვიდად კი არა, გასაოცრად მშვიდადაც კი. ამაში ჩვენ იმ დალაგებული ოთახის დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდით, სადაც დანაშაული მოხდა და სადაც ელაგინი დანაშაულის ჩადენის შემდეგაც კარგა დიდხანს დარჩა. ასეთივეა მონმე იაროშენკოს ჩვენებაც – მან თავისი თვალით ნახა, რა მშვიდად გამოვიდა ელაგინი სტაროგრადის ქუჩაზე მდებარე ბინიდან და რა აუჩქარებლად, საგულდაგულოდ დაკეტა კარი გასაღებით... დაბოლოს, ელაგინის საქციელი როტმისტრ ლიხარევთან. მაგალითად, რა უთხრა ელაგინმა სევსკის, რომელიც დაბეჯითებით სთხოვდა, „ჭკუაზე მოსულიყო", გაეხსენებინა, სოსლოვსკაიამ თვითონ ხომ არ ისროლა, თვითონ ხომ არ მოიკლა თავი? რაზედაც ელაგინმა უპასუხა: – არა, ძმაო, ყველაფერი შესანიშნავად მახსოვსო და, დაწვრილებით აღწერა, რევოლვერი როგორ ესროლა. მონმე ბუდბერგი შეძრწუნებულიც კი იყო, თავისი ამ აღსარების შემდეგ ელაგინი რა მშვიდად, აუღელვებლად შეექცეოდა ჩაის. მონმე ფოხტი კი პირდაპირ გაოცებული დარჩა, როცა ელაგინმა ირონიულადაც კი უთხრა – ბატონო შტაბ როტმისტრო, იმედი მაქვს, დღეს მეცადინეობიდან გამათავისუფლებთო... და ეს იმდენად შემზარავი, იმდენად თავზარდამცემი იყო, კორნეტმა სევსკიმ თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა!.. – თქვა ფოხტმა. თუმცა იყო წუთი, როდესაც ელაგინმაც იტირა – ეს მაშინ, როცა პოლკის მეთაურთან წასული როტმისტრი დაბრუნდა, რომელთანაც ელაგინის შესახებ ბრძანების თაობაზე იყო. ელაგინმა ლიხარევსა და ფოხტს სახეში

შეხედა და უმალ მიხვდა, ოფიცერი აღარა ვარო. დიახ, მხოლოდ მაშინ... მაშინ ატირდა ელაგინი... მხოლოდ მაშინ!" – დაამთავრა თავისი სიტყვა პროკურორმა.

ცხადია, მეტად უცნაური იყო მისი ეს ბოლო ფრაზაც. ვისთვის არ არის ცნობილი, თუ რაოდენ ხშირად ხდება მსგავსი უცაბედი გამოფხიზლება სიმწრით გაოგნებული ადამიანისა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, შემთხვევით თვალში მოხვედრილი რაღაცის გამო, რომელიც უცებ მთელ მის განვლილ, ბედნიერ ცხოვრებასა და ახლანდელ უიმედო მდგომარეობას გაახსენებს? ხოლო ელაგინი ოფიცრად იყო დაბადებული, ვინაიდან მისი წინაპრების მთელი ათი თაობა ოფიცრები იყვნენ. და აი, უცებ აღმოჩნდა, რომ ის უკვე ოფიცერი აღარ არის და აღარ არის იმიტომ, რომ აღარც ის ადამიანია ცოცხალი, ვინც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, და რომ მის ამ სასწაულებრივ სიკვდილში თავად ედო წილი!

სხვათა შორის, ესეც მხოლოდ წვრილმანია. მთავარი ისაა, რომ არავითარი „ხანმოკლე შეშლილობა" არ ყოფილა. მაშინ რა მოხდა? პროკურორი გამოტყდა, რომ ამ ბნელ საქმეში ყველაფერი მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც ელაგინისა და სოსნოვსკაიას ხასიათებზე ექნებათ მსჯელობა და როდესაც მათ ურთიერთობას გაარკვევენ.

შემდეგ კი მტკიცედ დასძინა:

„შეხვდა ორი პიროვნება, რომელთაც სრულიად არაფერი ჰქონდათ საერთო..."

მაგრამ, განა მართლა ასე იყო? იყო მართლა ეს ასე?

6

ელაგინის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი იმას, რომ იგი ოცდაორი წლის ყმაწვილი კაცი იყო და რომ ადამიანის ცხოვრებაში ეს არის ყველაზე საბედისწერო ასაკი, ყველაზე საშინელი ხანა, მთელი მისი მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელი, როდესაც, როგორც წესი, ხდება ის, რასაც სამედიცინო ენაზე

სქესობრივი მომწიფება ეწოდება; ხანა, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში შემოდის პირველი სიყვარული, რასაც მუდამ პოეტურად, საერთოდ კი, ყოველთვის ქარაფშუტულად განიხილავენ. კარგად არის ცნობილი, რომ პირველ სიყვარულს ხშირად თან დრამატიზმი და ტრაგიზმი ახლავს, მაგრამ სრულიად არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ადამიანებს ამ ასაკში გაცილებით ღრმა, გაცილებით რთული განცდები აქვთ, ვიდრე ის ტანჯვა და მღელვარებაა, რასაც, ჩვეულებრივ, საყვარელი არსებისადმი თაყვანისცემას უწოდებენ. ამ დროს, ისე რომ, თავადაც არ იციან, განიცდიან სხეულის საოცარ აყვავებას, განიცდიან მტანჯველ აღმოჩენას – სქესის პირველ მესას და, მე რომ ელაგინის დამცველი ვყოფილიყავი, მოსამართლეს ვთხოვდი, მისი ასაკისათვის ყურადღება სწორედ ამ თვალთახედვით მიექცია. და კიდევ იმისთვის, რომ ჩვენ წინ იჯდა კაცი, სრულიად გამორჩეული ამ მხრივ. „ახალგაზრდა ჰუსარი, შმაგი დარდიმანდი", – ამბობს პროკურორი, იმეორებს რა საერთო აზრს და თავისი ნათქვამის სისწორის დასტურად მოჰყავს ერთ-ერთი მოწმის – მსახიობ ლისოვსკის სიტყვები იმის შესახებ, თუ ერთხელაც ელაგინი როგორ მივიდა დღისით-მზისით თეატრში, როდესაც მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ, მის დანახვაზე სოსნოვსკაია უცებ ლისოვსკის ზურგს როგორ ამოეფარა და აჩქარებით როგორ უთხრა: დამმალე, რა, ბიძია, დამმალე, არ დამინახოსო! მართლაც, ჩამოვეფარე, – ჰყვებოდა ლისოვსკი, – ღვინით გამობრუჟული ჰუსარი კი ერთ ადგილას გაშეშდა – დგას აქეთ-იქეთ ფეხებგადგმული და გაოგნებული იყურება, ვერ გაუგია, რა იქნა, სად გაუჩინარდა ეს სოსნოვსკაია!"

კაცი მართლაც ჭკუაზე აღარ არის, შეშლილი და გადარეულია, ოღონდ, საკითხავია, რისგანაა ასე შეშლილი და გადარეული? ნუთუ მართლა უსაქმური, აღვირახსნილი ცხოვრებისაგან?

ელაგინს, მდიდარი, დიდგვაროვანი ოჯახის შვილს, დედა, მეტად ეგზალტირებული, მგზნებარე ბუნების ქალი, ძალზე ადრე გარდაეცვალა. მკაცრი, სასტიკი მამისაგან კი, უპირველეს ყოვლისა, ის შიში აშორებდა, რომელშიც გაიზარდა და დავაჟკაცდა. პროკურორმა თამა-

მად (ყოველგვარი მორიდებისა და გულშემატკივრობის გარეშე) დახატა ელაგინის არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ ფიზიკური ხატიც და დასძინა:

– ასეთი გახლავთ, ბატონებო, ჰუსარის თვალწარმტაც ტანსაცმელში გამონყობილი ჩვენი გმირი, მაგრამ, აბა, შეხედეთ, ახლა, როდესაც უკვე აღარაფერი ამკობს და ამშვენებს, თქვენ წინაშეა დაბალი, მხრებში მოხრილი, პატარა, ულვაშგამოხუნებული, არაფრის მთქმელი სახის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ თავისი შავი სერთუკით სულაც არ მოგვაგონებს ოტელოს! ესე იგი, ესაა პიროვნება, ჩემის აზრით, მკვეთრად გამოხატული დეგენერაციული თვისებებით და ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურესად ლაჩარიც, მაგალითად, მამასთან დამოკიდებულებაში. იგი მხოლოდ მაშინაა გაბედული და ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული, როდესაც მამის მკაცრ მზერას არ გრძნობს და დარწმუნებულია, რომ არავინ დასჯის.

რას იზამ, პროკურორის ამ უკმეხ, მკაცრ დამოკიდებულებაში ბევრი რამ იყო მართალი, მაგრამ პირადად მე, მის ამ სიტყვებს რიმ ვისმენდი, ჯერ ერთი, ვერ გავიგე, როგორ შეიძლებოდა ასე ზერელედ მოჰკიდებოდა ყოველივე იმ მეტად რთულსა და ტრაგიკულს, რითაც ხშირად გამოირჩევიან მემკვიდრეობითობის ეს მკვეთრად მატარებელი ადამიანები. მეორეც – მიუხედავად ყველაფრისა, ძალზე მცირე სიმართლეს ვხედავდი მის ამ „სიმართლეში". დიახ, ელაგინი თრთოდა მამის წინაშე, მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო შიშის თრთოლვა და სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მშიშარა კაცი გახლდათ! განსაკუთრებით მშობლის წინაშე, განსაკუთრებით ისეთი ადამიანისათვის, რომელშიც გასამმაგებულად იგრძნობა მთელი ის მემკვიდრეობა, რომელიც მას მამა-პაპასა და მთელ თავის წინაპრებთან აკავშირებს. დიახ, ელაგინის გარეგნობა არ არის ჰუსარის კლასიკური გარეგნობა, მაგრამ მე ესეც მისი ბუნების განსაკუთრებულობის დასტურად მიმაჩნია: აბა დააკვირდით, აბა შეხედეთ-მეთქი, – ვეტყოდი პროკურორს, – ამ ქერა, მხრებში მოხრილ, თხელკანჭება კაცს და თქვენ ალბათ შეგეშინდებათ, როდესაც დაინახავთ, თუ რაოდენ

შორს დგას ეს ნვრილფეხება, მწვანეთვალება, ჭორფლიანი სახის ადამიანი არაფრის მთქმელობისა და უმნიშვნელოვნებისაგან. და შემდეგ – დააკვირდით, ყურადღება მიაქციეთ მის დეგენერაციულ ძალას: მკვლელობის დღეს იგი, ცხადია, დილიდანვე სამხედრო ვარჯიშზე იყო და, მიუხედავად იმისა, საუზმეზე ექვსი სირჩა არაყი, ერთი ბოთლი შამპანური, ორი ჭიქა კონიაკი ჰქონდა დალეული, სიმთვრალისა თითქმის არაფერი შესტყობია.

7

საზოგადოების დაბალ წარმოდგენას ელაგინზე მრავალი მისი თანაპოლკელი ამხანაგის ჩვენებაც ეწინააღმდეგებოდა – ყველანი მას საუკეთესოდ იხსენიებდნენ. აი, რა შეხედულებისა იყო, მაგალითად, ესკადრონის მეთაური:

„მას შემდეგ, რაც პოლკის წევრი გახდა, ელაგინმა შესანიშნავად გამოავლინა თავი ოფიცრებს შორის. იგი მუდამ კეთილი, მზრუნველი და სამართლიანი იყო დაბალი ჩინის ოფიცრების მიმართ. მხოლოდ ერთი თვისებით – გაუწონასწორებელი ხასიათით გამოირჩეოდა და ესეც მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მხიარული განწყობიდან უცებ მელანქოლიაში ვარდებოდა. ერთ წუთს სიტყვამრავალი და ხალისიანად მოსაუბრე უცებ დადუმდებოდა, ლაღსა და თავდაჯერებულს ერთბაშად თავისი თავის, თავისი ღირსებებისა და თავისი ბედისადმი სრული უნდობლობა ეუფლებოდა...“

ასეთივე გახლდათ როტმისტრ ლიხარევის აზრიც:

„ელაგინი ყოველთვის კეთილი და საუკეთესო ამხანაგი გახლდათ, ოღონდ ცოტა უცნაურობებიც სჭირდა – ხან მეტად მოკრძალებული, მორცხვი და გულჩახვეული იყო, ხან კი ნამდვილი თავზეხელაღებული დარდიმანდი. როდესაც ჩვენთან სოსნოვსკაიას მკვლელობის შესატყობინებლად მოვიდა და სევსკი და კოშიცა სტაროგრადის ქუჩაზე გაიქცნენ, ხან გულამოსკვნით ტიროდა, ხან გესლიანად, გადარეულივით ხარხარებდა. ხოლო როდესაც დააპატიმრეს

და ციხეში მიჰყავდათ, შმაგი ღიმილით რჩევას გვეკითხებოდა, სამოქალაქო ტანსაცმელი რომელ მკერავს შევაკერინოო...“

გრაფი კოშიცა:

„ელაგინი, საერთოდ, ნაზი, მხიარული კაცია, ნერვიული, შთაბეჭდილებიანი, ხანდახან ბავშვურად აცელქებულიც კი, თეატრსა და მუსიკაზე შეყვარებული – მუსიკას ზოგჯერ ცრემლებამდეც კი მიჰყავდა. თვითონაც მუსიკის დიდი ნიჭი აქვს – ის ხომ თითქმის ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავს!...“

დაახლოებით იგივე თქვეს დანარჩენმა მოწმეებმაც:

„დიდი გატაცების კაცია, მაგრამ, ასე მგონია, სულ რაღაცას ელოდება, რაღაც ნამდვილსა და განსაკუთრებულს..“

„ამხანაგურ წვეულებებზე არაჩვეულებრივად მხიარული და როგორღაც საყვარლად მომაბეზრებელიც კი იყო, შამპანურს ყოველთვის ყველაზე მეტს მოატანინებდა და, ვინც მოხვდებოდა, ყველას უმასპინძლდებოდა... მას შემდეგ, რაც სოსნოვსკაიას დაუკავშირდა, რომლის სიყვარულსაც ასე გულმოდგინედ მალავდა, სრულიად შეიცვალა – ხშირად სევდიანი და დაფიქრებული დადიოდა, ამბობდა, აუცილებლად თავი უნდა მოვიკლაო...“

ასეთია იმ ადამიანების შეხედულება ელაგინის შესახებ, რომელთაც მასთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ. სასამართლოზე ვიჯექი და ვფიქრობდი, ნეტავი საიდან მოიტანა პროკურორმა მისი პორტრეტის დასახატავად ესოდენ შავი საღებავები-მეთქი? ანდა იქნებ რაიმე სხვა ცნობები ჰქონდა მის შესახებ? არა, არავითარი სხვა ცნობები მას არ ჰქონია – იყო მხოლოდ ვარაუდი. ამგვარი დახასიათებისათვის იგი „ოქროს ახალგაზრდობაზე“ საერთო განწყობილებამ და იმან განაწყო, რაც სასამართლოს განკარგულებაში არსებული, ელაგინის მიერ თავისი მეგობრისადმი კიშინიოვში მიწერილი ერთადერთი წერილიდან შეიტყო. ამ წერილში ელაგინი სრულიად მოურიდებლად ლაპარაკობს საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე.

„... მე, ძმაო, იქამდე მივედი, რომ ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილი გავხდი. ყველაფერი... ყველაფერი სულერთია

ახლა ჩემთვის, დღეს კარგად ვარ, ჰოდა, მადლობა ღმერთს, მიმიფურთხებია, ხვალ როგორ და რა იქნება. დაე, ხვალემ იზრუნოს ხვალისა. ისეთი სახელი, ისეთი რეპუტაცია მოვიპოვე, უკეთესი არ იქნება – მთელ ქალაქში ყველას პირველ ლოთად და პამპულად მივაჩნივარ...“

ასეთი თვითშეფასება თითქოს ეხამებოდა პროკურორის მჭევრმეტყველებას: „ტკბობისათვის ცხოველურ ბრძოლაში ელაგინმა ქალი, რომელმაც ყველაფერი მისცა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოაჭენა და არა მარტო სიცოცხლე წაართვა, არამედ ქრისტიანული დაკრძალვის უკანასკნელი პატივიც მოუსპო...“ მაგრამ ეხამებოდა კი ნამდვილად? რა თქმა უნდა, არა! წერილიდან პროკურორმა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ამოიღო, მთლიანობაში კი წერილი ასეთი გახლდათ:

„ძვირფასო სერგეი, მივიღე შენი წერილი და, მართალია, მოგვიანებით გპასუხობ, მაგრამ, რას იზამ. ამ წერილს რომ დახედავ, ალბათ გაიფიქრებ – აი, ნაჯღაბნიც ამას ჰქვია, გეგონება სამელნეში ბუზი ჩავარდნილა და მელანში ამოსვრილს ამ ქაღალდზე უცოცავსო!...

რა გაეწყობა, ხელნაწერი, როგორც იტყვიან, სარკე თუ არა, გუნება-განწყობილების ანარეკლი მაინცაა. მე, ჩემო ძმაო, როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი მცონარა და არაფრის მაქნისი ვარ, უფრო მეტიც – უარესი... წელიწად-ნახევრის დამოუკიდებელმა ცხოვრებამ და კიდევ სხვა ათასმა რამემაც თავისი დაღი დამასვა. არის, ძმაო, რაღაც, რასაც თვით სოლომონ ბრძენიც ვერ გამოხატავს სიტყვებით! ჰოდა, ნუ გაგიკვირდება, ერთ მშვენიერ დღესაც თუ გაიგებ, შუბლში ტყვია დაიხალაო. მე, ძმაო, იქამდე მივედი, რომ ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილი გავხდი. ყველაფერი... ყველაფერი სულერთია ახლა ჩემთვის, დღეს კარგად ვარ, ჰოდა, მადლობა ღმერთს, მიმიფურთხებია, ხვალ როგორ და რა იქნება. დაე, ხვალემ იზრუნოს ხვალისა. ისეთი სახელი, ისეთი რეპუტაცია მოვიპოვე, უკეთესი არ იქნება – მთელ ქალაქში ყველას პირველ ლოთად და პამპულად მივაჩნივარ, თან, არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა – ზოგჯერ სულში ისეთ

ძალას, ისეთ ტანჯვას, ისეთ სწრაფვას ვგრძნობ ყოველივე კარგის, ამაღლებულის და კიდევ, ღმერთმა უწყის, რისადმი, რომ გული მეფლითება. შენ მეტყვი, ესეც ისევ სიჭაბუკის ბრალიაო, მაგრამ, თუ ასეა, რატომ სხვა ჩემი ტოლებიც არ გრძნობენ რაიმე ამდაგვარს? ვერ წარმოიდგენ, რა ნერვიული გავხდი. ხანდახან წამოვხტები შუაღამისას ზამთრის ქარბუქსა და სიცივეში, მოვახტები ბედაურს და დავძრწივარ ქალაქის ქუჩებში, ისე რომ, შენ წარმოიდგინე, თვით ქალაქის პოლიციელებსაც კი ვანცვიფრებ, ადამიანებს, რომლებიც ისე არიან ყველაფერს მიჩვეული, ვერაფრით გააკვირვებ. და, ხომ არ გგონია, ამ დროს მთვრალი ან ოდნავ ნასვამი მაინცა ვარ. მინდა რაღაც მოუხელთებელ ჰანგს მივსწვდე, ჰანგს რომელიც, ასე მგონია, სადღაც უკვე მომისმენია, მაგრამ – ამაოდ! რა გაეწყობა, შენ ერთს მაინც უნდა გამოგიტყდე, ჩემო ძმაო, რომ შეყვარებული ვარ... და ის ქალი, რომელიც შემიყვარდა, სრულიად... სრულიად არ ჰგავს იმ ქალებს, რომლებითაც სავსეა ქალაქი... ეჰ, რაც არის, არის, ძალიან გთხოვ, მომწერე, იცი შენ ჩემი მისამართი... გახსოვს, როგორ ამბობდი – რუსეთი, კორნეტ ელაგინსო...“

გასაოცარია, განა შეიძლებოდა, თუნდაც ამ ერთი... ერთადერთი წერილის წაკითხვის შემდეგაც კი ვინმეს ეთქვა – შეხვდა ორი პიროვნება, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთოო?

8

სოსნოვსკაია ნამდვილი წმინდა სისხლის პოლონელი იყო, ელაგინზე უფროსი – ოცდარვა წლის. მამამ, წვრილმა ჩინოვნიკმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით მაშინ დაამთავრა, როდესაც გოგონა ჯერ მხოლოდ სამი წლისა იყო. დედამ კარგა ხანს იარა ქვრივად, მერე გათხოვდა და ისევ ვიღაც ჩინოვნიკს გაჰყვა, მაგრამ მალე ხელმეორედ დაქვრივდა. როგორც ხედავთ, სოსნოვსკაია სრულიად ჩვეულებრივი, საშუალო ოჯახიდანაა, ამიტომაც მიკვირს, საიდან აქვს ეს უცნაური, ყველასაგან განსხვავებული სულიერი თვისებები, ან ეს დიდი გატაცება სცენისადმი, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ძალიან ადრე აღმოაჩნდა. ვფიქრობ, ამაში არც ოჯახი,

არც ის კერძო პანსიონია დამნაშავე, სადაც ის სწავლობდა. ისე კი უნდა ითქვას, რომ მართლაც ჩინებულად სწავლობდა და კითხვითაც ბევრს კითხულობდა. კითხვისას ხშირად იმ აზრებსა და გამონათქვამებს იწერდა, რომელიც მოსწონდა და, ცხადია, როგორც ყოველთვის ხდება მსგავს შემთხვევაში, იმ აზრებს საკუთარ თავს უკავშირებდა. ზოგჯერ შენიშვნასაც აკეთებდა, წერდა რაღაც დღიურის მსგავსსაც, ოღონდ, თუ შეიძლება დღიური ეწოდოს ქაღალდის იმ ნაგლეჯებს, რომელთაც ხშირად მთელი თვეობით არ ეკარებოდა და იშვიათად თუ გადმოაფრქვევდა ცხოვრებაზე თავის ოცნებასა და შეხედულებებს. ხანაც, უბრალოდ, მრეცხავის, მკერავის თუ სხვა ამგვარ ანგარიშებს იწერდა. მაინც, რა აინტერესებდა, რას ინერდა წიგნებიდან?

აი, რას:

„უპირველესი დიდი ბედნიერება ისაა, სულ არ დაიბადო, მეორე – რაც შეიძლება მალე დაუბრუნდე არყოფნას!"

ხომ შესანიშნავი აზრია!

„ო, რა მოსაწყენია ეს წუთისოფელი, რა მომაკვდინებლად მოსაწყენი... სული ჩემი სულ რაღაც არაჩვეულებრივისაკენ ისწრაფვის..."

„ადამიანისათვის მხოლოდ ის ტანჯვაა გასაგები, რომლის გამოც შეიძლება სიცოცხლესაც კი გამოესალმო". მიუსე.

„არა, არასოდეს გავთხოვდებიო, ამას ყველა ამბობს, მე კი ღმერთსა და სიკვდილს ვფიცავ, ნამდვილად არასდროს გავთხოვდები..."

„სიყვარული ან სიკვდილი... მაგრამ, სად არის ის კაცი, ვისაც მთელი სულითა და გულით შევიყვარებდი? არა, არ არის და არც შეიძლება იყოს! სიკვდილით კი, აბა, როგორ მოვკვდე, როცა ასე გიჟურად მიყვარს სიცოცხლე?"

„სიყვარულზე შემზარავი, მიმზიდველი და ამოუცნობი არც ცაშია არაფერი, არც მიწაზე..."

„დედა ამბობს, ფულისთვის გათხოვდი, ფულიან კაცს გაჰყევიო. ეს მე... მე უნდა გავთხოვდე ფულის გულისათვის? რაოდენ

არამინიერია სიტყვა სიყვარული, რაოდენ ჯოჯოხეთური და რაოდენ მშვენიერი, თუმცა მე არასდროს მყვარებია!"

„ადამიანად ყოფნა არ ღირს, არც ანგელოზად – ანგელოზებიც ხომ აღდგნენ ღმერთის წინააღმდეგ! ან ღმერთი უნდა იყო, ან არაფერი". კრასინსკი.

„ვის შეუძლია დაიკვეხოს, იმ ქალის სულში შევაღწევო? მთელი მისი სიცოცხლის ძალა ხომ იმისკენაა მიმართული, რაც შეიძლება ღრმად დამალოს თავისი სული". მიუსე.

პანსიონის დამთავრებისთანავე სოსნოვსკაიამ დედას განუცხადა: გადაწყვეტილი მაქვს, მთელი ჩემი სოცოცხლე ხელოვნებას შევწიროო. დედას, გულმოწყალე კათოლიკე ქალს, თავიდან იმის გაგონებაც არ სურდა, ოდესმე მისი ქალიშვილი მსახიობი გამხდარიყო, მაგრამ, ქალიშვილი ხომ იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ვისაც შეეძლო დამორჩილებოდა ვინმეს (ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი). მან ხომ დედას ადრევე ჩაუჭედა გონებაში, ჩემი სიცოცხლე, სიცოცხლე მარია სოსნოვსკაიასი, არ შეიძლება, ნეულებრივი და დიდებას მოკლებული იყოსო.

თვრამეტი წლისა იყო, ლვოვში რომ ჩავიდა და ჩასვლისთანვე ოცნება აისრულა – სცენაზე ადვილად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ავიდა და მოკლე ხანში ყველაზე გამორჩეულიც გახდა. მალე ხალხშიაც გაითქვა სახელი და თეატრალურ საზოგადოებაშიც ისეთი სერიოზული აღიარება ჰპოვა, რომ სამსახურის დაწყების სამი წლის თავზე ჩვენი ქალაქიდან მოწვევა მიიღო, მაგრამ თავის ბლოკნოტში ისევ ისეთივე ჩანაწერებს აკეთებს, როგორც ადრე:

„ყველა იმ ქალის შესახებ ლაპარაკობს, მის გამო ტირის და იცინის, მაგრამ იცნობს კი ვინმე, როგორც ჯერ არს?" მიუსე.

„დედა რომ არა, თავს მოვიკლავდი. ეს აზრი თავიდან არ ამომდის..."

„როდესაც ქალაქგარეთ მივდივარ, როდესაც ცას შევყურებ, ასე მშვენიერსა და უძიროს, ვერ გამიგია, რა ხდება ჩემს გულში – მინდა ვიყვირო, ვიმღერო, ლექსები ვთქვა, მინდა ვიტირო... მინდა შევიყვარო და მოვკვდე..."

„ჩემთვის მშვენიერ სიკვდილს შევარჩევ... ერთ პატარა ბინას ვიქირავებ და ვბრძანებ, მთელ კედელზე შავი ძაძა გააკრან. კედელს მიღმა მუსიკა დაუკრავს, მე კი ვიწვები უბრალო თეთრ კაბაში გამოწყობილი, მირიად ყვავილს შორის და ამ ყვავილების სურნელით მოვკვდები... ო, რა მშვენიერია, რა საუცხოოა!"

და შემდეგ:

„ყველას... ყველას ჩემი სხეული უნდა და არა ჩემი სული..."

„მე რომ მდიდარი ვიყო, მთელ ქვეყნიერებას შემოვივლიდი და ყველგან... ყველგან ვიღაცას შევიყვარებდი..."

„იცის კი ადამიანმა, რა სურს ან რას ესწრაფვის? დარწმუნებულია კი იმაში, რაზედაც ფიქრობს?" კრასინსკი.

დაბოლოს:

„არამზადა!"

მაინც ვინ იყო ის „არამზადა", რომელმაც ჩაიდინა ის, რაც არც ისე ძნელი გამოსაცნობია? ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი იყო და არ შეიძლება არ ყოფილიყო.

„უკვე ლვოვშივე, – თქვა მოწმე ზაუზემ, სოსნოვსკაიას ლვოველმა თანამშრომელმა, – სცენაზე გასასვლელად კი არ იცვამდა, უფრო იხდიდა, ყველა თავის ნაცნობსა და თაყვანისმცემელს სიფრიფანა პენუარში ჩაცმული ხვდებოდა, საიდანაც შიშველი კანჭები მოუჩანდა – მისი წვივების სილამაზეს ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ახალბედები. რა გიკვირთ, ჩემია, სხვისი ხომ არ არისო, – იტყოდა და მუხლისთავებს მოიშიშვლებდა. თან სულ იმას გიმტკიცებდა, სულ იმას გეფიცებოდა, ხშირად მწარედ აცრემლებულიც კი – არავინ, არავინ არ არის ჩემი სიყვარულის ღირსი, ჩემი ერთადერთი იმედი და გამოსავალი სიკვდილიაო..."

და აი, ერთხელაც გამოეცხადა ის ვიღაც „არამზადა", ვისთან ერთადაც შემდეგ კონსტანტინოპოლში, ვენეციასა და პარიზში იმოგზაურა და ვისთან ერთადაც კრაკოვსა და ბერლინშიც ხშირად დაიარებოდა. და ეს „ვიღაც" გახლდათ ერთი უმდიდრესი გალიციელი

მემამულე, ვის შესახებაც ილაპარაკა მოწმე ვოლსკიმ, პიროვნებამ, რომელიც სოსნოვსკაიას ბავშვობიდან იცნობდა:

„მე მას მუდამ დაბალი დონის ქალად ვთვლიდი. არც თავის დაჭერა იცოდა, როგორც ეს მსახიობსა და ჩვენი კუთხის ქალს შეეფერებოდა. მხოლოდ ფული უყვარდა, ფული და კაცები... პირდაპირ გასაოცარია, როგორ მიჰყიდა ჯერ სულ პატარა გოგონამ თავისი სხეული იმ ბებერ გალიციელ კერატს!"

სწორედ ამ ბებერი „გალიციელი კერატის" შესახებ შესჩიოდა სოსნოვსკაია ელაგინს სიკვდილის წინ:

„სულ მარტო ვიზრდებოდი, ყურადღების მომქცევი არავინ მყავდა. ყოველთვის, ყოველთვის უცხო ვიყავი ოჯახშიც და მთელ ქვეყნიერებაზეც... მთლად უმწიკვლოს, მიმნდობსა და გულუბრყვილოს ერთი ქალი მრყვნიდა – ღმერთმა დასწყევლოს იმისი ჯიში და განაგისი! ლვოვში რომ ჩავედი, იქაც ერთ კაცს მამასავით მივენდე, გულწრფელად, მთელი გულითა და სულით შემიყვარდა, ის კი ისეთი ნაძირალა და არამზადა აღმოჩნდა, ყოველ ... გახსენებაზე თავზარი მეცემა! იმან მიმაჩვია ჰაშიშსა და ღვინოს, იმას დავყავდი კონსტანტინოპოლში, სადაც მთელი ჰარამხანა ჰქონდა მოწყობილი. ინვა იმ ჰარამხანაში და შეჰყურებდა შიშველ მონა ქალებს. მეც ხშირად მაიძულებდა შიშველ-ტიტველს მევლო მის წინაშე... ო, ის ნაძირალა, ის გათახსირებული, ის არამზადა!.."

9

სოსნოვსკაია მალე მთელი ჩვენი ქალაქის მოლაყბეთა სალაპარაკო გახდა.

„ჯერ ისევ ლვოვში ყოფნისას, – თქვა მოწმე მეშკოვმა, – ვის აღარ სთავაზობდა, მასთან ერთად მომკვდარიყო ერთ ღამეს. სულ იმას ჩიოდა, ნეტავი, ისეთი გული მაპოვნინა, სიყვარული შეეძლოსო. ძალიან დაჟინებით ეძებდა ამ მოსიყვარულე გულს, თან იმას ამბობდა, ჩემი მთავარი მიზანი ის არის, ვიცოცხლო და დავტკბე ამ

ცხოვრებით. მამაკაცს ქალი მეჭაშნიკესავით უნდა ექცეოდეს, ჭაშნიკი ყველა ღვინოს უნდა გაუსინჯოს, დათრობით კი არც ერთით არ უნდა დათვრესო... და იქცეოდა კიდევაც მეჭაშნიკესავით, – ამბობდა მეშკოვი, – არ ვიცი, ყველა ღვინო გასინჯა თუ არა, მაგრამ ირგვლივ უამრავი მამაკაცი ეხვია. სხვათა შორის, ამას იქნებ იმიტომაც სჩადიოდა, თავის გარშემო ხმაური აეტეხა, ხალხი აელაპარაკებინა, თეატრისათვის კლაკიორები შეეძინა. ხშირად იტყოდა ხოლმე, ფული მხოლოდ ხელის ჭუჭყია, მართალია, ხარბი, ხანდახან უკანასკნელი მეშჩანივით ძუნწი და გაუმეტებელი ვარ, მაგრამ ფულზე მაინცდამაინც დიდად არ ვგიჟდები, მთავარი სახელი და დიდებაა, სხვა დანარჩენი თავისით მოვაო. სიკვდილზეც, მგონი, მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობდა, ხალხი აელაპარაკებინა თავის თავზე...“

ჩვენს ქალაქშიც იმას აგრძელებდა, რასაც ლვოვში. აქაც თითქმის ისეთსავე ჩანაწერებს აკეთებდა:

„ღმერთო, რა მონყენილობაა, რა წამებაა! რა იქნება, მინისძვრა ან მზის დაბნელება მაინც მოხდეს“.

„ერთ საღამოს როგორღაც სასაფლაოზე წავედი – ო, რა მშვენიერი იყო იქ ყველაფერი! ასე მეგონა... არა, არ შემიძლია ამ განცდის გადმოცემა... მინდოდა, მთელ დღეს იქ დავრჩენილიყავი, ლექსები მეკითხა და ღონემიხდილობისაგან მოვმკვდარიყავი... მეორე დღეს კი ისე ვითამაშე, როგორც არასდროს“.

და ისევ:

„გუშინ საღამოს ათ საათზე სასაფლაოზე ვიყავი. რა მძიმე საყურებელი იყო იქ ყველაფერი! მთვარის მკრთალ შუქში გახვეულიყო მიცვალებულთა თავთით აღმართული ჯვრები და საფლავის ლოდები. ასე მეგონა, ათასობით მიცვალებული მეხვია გარს... მე კი თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, ისე გახარებული ვიყავი“...

როდესაც ელაგინი გაიცნო და ერთხელაც მისგან შეიტყო, რომ პოლკში ვახმისტრი გარდაიცვალა, სთხოვა იმ სამლოცველოში წაეყვანა, სადაც მიცვალებული ესვენა. ხოლო დღიურში შემდეგ

ასეთი რამ ჩანერა: მთვარის შუქზე სამლოცველომაც და მიცვალებულმაც ჩემზე „შემაძრნუნებლად აღმაფრთოვანებელი" შთაბეჭდილება მოახდინაო.

სახელის განთქმისა და ყურადღების მიქცევის ნყურვილს იმდროისათვის იგი ლამის სიგიჟემდე მიჰყავდა – დიახ, ქალი მართლაც საოცრად ლამაზი იყო. მისი სილამაზე, მართალია, არც ისე ორიგინალური გახლდათ, მაგრამ ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული, სხვათაგან გამორჩეული, რაღაც იშვიათი, გამაოგნებელი ხიბლი. ერთდროულად იყო საოცრად მიამიტი, გულუბრყვილო, განსაცვიფრებლად უმანკო და, ამავე დროს ჰქონდა რაღაც მტაცებლური სიცბიერე. ერთდროულად ანცი და ოინბაზიც იყო და მომაჯადოებლად უშუალოცა და გულწრფელიც. აბა, შეხედეთ მის სურათებს, ყურადღება მიაქციეთ მის მზერას, მისთვის ჩვეულ ოდნავ ალმაცერ გამოხედვას, მუდამ ოდნავ გაპობილ ბაგეს, სევდიან, უფრო კი საოცრად საყვარელ, მომხმობ, თითქოს რაღაც საიდუმლოზე, რაღაც მანკიერზე მიმთანხმებელ, რაღაცის აღმქმელ მზერას... და შეძლო კიდევაც თავისი ამ სილამაზის გამოყენება: სცენიდან თაყვანისმცემელთა გულებს იპყრობდა არა მხოლოდ ცრემლითა და სიცილით, არა მხოლოდ იმით, რომ ჰქონდა მთელი თავისი მომხიბვლელობის საოცარი გამობრწყინების, უმშვენიერესი სხეულის წარმოჩენის უნარი, არამედ, ამავე დროს ჰქონდა ნკრიალა ხმა, მკვირცხლი, მშვენიერი მიხრა-მოხრა. შინაც თავის უამრავ სტუმარს აღმოსავლურ თუ ბერძნულ საუცხოო, მაცდუნებელ სამოსში გამონყობილი ხვდებოდა. ერთი თავისი ოთახი, როგორც თვითონ ამბობდა, თვითმკვლელობისათვის საგანგებოდ ჰქონდა მონყობილი, სადაც უამრავ რევოლვერს, ხანჯალს, ნამგლისებურ თუ ჭანჭიკისებურ ხმალსა და ათასნაირი სანამლავით სავსე პაწაწა ქილას ინახავდა. სიკვდილზე ლაპარაკი მისი საუბრის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი თემა იყო. თავის მოკვლის ათასგვარ ხერხზე რომ ლაპარაკობდა, უცებ ჩამოიღებდა კედლიდან დატენილ რევოლვერს, ჩახმახს შეაყენებდა, ლულას საფეთქელზე მიიდებდა და დაიძახებდა – ესა და ეს ჩემი სტუმარი ახლავე მუხლისთავებზე

თუ არ დაეცემა და შიშველ ტერფებს არ დამიკოცნის, ახლავე ამ აბს ჩავყლაპავო. ამას ისე ამბობდა, შიშისაგან დაზაფრულ სტუმარს ფერიფური მისდიოდა და მისი სახლიდან კიდევ უფრო მოჯადოებული გამოდიოდა, შემდეგ კი მთელ ქალაქს ისეთ ამაღელვებელ ამბებს მოსდებდა, როგორიც ასე ეწადა ქალს.

„სოსნოვსკაია თავის თავს ისეთად არასდროს წარმოაჩენდა, როგორიც სინამდვილეში იყო, – თქვა მოწმე ზალსკიმ, რომელიც მას ძალიან დიდხანს და ძალიან ახლოს იცნობდა, – სულ თამაშობდა, სულ ცდილობდა, გაეღიზიანებინა ვიღაც. შეეძლო თავისი ნაზი, იდუმალებით სავსე გამოხედვით, თავისი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით, უმწეო ბავშვის სევდიანი ოხვრით ადამიანი სიგიჟემდე მიეყვანა, იგი მართლაც უდიდესი ოსტატი იყო ამეებისა და ზუსტად ასე ექცეოდა ელაგინსაც – ჯერ აანთებდა, ააგიზგიზებდა, მერე კი უცებ ცივ წყალს გადაასხამდა... მართლა უნდოდა თუ არა სიკვდილი? კი მაგრამ, მას ხომ მთელი გატაცებით უყვარდა სიცოცხლე, მას ხომ ასე სასწაულებრივად ეშინოდა სიკვდილისა! ის ხომ ესოდენ მხიარული და ხალისიანი იყო! მახსოვს, ელაგინმა ერთხელ თეთრი დათვის ტყავი გამოუგზავნა. სწორედ ამ დროს უამრავი სტუმარი ჰყავდა, მაგრამ, საჩუქარმა ისე გაახარა, ტყავი იატაკზე გაშალა და ჩირადაც არავინ ჩაუგდია, ზედ კოტრიალი დაიწყო. თან მალაყებს გადადიოდა, ისეთ რამეებს აკეთებდა, ყველაზე საუკეთესო აკრობატსაც რომ შეშურდებოდა... საოცრად მომხიბვლელი ქალი იყო."

სხვათა შორის, ამავე ზელსკიმ ისიც თქვა, ზოგჯერ გამოუვალ სევდასა და სასონარკვეთაში ჩავარდებოდა ხოლმეო. სასამართლოზე ექიმმა სეროშევსკიმაც, რომელიც ათი წელია იცნობდა და ლვოვში წასვლამდე მკურნალობდა (ეს ის პერიოდია, როცა ის-ისაა ეწყებოდა ჭლექი), დაადასტურა, რომ უკანასკნელ ხანს იგი საშინლად იტანჯებოდა ნერვული მოშლილობით, მეხსიერების დაქვეითებითა და ჰალუცინაციებით, ამიტომ უკვე ქალის გონებრივი შესაძლებლობებიც აეჭვებდა. სწორედ ამის გამო მკურნალობდა ექიმი შუმახერი, რომელსაც სულ არწმუნებდა, საკუთარი სიკვდილით არ

მოვკვდებიო და რომელსაც ერთხელ შოპენჰაუერის ტომი სთხოვა, ძალიან ყურადღებით წაიკითხა და, რაც ყველაზე გასაკვირია (როგორც შემდეგში გამოირკვა), შესანიშნავადაც გაიგო.

ექიმმა ნედელსკიმ კი აი ასეთი ჩვენება მისცა:

„უცნაური ქალი იყო! სტუმრები რომ ჰყავდა, უმეტეს შემთხვევაში ზედმეტად მხიარულობდა, კოკეტობდა, მაგრამ ზოგჯერ უცებ ჩაიჩუმქრებოდა, თვალებს გადაატრიალებდა და თავს მაგიდაზე ჩამოდებდა... ზოგჯერ კი ისე გადაირეოდა, მაგიდაზე თუ რამ იდგა, ყველაფერს იატაკზე ყრიდა... ამ დროს სასწრაფოდ უნდა გეთქვა, აბა დასცხე კიდევ, აბა კიდევ დასცხეო და ისიც მაშინვე გაჩერდებოდა."

და აი, ამ „უცნაურსა და მომხიბვლელ ქალს" ბოლოს და ბოლოს კორნეტი ალექსანდრ მიხაილოვიჩ ელაგინი შეხვდა.

10

მაინც როგორ მოხდა მათი ეს შეხვედრა? როგორ დაუახლოვდნენ, რა გრძნობა აღეძრათ ერთმანეთის მიმართ, როგორი იყო მათი ურთიერთობა? ამის თაობაზე თავად ელაგინი ორჯერ ელაპარაკა პროკურორს – პირველად მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მეორედ – სიკვდილის სამი თვის თავზე და ამჯერადაც დაკითხვისას.

– დიახ, – თქვა მან, – დამნაშავე ვარ სოსნოვსკაიას სიკვდილში, ოღონდ ეს მხოლოდ მისი ნებითა და სურვილით მოხდა...

გავიცანი წელიწად-ნახევრის წინ, თეატრის სალაროსთან, გამაცნო პორუჩიკმა ბუდბერგმა. მე იგი მაშინვე მთელი სულითა და გულით შევიყვარე და მეგონა, ისიც იზიარებდა ჩემს გრძნობას, მაგრამ, ყოველთვის არ ვიყავი ამაში დარწმუნებული. თუმცა ზოგჯერ ისიც მეჩვენებოდა, რომ მას უფრო მეტად ვუყვარდი, ვიდრე მე იგი მიყვარდა. ის ხომ მუდამ თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული, კეკლუცობდა, ანცობდა, მე კი ამ დროს აუტანელი ეჭვიანობა მტანჯავდა; თუმცა ჩვენი ტრაგედიის მიზეზი

ეს არ იყო, არამედ სულ სხვა, რომლის სიტყვით გამოხატვა და სახელის დარქმევა არ ძალმიძს... ასეა თუ ისე, ვფიცავ, ის ეჭვიანობის გამო არ მომიკლავს...

როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი გასული წლის თებერვალში გავიცანი, თეატრში, სალაროების გვერდით. მალე ვესტუმრე კიდევაც, მაგრამ ოქტომბრამდე მხოლოდ თვეში ორჯერ თუ შევუვლიდი, ისიც მხოლოდ დღისით. ოქტომბრის თვე იდგა, სიყვარულში რომ გამოვუტყდი და კოცნის უფლება მომცა. ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ჩემს ამხანაგთან – ვოლოშინთან ერთად სავახშმოდ ქალაქგარეთ რესტორანში წავედით, საიდანაც მხოლოდ ორნი – მე და ის დავბრუნდით და, მართალია, მხიარული, ალერსიანი და ოდნავ შემთვრალი იყო, მაინც ისეთ მოკრძალებას ვგრძნობდი მის წინაშე, ხელზე კოცნისაც კი მეშინოდა.

ერთხელ პუშკინის თხზულებები მთხოვა. „ეგვიპტური ღამეები" რომ წაიკითხა – გაწირავდით სიცოცხლეს საყვარელ ქალთან გატარებული ერთი ღამის გამოო? – მკითხა. სიტყვის დამთავრებაც არ ვაცადე, დიახ, რა თქმა უნდა-მეთქი, – დაუყოვნებლივ ვუპასუხე, რაზედაც მან მხოლოდ უცნაურად გამიღიმა. უკვე ძალიან ვიყავი შეყვარებული და აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს სიყვარული ჩემთვის საბედისწერო იყო. როდესაც ცოტა უფრო დავუახლოვდი, უკვე ვბედავდი და სულ უფრო ხშირად ველაპარაკებოდი ჩემს სიყვარულზე. ვეუბნებოდი, რომ დალუპული ადამიანი ვიყავი თუნდაც იმის გამო, რომ მამაჩემი არასდროს მომცემდა მასზე დაქორწინების უფლებას, ხოლო ქორწინების გარეშე ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან მას, როგორც მსახიობს, აშკარა არაკანონიერ კავშირს რუს ოფიცერთან პოლონეთის საზოგადოება არასდროს აპატიებდა. ისიც ასევე უჩიოდა თავის ბედსა და თავის უცნაურ სულიერ განწყობას. ჩემს განდობას, ჩემს უსიტყვო კითხვას კი – ვუყვარდი თუ არა – სულ თავს არიდებდა. ცოტაოდენ იმედს მხოლოდ მისი ეს მორჩილება, მისი ინტიმურობა თუ მინერგავდა...

მერე და მერე, ამა წლის იანვრიდან, უკვე ყოველდღე დავიწყე მასთან სიარული. თეატრსა თუ შინ თაიგულებს ვუგზავნიდი,

საჩუქრებს ვუძღვნიდი... ვაჩუქე ორი მანდოლინა, თეთრი დათვის ტყავი, ბრილიანტის თვლებიანი სამაჯური და ბეჭედი. გადაწვეტილი მქონდა, მეჩუქებინა გულსაბნევი, რომელსაც თავის ქალის ფორმა ექნებოდა, ვინაიდან პირდაპირ ჭკუას კარგავდა სიკვდილის ემბლემაზე. არაერთხელ უთქვამს, რომ ჩემგან სნორედ ისეთი გულსაბნევი უნდოდა საჩუქრად, რომელსაც უსათუოდ ასეთი ფრანგული წარწერა ექნებოდა: „Quand meme por toujours!"[1].

ამა წლის ოცდაექვს მარტს ვახშამზე დამპატიჟა და სნორედ მაშინ დამნებდა პირველად... ეს იმ ოთახში მოხდა, რომელსაც იგი იაპონურს ეძახდა. ამ ოთახში ხდებოდა ჩვენი შემდგომი შეხვედრებიც. ვივახშმებდით თუ არა, მოსამსახურეს მაშინვე დასაძინებლად უშვებდა. მერე თავისი საძინებლის გასაღებიც მომცა, რომლის გარეთა კარი პირდაპირ კიბეზე გადიოდა... ოცდაექვსი მარტის სამახსოვროდ საქორწინო რგოლები შევუკვეთეთ, ბეჭდებზე ჩვენი ინიციალები და ჩვენი დაახლოების თარიღი იყო ამოტვიფრული...

ქალაქგარეთ ერთ-ერთი ჩვენი გასეირნების დროს ეკლესიაში ჯვარზე მარადიული სიყვარული შევფიცე და ვუთხარი, რომ ღვთის წინაშე იგი ჩემი ცოლი, ჩემი მეუღლეა და რომ სამარის კარამდე არასდროს ვუღალატებდი. ის კი იდგა გაყუჩებული, სევდიანი და ფიქრით მოცული. ბოლოს მტკიცედ მითხრა: „მეც, მეც მიყვარხარ, „Quand meme por toujours!".

ერთხელაც, მარტის დასაწყისში, როდესაც ერთად ვვახშმობდით, ოპიუმის ფხვნილი ამოიღო და – რა ადვილია, არა, სიკვდილი! საკმარისია სულ ცოტა ჩავყარო და მორჩა, ყველაფერი დამთავრებული იქნებაო! მართლაც, ფხვნილი შამპანურში ჩაყარა და ის იყო, ბოკალი პირთან უნდა მიეტენა, რომ თვალის დახამხამებაში სასმელი ხელიდან გამოვტაცე, ღვინო ბუხარში შევასხი და ჭიქა შპორზე მივამსხვრიე. „გუშინ ტრაგედიის ნაცვლად კომედია

[1] „და მაინც, სამუდამოდ".

გამომივიდა!" – მითხრა მეორე დღეს და დასძინა: „მაშ, რა ვქნა, ვერც მე ვბედავ და ვერც შენ... პირდაპირ სამარცხვინოა!"

იმ დღიდან ჩვენ უკვე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს – საღამოობით შენი მიღება აღარ შემიძლიაო, – მითხრა. რატომ, რატომ-მეთქი? ვერაფერი გამეგო და საოცრად ვიტანჯებოდი. გარდა ამისა, სრულიად შეიცვალა ჩემს მიმართ, ცივი და დამცინავი გახდა. ზოგჯერ ისე შემხვდებოდა, თითქოს წესიერად არც კი ვიცნობდით ერთმანეთს. აბუჩად მიგდებდა, ხასიათის სისუტეს მსაყვედურობდა... და აი, ერთ დღესაც ისევ თავდაყირა დადგა ყველაფერი. გავისეირნოთო, – ხშირად შემომივლიდა ხოლმე. იმ დღიდან კურკური და ლაქუცი დამინყო. არ ვიცი, შეიძლება ეს იმისი ბრალი იყო, რომ მეც გულგრილად, თავდაჭერილად დავუნყე მოქცევა... ბოლოს მითხრა, ჩვენი შეხვედრისათვის ცალკე ბინა იქირავე, ოღონდ სადმე მიყრუებულ ქუჩაზე, ძველ, პირქუშ, უფანჯრებო სახლში და ისე მოაწყვე, როგორც გიბრძანებო... ხოლო, რანაირადაც იყო ის ბინა მოწყობილი, ეს თქვენ უკვე იცით...

და აი, თექვსმეტ ივნისს, დღის ოთხ საათზე, მასთან შევიარე, ვუთხარი, ოთახი უკვე მზადაა-მეთქი და ერთი გასაღები გადავეცი. ამაზე მან გაიღიმა, გასაღები უკან გამომინოდა – ამის შესახებ მერე ვილაპარაკოთო. ამ დროს ზარმა დაინკრიალა, ოთახში ვიღაც შკლიარევიჩი რომ შემოვიდა, გასაღები უმალ ჯიბეში ჩავიდე და რაღაც უმნიშვნელო ამბებზე დავინყე ლაპარაკი. „ორშაბათს მოდით", უთხრა შკლიარევიჩს ხმამაღლა, როდესაც მე და ის ოთახიდან გამოვდიოდით, მე კი ჩუმად ნამჩურჩულა: „ხვალ ოთხ საათზე აქ იყავი..." თან ეს ისე მითხრა, კინაღამ ნავიქეცი.

მეორე დღეს ზუსტად ოთხ საათზე მივედი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ განვცვიფრდი, როცა მოახლემ კარი გამიღო და გამომიცხადა, სოსნოვსკაიას თქვენი მიღება არ შეუძლიაო და წერილი გამომინოდა. მწერდა, თავს ცუდად ვგრძნობ, დედასთან მივდივარ აგარაკზე, ახლა უკვე გვიანიაო... გადარეული პირველსავე საკონდიტროში შევვარდი და საშინელი წერილი მივწერე. ვთხოვდი აეხსნა, რას გულისხმობდა, გვიანიაო, რომ მწერდა. წერილი შიკრიკს გავა-

ტანე, მაგრამ შინ არ დაუხვდა და წერილი უკან მომიტანა. მაშინ გადავწყვიტე, ალბათ სამუდამოდ უნდა ჩემთან კავშირის გაწყვეტა-მეთქი. შინ დაბრუნებულმა მეორე წერილი მივწერე. ვნერდი, რომ ეს ყველაფერი მისთვის მხოლოდ თამაში იყო და ვთხოვდი, ჩემი ნიშნობის ბეჭედი დაებრუნებინა – შენ იგი სამასხარაოდ გაქვს ქცეული, ჩემთვის კი ყველაფერზე ძვირფასია, ამიტომაც ეს ბეჭედი ჩემთან ერთად უნდა დაიმარხოს-მეთქი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული იყო, რომ სიკვდილის მეტი ამქვეყნად აღარაფერი დამრჩენოდა. წერილთან ერთად თავისი პორტრეტი, ყველა მისი წერილი და ნივთი დავუბრუნე – ხელთათმანები, თმის სარჭები თუ შლაპა... მალე დენშჩიკი დაბრუნდა – სახლში არ დამიხვდა, წერილი და ამანათი მეზობელთან დავუტოვეო, – მითხრა.

საღამოს ცირკში წავედი, იქ შემთხვევით შკლიარევიჩს შევხვდი და ორივემ ერთად შამპანური დავლიეთ. უცებ შკლიარევიჩი მეუბნება: „ვხედავ, ძალიან იტანჯები, რაც მთავარია, ამ ტანჯვის მიზეზიც კარგად ვიცი, მაგრამ, დამიჯერე, ის ნამდვილად არ არის ამის ღირსი. ჩვენ ყველამ გამოვიარეთ ეგ ამბავი, ყველა ერთნაირად გაგვაბრიყვა და გაგვაცურა...“ კინაღამ ხმალი არ დავაძვრე და თავი არ წავაცალე, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, არათუ მსგავსი არაფერი გამიკეთებია, საუბარიც არ შემინყვეტინებია. ის კი არადა, გუნებაში მიხაროდა კიდევაც – ისე მინდოდა ვინმეს ჩემდამი თანაგრძნობა გამოეჩინა, უკვე იმასაც აღარ დაგიდევდი, ეს ვინმე შკლიარევიჩი იქნებოდა თუ ვინმე სხვა. არ ვიცი, რა მოხდა, რა დამემართა – მართალია პასუხად არაფერი მითქვამს, სოსნოვსკაიას სახელიც არ დამცდენია, მაგრამ, მოვკიდე შკლიარევიჩს ხელი და სტაროგრადის ქუჩაზე წავიყვანე, ის ბინა ვაჩვენე, რომელსაც ასეთი რუდუნებით ვაწყობდი ჩვენი შეხვედრებისათვის, თუმცა კი ძალიან ვიტანჯებოდი და მრცხვენოდა, ასე რომ გამატუტუცეს და გამაცუცურაკეს...

იქიდან მეეტლე ნოვოიაროვსკისაკენ გავუყენე. ჟინჟღლავდა. მეეტლეს ცხენები კი არ მიჰყავდა, მიაფრენდა, მე კი ეს ნვიმა და

ეს მოციმციმე სინათლეებიც კი შიშსა და ტკივილს მგვრიდა. რესტორნიდან ღამის პირველ საათზე შკლიარევიჩთან ერთად დავბრუნდი და, ის იყო, უკვე ვიხდიდი, რომ დენშჩიკმა წერილი გადმომცა – სოსნოვსკაია ქუჩაში მელოდებოდა, მთხოვდა, დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი. იგი კარეტით მოსამსახურესთან ერთად იყო მოსული. გული ისე გამიხეთქე, მარტო ნამოსვლისა შემეშინდა, მოსამსახურე წამოვიყვანეო, – მითხრა. დენშჩიკს ვუბრძანე, მოსამსახურე სახლში გაეცილებინა. მე კი მის გვერდით კარეტაში ჩავჯექი და ორივენი სტაროგრადის ქუჩაზე წავედით. გზაში სულ საყვედურებით ვავსებდი – შენ მხოლოდ გასართობად გინდივარ, მხოლოდ მეთამაშები და მეტი არაფერი-მეთქი. ის კი იჯდა გაჩუმებული, წინ იყურებოდა და დროდადრო ცრემლებს იწმენდდა, თუმცა გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ჩანდა. ვინაიდან მისი განწყობილება, როგორც წესი, მეც გადმომედებოდა ხოლმე, თანდათან დავმშვიდდი. შინ რომ მივედით, ერთბაშად გამხიარულდა, ბინა ძალიან მოეწონა, მისი ხელი ხელში ავიღე, დამუნათების გამო ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, თავისი ის სურათი დაებრუნებინა, გაბრაზებულმა უკან რომ გავუგზავნე... ჩვენ ხომ ხშირად ვჩხუბობდით, თუმცა, როგორც წესი, ბოლოს მუდამ მე ვგრძნობდი თავს დამნაშავედ და ყოველთვის მე ვთხოვდი პატიებას. ღამის სამი საათი იყო, სახლში რომ წავიყვანე. გზაში ისევ გამწვავდა ჩვენი საუბარი. როგორღაც ისე იჯდა და წინ ისე იყურებოდა, მის სახეს ვერ ვხედავდი, ვგრძნობდი მხოლოდ სუნამოს სურნელს და მისი ყინულივით ცივი, ბრაზით სავსე ხმა მესმოდა: „აბა რა კაცი ხარ, ხასიათის ნატამალიც არ გაგაჩნია, როცა მინდა, მაშინ გაგაცოფებ, როცა მინდა, მაშინ გაგამხიარულებ! მამაკაცი რომ ვიყო, ამგვარ ქალს ნაჭერ-ნაჭერ ავჭრიდი... სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევდი...“ თუ ასეა, წაიღე უკან ეგ შენი ბეჭედი-მეთქი, – ვუყვირე გაბრაზებულმა და ამ სიტყვებით ბეჭედი ძალად წამოვაცვი თითზე. უცებ შემოტრიალდა, მორცხვად გაიღიმა და ხვალ მოდიო, მითხრა. არავითარ შემთხვევაში-მეთქი, – ვუპასუხე, რაზედაც მოკრძალებით, როგორღაც უხერხულად დამინყო ხვენნა:

„ძალიან გთხოვ, მოდი, უსათუოდ მოდი სტაროგრადის ქუჩაზე...“ ხოლო შემდეგ მტკიცედ დასძინა: „...არა, გეხვეწები, გემუდარები, აუცილებლად მოდი, მალე საზღვარგარეთ უნდა ნავიდე, მინდა უკანასკნელად გნახო, რაც მთავარია, მინდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ გითხრა... – და ისევ ატირდა: – საოცარია, მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, შენ კი ისიც არ გინდა, უკანასკნელად ერთხელ კიდევ მნახო... თუ ასეა, ხვალ შეგატყობინებენ, რომელ საათზე ვიქნები თავისუფალი-მეთქი. ამ პასუხს რომ ვაძლევდი, ვცდილობდი, რაც შეიძლება თავშეკავებული ვყოფილიყავი. მისი სადარბაზოს წინ წვიმაში ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით, სიყვარულისა და სიბრალულისაგან ლამის გული გამხეთქოდა. სახლში დაბრუნებულს შინ მძინარე შკლიარევიჩი დამიხვდა, რაზედაც ძალზე გაკვირვებული და გულამღვრეული დავრჩი.

ორშაბათ დილას, თვრამეტ ივნისს, ბარათი გავუგზავნე. ვწერდი, რომ თორმეტი საათის შემდეგ თავისუფალი ვიყავი, რაზედაც – ექვს საათზე სტაროგრადის ქუჩაზე ვიქნებიო, – პასუხა.

11

სოსნოვსკაიას მოახლემ – ანტონინა კოვანკომ და მზარეულმა ქალმა – ვანდა ლინევიჩმა ასეთი ჩვენება მისცეს: შაბათს, თექვსმეტ რიცხვში, სოსნოვსკაიამ შუბლზე შეჭრილი თმის დასახუჭუჭებლად სპირტქურა აანთო, დაბნეულს ასანთი თავის თხელ პენუარზე დაუვარდა და, ალმა რომ იფეთქა, სოსნოვსკაიამ გაგიჟებულმა იკივლა. ტანზე პენუარს იგლეჯდა, ცდილობდა, როგორმე გაეძრო, ისეთი შეშინებული იყო, მაშინვე ლოგინში ჩაწვა და ექიმთან კაცი აფრინა, თან სულ იმას იმეორებდა, აი, ნახავთ, ამას რაღაც დიდი უბედურება მოჰყვებაო...

საბრალო, საყვარელი ქალი! პენუართან დაკავშირებული ეს ამბავი და მისი ის ბავშვური შიში ძალზე მაღელვებს და გულს მიკლავს. ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები ჩემს თვალში უცნაურად კრავს და ნათელს ჰფენს იმ ურთიერთსანინააღმდეგო ამბებს, რაც

მის სიცოცხლეშიც გვესმოდა და ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგაც გვესმის სასამართლოზე. რაც მთავარია, ეს მეხმარება სოსნოვსკაიას მთელი სიცხოველით შეცნობაში, ვინც, – მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რასაც გამუდმებით იჩენდნენ მის მიმართ, მიუხედავად იმ დიდი სურვილისა, გაეგოთ და გამოეცნოთ იგი, მიუხედავად იმ გაუთავებელი ლაპარაკისა, რომელსაც ბოლო არ ჰქონდა მთელი ამ ერთი წლის მანძილზე, – თითქმის ვერავინ შეიცნო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: განსაცვიფრებლად უბადრუკია ადამიანური განსჯა და ლოგიკა! ახლაც იგივე მოხდა, რაც ხდება ყოველთვის, როცა ადამიანები სრულიად უმნიშვნელო მოვლენის გარჩევას იწყებენ, როცა უყურებენ, მაგრამ ვერ ხედავენ, უსმენენ, მაგრამ ვერ იგებენ. განა საჭირო იყო, გნებავთ ელაგინის, გნებავთ სოსნოვსკაიას პიროვნების ასეთი, თითქმის საგანგებო გაყალბება, ანდა იმისა, რაც მათ შორის ხდებოდა, მაშინ, როდესაც ასე აშკარა და თვალნათელი იყო ყველაფერი. თითქმის ყველამ პირი შეკრა, სხვა არაფერზე ელაპარაკათ, გარდა უბადრუკობისა. მათთვის რომ გეკითხათ , ვითომ რა იყო აქ ტვინის საჭყლეტი: ვაჟი ეჭვიანი, ლოთი, დარდიმანდი ჰუსარი, ქალი – მსახიობი, თავის უთავბოლო და უზნეო ცხოვრებაში ჩაფლული...

ცალკე კაბინა, ღვინო, ქალები, აყალმაყალი და დებოში, – ამბობდნენ ვაჟის შესახებ, – ყოველგვარ ამაღლებულ გრძნობებს მის გულში ხმლის ჟღარუნი ახშობდაო...

ამაღლებული გრძნობები, ღვინო!.. მერედა, რა შეიძლება იყოს ღვინო ისეთი ბუნების ადამიანისათვის, როგორიც ელაგინია? „ზოგჯერ სულში ისეთ ძალას, ისეთ ტანჯვას, ისეთ სწრაფვას ვგრძნობ ყოველივე კარგის, ამაღლებულის და კიდევ, ღმერთმა უწყის, რისადმი, ლამის გული მეფლითება. ... მინდა რაღაც მოუხელთებელ ჰანგს მივწვდე, ჰანგს, რომელიც, ასე მგონია, სადღაც უკვე მომისმენია, მაგრამ – ამაოდ!“ აი ნასვამი კი ლაღად, თავისუფლად სუნთქავს, ნასვამზე ის მოუხელთებელი მელოდიაც უფრო ახლოს და მკაფიოდ ჩაესმის. მერედა რა, თუ სიმთვრალეც, მუსიკაც და სიყვარულიც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ მაცდურია

და მხოლოდ აძლიერებს თავისი სიმძაფრითა და მეტისმეტობით ცხოვრების, სამყაროს აღქმას?

– ამ ქალს ეს კაცი არ უყვარდა, – ამბობდნენ სოსნოვსკაიას შესახებ, – მხოლოდ ეშინოდა მისი, ის ხომ სულ თავის მოკვლით ემუქრებოდა, ესე იგი, თავისი სიკვდილით არა მხოლოდ დაამძიმებდა მის სულს, არამედ საშინელი სკანდალის გმირადაც აქცევდაო. იყვნენ მოწმეები, რომელთა სიტყვითაც, ქალი ვაჟის მიმართ „რაღაცნაირ ზიზღსაც კი" განიცდიდა. „მაგრამ, ხომ მაინც მასთან იყო, ხომ მაინც ეკუთვნოდა მას?" „მერედა რას ცვლის ეს? რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეკუთვნოდა – ამას თუ იმას?!" მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ელაგინმა მოისურვა, დრამად ექცია ერთი იმ მრავალრიცხოვანი სასიყვარულო კომედიათაგანი, რომელთაც ქალი გამუდმებით თამაშობდაო...

და კიდევ:

„ქალი შეძრწუნებული იყო იმ აუტანელი, უზომო ეჭვიანობის გამო, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტად ამჟღავნებდა ვაჟი მის მიმართ. ერთხელ ელაგინი სოსნოვსკაიასთან სტუმრად იყო, რომ არტისტი სტრაკუნი ეწვიათ. ელაგინი, მართალია, გაჩუმებული იჯდა, მაგრამ, ეჭვიანობისაგან სახეზე ფერი აღარ ედო. უცებ წამოხტა და მეზობელ ოთახში გავარდა. იმავე წუთს ქალიც უკან გაჰყვა, ელაგინის ხელში რევოლვერი რომ დაინახა, მუხლებზე დაეცა და ხვეწნა დაუწყო. ამგვარი სცენები, ალბათ, არცთუ ისე იშვიათად ხდებოდა. აბა, რა არის აქ გაუგებარი, ყოველივე ამის შემდეგ ქალი თუ შეეცდებოდა, ბოლოს და ბოლოს თავიდან მოეშორებინა ეს კაცი თუნდაც იმით, რომ საზღვარგარეთ გადახვეწილიყო, რისთვისაც უკვე გამზადებული იყო სიკვდილის წინა დღეს. ელაგინმა სტაროგრადის ქუჩაზე მდებარე ბინის გასაღები მიუტანა, ბინისა, რომელიც ქალმა მხოლოდ იმისთვის გამოიყენა, რომ გამგზავრებამდე თავის სახლში არ მიეღო. სოსნოვსკაიამ გასაღები რომ არ გამოართვა და ვაჟმა დაძალება დაუწყო, ახლა უკვე გვიანიაო, – განუცხადა ქალმა, ნიშნად იმისა, რომ უკვე მიემგზავრებოდა და გასაღები აღარ ესაჭიროებოდა.

მაგრამ ვაჟმა ისეთი თავზარდამცემი წერილი მისწერა, მისი მიღებისთანავე შიშისაგან ჭკუაშეშლილი, დაზაფრული ქალი, ალბათ უკვე ცოცხალიც აღარ არისო, – შუაღამისას მასთან თავქუდ-მოგლეჯილი გაიქცა".

ვთქვათ, ასეა (თუმცა მთელი ეს მსჯელობა სრულიად ეწინააღ-მდეგება ელაგინის მონათხრობს), მაგრამ რატომ ეჭვიანობდა ასე უზომოდ ელაგინი, რად მოისურვა, დრამად ექცია კომედია? რატომ ერთხელაც არ ადგა და არ ესროლა ერთ-ერთი ამ ეჭვიანობის შემოტევის დროს? რატომ არ გაიმართა ბრძოლა მოკლულსა და მკვლელს შორის? და შემდეგ: „ქალი ზოგჯერ ზიზღსაც კი განიცდიდა მის მიმართ... ზოგჯერ სხვების თანდასწრებითაც კი იგდებდა მასხრად, შეურაცხმყოფელი მეტსახელებითაც კი მიმარ-თავდა. მაგალითად, ზოგჯერ ფეხებდაღრეცილ ლეკვსაც კი ეძახდა..." მაგრამ, ღმერთო ჩემო, ნამდვილი სოსნოვსკაიაც ხომ ესაა! განა ჯერ კიდევ მის ლეოვისდროინდელ ჩანაწერებში არ არის ლაპარაკი ამა თუ იმ ადამიანისადმი „ზიზღის" შესახებ! „ისევ იგი, მას ისევ ვუყვარვარ! მერედა მე? მე რაღას ვგრძნობ მის მიმართ? ზიზღსაც და სიყვარულსაც!" შეურაცხყოფდა ეს ელაგინს? დიახ, შეურაცხყოფდა! ერთხელაც, ჩხუბის დროს, რაც არცთუ ისე იშვიათი იყო მათ შორის, მოსამსახურეს დაუძახა, ნიშნობის ბეჭედი იატაკზე ისროლა და იყვირა: „წაიღე, შენი იყოს ეს საზიზღრობა!" მანამდე? მანამდე რაღა იყო? მანამდე სამზარეულოში შეირბინა და მოსამ-სახურე ქალს უთხრა:

– ახლა მე შენ დაგიძახებ, ამ ბეჭედს იატაკზე მოვისვრი და, შენი იყოს-მეთქი, გეტყვი, ოღონდ იცოდე, ეს მხოლოდ კომედიაა... ბეჭედი ამ საღამოსვე უნდა დამიბრუნო, ვინაიდან ამ ბეჭდით მასზე, აი ამ სულელზე ვარ დანიშნული და იგი ჩემთვის ამქვეყნად ყველასა და ყველაფერზე ძვირფასია...

მას ტყუილად როდი ეძახდნენ „მსუბუქი ყოფაქცევის ქალს", კათოლიკურმა ეკლესიამ ტყუილად როდი თქვა მისი, როგორც „გარყვნილი პიროვნების" ქრისტიანულად დაკრძალვაზე უარი – სულით ხორცამდე თავისუფალი სიყვარულის მსახური, ბუნების იმ

მდედრთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, საროსკიპოების პროფესიონალები რომ ხდებიან. მაგრამ მაინც რა იყო, რა ბუნება იყო ეს? ეს იყო მკვეთრად გამოხატული დაუკმაყოფილებელი, სექსით დაუოკებელი ბუნება, რომელიც არ შეიძლება ოდესმე დაკმაყოფილებული ყოფილიყო. მეკითხებით, მერედა რატომ, რა მიზეზის გამოო? არა, არ ვიცი, რატომა და რა მიზეზის გამო, მაგრამ აბა დააკვირდით – იმ ტიპის მეტად რთული, საინტერესო მამაკაცები, როგორიც ამა თუ იმ ზომით ატავისტური ტიპები არიან, ადამიანები, რომელთაც გამახვილებული მგრძნობელობა აქვთ არა მხოლოდ ქალთა მიმართ, არამედ მგრძნობიარენი არიან მთელი თავისი მსოფლშეგრძნებით, მთელი თავისი სულითა და სხეულით, მუდამ ასეთი ქალებისკენ ისწრაფვიან და უამრავი სასიყვარულო დრამისა და ტრაგედიის გმირებს წარმოადგენენ. რატომ? იქნებ თავიანთი მდაბალი გემოვნების, გარყვნილების, ან უბრალოდ, ასეთ ქალთა ხელმისაწვდომობის გამო? რა თქმა უნდა, არა, ათასჯერ და ათი ათასჯერ არა! არა თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი მამაკაცები ძალიან კარგად ეცნობენ კიდევაც და ხედავენ კიდევაც, რაოდენ მტანჯველი, ზოგჯერ ჭეშმარიტად თავზარდამცემი და მომაკვდინებელია ამგვარ ქალთან კავშირი. ისინი ამას გრძნობენ, ხედავენ, იციან და მაინც ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ქალებისაკენ ისწრაფვიან – ისწრაფვიან ტანჯვისა და სიკვდილისაკენაც კი! რატომ?

ცხადია, ქალი მხოლოდ კომედიას თამაშობდა, როდესაც თავის იმ სიკვდილისწინა ბარათებს წერდა. იგი თვითონვე შთააგონებდა თავის თავს, თითქოს მართლაც დადგა აღსასრულის ჟამი. მის, უნდა ითქვას, იმ მეტისმეტად ბანალურ, გულუბრყვილო დღიურებში იოტისოდენაც კი არაფერია ისეთი, რაც გააქარწყლებდა ამ აზრს, არც არავითარი სასაფლაოზე სიარული ყოფილა როდისმე...

დიახ, მისი დღიურების გულუბრყვილობასა და სასაფლაოზე სეირნობის თეატრალურობას არავინ უარყოფს, სხვათა შორის, ისე, როგორც იმას, რომ გადაკრულად იგი მარია ბაშკიცევასთან თავის მსგავსებაზე მიანიშნებდა. მაგრამ რატომ არჩია მაინცდამაინც ამგვარი დღიურების წერა? რატომ სურდა მაინცდამაინც ასეთ

ქალებს ჰგვანებოდა? მას ხომ ყველაფერი უხვად ჰქონდა – სილამაზეც, ახალგაზრდობაც, დიდებაც, ფულიც, უამრავი თაყვანისმცემელიც და ყოველივე ამას იგი დიდი ვნებითა და გატაცებით ეწაფებოდა? და მაინც, რატომ იყო მისი ცხოვრება სავსე გაუთავებელი ტანჯვით, „ძაღლუმადური" ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლის დაუოკებელი სურვილით? რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ყოველივე ეს სათამაშოდ გაიხადა. რატომ მაინცდამაინც ეს გაიხადა სათამაშოდ და არა რაიმე სხვა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს მეტისმეტად ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა იმ ქალებს შორის, რომელთაც, როგორც თვითონვე აღნიშნავენ, ხელოვნებას მიუძღვნეს თავიანთი სიცოცხლე? მაგრამ რატომ არის ეს მათთვის ესოდენ ჩვეულებრივი, რატომ?

12

კვირა დილას, რვა საათზე, სოსნოვსკაიას საძინებლიდან ზარის წკრიალი გაისმა – უკვე გაღვიძებოდა და მოახლეს ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე უხმობდა. მოახლემ სინით ფინჯანი შოკოლადი შეუტანა და ფარდები გასწია. სოსნოვსკაია ლოგინზე იჯდა, როგორც სჩვეოდა, მოახლეს თვალს დაფიქრებული და ოდნავ ბაგეგაპობილი შუბლქვემოდან ადევნებდა. დაბნეული ჩანდა. ბოლოს მსახურს უთხრა:

– იცით, ტანია, გუშინ ექიმი წავიდა თუ არა, ჩამეძინა. ოო, დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო მარიამ! რომ იცოდე, როგორ შემეშინდა, მაგრამ, ექიმი რომ დავინახე, მაშინვე დავმშვიდდი. შუაღამისას უცებ გამეღვიძა, ლოგინში მუხლებზე წამოვჯექი და მთელი ერთი საათი ვილოცე... აბა, წარმოიდგინე, რა სანახავი ვიქნებოდი – კანდამწვარი, თვალებჩაშრეტილი და ტუჩებდაბერილი! ჩემი შეხედვაც კი ადამიანს, ალბათ, გულს გაუხეთქავდა! მთელ სახეს ბამბით დამიფარავდნენ...

შოკოლადისათვის კარგა ხანს ხელი არ უხლია, იჯდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე შოკოლადი დალია, იბანავა, აბანოს ხალათიანი და თმაგაშლილი თავის პატარა სანერ მაგიდას მიუჯდა და შავჩარჩო-

მოვლებულ ქაღალდზე რამდენიმე წერილი დაწერა (ეს სამგლოვიარო ბარათები უკვე კარგა ხნის წინათ ჰქონდა შეკვეთილი). მერე ჩაიცვა, ისაუზმა და დედასთან აგარაკზე გაემგზავრა. იქიდან რომ დაბრუნდა მსახიობ სტრაკუნთან ერთად, რომელიც მუდამ „თავისიანად" მიაჩნდა, უკვე ღამის თორმეტი საათი იყო.

– ორივენი ძალზე კარგ ხასიათზე მოვიდნენ, – ჰყვებოდა მოახლე, – მე მათ წინკარში დავხვდი, მაშინვე გვერდზე გავიხმე და ის წერილი და ნივთები გადავეცი, რომლებიც მისი არყოფნისას ელაგინმა მოიტანა. „ახლავე შეიტანე, სტრაკუნმა არ დაინახოს", – წამჩურჩულა ყურში სოსნოვსკაიამ. მერე წერილი სასწრაფოდ გახსნა და სახეზე ფერი ნაუვიდა, დაიბნა, უკვე ყურადღება აღარ მიუქცევია, სასტუმრო ოთახში სტრაკუნი რომ იჯდა და იყვირა: „ღვთის გულისათვის, ახლავე ეტლის მოსაყვანად გაიქეცი!" მართლაც მაშინვე გავიქეცი და, უკან რომ დავბრუნდი, ის უკვე სადარბაზოში მელოდებოდა. რაც ძალი და ღონე გვქონდა, მივაჭენებდით ცხენებს. მთელი გზა პირჯვარს იწერდა და იმეორებდა: „ოო, დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო მარიამ! ოღონდაც ცოცხალი დამიხვდეს, ოღონდაც ცოცხალი დამიხვდეს!"

ორშაბათს დილიდანვე მდინარეზე წავიდა საბანაოდ. სადილად სტრაკუნი და ინგლისელი ენვივნენ (ეს ინგლისელი ქალი თითქმის ყოველდღე დადიოდა მასთან, ინგლისურში ამეცადინებდა, თუმცა კი თითქმის არასდროს უმეცადინებია). სადილის შემდეგ ინგლისელი წავიდა, ხოლო სტრაკუნი დაახლოებით საათ-ნახევარი კიდევ დარჩა – დივანზე იწვა და თავი ქალბატონის მუხლებზე ედო, რომელსაც ტანზე მხოლოდ კაპოტი ეცვა, ხოლო შიშველი ფეხები იაპონურ ქოშებში ჰქონდა წაყოფილი. ბოლოს სტრაკუნიც წავიდა. წასვლის წინ სოსნოვსკაიამ სთხოვა, დღეს ღამის ათი საათისათვის მოსულიყო.

– მეტისმეტად ხშირი სტუმრობა ხომ არ გამომივა? – უთხრა სიცილით სტრაკუნმა, თან ჯოხს ეძებდა წინკარში.

–ო, არა, გეთაყვა, – უპასუხა სოსნოვსკაიამ, – ოღონდ შინ თუ არ ვიქენი, შენ, ლუსია, ნუ გაბრაზდები, კარგი?

ამის შემდეგ ბუხარში დიდხანს ნვავდა რაღაც წერილებსა და ქაღალდებს. თან სულ ღიღინებდა და მოახლეს ეხუმრებოდა:

– რახან მე არ დავინვი, ახლა ყველაფერს დავწვავ! ისე, ჯობდა, მე დავმწვარიყავი! ოღონდ მთლიანად... ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა: „ვანდას უთხარი, ვახშამი ათი საათისათვის გაამზადოს. ახლა კი მივდივარ“.

მეექვსე საათი იყო დაწყებული, სახლიდან რომ გავიდა, „ხელში ქაღალდში გახვეული რაღაც რევოლვერისმაგვარი ეჭირა“.

სტაროგრადის ქუჩაზე მიმავალმა გზად მკერავ ლეშჩინსკაიასთან შეიარა, რომელსაც მისთვის ის პენუარი უნდა გადაეკეთებინა, შაბათს ხანძრის დროს რომ ეცვა. ლეშჩინსკაიას თქმით, იგი „მშვენიერ, მხიარულ გუნებაზე იყო. პენუარი მოვუნესრიგე და სახლიდან წამოღებულ ფუთასთან ერთად შევუხვიე. ის კი ისევ დიდხანს იჯდა სახელოსნოში მკერავ გოგონებთან და წამდაუწუმ იმეორებდა – „ოო, ღვთისმშობელო, როგორ დავიგვიანე! უკვე წასვლის დროა, ჩემო პატარა ანგელოზებო!“ თუმცა ადგილიდან ფეხსაც არ იცვლიდა. ბოლოს ერთბაშად წამოდგა, ამოიოხრა და როგორღაც მხიარულად წარმოთქვა:

– მშვიდობით, პანი ლეშჩინსკაია... მშვიდობით, ჩემო დაიკოებო, ჩემო ანგელოზებო, გმადლობთ... ცოტა ხომ ვილაქლაქეთ! რომ იცოდეთ, როგორ მსიამოვნებს თქვენთან ერთად ყოფნა და ლაქლაქი, თორემ აღარ შემიძლია, სულ კაცები... კაცები!

ზღურბლიდან თავი ერთხელ კიდევ დაგვიქნია და წავიდა.

რისთვის წაიღო თან ეს რევოლვერი? ის, მართალია, ელაგინისა იყო, მაგრამ აქამდე არ ატანდა, ეშინოდა, ელაგინს თავი არ მოეკლა. „და აი, გადაწყვიტა ახლა პატრონისთვის დაებრუნებინა, ვინაიდან რამდენიმე დღეში დიდი ხნით საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას“, – თქვა პროკურორმა და დასძინა:

– ასე გაემგზავრა საბედისწერო შეხვედრაზე, თუმცა იმაზე, რომ ეს შეხვედრა მისთვის საბედისწერო იქნებოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა. შვიდ საათზე იგი უკვე სტაროგრადის ქუჩის № 14-ში, ბინა 1-ში იყო, რომლის კარიც საღამოს შვიდ საათზე რომ ჩაიკეტა,

მხოლოდ ცხრამეტი ივნისის დილას გაიღო. რა მოხდა იქ იმ ღამეს? ამის შესახებ, გარდა ელაგინისა, ვერავინ ვერაფერს გვეტყვის.

13

და აი, ჩვენ ხალხით გაჭედილ სასამართლო დარბაზში მოვისმინეთ საბრალდებო ოქმის ის ფურცლები, რომლის გონებაში აღდგენა და შეხსენება საჭიროდ ჩათვალა პროკურორმა. ოქმი ელაგინის მონაყოლით მთავრდებოდა:

– ორშაბათს, თვრამეტ ივნისს, მას ბარათი გავუგზავნე, ვწერდი, დილის თორმეტი საათისათვის თავისუფალი ვიქნები-მეთქი, რაზედაც, – ექვს საათზე სტაროგრადის ქუჩაზე მოდიო, – მიპასუხა.

ექვსს რომ თხუთმეტი აკლდა, უკვე სტაროგრადის ქუჩაზე ვიყავი, თან საუზმე, ორი ბოთლი შამპანური, ორი ბოთლი ლუდი, ორი ჭიქა და ოდეკოლონი გავიყოლე, მაგრამ ლოდინი კარგა დიდხანს მომიწია – რომ მოვიდა, უკვე შვიდი საათი იყო.

შემოვიდა თუ არა, დაბნეულმა მაკოცა, მერე მეორე ოთახში გავიდა, ფუთა დივანზე დააგდო და – გადი, უნდა გავიხადოო, – ფრანგულად მითხრა. მართლაც, გავედი და იქაც ისევ დიდხანს ვიჯექი მარტო. სრულიად ფხიზელი და საშინლად დათრგუნული ვიყავი. რატომლაც ვგრძნობდი, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. უფრო სწორად, ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა... სხვათა შორის, გარემოც როგორიღაც აუტანელი მეჩვენებოდა: ვიჯექი გაჩახჩახებული სინათლის შუქზე, მაშინ, როდესაც ვიცოდი, რომ ამ ყრუ, ბნელი, პირქუში ოთახის კედლებს მიღმა ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო და ჯერ ისევ კაშკაშა მზე ანათებდა... ის კიდევ დიდხანს არ შემხმიანებია, არ ვიცი, რას აკეთებდა. კარს იქით სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ბოლოს – შემოდი, ახლა უკვე შეიძლებაო... – დამიძახა.

იგი დივანზე ფეხშიშველა, პენუარის ამარა იწვა და შუბლქვემოდან ფარანს მდუმარედ შეჰყურებდა. ის ფუთა, მოსვლისას ხელში რომ ეჭირა, ახლა იქვე გახსნილი იდო და თვალი ჩემს რევოლვერს

მოვკარი. ეს რისთვის მოიტანე-მეთქი? – ვკითხე, რაზედაც კარგა მოგვიანებით მიპასუხა: „არაფრისთვის, ისე... მე ხომ მივემგზავრები... სჯობს აქ იყოს, აქ შეინახე, სახლში არ წაიღო". უცებ საშინელმა აზრმა გამიელვა – არა, ეს ტყუილად არ მოუტანია-მეთქი, მაგრამ აღარაფერი მითქვამს...

ის ცივი, ნაძალადევი საუბარიც, რომელიც ამის შემდეგ ჩვენ შორის გაიმართა, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. საშინლად ვღელავდი – მინდოდა რაღაც მომეფიქრებინა. აი, გონებას მოვიკრებ და ბოლოსა და ბოლოს რაღაც მნიშვნელოვანს, გადაწყვეტილს ვეტყვი-მეთქი. ვგრძნობდი, ეს შეიძლება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა გამომდგარიყო, ან, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით დავცილებულიყავით ერთმანეთს, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვგრძნობდი, რომ სრულიად უსუსური ვიყავი. თუ გინდა, მომინექიო, – მითხრა. რომ არ გიყვარს-მეთქი? ახლა ჩემთვის სულერთიაო, – და მთხოვა, შამპანური მიმეწოდებინა... მისმა თხოვნამ ისე გამახარა, თითქოს მხოლოდ ამაში ყოფილიყოს მთელი ჩვენი ხსნა და გამოსავალი. რამდენიმე წუთში მთელი ბოთლი დავცალეთ. მე მის გვერდით დავჯექი და ხელზე კოცნა დავუწყე. ვუთხარი, რომ ვერ გადავიტანდი მის წასვლას. ის კი თმას მიჩეჩავდა და დაბნეული ამბობდა: ჰო, ჰო... ნუთუ არ შეიძლება, შენი ცოლი ვიყო... ყველა და ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, მხოლოდ ღმერთი თუა ჩვენს მხარეს... მე შენი სუნი მიყვარს, შენი ფანტაზიაო... არ ვიცი, რის თქმა სურდა ამ ბოლო სიტყვებით. ჭერში ქოლგას ავხედე და ვუთხარი: შეხედე, ჩვენ აქ თითქოს აკლდამაში ვართ, თან ისეთი სინყნარეა-მეთქი. პასუხად მან მხოლოდ სევდიანად გაიღიმა. ათი საათი იქნებოდა, მშიაო – მითხრა და ორივენი წინა ოთახში გავედით, მაგრამ თითქმის არაფერი უჭამია. არც მე – უფრო ვსვამდით... უცებ ჩემ მიერ მოტანილ საუზმეს შეხედა და წამოიძახა: „სულელო, შენ კიდევ ამდენი იყიდე?! იცოდე, აღარ გაბედო მეორედ ამდენი საჭმლის ყიდვა!" მეორედ როდისღა იქნება-მეთქი, – ვკითხე. მან როგორღაც საშინლად შემომხედა, თავი ჩაქინდრა და თვალები გადაატრიალა. „უფალო იესო ქრისტე, ღვთისმშობელო მარიამ! –

ნაიჩურჩულა თავისთვის, – რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? აჰ, როგორ მინდიხარ, მოდი, ჩქარა მოდი!“

ცოტა ხნის შემდეგ საათს შევხედე – ღამის ორი საათი იწყებოდა. ოო, რა გვიანია, ახლავე შინ უნდა წავიდეო, მაგრამ წელი არც კი წამოუწევია, ისე დასძინა: „ვგრძნობ, რაც შეიძლება მალე უნდა წავიდე აქედან, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძრულვარ... ვიცი, ამ ოთახიდან ცოცხალი ველარ გავალ... შენ ჩემი ბედისწერა ხარ, ჩემი განგება, ღვთის ნება“. ვერც ეს ბოლო სიტყვები გავიგე. იქნებ რაღაც ისეთის თქმა უნდოდა, მერე რომ დაწერა – ჩემი ნება-სურვილით არ ვკვდებიო? თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ფრაზით მას ჩემს ნინაშე თავისი უმწეობის გამოხატვა სურდა? მე კი მგონია, ამით მას სხვა რამის თქმა უნდოდა, რომ ჩვენი, ჩემი და მისი უიღბლო შეხვედრა – ბედისწერა, ღვთის ნება იყო, რომ იგი თავისი ნება-სურვილით კი არა, ღვთის ნებით კვდებოდა. მართალი გითხრათ, მაშინ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისი ამ სიტყვებისთვის, დიდი ხანია უკვე მიჩვეული ვიყავი მის უცნაურ ხასიათს. მერე უცებ – ფანქარი თუ გაქვსო, – მკითხა. ამან კიდევ უფრო გამაოცა, ფანქარი რაღად სჭირდება-მეთქი, – გავიფიქრე, მაგრამ ფანქარი მაშინვე უბის წიგნაკიდან ამოვიღე და გავუწოდე. ახლა ჩემი საავიზიტო ბარათი მომთხოვა. ბარათზე რაღაცის წერა რომ დაიწყო – იცი რა, ჩემს საავიზიტო ბარათზე რომ წერ, უხერხულია-მეთქი, – ვუთხარი. ჩემთვის რაღაც შენიშვნებს ვწერ, ცოტა ხანს მაცადე, რაღაცაზე ვფიქრობ, იქნებ, ცოტა ჩავთვლიმო კიდევაცო. მერე ნანერით გავსებული ბარათი გულზე დაიდო და თვალები მილულა. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამონვა, პირდაპირ გავშეშდი, სული ველარ მოვითქვი.

ასე გაიარა სულ ცოტა ნახევარმა საათმა. უცებ თვალი გაახილა და ცივად მითხრა: „ჰო, მართლა, დამავიწყდა... მოვედი, რომ ბეჭედი დაგიბრუნო, გუშინ აკი თვითონ გინდოდა, ყველაფერი დამთავრებულიყო“. ამ სიტყვებით საწოლიდან წამოიწია და ბეჭედი კედლის შვერილზე დააგდო. „არა, არ გიყვარვარ! – თქვა თითქმის ყვირილით. – არ მესმის, ასე მშვიდად როგორ მიყურებ! ხომ ხედავ, ქალი ვარ

და გამბედაობა არ მყოფნის. მე სიკვდილის კი არა, ტანჯვის მეშინია, მაგრამ ხომ შეგიძლია, ერთი გასროლით ჯერ მე მომკლა, მერე კი თვითონაც მოიკლა თავი". და აი, ერთხელ კიდევ თავზარდამცემი სიცხადით ვიგრძენი, რაოდენ მძიმე და უსაშველო იყო ჩვენი მდგომარეობა. ვიგრძენი, რომ ბოლოსა და ბოლოს როგორმე ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვსულიყავით. მაგრამ ის, რომ მე იგი მომეკლა? არა, ამას ვერასოდეს შვძლებდი! მე უფრო სხვა განცდა მქონდა! ის კი არადა, ჩემთვის გადამწყვეტი წუთები დადგა-მეთქი, ვფიქრობდი. რევოლვერი ავიღე და ჩახმახი შევაყენე. „როგორ? შენ? მარტო შენ?! – საშინლად იკივლა და წამოხტა – არა, იესო ქრისტეს გეფიცები, არა, არავითარ შემთხვევაში!" – ამ სიტყვებით რევოლვერი ხელიდან გამომტაცა და...

ისევ ჩამოწვა მტანჯველი სიჩუმე. მე ვიჯექი, ის გაუნძრევლად იწვა. მერე უცებ თავისთვის პოლონურ ენაზე რაღაც ჩაიბურტყუნა და – ჩემი ბეჭედი მომეციო, – ახლა მე მომიბრუნდა. ბეჭედი რომ მივაწოდე, შენიცო, – მითხრა. სასწრაფოდ ეს სურვილიც შევუსრულე. თავისი ბეჭედი თითზე წამოიცვა, მიბრძანა, მეც ჩემი ბეჭედი გამეკეთებინა და ჩუმად ჩაილაპარაკა: მე შენ ყოველთვის მიყვარდი, ახლაც ძალიან მიყვარხარ... ვიცი, გადაგრიე, ჭკუიდან გადაგიყვანე, დაგტანჯე, მაგრამ, რას იზამ, ასეთი ხასიათი მაქვს, ასეთია ჩვენი ბედისწერა. ახლა კი აი ეს ქვედაკაბა მომეცი და ლუდი მომიტანე... კაბა მივაწოდე და ლუდის შემოსატანად მეორე ოთახში გავედი. უკან რომ დავბრუნდი, გვერდით ოპიუმის შუშა ედგა. „მომისმინე, – მითხრა მან მტკიცედ, – კმარა, გვეყოფა ეს კომედია. შეგიძლია, იცოცხლო უჩემოდ?!" – არა-მეთქი, – ვუპასუხე. „ჰო – მე წავიღე შენი სული, ჩემთანაა მთელი შენი აზრები. თქვი, შეგიძლია, უყოყმანოდ მოიკლა თავი? თუ ასეა, მეც შენთან ერთად წამიყვანე, არც მე შემიძლია უშენოდ სიცოცხლე, ხოლო როცა სიცოცხლეს გამომასალმებ, იმ შეგნებით მოკვდები, რომ ბოლოსა და ბოლოს მე უკვე შენ გეკუთვნი... შენი ვარ სულით ხორცამდე... საუკუნოდ... ახლა კი მომისმინე – მოისმინე ჩემი ცხოვრების ამბავი..." ამის შემდეგ ისევ დანვა, წუთით იყუჩა, ცოტათი დამშვიდდა და ბავშვობიდან

მოყოლებული მთელი თავისი ცხოვრების ამბავს მომიყვა, თუმცა თითქმის აღარაფერი მახსოვს მისი იმ მონაყოლიდან.

14

– არც ის მახსოვს, რომელმა ჩვენგანმა დაიწყო პირველად წერა... ფანქარი შუაზე გავტეხე... ვწერდი ჩუმად, ხმის ამოუღებლად, მგონი, პირველ ყოვლისა, მამაჩემის წერილი დავწერე... მეკითხებით, მაშინ, როდესაც ერთხელაც არ მითხოვია თანხმობა სოსნოვსკაიასთან დაქორწინების შესახებ, რატომ ვსაყვედურობ მამაჩემს, ჩემი ბედნიერება არ გინდოდაო? არ ვიცი... ალბათ, იმიტომ, რომ ვიცოდი, მაინც არ დამთანხმდებოდა ამგვარ ქორწინებაზე... მერე თანაპოლკელებთან გამოსამშვიდობებელი წერილი დავწერე. კიდევ... კიდევ ვის მივწერე? პოლკის მეთაურს. ვთხოვდი, წესიერად დავესაფლავებინე. ესე იგი, დარწმუნებული იყავი, რომ თავს მოიკლავდიო? რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი... მაშინ, როგორ მოხდა, რომ ასე მოვიქეცი? არ ვიცი.

ის კი, მახსოვს, ნელა წერდა, სვენებ-სვენებით, ხანდახან ჩერდებოდა და რაღაცას ფიქრობდა. დაწერდა ერთ სიტყვას და გახედავდა კედელს შუბლსქვემოდან... წერილები თვითონ დახია და არა მე. წერდა, ხევდა და, სადაც მოხვდებოდა, ყრიდა. მე მგონი, ადამიანი საფლავშიც არ იქნება ისეთი თავზარდაცემული, როგორც მე ვიყავი მაშინ, როცა ამ არავისთვის საჭირო წერილებს ვწერდით იმ გვიან ღამით, იმ სიჩუმეში, აი იმ ფარნის ქვეშ... წერილების წერა მისი სურვილი იყო, მე კი იმ ღამეს უსიტყვოდ ვემორჩილებოდი ყველაფერში, მისი სიცოცხლის თვით უკანასკნელ წუთამდეც კი...

უცებ მეუბნება: „კმარა... რახან გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა აღვასრულოთ... დაგვლოცე, დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო მარიამ!“ მერე – ლუდი მომაწოდეო, – მითხრა. ჭიქაში ლუდი რომ ჩავუსხი, ლოგინიდან წამოიწია, ერთი მწიკვი ფხვნილი ჭიქაში უყოყმანოდ ჩაყარა, ნახევარზე მეტი დალია და მიბრძანა, დანარჩენი მე დამელია. ლუდი რომ დალია, აფორიაქებულმა ხელში

ხელი ჩამავლო და ხვეწნა დამიწყო: „ახლა კი მომკალი! თუ მართლა გიყვარვარ, მომკალი!"

სახელდობრ, როგორ გავაკეთე ეს? მგონი, მარცხენა ხელი მოვხვიე – ჰო, რა თქმა უნდა, მარცხენა ხელი მოვხვიე და გულში ჩავიკარი. მისი ის სიტყვები ახლაც ყურში მიდგას: „მშვიდობით, მშვიდობით... თუმცა, არა, გამარჯობა!... ახლა უკვე სამუდამოდ... აქ თუ ვერ შევძელით, მაშინ იქ, ზეცაში, ზევით მაინც შევძლებთ...". გულში რომ ვიკრავდი, თითი რევოლვერის ჩახმახზე მქონდა დადებული... მახსოვს, მთელი სხეულით როგორ ვკანკალებდი... მერე როგორღაც სასხლეტს ჩემდაუნებურად გამოვკარი თითი. მან მხოლოდ ამის თქმაღა მოასწრო პოლონურად: „ალექსანდრ, ჩემო საყვარელო!"

რომელი საათი იყო? მგონი, სამი... რას ვაკეთებდი ორი საათის მანძილზე ამის შემდეგ? მთელი საათი მოვუნდი, ვიდრე ლიხარევთან მივიდოდი. დანარჩენ დროს კი ჯერ ერთხანს მის გვერდით ვიჯექი, მერე ავდექი და რატომღაც ყველაფერი წესრიგში მოვიყვანე...

რატომ არ მოვიკალი თავი? როგორღაც სულ გადამავიწყდა. როცა ვნახე, ცოცხალი აღარ იყო, ამქვეყნად აღარაფერი გამხსენებია, ვიჯექი და თვალს ვერ ვაცილებდი. მერე გონებაარეულმა ჯერ მისი, მერე კი ოთახის მონესრიგება დავიწყე... როგორ შევძელი მიცემული სიტყვისთვის მეღალატა – შენს შემდეგ თავს მეც მოვიკლავ-მეთქი, არ ვიცი. რაღაც აუტანელი გულგრილობა დამეუფლა, ახლა ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის, აღარაფერს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ცოცხალი ვიქნებოდი თუ მკვდარი. იმას კი ვერასდროს შევურიგდები, ჯალათიაო, ჩემზე რომ იფიქრონ. არა, არა და არა! შეიძლება დამნაშავე ვიყო ადამიანის მიერ დაწერილი კანონის წინაშე, დამნაშავე ვიყო ღვთის წინაშე, ოღონდ მის წინაშე – არასოდეს!

კომენტარები

წიგნიდან „ბნელი ხეივანი"

ჰენრიხი – მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა 1946 წელს. მწერლის მეუღლის – ვ. ნ. მოუროვცევა-ბუნინას სიტყვით, მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი ჟურნალისტი და მწერალი ქალი მაქს ლია. ავტორს ეს მოთხრობა თავის შემოქმედებით გამარჯვებად მიაჩნია.

გვ. 13

ტრეჩენტო – ეწოდება იტალიის კულტურაში ჰუმანიზმის გაფურჩქვნის პერიოდს XIV საუკუნეში.

კვადროჩენტო – XV საუკუნის აღორძინების ადრეული იტალიური პერიოდის სახელწოდება.

ანჯელიკო – აღორძინების ადრეული პერიოდის იტალიელი მხატვარი (1400-1455).

გირლიანდაიო – აღორძინების ადრეული პერიოდის იტალიელი მხატვარი (1449-1494).

ბეატრიჩე – დანტე ალიგიერის (1255-1321) პოემა „ღვთაებრივი კომედიის" გმირი ქალი.

გვ. 16

ინდიგოსფერი – მუქი ლურჯი მცენარეული საღებავი.

ნატალი – მოთხრობაში გარკვეულნილად ასახულია ბუნინის გატაცება ლამაზი და ნიჭიერი პოეტი ქალით – გ. ნ. კუზნეცოვათი, თუმცა თავად ბუნინი აღნიშნავს, რომ „ნატალი" თავიდან ბოლომდე გამოგონილია. ლირიკული მოთხრობა „ნატალი" აღსავსეა დრამატიზმით და ეს მიიღწევა არა დრამატული სიტუაციებით, როგორც ეს პუშკინის ლექსებშია, არამედ, იმ იდუმალის გამოვლენით, რაც ყოველდღიურ ცხოვრებას ახლავს. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბუნინი სნორედ ამით უახლოვდება პუშკინს.

გვ. 33

ულანი – მსუბუქ კავალერიაში მომსახურე სამხედრო პირი (მეფის ზოგიერთ უცხოურ არმიაში).

ულანი ჩერკასოვი – ამ მოქმედი პირის პროტოტიპი ალექსეი ალექსეევიჩ მუროვცევი, ბუნინის მეუღლის – ვერა ნიკოლაევნა მუროვცევას ბიძაა.

გვ. 44

„შუა მეჯლისში, თან სულ შემთხვევით ...“ – პ. ი. ჩაიკოვსკის რომანსი ა. ტოლსტოის სიტყვებზე.

გვ. 57

ბრიუს იაკობ ველიმოვიჩი (1670-1735) – პეტრე პირველის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწე, სწავლული, მთარგმნელი, კალენდრის ავტორი.

გვ. 67

აგარი – ბიბლიის მიხედვით აბრაამის ეგვიპტელი ხასა, რომელმაც მას ვაჟიშვილი იზმაილი გაუჩინა.

მუზა – ამ მოთხრობის შექმნის შესახებ ბუნინი წერს: „პატარა სოფელ ოზერკიში, ჩვენი სახლიდან სამიოდე ვერსზე, იყო მამული, რომელიც ოდესლაც ჯერ დედაჩემს ეკუთვნოდა, მერე მემამულე ლოგოფეტს, ჩემს ახალგაზრდობაში კი მის გაღატაკებულ, მწითურ, ლოთ, გამხდარ-გაძვალტყავებულ ვაჟიშვილს. მე მათთან ზოგჯერ დავდიოდი. ერთხელაც ერთ იმ მთვარიან საღამოს ვეწვიე, როცა სახლი მხოლოდ მთვარის შუქით იყო განათებული. რაღაც მომენტში პარიზში რატომღაც სწორედ ეს საღამო მომაგონდა და მომინდა რაიმე დამეწერა, მაგრამ არა და არ გამომდიოდა. და აი, კარგა დიდი ხნის შემდეგ სამშობლოდან დაშორებულს ეს ყველაფერი გამახსენდა (ეს იყო 1938 წლის ბოლოს) და ჩემს თავში უცებ „მუზას“ სიუჟეტი გამოიკვეთა, თუმცა ნარმოდგენა არა მაქვს, რატომა და რა მიზეზით. აქაც ყველაფერი გამოგონილია, გარდა იმისა, რომ ოდესღაც ხშირად და დიდხნობით ვცხოვრობდი მოსკოვში, არბატზე, სასტუმრო „სტოლიცას“ ნომრებში“.

სტიოპა – მოთხრობის შექმნის თაობაზე 1938 წლის ოქტომბერში ბუნინი წერს: „რატომღაც გამახსენდა მსუბუქი ოთხთვალა ეტლით ჩემი ძმის – ევგენის მამულიდან (ტულის გუბერნიის საზღვარზე) როგორ წამოვედი, როგორ მივუახლოვდი ახალგაზრდა, უშვილო ვაჭარ

ალისოვის ფუნდუკს. პარმალთან ვხედავ, ვიღაც კაცი მათრახით მაღალ-ყელიანი ჩექმებიდან ტალახს როგორ იცილებს. დანარჩენი მოულოდ-ნელად და თავისთავად დალაგდა.

გვ. 102

დერეფნის პლანკერი – Placard (ფრ.) კედლის კარადა.

დიდმარხვის პირველი ორშაბათი – ეს მოთხრობა თვითონ ბუნინს ძალიან უყვარდა. 1944 წლის 9 მაისს დღიურში იგი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „ღამის პირველი საათია. მაგიდიდან წამოვდექი. „დიდმარხვის პირველი ორშაბათის" დამთავრებას სულ რამდენიმე სტრიქონილა მაკლდა. სინათლე ჩავაქრე, ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გამო-ვაღე. ჰაერი არ იძვრის. ცას სავსე მთვარე ანათებს, მთელი მინდორი თხელ ბურუსშია გახვეული, შორს, ჰორიზონტს ზღვის ვარდისფერი ანარეკლი შეჰფენია, სიჩუმეა, დგას ახლად გაფოთლილი ფოთლების სიგრილე, აქა-იქ ბულბულების გალობა ისმის. ღმერთო, მომეცი ძალა ჩემს ამ მარტოსულ, ხელმოკლე ცხოვრებაში, რათა ვიშრომო და დავტკბე ამ სილამაზით"...

გვ. 104

ჰოფმანსტალი ჰუგო ფონ (1874-1929) – ავსტრიელი მწერალი, რომლის შემოქმედებაზე გავლენა მოახდინეს სიმბოლისტებმა.

არტურ შნიცლერი (1862-1931) – ავსტრალიელი დრამატურგი და პროზაიკოსი, ვენის იმპრესიონისტული ჯგუფის „გრუპა მოდერნის" წევრი.

კაზიმეჟ ტოტმაიერი (1865-1940) – პოლონელი პოეტი და პროზაი-კოსი.

სტანისლავ პშიბიშევსკი (1868-1927) – პოლონელი მწერალი, ნერდა როგორც პოლონურად, ისე გერმანულად. თავის შემოქმედებაში ცდილობ-და მოეცა ადამიანში ქვეცნობიერი საწყისის ანალიზი, გაეანალიზებინა ადამიანის პათოლოგიური სულიერი მდგომარეობა.

გვ. 106

... ერთ სუსხიან საღამოს თავი ანდრეი ბელის ლექციაზე როგორ ამოვყავი ... – აქ გადმოცემულია ბუნინის შთაბეჭდილება ანდრეი ბელის (რუსი მწერალი – 1880-1934 წწ., სიმბოლიზმის თეორეტიკოსი) ლექციის თაობაზე, რომლის კითხვის მანერა არ იყო ჩვეულებრივი. „ესტრადაზე იკრუნჩხებოდა, ჩაჯდებოდა, დახტოდა, დარბოდა, უაზროდ,

დაბანგულივით იმზირებოდა უკან-უკან... ანთებულ თვალებს აღტაცებული აბრიალებდა", – წერს ბუნინი.

გვ. 107

„ცეცხლოვანი ანგელოზი“ – რუსი მწერლისა და პოეტის ვ. ბრიუსოვის (1873-1924) ისტორიული რომანი.

... გუშინ შალიაპინის კონცერტიდან რატომ გამოიქეცით?.. – ბუნინი დიდად აფასებდა შალიაპინის უდიდეს ტალანტს, მეგობრობდა მასთან, მაგრამ მის დიდ ნაკლად წრეგადასული თავდაჯერებულობა, საკუთარი განსაკუთრებული ძალმოსილების ხაზგასმულობა მიაჩნდა.

ივერიის ღვთისმშობლის ეგვტერი – მდებარეობდა წითელ მოედანთან, ისტორიული მუზეუმის მახლობლად.

ვასილი ნეტარხსენებულის ტაძარი წითელ მოედანზე – აშენებულია 1555-1560 წლებში ყაზანის სახანოზე რუსეთის გამარჯვების აღსანიშნავად.

იტალიური ყაიდის ტაძრები – მთავარანგელოზის ტაძარი, აშენებულია იტალიელი არქიტექტორის – ალუვიზ ფრიაზინის მიერ 1505-1509 წლებში, მოსკოვის თავად დიმიტრი დონსკის ცოლის – დიდი კნეინა ევდოკიას შეკვეთით.

გვ. 109

ლეონიდ ნიკოლაევიჩ ანდრეევი (1871-1919) – რუსი მწერალი.

მიტევების კვირა – დიდმარხვის პირველი ორშაბათის წინა კვირა.

გვ. 112

... რა საშინელი აღრევაა სამხატვრო თეატრისა და რუსული სუსალური სტილისა ... – მაშინ, როცა იმ წლების მხატვრული თეატრის რეპერტუარში იყო მეტერლინკის, ჰაუპტმანის, იბსენის სიმბოლისტური დრამები, რერიხის გაფორმებითა და გრიგის მუსიკით, როცა რეფორმა შეეხო ყველაფერს, როგორც რეპერტუარს, ისე სამსახიობო ხელოვნებას, რუსული სუსალური (დათაფლული) სტილი პოეზიასა, ესტრადასა და არქიტექტურაში, მამლებითა და ცხენის ტრამვაებით, დამყაყებულობისა და სიყალიბის გამოსახულება იყო.

მორის მეტერლინკი (1862-1949) – ბელგიელი მწერალი-სიმბოლისტი.
გერჰარტ ჰაუპტმანი (1862-1946) – გერმანელი დრამატურგი.
ჰენრიკ იბსენი (1828-1906) – ნორვეგიელი დრამატურგი.
ნიკოლაი კონსტანტინოვიჩი რერიხი (1874-1947) – რუსი მხატვარი.

ედვარდ გრიგი (1843-1907) – ნორვეგიელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.

მართა-მარიას მონასტერი (არის არა მონასტერი, არამედ ეკლესია) – აღნიშნულ ეკლესიასთან დაარსებული იყო მაღალი წრის ქალთა თემი, რომელიც ზრუნავდა ეკლესიაში მცხოვრებ ობოლ ბავშვებსა და პირველ მსოფლიო ომში დაჭრილ მეომრებზე.

გვ. 113

... სამხელა ღვთისმშობელი?! ინდოეთია თუ რა!.. – ძველი თქმულების მიხედვით, იოანე დამასკელს (დაახლ. 675-753 წწ.) – ბიზანტიელ ღვთისმეტყველს, ფილოსოფოსსა და პოეტს ცილი დასწამეს, რის შემდეგაც ხალიფას ბრძანებით ხელის მტევანი მოჰკვეთეს, მაგრამ, რაღაც სასწაულით ხელი ისევ წამოეზარდა. მადლობის ნიშნად დამასკელმა ღვთისმშობელს ხატზე მესამე ხელი მიახატა.

ზაჩატაევის (მუცლადღების) მონასტერი – დაარსებულია 1584 წ. მეფე ფეოდორ იოანოვიჩის მიერ ცოლის უშვილობისაგან განკურნების მიზნით.

... ჩუდოვოში ხომ კიდევ უკეთესად ... – მოსკოვის კრემლის მონასტერი. დაარსებულია 1365 წ. XVI საუკუნიდან იყო სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი.

გვ. 115

„კაპუსტნიკი“ – აქტიორებისა და სტუდენტების სახუმარო-პაროდიული საღამო-წვეულებები.

გვ. 116

კონსტანტინ სერგეევიჩ სტანისლავსკი (ნამდვილი გვარია ალექსეევი) (1863-1938) – რუსი რეჟისორი, მსახიობი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი.

ივან მიხაილოვიჩ მოსკვინი (1974-1946) – რუსი მსახიობი.

კაჩალოვი ვასილ ივანოვიჩი (ნამდვილი გვარია შვერუბოვიჩი) (1875-1948) – „მხატვრული თეატრის“ ბელორუსი მსახიობი.

ციკი ზეგოდგომა – 1914 წლის 15 ივნისს სარაევოში მოკლეს ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი (1863-1914), რაც გახდა მიზეზი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა.

1895-1932 წლები

ველგა – 1898 წელს ბუნინი გაზეთს უგზავნის მოთხრობას და გაზეთის რედაქტორს სწერს: „გიგზავნით მოთხრობა-ლეგენდას". იგი ჩრდილოეთსა და ჩრდილოეთის ზღვებზე ბევრი კითხვისა და იქაური ლეგენდებით დაინტერესების შედეგია".

პატარა რომანი – 1926 წ. მოთხრობების სრული კრებულისათვის მწერალმა რამდენჯერმე გადაამუშავა მოთხრობა, შეუცვალა სათაური („ძველი სიმღერა"), ამოიღო ტექსტიდან მოზრდილი მონაკვეთები, განსაკუთრებით ბუნების აღწერასა და მთხრობლის განცდებთან დაკავშირებული ადგილები.

მზის დაკვრა – ეს მოთხრობა „ბნელი ხეივნის" წინამორბედია. „ლიტერატურაში მე არ მახსოვს მზის ასეთი, თითქმის ფიზიკური განცდა... გრძნობათა უკიდურესად დაძაბვით, სინათლით, ბედნიერებითა და ტკივილიანი სიყვარულით, თავისი მწველი ცხოველმყოფელობით გაჯერებული ეს პატარა მოთხრობა ნამდვილი სასნაულია" – წერს კრიტიკოსი.

მზეზე უმშვენიერესი – მოთხრობილია იტალიელი პოეტის – ფრანჩესკო პეტრარკას (1304-1374) სიყვარული დონა ლაურასადმი, რომელსაც იგი ავინიონში შეხვდა 1328 წელს, „შეეტრფო უდიდესი სიყვარულით" და უკვდავჰყო თავის სონეტებში.

კორნეტ ელაგინის საქმე – მოთხრობის სიუჟეტს საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს. 1890 წელს ვარშავაში პორუჩიკმა ბარტინიევმა მოკლა მსახიობი ვისნოვსკაია. ბარტინიევის საქმემ დიდი გამოხმაურება პპოვა. ეს ამბავი დაწვრილებით არის გადმოცემული ბარტინიევის დამცველის – პლავაკის სიტყვის წინასიტყვაობაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს გამოცემა გამოიყენა მოთხრობისთვის ბუნინმა.

გვ. 223

... იგი მარია ბაშკირცევასთან თავის მსგავსებაზე მიანიშნებდა ... – ბაშკირცევა მარია კონსტანტინოვნა (1860-1884) – რუსი მხატვარი.

ივან ბუნინი და ნობელის პრემია

დიდი რუსი მწერალი ივან ბუნინი 1870 წლის 10 (22) ოქტომბერს დაიბადა ვორონეჟში, 1953 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა პარიზში.

ბავშვობა სოფელში გაატარა. თერთმეტ წლამდე ოჯახში იღებდა განათლებას. 17 წლისამ დაიწყო ლექსების წერა. 1895 წლიდან ცხოვრობს მოსკოვსა და პეტერბურგში. მოთხრობათა პირველი კრებული 1897 წელს გამოსცა.

ორი უიღბლო ქორწინების შემდეგ 1906 წელს ცოლად მოჰყავს ვერა მურომცევა. 1909 წელს ივან ბუნინი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. ოქტომბრის რევოლუციას მტრულად შეხვდა. 1920 წლის 26 იანვარს იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა საფრანგეთში.

ემიგრაციაში კვლავ აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას აგრძელებს. სწორედ აქ იწყებს თავისი „მთავარი" წიგნის – „ცხოვრება არსენიევის" წერას, აქ ქმნის თავისი საუკეთესო მოთხრობების ციკლს. მოთხრობებში მწერლის ოსტატობა განსაკუთრებულ ვირტუოზულობას, განსაკუთრებულ გამომსახველობას აღწევს. იგი დახვეწილად, გულწრფელად, დაწვრილებით ხატავს ინტიმურ ურთიერთობებს, მაგრამ არასოდეს სცილდება იმ მოუსელთებელ ზღვარს, სადაც მაღალი ხელოვნება ნატურალიზმის ნართაულ მინიშნებამდეც არ მიდის.

ბუნინისათვის ნობელის პრემიის მინიჭების ოფიციალურ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: შვედეთის აკადემიის 1933 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ამ წლის ნობელის პრემია მიენიჭა ივან ბუნინს. იმ ჭეშმარიტი არტისტული ტალანტისათვის, რომლითაც მხატვრულ ნაწარმოებებში შექმნა ტიპიური რუსული ხასიათები, განაყითარა რუსული კლასიკური პროზა.

რუსეთში კი „ლიტერატურნაია გაზეტა" წერდა: „უკანასკნელი ცნობებით, 1933 წლის ნობელის პრემია მიენიჭა თეთრგვარდიელ-ემიგრანტ ი. ბუნინს. ეს ფაქტი სრულიადაც არ ეოფილა მოულოდნელი მათთვის, ვინც ბოლო

ხნის განმავლობაში ეურადღებით აღეკნებდა თვალს ემიგრაციის ლიტერატურულ ჯაობში გამართულ ხაეჯკო ფუხფუხს. ეს ფუხფუხი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1932 წელს ხმა დაირხა, რომ მორიგი ჰრემია ლიტერატურაში მიეცემა... მაქსიმ გორკისო. გულუბრეყილო მიტროფანუშკებმა ხერიოზულად ირწმუნეს, რომ ბურჟუაზიული აკადემია, ყისთვისაც თავის დროზე ლევ ტოლსტოიც კი მოჯარბებულად ხაშიში რადიკალი გამოდგა, ნობელის „დაფნით“ დაამშვენებდა ჰროლეტარულ მწერალს, რომელიც დაუნდობლად ამხელდა კაპიტალისტური წეობის ხიკალბესა და ხიდამჰლეს, მასებს კი ლენინიზმისაკენ მოუწოდებდა.

გორკის კანდიდატურის საჰირისჰიროდ, რომელიც არასოდეს არავის არც წამოუეენებია, და ბურჟუაზიის ჰირობებში არც შეეძლო წამოეეენებინა, თეთრგკარდიულმა ოლიმჰომ წამოაეენა და ეველანაირად იცავდა კონტრ-რეკოლუციის ღონიერ მგელს ბუნინს, რომლის შემოქმედებაც, განსაკუთრებით კი უკანასკნელი დროისა, გაჯერებულია ხიკვდილის, გახრწნის, განწირულობის მოტივებით. როგორც ჩანს, თვალში ხწორედ ამგვარი ლიტერატურა მოუვიდათ მოხუც შვედ აკადემიკოხებს“.

ნობელიანტმა შესანიშნავად აღწერა ჰრემიის მიღებასთან დაკავშირებული თავისი შთაბეჭდილებები. სრულად გთავაზობთ ივან ბუნინის „ნობელის დღეებს“, სადაც ხანობელო ლექციაცაა მოცემული.

1933 წლის ცხრა ნოემბერი... ბებერი, კეთილი ჰროვანსი, ბებერი, კეთილი ბრასი, ქალაქი, სადაც ჩემი ცხოვრების ათი წელი ფუხმოუცვლელად გავატარე... კვიანი შემოდგომის მშრალი, მეუდრო, უღიმდამო დღე...

ამგვარი დღეები სამუშაოდ არასდროს განმაწყობს, მიუსედავად ამისა, როგორც ყოველთვის, ახლაც საწერ მაგიდასთან ვზივარ. ნასაუზმევს ისევ ეუბრუნდები მაგიდას, მაგრამ ფანჯრიდან ვხედავ, საცაა გაწვიმდება და ვგრძნობ – არა, არ შემიძლია მუშაობა. დღეს ხინემაში დღის წარმოდგენაა – სჯობს ხინემაში წავიდე.

გორაკიდან, სადაც „ბელვედერი“ დგას, ქალაქში ვეშვები, გავცქერი შორეულ კანს, ზღვას, რომელიც ძლივს მოჩანს ასეთ დღეებში, ნისლით შებურულ ესტერელის ქედს და საკუთრ თავს ამ ფიქრებში ვიჯერ:

„იქ, სადღაც, ევროპის მეორე ბოლოში, იქნებ ხწორედ ახლა წუდება ჩემი ბედი...“

მაგრამ ხინემაში ისევ მავიწყდება სტოკჰოლმი.

ანტრაქტის შემდეგ, როცა რაღაც სისულელე – ეკრან წოდებული „ბემბი“ იწყება, ეკრანს განსაკუთრებული ინტერესით შეეყურებ: თამაშობს კისა კუპრინა, ალექსანდრ ივანჩიჩის ქალიშვილი. და აი, ხიბნელეში ჩემს გვერდით რაღაც ჩუმი ხმაური ისმის, მერე ვიღაც ხელის ფარანს ანთებს, ვიღაც მხარში ხელს მკიდებს და გახარებული ხმამაღლა მეუბნება:

– სტოკჰოლმიდან რეკავენ...

და უცებ მთელი ჩემი წარსული ცხოვრება სადღაც ინთქმება.

ხაკმაოდ სწრაფად მივაბიჯებ შინისაკენ, მაგრამ, გარდა ხინანულისა, კიხან თამაშს ბოლომდე ვერ ვუყურე-მეთქი, გარდა გულგრილი უნდობლობისა იმის მიმართ, რაც ეს-ესაა შემატყობინეს, არაფერს ვგრძნობ. თუმცა რატომ არ მჯერდეს, როცა შორიდანვე ვხედავ, როგორ არის გაბრდღვიალებული მუდამ მშვიდი, ამ დროისათვის მუდამ ნახევრად ჩაბნელებული, გრანის ფერდობზე შეფენილ ზეთის ხეთა უდაბურ ბაღებში მიკარგული ჩემი სახლი და გული სევდით მეკუმშება... რაღაც ახალი იწყება ჩემს ცხოვრებაში.

მთელი ის საღამო „ბელვედერში“ ტელეფონის ზარი არ წყდება. რეკავენ ევროპის ყველა დედაქალაქიდან, რეკავენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, შორიდან რაღაცას ჩამძახიან, კარზე განუწყვეტლივ რეკავენ ფოსტალიონები, რომელთაც ახალი და ახალი ტელეგრამები მოაქვთ მხოფლიოს ლამის ყველა ქვეყნიდან, გარდა რუსეთისა! კარი ვაეკაცურად უმკლავდება ათასი ჯურის მომხველელს, ფოტოგრაფებისა და ეურნალისტების იერიშებს... სტუმართა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს, ისე, რომ სასეებსაც ვეღარ ვარჩევ. ღელავენ, ხელს მართმევენ, რაღაცას მიმეორებენ, ფოტოგრაფები მაგნიუმის კაშკაშა შუქს შიგ თვალებში მანათებენ, ეურნალისტები ერთმანეთს არ აცლიან, კითხვას კითხვაზე მაერიან:

– დიდი ხანია, რაც რუხეთი მიატოვეთ?

– ოციანი წლების დასაწყისიდან ემიგრაციაში ვარ.

– რუსეთში დაბრუნებას ხომ არ ფიქრობთ?

– ღმერთო ჩემო, როგორ შემიძლია ახლა იქ დაბრუნება!

– მართალია თუ არა, რომ თქვენ პირველი რუხი მწერალი ხართ, ვისაც ნობელის პრემია მიენიჭა?

– მართალია თუ არა, რომ იგი ოდესღაც ლევ ტოლსტოის შესთავაზეს და უარი თქვა ამაზე?

– არა, არ არის მართალი. ჰრემიას არასოდეს სთავაზობენ, ჰრემიის მინიჭება ფარულად ხდება.

– გქონიათ თუ არა რაიმე კავშირი ან ნაცნობობა შვედეთის აკადემიასთან?

– არასოდეს და არავითარი.

– სახელდობრ, რომელი ნაწარმოებისთვის მოგენიჭათ ჰრემია?

– მგონი, ყველა ჩემი ნაწარმოებისთვის.

– ელოდით ამ ჰრემიას?

– ვიცოდი, დიდი ხანია კანდიდატებს შორის ვიყავი, რომ ჩემი კანდიდატურა არაერთხელ ეოფილა დასახელებული, წამიკითხავს ჩემი ნაწარმოებების თაობაზე გამოქვეყნული მრავალი შეფასება ისეთი ცნობილი სკანდინავიელი კრიტიკოსებისა, როგორიცაა: Böök, Österring, Agrell და მქონდა რა კაგებული შვედეთის აკადემიასთან მათი ურთიერთობის შესახებ, ვვარაუდობდი, რომ ისინი კეთილად იქნებოდნენ ჩემ მიმართ განწყობილი, თუმცა, ცხადია, ამაში დარწმუნებული არ ვიყავი.

– ჩვეულებრივ, როდის ხდება ნობელის ჰრემიის გადაცემა?

– ეოველწლიურად, ერთსა და იმავე დროს – ათ დეკემბერს.

– თქვენც, ალბათ, ამ დროისათვის გავემგზავრებით სტოკჰოლმში?

– შეიძლება ცოტა ადრეც – მინდა, რაც შეიძლება მალე განვიცადო შორეული მგზავრობის სიამოვნება. ჩემი ემიგარციული უფლებებისა და იმ სიძნელის გამო, რომელიც ჩვენ, ემიგრანტებს, ვიზის აღებისას გვხვდება, მთელი ცამეტი წელიწადია ფეხი არ მომიცვლია აქედან, მხოლოდ ინგლისში ვიყავი ერთხელ. სწორედ ამ უფლების აერა იეო ჩემთვის ყველაზე მძიმე და ძნელი ასატანი, მე ხომ ადრე სულ ვმოგზაურობდი.

– სკანდინავიის ქვეყნებში თუ ეოფილხართ?

– არა, არასოდეს, გიმეორებთ, სად და რამდენი არ მიმოგზაურია, მაგრამ სულ აღმოსავლეთითა და სამხრეთით, ჩრდილოეთს მომავლისთვის ვინახავდი...

ასე მოულოდნელად წამიღო იმ მოხეთქილმა ნიაღვარმა, რომელმაც ჩემი ეოფა ნამდვილ სიგიჟედ აქცია – დილიდან საღამომდე მოსვენება არ მქონდა, გარდა იმისა, რაც ჩვეულებრივ ეოველდღიურად ხდება თითოეული ლაურეატის ირგვლივ, ჩემი უჩვეულო მდომარეობის გამო, იმის გამო, რომ იმ უცნაურ რუსეთს

წარმოვადგენდი, რომელიც ახლა მთელი დედამიწის ზურგზე იყო გაბნეული, ხსვა ლაურეატებისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ვიეაკი – სტოკჰოლმის გადაწყვეტილება ამ ეოველმხრივ დამცირებული, შეურაცხყოფილი, დათრგუნული რუსეთისათვის ჯეშმარიტ ეროვნულ მოვლენად იქცა...

ოთხი დეკემბრის ღამეს მე უკვე შორსა ვარ ჰარიზიდან. ნორდ-ექსპრესის პირველი კლასის ვაგონი... ცალკე კუპე... რამდენი წელია, ამგვარ ამბებთან დაკავშირებული განცდა არ მქონია. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, გერმანიაში რომ შეეედით. ერთთავად მატარებლის ბოლო ვაგონის ბაქანზე ვდგავარ და ვაგონის ქვემოდან მოჩანჩქარე, მთვარის მკრთალ შუქზე უკან-უკან მსრბოლავ, თოვლით შავ-თეთრად გადაჯრელებულ ვაკე ადგილებსა და თეთრად ჩამოთოვილ ხეებს გავცქერი – იმას, რაც ასე ძალიან ჰგავს და რაც ასე ძალიან მაგონებს რუსეთს.

დილით უკვე ჰანოვერში ჩავდივართ. თვალს ვახელ, ფარდას ვწევ – ფანჯარა ეინულითაა დაფარული, ეინვა ადევს რელსებსაც. ბაქანზე ბეწვის ქუდებსა და ქურქებში გამოწყობილი ხალხი ირევა – რამდენი ხანია, ეს ეველაფერი არ მინახავს. რამდენი ხანია... და რა ცოცხლად შემომინახავს იგი გულში!

საღამოს ჩვენი ვაგონი გემ „გუსტავ მეხუთეზე" გადაჰყავთ. გემი ნელა მიუეება ზღვას შვეიცის ნაპირებისაკენ. იხეე ინტერვიუ, ისეე მაგნუმის ფეთქებადი ნათება... შვეიცარიაში ფოტოკრაფები და ეურნალისტები ლამის ალეაში აქცეეენ ჩვენს ვაგონს... როგორც იქნა, მხოლოდ გვიან ღამე ჯრჩები მარტო. ფანჯრებს იქით მრემე სიშავე და ქათქათა სითეთრეა – თეთრი, მაღალი თოვლი და თოვლში ამოქოჩრილი უკიდეგანო ტეე. და ეს ეოველიეე თბილ, გაღუღუნებულ კუპესთან ერთად ოდესღაც ნიკოლეევსკის გზაზე გატარებულ ღამეებს მაგონებს.

ლაურეატებზე ჰრემიის გადაცემა ეოველწლიურად ათ დეკემბერს, ზუსტად საღამოს ექვს საათზე იწეება.

იმ დღეს ხაძინებლის კარზე ადრიანად გაისმა კაკუნი – წუხელ საღამოს ნაბრძანები ჰქონდათ არა უგვიანეს ცხრის ნახევარზე გაეელვიძებინე. სწრაფად ვდგები და უმალ მახსენდება– დღეს ჩემთვის ეველაზე მნიშვნელოვანი დღეა... ჯერ დილის რვა საათია, ეს-ესაა ჩრდილოური გარიჟრაჟი იწეება, არხის ნაპირას ჯერ იხეე ანთია ფანრები, რომელიც კარგად მოჩანს ჩემი ფანჯრიდან... ჩემს წინაა სტოკჰოლმის ის ნაწილიც, რომელიც ხანაპიროს გასწვრივ, ფერდობზეა შეფენილი – თაეისი

კოშკებით, ეკლესიებითა და სასახლეებით. იგი რაღაცით ისევე ძალიან ჰგავს ჰეტერბურგს და ისევე ზღაპრულად ლამაზია, როგორც ჰეტერბურგი გამთენიისა და მზის ჩასვლის ჟამს. მაგრამ დღეს ჩემი დღეა, ადრე უნდა დავიწეო – ათი დეკემბერი ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეა, დილიდანვე ცილინდრში უნდა გამოვეწეო, ქალაქგარეთ სასაფლაოზე წავიდე, სადაც გვირგვინებით უნდა შევამკო როგორც მისი – ალფრედ ნობელის, ასევე მისი ძმისშვილის – არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ემანუელ ნობელის საფლავები. გუშინ დამის სამ საათზე დავწექი. ახლა ვიცმევდი და ვგრძნობდი, რა მოშვებული და მოდუნებული ვიეავი. მაგრამ ცხელი, მაგარი ეავა, კრიალა, თოშჩამდგარი დილა, ფიქრი იმ არაჩვეულებრივ ცერემონიალზე, რომელიც დღეს საღამოს მელის, ფრთებს მასხამს და ძალასა და ენერგიას მმატებს...

ოფიციალური მოსაწვევები ლაურეატებს რამდენიმე დღით ადრე ეგზავნებათ. იგი იმ ხიზუსტის შესაბამისადაა შედგენილი ფრანგულ ენაზე, რომლითაც ეოველგვარი შვედური რიტუალი გამოირჩევა:

„ბატონო ლაურეატებო, გთხოვთ, მობრძანდეთ ნობელის ჰრემიის მისაღებად 1933 წლის 10 დეკემბერს, საკონცერტო დარბაზში, არა უგვიანეს დღის ოთხი საათისა და ორმოცი წუთისა. მისი უდიდებულესობა ხელმწიფე, მეფის სახლეულისა და მთელი სამეფო კარის თანხლებით, დარბაზში მობრძანდება ზუსტად ხუთ საათზე, რათა დაესწროს ზეიმს და თითოეულს ჰირადად გადასცეს კუთვნილი ჰრემია, რის შემდეგაც დარბაზი ჩაიკეტება და დაიწეება ზეიმი“.

დაგვიანება ან დანიშნულ დროზე თუნდაც ერთი წუთით ადრე მისვლა შვედურ წვეულებაზე სრულიად მიუღებელია. ამიტომაც, იმის შიშით, ერთიც ვნახოთ, უკვე ჰერანგის საკინძი დამეკარგოს, როგორც ეს ხშირად ხდება-მეთქი, ჩაცმას ლამის დღის ხამი საათიდან ვიწეებ.

ხუთის ნახევარზე უკვე სახლიდან გავდივარ.

ლაურეატების ჰატივსაცემად, აგრეთვე მოახლოებული ქრისტეშობისა და ახალი წლის აღსანიშნავად ქალაქი განსაკუთრებულად არის გაჩირაღდნებული. უსარმაზარი „მუსიკალური სახახლისაკენ“, სადაც ეოველწლიურად ხდება ჰრემიების გადაცემა, მანქანების ისეთი უსასრულო ნაკადი მიედინება, რომ ჩვენი მძღოლი, ბანჯგვლიან ბეწვის ქუდში გამოწეობილი ახალგაზრდა გოლიათი, გზას დიდი გაჭირვებით

მიიკვლევს და მხოლოდ ის გვშველის, რომ ერთმანეთს მიეოლებული კორტეჟის დანახვაზე ჰოლიციელი ეველა ხხვა მანქანას აჩერებს.

ჩვენ, ლაურეატები, „მუსიკალურ სასახლეში" ხალხთან ერთად შევდივართ, მაგრამ ვესტიბიულში უმალ დანარჩენებისაგან გვაცალკევებენ და საგანგებო შეხასველელით სადღაც შეგვაგართ, ისე რომ, იმას, რაც დარბაზში ესტრადაზე ჩვენს გამოჩენამდე ხდებოდა, მხოლოდ ხხვებისაგან ვიგებთ.

უზარმაზარი დარბაზი მართლაც გასაოცარია სიმაღლით, სილამაზითა და სიმდიდრით. იგი ახლა ერთიანად ეეაკილებითაა მორთული და ხალხით გაჭედილი – ახობით თვალ-მარგალიტითა და ბრილიანტით დამშვენებული, ხადამოს ტანსაცმელში გამოწეობილი ბანოვანით, ახობით ნაირფერადი ლენტითა თუ ხაზეიმო ატრიბუტით მკერდდამშვენებული, ფრაკში გამოწეობილი მამაკაცით. ხუთს ათი წუთი აკლია, შვეიცის მთელი მინისტრთა კაბინეტი, დიპლომატიური კორპუსი, შვეიცის აკადემია, ნობელის ჰრემიის კომიტეტის წევრები და მთელი ეს მოჰატეებული ხალხი უკვე ადგილებზე სხედან. დარბაზში ჩამიჩუმი არ ისმის. ზუსტად ხუთ ხაათზე ესტრადიდან ჰეროლდები ფანფარებით იუწყებიან მონარქის მობრძანებას. ფანფარების ხმას ჰიმნის უმშვენიერესი მელოდია ცვლის. იგი თითქოს სადღაც ზემოდან იღვრება და ტახტის მემკვიდრესა და სამეფო სახლის ხხვა დანარჩენ წევრებთან ერთად შემოდის მონარქი, უკან ამალა მოჰყვება. ჩვენ, ოთხი ლაურეატი, ამ დროს ჯერ ისევ იმ ჰატარა დარბაზში ვართ, რომელიც ესტრადის უკანა შეხასველელს აკრავს.

დადგა ჩვენი გასვლის დროც. ესტრადაზე კვლავ ფანფარები ახმაურდა და შვეიცის აკადემიკოსების კვალდაკვალ, რომლებმაც უნდა წარგვადგინონ და რეფერატები წაიკითხონ ჩვენ შესახებ, ესტრადაზე შევდივართ. ჰრემიების დარიგების შემდეგ, ბანკეტზე, ჰრველმა მე უნდა წარმოვთქვა სიტყვა. ახლა კი, რიტუალის თანახმად, ბოლო გავდივარ ესტრადაზე. გავეაგარ ჰერ ჰალსტრემს, შვეიცის აკადემიის მუდმივ მდივანს. გაოცებული ვარ დარბაზის მორთულობითა და ხალხმრავლობით. და კიდევ იმით, რომ ესტრადაზე შემოსული ლაურეატების ხალამზე ფეხზე დგება არა მარტო დარბაზი, არამედ მონარქიც, მთელი თავისი სახასლის კარითა და სახლეულით.

უშველებელია თაკად ესტრადაც. იგი ჰაწაწა, ვარდისფერ ცოცხალ ეეაკილებშია ჩაფლული. მარჯვნივ აკადემიკოსების საკარძლები დგას, მარცხნივ ჰირველი რიგის ოთხი საკარძელი ლაურეატებისთვის არის განკუთვნილი. კედლებზე შვეიცის ეროვნული დროშებია საზეიმოდ გადმოკიდებული. ხხვა დროს ესტრადას, როგორც

წესი, იმ ქვეყნის დროშები ამშვენებს, რომელი ქვეყნის წარმომადგენლებიც ლაურეატები არიან, მაგრამ, რომელი დროშა მაქვს ჰირადად მე – ემიგრანტს? და აი, იმის გამო, რომ შეუძლებელია ჩემთვის საბჭოთა დროშის გამოფენა, ზეიმის მონაწილენი იძულებული არიან, მხოლოდ შვეიცის დროშები გამოიკიდონ. მერწმუნეთ, ეს მართლაც კეთილშობილური საქციელია!

ზეიმს სსნის ნობელის ფონდის თავმჯდომარე, ესალმება მეფესა და ლაურეატებს და სიტყვას აძლევს მომხსენებელს. სიტყვა მთლიანად ალფრედ ნობელის ხსოვნისა და დაბადებიდან ამ წელიწადს შესრულებული ასი წლისთავის იუბილესადმია მიძღვნილი. ამას მოსდევს მოხსენებები, რომელშიაც თითოეული ლაურეატი და მისი შემოქმედებაა დახასიათებული. ეოველი მოსსენების შემდეგ მომხსენებელი ლაურეატს სთხოვს, ჩავიდეს ესტრადიდან და უშუალოდ მეფის ხელიდან მიიღოს ნობელის ჰრემიის დიპლომის საქაღალდე და ბუდეში ჩადებული დიდი ოქროს მედალი, რომლის ერთ მხარეს ალფრედ ნობელის, სოლო მეორე მხარეს ლაურეატის გამოსახულებაა ამოტკიფრული. ანტრაქტებში ბეთჰოვენისა და გრიგის მუსიკას უკრავენ.

გრიგი ჩემი ერთ-ერთი უსაუვარლესი კომპოზიტორია და, ვიდრე ჰერ ჰალსტრემი ჩემი შემოქმედების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს, მეც განსაკუთრებული სიამოვნებით ვისმენ მის მუსიკას.

ეველაზე მეტად ბოლო წუთებია ჩემთვის ამაღელვებელი – ჰალსტრემის სიტყვა არა მარტო მშვენიერი, ჯეშმარიტად გულითადიცაა. დასასრულ, მოხდენილი ცერემონიულობით იკი მე ფრანგულად მომმართავს:

– ივან ალექსეევიჩ ბუნინ, ჩაბრძანდით დარბაზში და მისი უდიდებულესობის ხელით მიიღეთ შვეიცის აკადემიის მიერ მონიჭებული 1933 წლის ნობელის ლიტერატურული ჰრემია...

დარბაზში ჩამომდგარ სიჩუმეში ნელა ვჯრი ესტრადას, კიბეზე ნელა ვეშვები და ჩემს შესახვედრად წამომდგარი მეფისკენ მივდივარ. ერთბაშად ფეხზე წამომდგარმა დარბაზმა ხუნთქვა შეიკრა, რათა კარგად გაიგოს, რას მეტეკის და რას ვუპასუხებ მე მას. მეფე განსაკუთრებულად გულმხურვალე სელის ჩამორთმევით მესალმება, ჩემი სახით ესალმება მთელ რუსულ ლიტერატურასაც. ხელმწიფის წინაშე თავს მდაბლად ვხრი და ფრანგულად ვაძლევ პასუხს:

– თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, კეთილინებოთ და მიიღოთ ჩემი უღრმესი და მოკრძალებული მადლობა.

ჩემი სიტყვები ტაშის გრიალში იძირება.

ჰრეშიის საზეიმო გადაცემის მეორე დღეს ლაურეატების პატივსაცემად შეუე სასახლეში სადილს მართავს, ათი დეკემბრის საღამოს კი ნობელის კომიტეტის ბანკეტზე გვიწვევენ.

ბანკეტს კრონპრინცი – ტახტის მემკვიდრე ხელმძღვანელობს.

ჩვენი მისვლისას ამჯერად ეველანი უკვე იქ არიან – აკადემიის უკლებლივ ეველა წევრი, მეფის მთელი სახლეული, მთელი სასახლის კარი, დიპლომატიური კორპუსი, სტოკჰოლმის ლიტერატურულ-მხატვრული სამეარო და ეველა მოწვეული სტუმარი.

მაგიდასთან პირველები კრონპრინცი და ჩემი მეუღლე მიდიან. შემდეგშიც ჩემი მეუღლე სულ კრონპრინცის გვერდით ზის მაგიდის ცენტრში.

მე ჰრინცესა ინგრიდის – ამჟამად დანიის დედოფლის – გვერდით ვზივარ, მეფის ძმის, უფლისწული ეუგენის, შვედეთის ერთ-ერთი ცნობილი მხატვრის პირდაპირ. ხუთრაზე პირველ სიტეკვას, რომელიც ალფრედ ნობელის ხსოვნას ეძღვნება, წარმოთქვამს ტახტის მემკვიდრე – იგი ბრწყინვალედ ლაპარაკობს.

ჰრინცი სიტეკვას ადგილიდან ამბობს, ჩვენ – ასეეე არაჩვეულებრივად დიდი დარბაზის სიღრმეში მოწეობილი ძველი შვედური სტილის საგანგებო ტრიბუნიდან. რადიომიმღები ჩვენს სიტეკვებს მთელს ევროპას გადასცემს.

აი, იმ სიტეკვის ზუსტი ტექსტი, რომელიც იქ წარმოთქვი:

„ცხრა ნოემბერს, შორეულ შორეთში, ჰროკანხის ძველთაძველ ქალაქში, დარიბულ სოფლურ სახლში, ტელეფონმა შვედეთის აკადემიის გადაწეეტილება მამცნო. ალბათ გულწრფელი არ ეიქნები, თუ კიტეკი (როგორც ახეთ შემთხვეკაში იტეკიან ხოლმე), რომ ეს იეოს, რამაც მთელს ჩემს ცხოვრებაში ეველაზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა. შესანიშნავია დიდი ფილოსოფოსის სიტეკვები, როდესაც ამბობს, გრძნობა სიხარულისა, რაც არ უნდა დიდი და ძლიერი იეოს, არაფერია მწუხარების ასეთსავე გრძნობასთანო. სრულიადაც არ მსურს, სეკდის თუნდაც იოტისოდენა ჩრდილი მივაეენო ამ ზეიმს, რომელიც სამუდამოდ წარუშლელ მოგონებად დარჩება ჩემს გულში, მაგრამ მაინც ნებას მივცემ ჩემს თავს და კიტეკი: მწუხარება, რომელიც უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე განკიცადე, აღემატება ამ სიხარულს. არა, ეს არ არის პირადი მწუხარება! მაგრამ შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ეველაზე დიდი კმაეოფილება, რაც კი მთელი ჩემი მწერლური ცხოვრების მანძილზე განმიცდია, როგორც მწერალს, მომანიჭა

თანამედროვე ტექნიკის ამ ჰატარა სასწაულმა – სტოკჰოლმიდან გრასში დარეკილმა ტელეფონის ამ ზარმა. თქვენი დიდი თანამემამულის – ალფრედ ნობელის მიერ დაარსებული ლიტერატურული ჰრემია მწერლის შრომის უმაღლესი დაგვირგვინებაა! ჰატივმოყვარეობა ყველა ადამიანისთვის, ყველა ავტორისთვის არის დამახასიათებელი და მეც ესოდენ კომპეტენტური და მიუდგომელი მსაჯულების მიერ მონიჭებულმა ამ ჯილდომ გული უდიდესი ხიამოვნებით ამივსო. მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავზე როდი ვფიქრობდი ცხრა დეკემბერს! არა, ეს მეტისმეტად მიუტევებელი ეგოიზმი იქნებოდა ჩემის მხრივ. განვიცდიდი რა უდიდეს მღელვარებას ჰირველი მილოცვებითა და ჰირველი მისალოცი დეპეშებით, ღამის მდუმარებით გარემოცულ მარტოობაში შვედეთის აკადემიის მოქმედებაზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე ვფიქრობდი. ნობელის ჰრემიის დაარსებიდან თქვენ იგი ჰირველად მიანიჭეთ დევნილს, რამეთუ ყინ ყარ მე, თუ არა დევნილი, ფრანგი ხალხის სტუმართმოყვარეობას შეფარებული, რომლის მიმართაც მუდამ დიდად მადლიერი ვიქნები. ბატონო აკადემიის წევრებო, თავი დავანებოთ ჩემს თავს და ჩემს ნაწარმოებებს და ნება მომეცით, გითხრათ, თუ რაოდენ მშვენიერია თქვენი ეს მოქმედება. ეჭვი არ არის, ამ მაგიდას უხვედან ეოველგვარი შეხედულების, ეოველგვარი ფილოსოფიური მრწამსის ადამიანები. მაგრამ, არის რადაც ერთი, რომელიც ყველას გვაერთიანებს – თავისუფლება აზრისა და სინდისისა, ის, რითაც ჩვენ ცივილიზაციისაგან ვართ დავალებული. ეს თავისუფლება განსაკუთრებით მწერლისათვის არის აუცილებელი – ეს მისთვის დოგმატია, აქსიომაა. თქვენმა ექსტმა, ბატონო აკადემიის წევრებო, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თავისუფლების სიყვარული ნამდვილი ეროვნული კულტია შვედეთში...

დაბოლოს – ჩემი ჰატარა გამოხვლის დასასრულს, მინდა კიდევ ორიოდე სიტყვაც გითხრათ. მხოლოდ დღევანდელი დღით როდი ვაფასებ ასე დიდად თქვენს სამეფო სახლს, თქვენს ლიტერატურას. ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი სიყვარული ეოველთვის წარმოადგენდა შვედეთის სამეფო კარის ტრადიციას, იხევე როგორც მთელი თქვენი კეთილშობილი ხალხისათვის. ხახელოვანი მეომრის მიერ ფუძედადებული შვედეთის

დინასტია ერთ-ერთი ხახელოვანი დინასტიაა მთელ მსოფლიოში. დაე, მისმა უდიდებულესობამ – რაინდი ხალხის რაინდმა ხელმწიფემ – ნება დამრთოს უცხოქვეყნელ თაყისუფალ მწერალს, რომელიც თაყისი ეურადღების ღირსად ჩათვალა შეედეთის აკადემიამ, გამოეხატო მისადმი ჩემი უდიდესი მოკრძალება და უდიდესი ბატიყისცემა“.

სარჩევი

ნიგნიდან „ბნელი ხეივანი"

ჰენრიხი 5
რუსია 21
ნატალი 33
მუზა 74
სტიოპა 83
პარიზში 90
დიდმარხვის პირველი ორშაბათი 103
ცივი შემოდგომა 121

1859-1932 წლები

ველგა 129
პატარა რომანი 140
თემურ-აქსაკ-ხანი 153
იდა 158
მზის დაკვრა 169
მზეზე უმშვენიერესი 179
კორნეტ ელაგინის საქმე 185

კომენტარები 233

ივან ბუნინი და ნობელის პრემია 239

გამომცემლობის რედაქტორი

მურმან თავდიშვილი

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ვიოლა ტულუში
შორენა წიქარიშვილი

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

ЛАУРЕАТЫ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ

Иван Бунин

НАТАЛИ

Рассказы

Перевод с русского Лили Мчедлишвили

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17 ბ
25-05-22, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
inteleqti@telenet.ge